

ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი
Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences

ISSN 1987-7323

სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი
ენა და კულტურა

№22

Language and Culture
Scientific Peer Reviewed Journal

ქუთაისი 2019 Kutaisi

მთავარი რედაქტორი: **მანანა მიქაძე**, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი: **თამარ ლომთაძე**, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია: ა. არაბული, ე. არუტუნიანი, ვ. ასათიანი ც. ახვლედიანი, მ. ახმადი, ა. ბერდიჩევსკი, ნ. გელდიაშვილი, რ. ენოხი, ნ. კაკაურიძე, თ. მახარობლიძე, მ. მეგრელიშვილი, ნ. ჟანპეისოვა, ა. ჟდანოვიჩი, გ. სანიკიძე, გ. სიხარულიძე, შ. ფაზიევი, მ. უგრეხელიძე, ტ. ხოლუმენკო.

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე

ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

Chief Editor: **Manana Mikadze**, Doctor of pedagogical sciencies, full professor

Responsible Editor: **Tamar Lomtadze**, Doctor of Philology, full professor

Editorial board:

Arabuli A., Arutuniani E., Asatiani V., Akhvlediani Ts., Akhmadi M., Berdichevski A., Geldiashvili N., Enokhi R., Kakauridze N., Faziev Sh., uzbekeTiMakharoblidze T., Megrelishvili M., Janpeisova N., Jdanovich A., Sanikidze G., Sikharulidze G., Ugrekheldidze M., Skolumenko T.

Head of the Board of Translators: Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, Franch, Spanish.

Possition of authors may be out of the possition of Editorial Board.

<https://enadakultura.com>

www.enadakultura.blogspot.com

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:

- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ასვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ასმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ბერდინევისკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ენუქაშვილი რუბენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი, იერუსალიმი, ისრაელი
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ლომთაძე თამარ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- მახაროვლიძე თამარ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მეგრელიშვილი მადონა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- მიქაძე მანანა** – პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჟანპიესოვა ნაზია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიშევის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, აღმა-ატა, ყაზახეთი.
- ჟდანოვიჩი ანასტასია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სანიკიძე გუბაზ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- სისარულიძე გომარ** – მუსიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- უგრესელიძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ვეროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
- ფაზიევი შოხრუდ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტაშკენტი, უზბეკეთი
- ხოლუმენკო ტიმოთე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

Editorial Board :

- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi I.Jfvkishvili State University.

- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Enokhi Reuven** - Doctor of Linguistic. Ierushalaim and Arieli state universities, Izrail.
- Fayziev Shohrud** - Doctor of Science in Law. Associate Professor. Chief editor at Tadqiqot.uz., Tashkent, Uzbekistan
- .
- Janpeisova Nazia** - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Actiubin National university. Kazakstan.
- Jdanovich Anastasia** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kakauridze Nanuli** -Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kholumenko T.** - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.
- Lomtadze Tamar** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Makharoblidze Tamar** - Doctor of Linguistics. Professor. Iliia State University. Georgia.
- Megrelishvili Madona** - Doctor of Linguistics. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Mikadze Manana** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sanikidze Gubazi** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
- Sikharulidze Gomari** -Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of theatre and cinema. Georgia.
- Ugrekheldidze Mindia** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.

ჟურნალის ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო:

- ავანესიანი გრანტ** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.
- აილუკოიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.
- ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.
- არველაძე ანა** – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.
- ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბარხალაძე გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბახტაძე დალი** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბენიძე ვენედი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.
- გავრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია

- განკვეთი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- გერსამია რუსუდან** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო
- გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- გოშხეთელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- გუსევა ოლეგა**– პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.
- დუმილოვი ევგენი**– იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ეკშებევა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აღ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, აღმა-ატა, ყაზახეთი.
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.
- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** - პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რისთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე ვ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- კაიცუნი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კარტოზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კიროვა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშავიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- კოჭლოშვილი ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.

- ლევინიკი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლეშაკი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- ლორთქიფანიძე რუსუდან** – ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, სამუსიკო კოლეჯი ქუთაისი, საქართველო.
- მამადლოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მარგველაშვილი მამუკა** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.
- მალააკელიძე ნათელა** – პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მახმუდოვა გ.** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.
- მუჯირი სოფიო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მჭედლიძე გიორგი** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ნადარეიშვილი აკაკი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ნიკოლეიშვილი სოფიო** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.
- პეტროსიანი ემმა** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.
- პილიშვილი ს.** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ქოლნეროვიჩი პეტრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- როვენკო ალექსანდრე** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.
- სვანიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიგუა სოსო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- სიმიანი ტიგრან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- სირბილაძე მარინა** – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიჭინავა ნელი** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სტარინენოკი ვასილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- ტოკარევი გრიგოლ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.
- ფაღავა მამია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- ქაცარავა მარინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ყუფარაძე გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

- შიაკენოვა ს.** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- შენგელია ვაჟა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- შიოშვილი ირმა** - ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ჩერნოვატი ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.
- ჩიხლაძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჭუმბურიძე იოსებ** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ხაჭაპურიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი გიორგი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი თამარ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

Expert Review Board of the Journal:

- Avanesian Grant** - Doctor of pshiqology. Professor. Yerevan. Armenia .
- Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.
- Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dosent. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.
- Arveladze Ann** - Doctor of Art. accoss. - Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I.Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Benidze Venedi** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State Universiry. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Art. Professor. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrilina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolasvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Dotcent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Vasilieva Neli** - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
- Izbule V.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Giga Psicological Institute. Latvia.
- Jolnerovich Petr** - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.

- Kaitsuni Robert** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Briusov State Linguistic University. Armenia.
- Kartozia Aleksandre** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
- Katsarava Marina** - Doctor of Linguistics. full- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kvirikadze Nino** - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kirvalidze Nino** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Illia State University. Georgia.
- Kirova L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
- Khechinashvili George** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Khechinashvili Tamar** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Kobeshavidze Marine** - Doctor of Linguistics. Assist. Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Kochloshvili Nino** - Doctor of Art. Professor. Telavi State University. Georgia.
- Kovtuni Aleksandr** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
- Korenovska L.** - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
- Korotkaia Svetlana** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kuparardze Giorgi** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Levitsky Aleksandr** - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
- Leshak O.** - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
- Lortkipanidze Rusudan** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Musical college. Georgia.
- Margvelashvili Vladimer** - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
- Maglakelidze Natela** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
- Makhmudova G.** - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaidjan.
- Mchedlidze George** - Doctor of Historical sciences. Professor. Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia.
- Mudjiri Sophia** - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Nadareishvili Akaki** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Nikoleishvili Sophia** - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
- Pagava Mamia** - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Petrosiani Emma** - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
- Pilishek S.** - Doctor of Psychology. Docent. Khmelnitsky National University. Ukrain.
- Rovenko Aleksandr** - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
- Sigua Soso** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
- Simiani Tigran** - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
- Sirbiladze Marina** - Doctor of Psychological sciences. Assos.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sitchinava Neli** - Doctor of Linguistics. Accoc. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Khachapuridze Ramaz** - Doctor of Linguistics. Accociate Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Shaikenova S.** - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakstan.
- Shengelia Vaja** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Shioshvili Irma** - Doctor of Philosophy. Professor. Telavi State University. Georgia.
- Starichenko Vasil** - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
- Tavdgiridze Lela** - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Tumanishvili Khatuna** - Doctor of Linguistics. Accos.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Zviadadze Natia** - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.

ენათმეცნიერება Linguistic

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია

თბილისი, საქართველო

ინგლისურ და ფრანგულ პარემიულ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზი

პარემიათა ეთნოკულტურული სპეციფიკა ნათლად ვლინდება ისეთი იდენტური ენობრივი მაგალითების შეპირისპირებისას, როგორებიცაა ანდაზები და თქმები; მათი შეპირისპირება გვაძლევს საშუალებას, რომ ერთდროულად გავაცნობიეროთ თითოეული ენის კულტურული თავისებურება და გამოვავლინოთ ის საერთო, რაც მათ გააჩნიათ. ინგლისურ და ფრანგულ პარემიათა შეპირისპირება გვიადვილებს ამ ენათა სამყაროს ენობრივი სურათებისა და მათზე მოლაპარაკე ხალხთა კულტურული ფასეულობების უკეთ გაგებას, ასევე მათ ხატოვან სისტემაში შეღწევას.

საკვანძო სიტყვები: ხატოვანი თქმები, ანდაზები, პარემიები, ხალხთა კულტურული ფასეულობები

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ინგლისურ და ფრანგულ ენათა პარემიების თარგმნით ანალიზს. ერთეულთა ამ პლასტის შეპირისპირება საშუალებას იძლევა, რომ ერთდროულად შევიცნოთ თითოეული ენის კულტურული თავისებურება და გამოვავლინოთ მათი საერთო ნიშნები; ასევე უკეთ გავიგოთ ამ ენათა სამყაროს ენობრივი სურათები და ხალხთა კულტურული ფასეულობები, გავაცნობიეროთ მოცემულ ენათა თავისებურებები და ღრმად ჩავწვდეთ მათ ხატოვან სისტემებსა და აზრებს. კვლევისას გამოყენებულია შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ დავადგინოთ არა მარტო ანალოგიური ფუნქციების მქონე ფაქტები და მოვლენები, არამედ განვსაზღვროთ ის ადგილიც, რომელიც მათ უჭირავთ თავიანთ მიკროსისტემებშიც. კვლევის მასალად გამოვიყენეთ ინგლისური და ფრანგული ენების ლექსიკონებიდან (ა. კუნინის «Большой англо-русский фразеологический словарь» და ვ.

გნებდილოვას «Французко-русский словарь пословиц и поговорок») ამოკრეფილი პარემიოლოგიური ერთეულები.

განვიხილოთ ინგლისური და ფრანგული პარემიები და გამოვავლინოთ მათი მსგავსება და განსხვავება თარგმნის პროცესში:

სრული ექვივალენტები: money has no smell – l'argent n'a pas d'odeur. ეს ინგლისური და ფრანგული ანდაზები ითარგმნებიან ერთნაირად – «ფულს სუნი არა აქვს». ისინი ერთმანეთს ემთხვევიან აზრის მიხედვით, კომპონენტთა ლექსიკური და სტრუქტურული შემადგენლობის მიხედვით, ასევე სტილისტიკური კუთვნილებისა და ემოციური შეფერილობის მიხედვით.

იგივე შეინიშნება შემდეგ ნიმუშებშიც: **the exception proves the rule – l'exception confirme la règle** – სიტყვასიტყვით: "გამონაკლისი ადასტურებს წესს"; **custom is a second nature – l'habitude est une seconde nature** – სიტყვასიტყვით: «ჩვევა – მეორე ნატურაა»; **man proposes, and (but) God disposes – l'homme propose et Dieu dispose** – «კაცი ბჭობს, ღმერთი განაგებს»; **the voice of the people is the voice of God – la voix du peuple c'est la voix de Dieu** ხალხის ხმა ღმერთის ხმაა»; **poverty is no sin – pauvreté n'est pas vice** «სიღარიბე მანკი არაა».

ნაწილობრივი ექვივალენტები, რომლებიც იყოფიან ორ ქვეჯგუფად:

- ექვივალენტები ლექსიკური დაშორებით: **what the heart thinks, the tongue speaks - avoir le coeur sur les lèvres.** ინგლისური ანდაზა ითარგმნება სიტყვასიტყვით: "რასაც გული ფიქრობს, ენა იმას ამბობს". ფრანგული ანდაზა კი ითარგმნება სიტყვასიტყვით: «გულის ქონა ბაგეებზე».

აღსანიშნავია, რომ მოცემული პარემიები ერთმანეთს ემთხვევიან მნიშვნელობით, სტილისტიკური მიმართულებით და ახლოს არიან ხატოვანების მიხედვით, მაგრამ განსხვავდებიან ლექსიკური შემადგენლობით. ინგლისურ მაგალითში გამოყენებულია არსებითი სახელი «ენა», ფრანგულში კი – «ბაგეები», თუმცა აზრი ერთი და იგივეა «პატიოსნად ლაპარაკი».

ინგლისურ და ფრანგულ ანდაზებში **the first step is the hardest – ce qu'il y a de plus difficile c'est le commencement** ინგლისური ანდაზა ითარგმნება სიტყვასიტყვით: «პირველი ნაბიჯი ყველაზე რთულია», ფრანგული ანდაზა კი – «ყველაზე რთული – ესაა დასაწყისი»; ანუ ეს ანდაზები ემთხვევიან მნიშვნელობით, სტილისტიკური მიმართულებით და ახლოს არიან ხატოვანებით; ლექსიკური შემადგენლობა კი შეცვლილია.

ლექსიკური შემადგენლობის განსხვავებაა შემდეგ ანდაზებშიც: **every country has its own custom – chaque pays, ses sabots.** ინგლისური ანდაზა ითარგმნება სიტყვასიტყვით: «ყველა ქვეყანას თავისი ჩვევა აქვს», ფრანგული ანდაზა კი – «ყველა ქვეყანას თავისი ფეხსაცმელები აქვს».

- ექვივალენტები გრამატიკული განსხვავებებით: **cracked pots last longer – pot fêlé dure longtemps - pot fêlé dure longtemps**. ინგლისური ანდაზა ითარგმნება სიტყვასიტყვით: «გამსკდარი ქოთნები დიდხანს ინახება», ფრანგული ანდაზა კი – «გამსკდარი ქოთანი დიდხანს ინახება». ამ პარემიებში ერთმანეთს ემთხვევა მნიშვნელობა, სტილისტიკური მიმართულება, ხატოვანება, მაგრამ განსხვავებაა არსებითი სახელის რიცხვში; ინგლისურ ანდაზაში **pots** «ქოთნები» მრავლობით რიცხვშია, ფრანგულში კი – **pot** «ქოთანი» მხოლოდითია.

flies go to (hunt) the lean horse – aux chevaux maigres vont les mouches – ინგლისური ანდაზა ითარგმნება სიტყვასიტყვით: «ბუზები ნადირობენ გამხდარ (მჭლე) ცხენზე», ფრანგული ანდაზა კი – «გამხდარ ცხენებს ბუზები ეტანებიან». ეს პარემიები განსხვავდებიან არსებითი სახელის რიცხვით - **horse** – ცხენი (მხ. რიცხვი), **chevaux** – ცხენები (მრავლ. რიცხვი); ასეთ პარემიებში სიტყვათა წყობის განსხვავებაც შეინიშნება; ფრანგულ ვარიანტში დამატება «გამხდარ ცხენებს» წინადადების თავშია, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ ენაში არსებობს სიტყვათა ფიქსირებული წყობა, რომლის მიხედვითაც დამატება ზმნის შემდეგ უნდა იდგეს.

საინტერესოა, რომ «ცხენი» ანდაზებში "ინტერნაციონალური" ცხოველია; იგი უფრო ხშირად გამოიყენება ინგლისურ პარემიებში, ვიდრე ფრანგულში: **he that cannot beat the horse, beats the saddle** – სიტყვასიტყვით: "ვისაც არ შეუძლია ცხენის ცემა, უნაგირს ურტყამს", ფრანგული ანალოგიური ანდაზაა **battre le chien devant le lion** - სიტყვასიტყვით: «ძაღლის ცემა ლომის წინაშე»; **a hungry horse makes a clean manger** - სიტყვასიტყვით: «მშიერი ცხენი ბაგას წმენდს», ფრანგული ანალოგიური ანდაზაა **à bonne faim il n'y a pas de mauvais pain** - სიტყვასიტყვით: «ძლიერი შიმშილის დროს ცუდი პური არ არსებობს»; **every horse thinks his pack heaviest** - სიტყვასიტყვით: «ყოველი ცხენი თვლის, რომ მისი ტვირთი ყველაზე მძიმეა», ფრანგული ანალოგიური ანდაზაა **à chacun son fardeau pèse** «ყველას თავისი ტვირთი ჰგონია მძიმე»; **do not look a gift horse in the mouth** - სიტყვასიტყვით: «ნაჩუქარ ცხენს პირში ნუ ჩასცქერი», ფრანგული ანალოგიური ანდაზაა **à cheval donné on ne regarde pas la bride** – «ნაჩუქარ ცხენს ლაგამზე არ უყურებენ» და სხვ.

განვიხილოთ ექვივალენტთა კიდევ ერთი მაგალითი, ნაწილობრივი გრამატიკული განსხვავებით: **every bird likes its own nest – à chaque oiseau son nid est beau**. ინგლისური ანდაზა სიტყვასიტყვით ითარგმნება «თითოეულ ჩიტს მოსწონს თავისი ბუდე», ფრანგული ანალოგიური ანდაზაა **à chaque oiseau son nid est beau** – «ყოველი ჩიტისათვის მისი ბუდე კარგია». პარემიათა ამ ვარიანტებშიც შეინიშნება სიტყვათა წყობის განსხვავება. ინგლისურ ვარიანტში დამატება **nest** – "ბუდე" დგას ზმნის შემდეგ, ფრანგულში კი – **nid** – ბუდე დგას ზმნის წინ და ქვემდებარეა. ამგვარად, აღსანიშნავია, რომ ამ პარემიათა მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა,

სტილისტიკური მიმართულება და ხატოვანება შენარჩუნებულია და განსხვავდებიან მხოლოდ სიტყვათა წყობით წინადადებაში, ან არსებითი სახელის რიცხვით, რაგვარადაც ისინი ვგვხვდება.

განვიხილოთ თარგმანის კიდევ ერთი მაგალითი – ანალოგი, როდესაც მნიშვნელობა ადექვატურია, მაგრამ ხატოვანი საფუძვლის მიხედვით, განსხვავებულია მთლიანად ან ნაწილობრივ. ასეთი მაგალითები ბევრია: **he that fears every bush must never go a-birding – qui à peur des feuilles ne va point au bois.** ინგლისური ანდაზა სიტყვასიტყვით ითარგმნება: «ის, ვისაც ყოველი ბუჩქის ეშინია, არასოდეს არ უნდა წავიდეს ჩიტების სთვალთვალოდ»; ფრანგული ანალოგიური ანდაზა ითარგმნება – «ვისაც ფოთლების ეშინია, ვერასოდეს წავა ტყეში»; ამ ანდაზებში ხატოვანი საფუძველი სხვადასხვაა, თუმცა აზრი არ იცვლება.

ამგვარად, ჩვენს კვლევაში, წარმოვადგინეთ ინგლისური და ფრანგული პარემიოლოგიური ერთეულები სრული ექვივალენტების სახით, ასევე ნაწილობრივ ლექსიკური და ნაწილობრივ გრამატიკული ექვივალენტების სახით. აღსანიშნავია, რომ უმეტესად გვხვდება ინგლისურ-ფრანგული ანალოგიები; ასევე გვხვდება სრული ან ნაწილობრივი ექვივალენტები, რომლებშიც, ფაქტიურად, ემთხვევა სტრუქტურა და კომპონენტური შემადგენლობა, მაგრამ ზოგჯერ შეინიშნება ცალკეული ნაციონალური განსხვავებანი.

ლიტერატურა:

1. **English Oxford Living Dictionaries** [Электронный ресурс]. –Режим доступа: <https://en.oxforddictionaries.com>. –Дата доступа: 17.03.2019.
2. **В.И. Даль.** Пословицы русского народа [Электронный ресурс]. –Режим доступа: <https://vdahl.ru>. –Дата доступа: 18.03.2019.
3. **Гнездилова В. А.** Французко-русский словарь пословиц и поговорок. Москва, 2010.
4. **Кунин А. В.** Большой англо-русский фразеологический словарь. Москва, 1984.
5. **მიქაძე მ.** ქართული ანდაზა, (ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული შესიტყვებებით), „მერიდიანი“, 2013
6. **მღვდლიაშვილი ნ.** კროს-კულტურული კომუნიკაცია - კომუნიკაციური აქტი განსხვავებული კულტურული ღირებულებების მატარებელ ხალხთა შორის, Scripta manent. საქართველო : სამეცნიერო ჟურნალი / ღია დიპლომატიის ასოციაცია. - თბილისი, 2010. - Iშშ 1987-7390. - 4. - გვ.49-54
7. **გვარჯალაძე...:გვარჯალაძეი., მიქელაძე კ.,** „ფრანგული ანდაზები და ხატოვანი თქმანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.1981
8. **სახოკია თ.,** „ქართული ანდაზები“, თბილისი. 1967

Tsiuri Akhvledian, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia

Contrastive Analysis of English and French Proverbial Units

Abstract

The ethnocultural specificity of proverbs is clearly evident when comparing such language identical examples as proverbs and sayings are; Their comparison allows us to simultaneously understand the cultural features of each language and to identify what they have in common. Besides, the contrastive description of English and French proverbs makes it easier to understand the the world of linguistic images of these languages and the cultural values of the people speaking them, as well as penetration into their imaginative system.

რეცენზენტი: პროფ. მ. მეგრელიძე

ენათმეცნიერება Linguistic

რუსუდან გერსამია

თბილისი, საქართველო

სახელის ფუძის განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტები ქართულში

სახელის ფუძე ის მონაცემია, რომელსაც უკავშირდება მისი ლექსიკური მნიშვნელობა და სტრუქტურულად ყველა ფლექსიური აფიქსის ჩამოშორებით მიიღება. -ებ მორფემის ფუნქციები დგინდება სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებებით, მორფემათა რანგობრივი სტრუქტურის ანალიზით, ის აღნიშნავს სემანტიკურ სიმრავლეს და აწარმოებს რიცხვის (მრავლობითის) გრამატიკულ კატეგორიას, ანუ მას აქვს როგორც დერივაციული, ისე ფლექსიური აფიქსის სტატუსი, რომელიც დერივაციულ და ფლექსიურ მოდელებში მისი პოზიციის განსაზღვრით დგინდება.

საკვანძო სიტყვები: სახელის ფუძე, ებიანი მრავლობითი, ფლექსია, დერივაცია

სახელის ფუძე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩასმის წესზე დაყრდნობით განისაზღვრება და იგი მოთხრობითში ან მიცემითში ჩასმული სახელისათვის მარკერის ჩამოშორებით დგინდება. არგუმენტები, რომლის მიხედვითაც წყდება საკითხი მიცემითის სასარგებლოდ, ეფუძნება ძირეული და სუფიქსური მორფემის სტაბილურობას: ა) მიცემითში დასმული სახელის ძირი არ იცვლება ფონეტიკურად, ბ) მიცემითი ყველა ტიპის ფუძესთან C სტრუქტურის /-ს/ მორფემით, ალომორფების გარეშე არის წარმოდგენილი. საკითხი სხვაგვარად წყდება, როცა იგი ეხება მრავლობითის ფუძეს:

- 1) იგივე პრინციპი ვერ მუშაობს *ნართანიან მრავლობითში*; ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების სეგმენტირება ხერხდება მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში, ვინაიდან დანარჩენ ბრუნვათა მარკერი ფლექსიურია, სამი ბრუნვისთვის საერთოა.

2) *ეტიან მრავლობითში* კი ამავე მეთოდზე დაყრდნობით სახელის ფუძე სრულდება VC სტრუქტურის /-ებ/ მარკერზე და, ამდენად, სახელი *ეტიან მრავლობითში* მხოლოდ თანხმომავანფუძიანი შეიძლება იყოს.

თუ გადავხედავთ ბრუნების ტიპების მიხედვით სახელთა ტიპოლოგიას, ა. შანიძის კლასიფიკაციით, მრავლობითის ფუძეები განეკუთვნება პირველ, ანუ თანხმომავანფუძიან სახელთა ბრუნების ტიპს (შანიძე 1980: 62); ნართანიანისგან განსხვავებით, *ეტიანში* კუმშვადების და უკუმშველების ქვეტიპის კლასიფიკაციაც არის შესაძლებელი; მთელ პარადიგმაში მორფონოლოგიური ცვლილების მიზეზი ხმოვნით დაწყებული -ებ სუფიქსია.

ამ ლოგიკით სახელის ფუძე მხოლოდით და მრავლობით რიცხვში სხვადასხვაა, ფუძის მოძებნის წესი კი ყველა პარადიგმისათვის (მხოლოდითა და ორივე მრავლობითისათვის) განსხვავებული გამოდის. ფუძის განსაზღვრა აბსოლუტური ბოლოდან ამოსვლით (თანხმომავანფუძიანი / ხმომავანფუძიანი) რელევანტური რჩება მხოლოდ მხოლოდითი რიცხვისთვის; მხოლოდითშივე დაისმის მორფონოლოგიური საკითხები - ძირეული და აფიქსური მორფემების მიმართებისა და ძირეული თუ ბრუნვის ნიშნების ცვლილებების შესახებ, რადგან მრავლობითის სისტემა ერთგვარ პარადიგმებს ეყრდნობა, ანუ პარადიგმატული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი, არამედ სახელობითშივე დაჩნდება ცვლილი პარადიგმა და ეს საკითხი უკავშირდება მრავლობითის მორფემის ფონოსტრუქტურას.

ა. შანიძის მიერ შემოთავაზებული მსჯელობა და მასზე დაფუძნებული სისტემა თანამიმდევრულია და წესი ერთნაირად არის გატარებული სახელთა მთელი კლასისათვის. თუმცა მრავლობითობის, როგორც გრამატიკული/ ფლექსიური კატეგორიის საკითხი უნდა დაისვას მხოლოდ არსებითებისა და ნაცვალსახელებისათვის, რადგან ზედსართავებსა და რიცხვითებს (შეზღუდულად, მაგრამ მაინც) დართულ -ებ სუფიქსს ისინი სახელთა სხვა კლასში გადაჰყავს, *ეტიანი* ზედსართავები და რიცხვითები სუბსტანტივებია (შანიძე 1980: 79). შდრ. დიდი-დიდები, ხუთი-ხუთები, წითელი-წითლები; გამოდის, -ებ სუფიქსს მასუბსტანტივებელი ფუნქციაც აქვს, რაც, ზოგადად, დერივაციული სუფიქსის ფუნქციაა და არა ფლექსიურისა.

ლექსიკური სემანტიკა უდევს საფუძვლად ფუძის ა. შანიძისეულ განმარტებას: ფუძე არის სახელის ის ნაწილი, „რომელთანაც დაკავშირებულია ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა“, თუმცა იქვე განმარტავს ძირს ფორმალური პრინციპიდან ამოსვლით: „*ფუძეს*, რომელიც შემადგენელ ნაწილებად არ დაიშლება, ძირი ეწოდება“ (შანიძე, 1980 : 33); გამოდის, რომ ძირი ფუძის სახეობაა, მისი ტიპია, რაც აღნიშნული განმარტების ნაკლია. სხვა შემთხვევაა, როცა ძირი და ფუძე ერთხვევა ერთმანეთს.

ფუძის სტრუქტურირებიდან ამოდის შემდეგი განსაზღვრაც: „ფუძე არის ფლექსიური პარადიგმის ფორმათა ის საერთო ნაწილი, რომელიც რჩება ფლექსიურ აფიქსთა ჩამოცილების შედეგად“ (გამყრელიძე და სხვ., 2003 : 182), თუმცა ამ განმარტებით ვერ დადგინდება, დგას თუ არა -ებ სუფიქსი ფლექსიურ აფიქსთა რიგში და შედის თუ არა ის ფუძეში.

საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითია -ებ სუფიქსის ფუნქციის განსაზღვრა აფიქსთა სისტემაში, დერივაციულია იგი თუ ფლექსიური. ორი მნიშვნელოვანი ციტატა არსებითად წყვეტს საკითხს და მის ოდენ ფლექსიურად მიჩნევას ეჭვქვეშ აყენებს:

1. ა. შანიძე (1980) მრავლობითის გრამატიკული კატეგორიის განხილვისას შენიშვნაში წერს: „*მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებითად წარმოქმნას ეკუთვნის. მაგრამ სახელთა ბრუნებას ორსავე რიცხვში ერთად განვიხილავთ. ამიტომ ამისი აქ (რ.გ.: მხოლობითი რიცხვის გვერდით) შემოტანა აუცილებელია*“ (გვ. 47. შენიშვნა)

2. ა. ჩიქობავა (1962) საკითხის ამგვარ გადაწყვეტას გვთავაზობს: „-ებ სუფიქსი ფუძის საწარმოებელი ისეთი აფიქსია, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობის მცვლელი აფიქსის ყველა თვისება, მაგრამ მოეპოვება ზოგი რამ, რაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსის დამახასიათებელია... -ებ- სუფიქსი სახელთა მრავლობითობას აღნიშნავს, -თ – ზმნისას (გარკვეულ პირობებში). ორივე – გარდამავალი ტიპის აფიქსის ნიმუშს წარმოგვიდგენს“ (გვ. 2)

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ -ებ მორფემის ადგილი მხოლოდ ფლექსიურ აფიქსთა შორისაა (უთურგაიძე 1986, ფეიქრიშვილი 2010, დათუკიშვილი 2018). არის თუ არა ეს ასე? ვეცდებით დამატებითი არგუმენტებით გავამყაროთ ა. შანიძისა და ა. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებული, პრაქტიკულად, ერთი ტიპის ჰიპოთეზა.

სახელის მრავლობითის ფუძის ანალიზისას გასათვალისწინებელი და დასადგენია რამდენიმე თანმიმდევრული და ურთიერთით განპირობებული საკითხი:

1. სახელის ფუძის აგლუტინაციურობა და მორფემათა სტაბილური პოზიციები მორფოსინტაქსურ სტრუქტურაში;

2. /-ებ/ მორფემის სტატუსი ლინგვისტური ანალიზის სხვადასხვა მეთოდებზე დაყრდნობით;

3. ზღვარი ფლექსიასა და დერივაციას შორის.

სახელის აგლუტინაციური სტრუქტურა მხოლოდ სუფიქსური მორფემებისგან შედგება, რომელიც ერთვის ძირს (იხ. *სქემა 1*), ანუ ყველა მორფემა ძირიდან მარჯვნივ არის განლაგებული. მორფემათა რიგში არის ობლიგატებიც, რომელთაც რანგში არ ვთვლით, ასევე დისკურსული

(ფოკუსისა და მოდალური) ნაწილაკებიც, რომლებიც ენკლიტიკური ელემენტებია. მორფმათა სინტაგმატური ანალიზით განისაზღვრება რანგში რიცხვის მორფემის პოზიცია, რომელიც სტაბილურია და ძირიდან მარჯვნივ უახლოესი მორფემაა.

ქემა 1

0	1	2	-	3	-	4	-	5
R	PL	GEN	[OBL]	PP	OBL	PTC:FOC	[OBL]	PTC:IO
კატ	-ებ	-ის	[-ა]	-თვის	-ა	-ც	[-ა]	-ო

სქემა1-ის მიხედვით *-ებ* ფლექსიური აფიქსია, მისი დერივანტად განხილვის შემთხვევაში მორფმათა რანგების ათვლა უნდა დაიწყოს დერივაციული ფუძიდან, (\bar{R}), ანუ აფიქსთა ფლექსიურობა \bar{R} -დან უნდა განისაზღვროს. ვინაიდან დერივაციული ფუძე, ზოგადად, ის მონაცემია, რომელსაც ერთვის ფლექსიური აფიქსები, მისი სტრუქტურირებით კი ფუძე დაიყვანება ძირეულ და დერივაციულ მორფემებზე: $\bar{R} = R + \text{DER:PL}$.

დერივაციული მოდელების პარადიგმატული მიმართებები მაგალითებში (1), (2), (3), დაადგენს *-ებ* მორფემის დერივაციულ ფუნქციას;

(1) კოპლ+იან-ებ-ი

[R+DER]-PL-NOM იგივე \bar{R} -PL-NOM

(2) კოპლ+ებ+იან-ი


{[R-DER:PL]+DER}-NOM იგივე \bar{R} -NOM

(3) კოპლ+ებ+იან-ებ-ი

{[R-DER:PL]+DER}-PL-NOM იგივე \bar{R} -PL-NOM

-ებ მორფემის ადგილი არასტაბილური ჩანს მაგალითებში (2) (3), მეტიც, ის ორჯერაც კი ჩნდება მიმდევრობაში (3), რაც მათ ტოლფუნქციანობას გამორიცხავს. ამავე მაგალითებში ფლექსიურად ჩათვლილი *-ებ* მორფემა ჩნდება *-იან* დერივანტსა და ძირს შორის და არცთუ უფუნქციოდ: დერივაციული ფუძის შიგნით *-ებ* სუფიქსის სემანტიკა განსაზღვრავს კონკრეტული ნიშნის, სახეობის (*კოპლის*, *ზოლის*...) სიმრავლეს; ამგვარი სიმრავლეობა კი, თავის მხრივ, სახელთა უფრო დიდი კლასის მახასიათებელ ნიშნად გვევლინება (სქემა 2):

სქემა 2



პარადიგმატული მიმართებებიდან ჩანს, რომ *-ებ* მორფემა დერივაციულია (2) (3) და მისი მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, სემანტიკურ სიმრავლეს უკავშირდება; რანგობრივად განსაზღვრული ფლექსიური მორფემის ადგილი არ არის იმ დერივაციული ფუძის შიგნით, რომელიც საანალიზო კონკრეტული მაგალითებისათვის *-იანი* ან *-ო* დერივანტებით იწარმოება (სქემა 2). სახელის ფუძე კი ერთ შემთხვევაში თანხმოვანზე მთავრდება (*კოპლებიანი-*), მეორე შემთხვევაში - ხმოვანზე (*უზოლებო*), ანუ *-ებ* მორფემა ფუძის განსაზღვრაში არც კი მონაწილეობს.

\bar{R} -ს გარეთ განთავსებული *-ებ* გრამატიკული მრავლობითი რიცხვის ნიშანია, მას ბრუნვის ნიშანი მოსდევს (მაგალითები (1) და (3)); საზღვრული ჩავარდნილია (*კოპლიანი / კოპლებიანი წინდ-ებ-ი*) და მას დართული (მისთვის განკუთვნილი) რიცხვის ნიშანი ინაცვლებს მსაზღვრელის მორფოსტრუქტურაში, რასაც მოსდევს სახელის კლასში გადანაცვლება, რაც თავისთავად საინტერესო ენობრივი მოვლენაა.

-ებ სუფიქსის ფლექსიურობის დამდგენ არგუმენტად ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ მას აქვს უნარი გავლენა მოახდინოს ფუძეზე და სრული ფუძე გარდაქმნას არასრულად ხმოვნის ამოვარდნის (კუმშვა) თუ ჩამოშორების (კვეცა) გზით (შდრ. დათუკიშვილი, 2018: 48), რადგან ამ უნარით აღწურვილია ყველა სუფიქსი, რომელიც ხმოვანზე იწყება, მათ შორის, დერივაციულებიც; შდრ. *ბლიანი, ატმიანი, ფანჯრიანი, უბორბლო, უმსხლო, საძმო*; მეტიც, *-ებ* სუფიქსი ვერ კვეცს ე-ზე დაბოლოებულ სახელებს (*ხეები, შრეები...*), ზოგი დერივაციული აფიქსების დართვის შემთხვევაში კი ფუძეები იკვეცება; შდრ. *უკლდეო, უტყეო*, მაგრამ *-კლდიანი, შრიანი, ტყიანი...*

დავასკვნით: მრავლობითობის, როგორც გრამატიკული/ ფლექსიური კატეგორიის და მრავლობითობის, როგორც დერივაციული ფუძის წარმოქმნის, ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს. ფლექსიურ აფიქსად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის *-ებ*, რომელიც დერივაციული ფუძის გარეთ არის განთავსებული, ანუ რომელსაც მოსდევს ბრუნვის ნიშანი. სახელის ფუძის განმარტებად კი მისაღებია ვარიანტი, რომელიც ფლექსიური ნიშნების ჩამოშორებას

გულისხმობს (გამყრელიძე და სხვ. 2003); ფუძის მოძებნის წესიც ყველა ფლექსიური ნიშნის ჩამოშორებას დაემყარება; სრული ფუძის მოსაძებნად კი საჭირო იქნება მისი ჩასმა მხოლოდითი რიცხვის მოთხრობითში ან მიცემითში. ასეთი მიდგომით ფუძეს არ ექნება კავშირი რიცხვის გრამატიკულ კატეგორიასთან და ის მორფოლოგიური ანალიზისას მისგან განყენებულ მონაცემად წარმოგვიდგება.

გლოსარიუმი:

DER-დერივაციული სუფიქსი, NOM -სახელობითი ბრუნვა, PL- მრავლობითობა, R -ძირი.

ლიტერატურა

- დათუკიშვილი 2018: დათუკიშვილი, ქეთევანი. (2018). სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში. *ქართული ენის სტრუქტურის საკითხები*. გვ. 45-49.
- გამყრელიძე და სხვ. 2003: გამყრელიძე, თამაზი, კვიციანი, ზაზა, შადური, ინგა, შენგელაია, ნანა (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი.
- უთურგაიძე 1986: უთურგაიძე, თედო. (1986). *ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი*, თბილისი.
- ფეიქრიშვილი 2010 : ფეიქრიშვილი, ჟუჟუნა. (2010). *ქართული ენის მორფოლოგია*, ქუთაისი.
- შანიძე 1980: შანიძე, აკაკი. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბზ., ტ. III, თბილისი.
- ჩიქობავა 1962: ჩიქობავა, არნოლდი. (1968). *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი.

Rusudan Gersamia

On the Methodological Aspects of Identifying the Nominal Stems in Georgian

Abstract

In Georgian scholarly literature, the nominal stem is identified based on a simple linguistic method, namely, removal of the marker from a nominal lexeme in the ergative or dative case. The arguments in support of the dative case are based on the stability of the root and suffixal morphemes: a) the root of the lexeme in the dative case is not subject to phonetical alteration, b) the dative case is represented by one morpheme /-s/ of C structure with all kinds of stems i.e. it is not represented by allomorphs.

The issue becomes complicated in case of plural stems with -eb markers. Based on the above-mentioned method, the nominal stem ends with marker /-eb/ of VC structure. Thus, a nominal lexeme with ებ plural marker can only be consonantal, whereas, according to the type of declension, it can belong solely to the first i.e. consonantal type (A. Shanidze), which enables the following subtypes: stems subject

to syncope and those not subject to syncope. According to this logic, there are different stems in the singular and plural. The system suggested by A. Shanidze is solid and true for the entire class of nominal parts of speech. According to this logic, defining a stem based on its final sound (consonant or vowel) is relevant only for the singular form. Only with regard to the singular form we can discuss morphonological issues: the changes and relations between the root and affixal morphemes. The plural system is based on certain paradigms i.e. paradigmatically, no changes are expected, because the changed paradigm appears in the initial nominative case. This issue is related to the phonetic structure of the plural morpheme.

Analysis of the plural stem of a nominal part of speech should embrace the following issues:

4. The agglutinative nature of the Georgian language, the morphosyntactic chain of the nominal stem and the rank structure of morphemes.
5. The status of the morpheme /-eb/ based on diverse methods of linguistic analysis.
6. The boundary between derivation and inflexion (analysis of examples of the following type: *k'op'l-ian-eb-i* - *k'op'l-eb-ian-i* - *k'op'l-eb-ian-eb-i*. Corpus statistics).
7. Should the methodological approach be changed? What should serve as the basis for the new definition of the nominal stem?
8. What are the arguments in favour of A. Shanidze's system and what are the counter-arguments against the given system?

რეცენზენტი: პროფ. ნ. გელდიაშვილი

ენათმეცნიერება Linguistic

ლელა ებრალიძე

თბილისი, საქართველო

ლექსიკური ტრანსფორმაციები მხატვრულ თარგმანში

(ქართული და ინგლისური ენების მასალაზე)

წინამდებარე ნაშრომის თემაა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რომელთა გამოყენებაც განპირობებულია დედანსა და თარგმანს შორის ეკვივალენტობის მიღწევის საჭიროებით იმ (ყველაზე ხშირ) შემთხვევებში, როდესაც წყარო და სამიზნე ენების ცალკეულ ელემენტებს შორის არ არსებობს პირდაპირი (ერთი ერთზე) შესაბამისობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მთარგმნელს უხდება ისეთი ელემენტების მოშველიება, რომლებიც წყარო ტექსტის კომპონენტთა ზუსტ ეკვივალენტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ერთობლიობაში იმავე შინაარსს გადმოსცემენ და ისეთსავე ეფექტს ახდენენ, როგორსაც დედანი. ხსენებული საკითხი არაერთი მეცნიერის მიერ არის შესწავლილი, მაგრამ მოცემული ნაშრომი ეყრდნობა რეკვირისეულ კლასიფიკაციას. სტატიაში ტრანსფორმაციის სხვადასხვა მეთოდები ილუსტრირებულია მხატვრული ლიტერატურის ინგლისურიდან ქართული და ქართულიდან ინგლისური თარგმანებიდან აღებული მაგალითებით.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკური ტრანსფორმაციები, მხატვრული თარგმანი, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკა

ვინაიდან ცალკეული ენის ლექსიკურ სისტემაში შემავალი თითოეული სიტყვა უნიკალურია თავისი სემანტიკით, ბუნებრივია, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას კონკრეტული სიტყვის ეკვივალენტის ძიება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ეს იმით აიხსნება, რომ ეკვივალენტობა მარტივად, ერთი ერთზე შესატყვისობას კი არ გულისხმობს, არამედ იმავე აზრის გადმოცემასა და იმავე ფუნქციის შესრულებას [House, 2013: 29], ამიტომ

საჭიროა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რაც დედნის აზრის ზუსტად გადმოსაცემად კონკრეტულ ენობრივ ერთეულთა „არაზუსტი“ შესატყვისების გამოყენებაში მდგომარეობს. ამრიგად, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები წარმოადგენს ენათშორის ცვლილებებს, რომლებიც მოცემულ ენებს შორის არსებული ფორმალური და სემანტიკური განსხვავებების მიუხედავად, თარგმანში დედანთან ეკვივალენტობის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

ტრანსფორმაციული თარგმანის შესახებ თეორიები შეიმუშავეს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილმა მეცნიერებმა, მაგ. რუსეთში ი. რეზინმა და ვ. როზენცვეიგმა, ამერიკაში კი - ი. ნაიდამ [Nida, Taber 1982: 218]. აღნიშნულ თეორიას საფუძვლად ცნობილი ამერიკელი ლინგვისტის ნოამ ჩომსკის ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკა დაედო [Хомский, 1962: 110]. ხოლო შემდგომ, ტრანსფორმაციული თარგმანის თეორიით და მთარგმნელობითი ტრანსფორმაციებით დაინტერესდა არაერთი ლინგვისტი, მათ შორის ვ. კომისაროვი, ლ. ბარხუდაროვი, ა. პარშინი, ი. რეცკერი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკითხისადმი მეცნიერთა მიდგომები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და, შესაბამისად, მათ ტრანსფორმაციათა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია შემოგვთავაზეს. მათ შორის ყველაზე სრულყოფილად ი. რეცკერისეული კლასიფიკაცია მიმაჩნია, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მას დავეყრდნობი [Рецкер, 2007:244].

რეცკერი მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს ორ დიდ ჯგუფად ყოფს - ლექსიკურ და გრამატიკულ ტრანსფორმაციებად, ლექსიკურ ტრანსფორმაციებს იგი მიაკუთვნებს: მნიშვნელობათა დიფერენცირებას, კონკრეტიზაციას, განზოგადებას, ანტონიმურ თარგმანს, აზრის განვითარებას ანუ მოდულაციას, სრულ გარდაქმნასა და დანაკარგის კომპენსაციას. გრამატიკულ ტრანსფორმაციაში იგი გულისხმობს სრულ და ნაწილობრივ ჩანაცვლებას.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკური ტრანსფორმაციები, რის გამოც სწორედ ეს საკითხი ავირჩიეთ განხილვის საგნად. ამგვარი ტრანსფორმაციები, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა ერების მიერ სამყაროს განსხვავებული აღქმით, ასევე სხვადასხვა ენათა სიტყვების სემანტიკურ მოცულობასა და მათ ურთიერთშეთანხმებაში არსებული განსხვავებებით, უხვად გვხვდება თარგმნისას, თუმცა იმთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს არა ყოველდღიური საკომუნიკაციო სიტუაციები ან დარგობრივი თუ ტექნიკური თარგმანი, არამედ მხატვრული თარგმანი. სამწუხაროდ, წინამდებარე ნაშრომის ფორმატი ბევრი მაგალითის განხილვის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები საკმარისად ნათლად წარმოაჩენს ლექსიკური ტრანსფორმაციის თითოეული მეთოდის რაობას.

დავიწყით მნიშვნელობათა დიფერენცირებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ამა თუ იმ სიტყვის ეკვივალენტი მის ლექსიკონურ მნიშვნელობათა შორის არ იძებნება. ამის მაგალითად არაერთ ნაშრომში მოყვანილია ს. მოემის ფრაზა Affection is the best substitute of love, სადაც სიტყვა affection, რომელიც სიტყვა love-ის სინონიმია, მას უპირისპირდება. ამიტომ არსებობს მოსაზრება, რომ მასში იგულისხმება სულიერი სიახლოვე (ფიზიკურის ნაცვლად). მნიშვნელობათა დიფერენცირების მაგალითად გთავაზობთ პატარა ნაწყვეტს ო. უაილდის ზღაპრიდან „ბულბული და ვარდი“, სადაც საინტერესოა სიტყვის form მნიშვნელობა და ქ. კანდელაკის მიერ შესრულებული მისი ქართული თარგმანი:

'She has form,' he said to himself, as he walked away through the grove - 'that cannot be denied to her; but has she got feeling?

„ვერ წაართმევთ, ოსტატურად მღერის, - ჩაილაპარაკა მან და გზას გაუდგა, - მაგრამ აქვს კია გრძნობა?“ [უაილდი, 1960:40]

შემდგომში მოყვანილი ნაწყვეტი (ჯ. ლონდონის რომანიდან „მარტინ იდენი“, რომლის თარგმანიც ვ. ჭელიძეს ეკუთვნის) ერთდროულად წარმოადგენს დანაკარგის კომპენსაციისა და მნიშვნელობის კონკრეტიზების მაგალითს:

He experienced a momentary pang of shame that he should walk so uncouthly. The sweat burst through the skin of his forehead in tiny beads, and he paused and mopped his bronzed face with his handkerchief.

„ახლავა მიხვდა, რომ თვითონ სულ განსხვავებულად დადიოდა, ყველასაგან განსხვავებულად. წამიერად სირცხვილით წამოენთო, შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა, შედგა და ცხვირსახოცით მოიწმინდა სახე“ [ლონდონი, 2012:5].

თარგმანის პირველ წინადადებაში გამოტოვებულია ის ფაქტი, რომ მთავარ გმირს შერცხვა, რაც კომპენსირებული მომდევნო წინადადებაში, რომელშიც ასევე მოცემულია დედნის უფრო ვრცელი და ზოგადი წინადადების კონკრეტიზაცია.

კონკრეტიზების სხვა მაგალითებია:

Also, that dagger-thrust went to his pride. „სიამაყეც დაუკოდა ამ ხანჯალმა“.

The lines of his face hardened. „სახე მოელუშა“. [ლონდონი, 2012:6]

კონკრეტიზაციის საპირისპირო მეთოდის, განზოგადების მაგალითს ქართულ-ინგლისური თარგმანიდან მოვიყვან, კერძოდ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მ. ყიასაშვილისეული თარგმანიდან:

„უფრო სიამოვნებით, უფრო ტკბილად იგრძნობდა თავისთავს, თავისი შეაფერისი ამხანაგის რომ ჰყოლოდა ვინმე“...

He would enjoy his present most pleasurable life with someone of his own age, someone he could call a friend. [New Century, 3:122]

მომდევნო მაგალითში კი განზოგადებასთან ერთად აზრის განვითარებაც გვხვდება, ანუ პროცესის/ქმედების (მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი) ნაცვლად მოცემულია მისი შედეგი (თავკერძობა):

- „ნუ ხარ ჯინიანი, შვილო!... შეუტია ბეკინამ. - მარტო შენს თავზე კი არ უნდა იფიქრო ადამიანმა!"

“Don’t be stubborn, son,” Bekina let anger creep into his voice. “One mustn’t be so selfish!” [New Century, 3:122]

ანტონიმური თარგმანის მაგალითებია:

Farther up ... sat a group with flesh as white as her own.

როზმერისავით ჯერ არც იმათ მოჰკიდებოდათ მზე. [საუნჯე. 1985. 2:6. (ს. ფიცჯერალდის რომანის "ნაზია ღამე" მ. ხელაშვილისეული თარგმანი)]

..were obviously less indigenous to the place.

ესენი უფრო ახალბედები ჩანდნენ ამ პლაჟზე (აქ გვაქვს კონკრეტიზებაც „პლაჟის" სახით). [იქვე]

თარგმნისას, განსაკუთრებით როცა საქმე გვაქვს ფრაზეოლოგიზმებთან და იდიომებთან, საკმაოდ ხშირია სრული გარდაქმნის მეთოდი, როდესაც დედნისეულ ფრაზას თარგმანში სრულიად განსხვავებული ელემენტებისაგან შედგენილი, მაგრამ იმავე აზრის გამომხატველი ფრაზა შეესატყვისება. ასეთი მაგალითების მოხმობა მრავალი მხატვრული ნაწარმოების თარგმანიდან შეიძლება, მე კი საამისოდ ს. მოემის „მოხატული ფარდა" ავირჩიე, რომლის თარგმანიც ქ. ტოროტაძემ განახორციელა:

I say, you must pull yourself together.

„მისმინე, უნდა გამაგრდე [საუნჯე.1986:6].

He gave her a moment to collect herself.

„კაცმა ცოტა ადროვა, დაწყნარდესო" [იქვე].

It occurred to him that in an emergency she would lose her head.

„კაცმა გაიფიქრა, გაჭირვების წამს ქალს თავგზა აებნევაო" [იქვე].

I daren't.

„არ შემიძლია" [საუნჯე.1986:7].

Perhaps he wouldn't care.

„იქნებ მისთვის სულ ერთია" [იქვე].

მოცემულ ნაშრომში მოყვანილია ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითების მხოლოდ ნაწილი, რაც, ვფიქრობთ, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების საილუსტრაციოდ სავსებით კმარა. ყველაზე იშვიათად შეგვხვდა მნიშვნელობათა დიფერენცირების მაგალითები, რაც ლოგიკურია.

დანარჩენი მეთოდებიდან ხშირად ვაწყდებოდით კონკრეტიზების შემთხვევებს, რადგან, ჩვენი დაკვირვებით, ინგლისურ სიტყვებსა და გამოთქმებს ხშირად მეტი აბსტრაქტულობა ახასიათებთ, ვიდრე ქართულს. განსაკუთრებით დამაინტერესა იდიომებმა, რომელთა თარგმნა მეტწილად სრული გარდაქმნის მეშვეობით ხდება. საბოლოოდ, ზემოთ მოხმობილი ყველა მაგალითი და მთელი ნაშრომი ემსახურება მტკიცებას: არსებობს ძნელად სათარგმნი თუ უთარგმნელი ელემენტები, მაგრამ არ არსებობს უთარგმნელი ტექსტი. ტექსტის შინაარსი, კონოტატიური თუ ქვეტექსტური ინფორმაცია, მისი ფუნქცია და ემოციური ზემოქმედების უნარი დედნიდან თარგმანში გადატანას ყოველთვის ექვემდებარება, მთავარია მთარგმნელის ოსტატობა და საქმისადმი ერთგულება.

ლიტერატურა

1. ლონდონი ჯ., 2012. მარტინ იდენი. თბილისი. გამომცემლობა პალიტრა
2. უაილდი ო, 1960. ბროწეულის სახლი. თბილისი
3. ფიცჯერალდი ს., ნაზია ღამე. საუნჯე. – 1986 - 2.
4. მოემი, ს.,. მოხატული ფარდა. საუნჯე. - 1985. - 2.
5. House J., Translation, Oxford, 2013
6. Kldiashvili d., Samanishvili's Stepmother. New Century, 3, "Saari" Tbilisi 2003.
7. Nida, Taber 1982 – Nida E.A., Taber Ch.R. The Theory and Practice of Translation. The Netherlands: Leiden: Brill, 1982
8. Бархударов 1975 – Бархударов Л.С. Язык и перевод. М., 1975. – 240 с.
9. Комиссаров 1990 – Комиссаров В.Н. Теория перевода (лингвистические аспекты): учебник для институтов и факультетов иностранных языков. М., 1990. – 253 с.
10. Рецкер 2007 – Рецкер Я.И. Теория перевода и переводческая практика. М., 2007. – 244 с.
11. Хомский 1962 – Хомский Н. Логические основы лингвистической теории. М., 1962. – 110 с.

www.nplg.gov.ge > [civil](#) > [statiebi](#) > [saskolo](#) > [samaniSvilis-dedinacvali](#)
gutenberg.net.au > [ebooks03](#)

<https://www.e-reading.life> > [bookreader.php](#)

**Lexical Transformations in Literary Translation
(on the material of Georgian and English languages)**

Abstract

The present article concerns the transformations (translation shifts) conditioned by the need to establish equivalence between the ST and TT, when (as in most cases) there exists no one-to-one correspondence between the elements of SL and TL. To solve this problem, a translator has to introduce the elements that are not exact equivalents of the ST components, but combined together convey the same meaning and make the same effect as the original. The issue of translation shifts has been studied by different scholars, but this work is based on the classification made by Retsker. Different methods/shifts are illustrated by examples from literary translations from English into Georgian and vice versa.

რეკონსენტი: პროფ. ც. ახელუდანი

ენათმეცნიერება Linguistic

Яговкина Е.П.

ქუთაისი, საქართველო

Что Такое Семиотика?

В предлагаемой статье рассматривается вопрос о статусе семиотики как науки. В наше время, когда семиотика ворвалась уже и в область художественной литературы и когда многочисленные журналы открывали секреты семиозиса, вопрос о том «что такое семиотика?» не утратил своей актуальности и в наше время.

Ключевые слова: предмет семиотики, семиотика, семиология

Следы, появившиеся на необитаемом острове, говорят о том, что кто-то уже побывал на нем. Красные пятна, усыпавшие тельце ребенка, свидетельствуют о том, что ребенок заболел корью или у него аллергия. Появление президента на экране телевизора вместе со своим министром указывает на то, что готовится какое-то важное сообщение. Цвета семафора указывают нам на то, что делать: стоять, идти или приготовиться к какому-то одному из этих действий. Актеры, появляясь на сцене, обмениваются фразами и жестами и, таким образом, что-то сообщают нам; ноты симфонии или другого музыкального произведения переводятся в звуки усилиями музыкантов; буквы, написанные или напечатанные в определенном порядке, складываются в понятные для нас слова; решая математические задачи, мы пишем знаки умножения, сложения и других арифметических действий; по знакам различия – погонам и петлицам у военного мы определяем, к какому роду войск он относится и какое у него звание.

Вся наша жизнь обязательно связана с какими-то знаками: человеческое общение – это тоже общение при помощи самого главного знака – слова. Иногда случается и так, что использовать этот естественный для нас язык не всегда удастся по самым разным причинам (болит горло или человек – глухонемой и т. д.), однако и в этом случае мы можем общаться с помощью жестов (тех же знаков), мимики и пр. Отдельные знаки могут объединяться в системы, для создания которых требуется три

основных свойства – общая функция, сходство форм и подобие структур. Все знаковые системы служат для передачи информации и имеют свою сферу употребления.

Знаки и знаковые системы изучаются в семиотике, научной дисциплине, которая занимается общими принципами, лежащими в основе структуры всех знаков, с учетом их использования в составе сообщений и характера этих сообщений, а также особенностей различных знаковых систем и сообщений, использующих эти разные типы знаков.

Более распространенным, классическим определением семиотики является определение по объекту: «Семиотика – это наука о знаках и / или знаковых системах».

Семиотика уже не «terra incognita», как охарактеризовал ее в начале XX века Ф. де Соссюр, это «наука, которая изучает жизнь знаков внутри общества».

Однако даже в наше время, когда семиотика ворвалась уже и в область художественной литературы и когда многочисленные журналы открывали секреты семиозиса, вопрос о том «что такое семиотика?» не утратил своей актуальности. Существует так много дефиниций этой «науки о знаках» (около 6 различных определений), что некоторые ученые вообще отказались признавать ее таковой. (Греймас А.)

Согласно Годорову [1:92], семиотика все еще больше проект, план, чем состоявшаяся наука, и это обусловлено не только медленным развитием любой науки в период ее зарождения, но также и определенными колебаниями ее базовых принципов и концепций.

Не решен вопрос и об определении предмета семиотики. Часто указывается на то, что ее (семиотику) интересует лишь феномен знаковости как таковой и трактуется эта знаковость безотносительно к порождающим ее условиям. Поскольку семиотика не имеет дела с незнаковой реальностью, то она не способна разрешить вопрос о существовании чего-либо помимо знаков. Незнак мыслится тоже как знак, хотя и с чисто отрицательным содержанием. Таким образом, «семиотика – это средство рассмотрения чего-угодно в качестве знаков и знаковых систем. Ее объектом является все, что означает, что у нее вообще нет объекта (или, по крайней мере, нет своего специфического объекта)»[2;168-175]

Наряду с термином «семиотика» в науке используется и термин «семиология» для обозначения теории языка и ее приложений к различным знаковым системам. Термин был введен Ф. де Соссюром.

Однако, как полагали французские ученые А. Ж. Греймас и Ж. Курте, в 70-е годы методологическое содержание названных терминов постепенно дифференцировалось, делая их противопоставление значимым. «Все углубляется разрыв между семиологией, для которой естественные науки служат инструментом парафразы в описании семиологических объектов, с одной стороны, и семиотикой, которая ставит своей целью построение соответствующего метаязыка, с другой».[3;73] Согласно мнению ученых, семиология считает, что естественные языки выступают посредниками в процессе прочтения означаемых, принадлежащих к неязыковым семиотикам (живопись, рисунок, архитектура и т.д.), тогда как семиотика это отрицает.

В ходе становления семиотики намечается следующая тенденция: понятие «знак» – основное для этой науки – постепенно уходит на второй план, поскольку не находились какие-либо знаки, универсально присущие всем семиотическим системам. В семиотике языка и литературы наметилась тенденция на исследование таких понятий, как «высказывание», «текст». Феномен семиотики углубляется по мере того, как лингвистика сближалась с логикой, психологией, антропологией и социальными науками, приобретая статус социосемиотики. Характерны в этом отношении работы Леви-Стросса,[4] который предполагал ввести единую науку о коммуникации, охватывавшую социальную антропологию, экономику и лингвистику.

Исследователями семиотики не раз предпринимались попытки систематического разделения семиотики. Ч.Моррис, например, предлагал поделить ее на собственно семиотику, описательную и прикладную семиотику. Р.Карнап [5] добавил отрасли общей и специальной семиотики, а Л.Ельмслев различал семиологию (метаязык семиотических систем) и метасемиологию, как метадисциплину различных научных семиологий.

В настоящее время деление семиотики на теоретическую и прикладную признается почти всеми учеными, однако само понятие «семиотика» начинает употребляться все более нетерминологично, означая нечто вроде «функционально-семантическое вообще». Уменьшается число семиотическо-лингвистических исследований, хотя, казалось бы, именно лингвистика описывалась как почти целиком семиотичная сфера. (Ср.: «Логика, математика и лингвистика могут быть включены в семиотику полностью» [6;38]. Очень распространены тематики несобственно филологической семиотики, такие как семиотика города (включая архитектуру), повседневной жизни и искусства (театр, кино, танец), семиотика и экономика, медицинская семиотика, семиотика закона, семиотика истории, семиотика психоанализа, психиатрии и психотерапии, а также социология отношений. Вот лишь некоторые названия трудов по семиотике «Женщина и город: семиотика окружения», «Знаки жизни», «Семиотика французских жестов», «Семиотика пищи» и др. Большое количество работ последнего периода посвящено исследованиям и литературных произведений: «Крузо в пещере: Дефо и семиотика желаний», «Семиотические перспективы по Джойсу», «О структуре времени и пространства в романе Достоевского «Подросток», «К исследованию поэтики А. Блока» («Шаги командора»), «Структура гомеровских текстов, описывающих психические состояния», «Семиотика в пьесах Чехова (Жесты)» и многие другие.

Многие названия работ свидетельствуют о том, что возникает этап комплексного семиотического подхода, многомерной семиотики. Например: «Семиотика и массовая коммуникация»; «Семиотика и антропология»; «Зоосемиотика и этносемиотика», «Философия и логика в связи с семиотикой» и др.

Нельзя, однако, преувеличивать значения того, что уже достигнуто в области семиотики. Наиболее простые знаковые системы позволяют выработать методы, которые в дальнейшем могут быть применены и к более сложным системам. Но даже и по отношению к этим простейшим системам описание часто приходится вести в гуманитарных терминах, далеких от точности математики. По

отношению же к более сложным объектам исследования разработка формализованных языков описания еще только начинается. Без сомнения, в ближайшем будущем семиотика займет первостепенное место в ряду новых наук, определяющих перспективы развития современной науки в целом.

Использованная литература

1. *Ducrot Oswald, and Todorov Tsvetan. Encyclopedic Dictionary of the Sciences of Language. Oxford: Blackwell, 1972*
2. *Горный Е. Что такое семиотика? М., «Радуга», 1996, стр.168-175*
3. *Greimas, Algirdas Julien, Structural Semantics. Lincoln: Univ. of Nebraska, Press, 1983*
4. *Levi-Strauss Claude. Structural Antropology. New York: Basic Books, 1976*
5. *Carnap, Rudolf, Introduction to Semantics and Formalization of Logic. Cambridge: Harvard Univ. Press, 1971*
6. *Морис Ч. Основания теории знаков// Семиотика // Составление, вступительная статья и комментарий Ю.С.Степанова М., 1983*

Helen Iagovkina

What Is Semiotics?

Abstract

The article deals with the status of semiotics as a science. In our time, when semiotics broke already in the field of fiction and when numerous magazines opened the secrets of semiosis, the question of "what is semiotics?" has not lost its relevance in our time. There are so many definitions of this "science of signs" (about 6 different definitions) that some scientists have refused to recognize it as such. (Greimas). Signs and sign systems are studied in semiotics, a scientific discipline that deals with the General principles underlying the structure of all signs, taking into account their use in the composition of messages and the nature of these messages, as well as the characteristics of the various sign systems and messages using these different types of signs.

A more common, classical definition of semiotics is the definition by object: "Semiotics is the science of signs and / or sign systems."

რეცენზენტი: პროფ. ნ. ვასილევა

ენათმეცნიერება Linguistic

თამარ მახარობლიძე

თბილისი, საქართველო

ქართული შესტური ენის ზმნის პირიანობა¹

ქართულ შესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა შესტურ და სამეტყველო ენებში, ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტი და ობიექტები. როგორც ცნობილია, შესტური ენები მრავალპირიანი ზმნების მქონე ენებია, თუმცა თავად პირიანობისა და ვალენტობის ცნებათა გაგება ამ ენებში განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კატეგორიებისაგან. პოლიპერსონალურია (ანუ ინკორპორირებულია) ზმნის ფორმა, რომელსაც შეუძლია კინეტიკურად ასახოს ობიექტისკენ მიმართული ან ორიენტირებული დინამიკა. შესტურ ენებში ვალენტობა უტოლდება პირიანობის ცნებას, სამეტყველო ენებში კი ეს ცნებები განსხვავებულია. პირიანობა შესტურ ენებში გაგებულია, როგორც ობიექტისკენ ორიენტირებული კინეტიკური ვექტორი. ზოგადად, შესტური ენები, როგორც სივრცითი განზომილების ვიზუალური ენები, პირიანობისა და ვალენტობის ცნებებს სივრცით ვექტორულ დინამიკას უკავშირებენ.

შესტური ენების ვალენტობის ანალიზისას ამოსავალი არ არის ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური არსი, სამეტყველო ენების სათანადო ლოგიკური ანალიზისგან განსხვავებით. ეს მოცემულობა აუცილებლად გასათვალისწინებელია ფართო ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც ასეთ მიდგომას უდიდესი ცვლილებები შეაქვს ვალენტობისა და პირიანობის ტიპოლოგიურ ანალიზში.

საკვანძო სიტყვები: ქართული შესტური ენა, სამეტყველო ენა, ზმნის პირიანობა და ვალენტობა

ქართულ შესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა შესტურ და სამეტყველო ენებში, ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტი და ობიექტები. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, შესტური ენები მრავალპირიანი ზმნების მქონე ენებია, თუმცა თავად პირიანობისა და ვალენტობის

<https://enadakultura.com>

www.enadakultura.blogspot.com

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 216702 „ქართული შესტური ენის ზმნის მორფოლოგია“

ცნებათა გაგება ამ ენებში განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კატეგორიებისაგან. პოლიპერსონალურია (ანუ ინკორპორირებულია) ზმნის ფორმა, რომელსაც შეუძლია კინეტიკურად ასახოს ობიექტისკენ მიმართული ან ორიენტირებული დინამიკა. მაგალითად, ზმნა *მიცემა* თითქმის ყველა ქესტურ ენაში არის ბიტრანზიტული (ანუ დიტრანზიტული) – სამპირიანი.



მიცემა

ზმნა *უყვარს/სიყვარული* კი ქესტურ ენათა უმეტესობაში არის მონოპერსონალური.



უყვარს/სიყვარული

სამეტყველო ენის გაგებით, ეს საკმაოდ უცნაურად ჟღერს, რადგანაც ამ ფორმის (*უყვარს / სიყვარული*) მორფო-სემანტიკა როგორც მინიმუმი ორპირიანია. ის მოიცავს პირს, რომელსაც უყვარს და პირს, რომელიც უყვართ. მაგრამ რადგანაც ქესტურში ეს არის სხეულზე შეხებითი ფორმა და თავისი კინეტიკით იგი არ მიემართება ირიბი ობიექტისკენ, ზმნა არ ითვლება ორპირიანად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზმნის დინამიკა არ შეიცავს ობიექტისკენ მიმართულ ვექტორს და ამრიგად, ასეთი ზმნური ფორმა მონოპერსონალურია ქესტური ენების პირიანობის გაგებით. ამ ტიპის ზმნათა ქესტური ვალენტობა ნულოვანია.

ქესტურ ენებში ვალენტობა უტოლდება პირიანობის ცნებას, სამეტყველო ენებში კი ეს ცნებები განსხვავებულია (მახარობლიძე 2009). პირიანობა ქესტურ ენებში გაგებულია, როგორც ობიექტისკენ ორიენტირებული კინეტიკური ვექტორი. ზოგადად, ქესტური ენები, როგორც სივრცითი განზომილების ვიზუალური ენები, პირიანობისა და ვალენტობის ცნებებს სივრცით ვექტორულ დინამიკას უკავშირებენ. ამრიგად, ქესტური ენების ვალენტობის ანალიზისას ამოსავალი არ არის ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური არსი, სამეტყველო ენების სათანადო ლოგიკური ანალიზისგან განსხვავებით. ეს მოცემულობა აუცილებლად გასათვალისწინებელია

ფართო ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც ასეთ მიდგომას უდიდესი ცვლილებები შეაქვს ვალენტობისა და პირიანობის ტიპოლოგიურ ანალიზში.

ზმნურ აქტანტთა განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი გრამატიკული სხვაობა ჟესტურ და სამეტყველო ენათა შორის მდგომარეობს ზმნურ აქტანტთა მიმართ მიდგომაში. **სამეტყველო ენებისათვის უპირატესია სუბიექტის კატეგორია, ხოლო ჟესტური ენებისათვის კი დომინანტია ობიექტი.** ეს გარემოება ნათლადაა აღწერილი ევროპელი კოლეგების რონალდ პფაუსა და მარკუს სტეინბახის ერთობლივ ნაშრომში (2018).

სამეტყველო ენაში პირიანი ზმნა აუცილებლად მოიაზრებს სუბიექტის ქონას, მიუხედავად სუბიექტის რეალური აქტივობის ხარისხისა. ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ზმნა პირნაკლია და აკლია ფორმალური სუბიექტი (მაგალითად, ფორმებში *მეძინება, მცხელა, მცევა* და სხვ.), ამ ფორმებში ენას ობიექტი აქვს გადააზრებული სუბიექტად. ქართული ტრადიციული ენათმეცნიერებაც ამ პოზიციას იზიარებს. სამეტყველო ენებში პირიანი ზმნისთვის სუბიექტის კატეგორია ობლიგატორულია, ხოლო ობიექტის აღნიშვნა მხოლოდ პოლიპერსონალური სტრუქტურის ზმნებს შეუძლიათ და ეს ზოგადად, მეორეხარისხოვანია სამეტყველო ენების ზმნათათვის. სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს ჟესტურ ენებში. აქ დომინანტი ობიექტია. შეიძლება სუბიექტი არც კი იყოს მოცემული წინადადებაში, თუკი ის ადრე უკვე ახსენეს, მაგრამ ობიექტი აუცილებლად ასახული იქნება. განსაკუთრებით საუბარია ირიბ ობიექტზე, რომელიც ხშირად სულიერობის კატეგორიით ხასიათდება.

რადგანაც ჟესტურ ენებში გვაქვს დომინირებული ირიბი ობიექტი, აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რატომ ითვლება, რომ ჟესტური ენები ე.წ. ინკორპორირებული ენებია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიპერსონალური ზმნების მქონე ენებია, როგორც ეს აღნიშნულია მსოფლიო ჟესტურ ენებში (Hammarström, Harald, Robert Forkel, Martin Haspelmath & Sebastian Bank. 2016. *Glottolog* 2.7. Jena. <http://glottolog.org>.)

ქართულ ჟესტურ ენაში ზმნური აქტანტები, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს რამდენიმე საშუალებით:

1. პირის ნაცვალსახელით – პირის ნაცვალსახელი კი შეიძლება იყოს მითითებითი (დეიქტიური) ან მიმიკური. როგორც წესი, სივრცეში განთავსებული აქტანტის ადგილი არის მითითებითი – მანუალურად ან მიმიკით. აქვე უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი გარემოება:

ა. მესამე პირის ზმნური აქტანტისთვის მიჩენილი ადგილი გაბმული ჟესტირების პროცესში უცვლელი რჩება;

ბ. ინკორპორირებული ზმნების კინეტიკა მიემართება სივრცეში განთავსებული ირიბი ობიექტისკენ.

2. არსებითი სახელით გამოხატული ზმნური აქტანტები დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს. ეს არის ორი ბრუნვა – ირიბი ობიექტის ბრუნვა დატიური მარკერით და ტრანზიტული ზმნის სუბიექტის ბრუნვა წარსულ დროში – ერგატივის მარკერით. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე ბრუნვა მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან გვხვდება ქართულ ჟესტურ ენაში.

3. შესაძლოა, ზმნური აქტანტი არ ჩანდეს რომელიმე წინადადებაში, ანუ მას ჰქონდეს ნულოვანი სინტაქსური მარკირება. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს ჟესტურ ტექსტში მაშინ, როდესაც წინადადებაში მკვეთრად იყო ესა თუ ის აქტანტი წარმოდგენილი და მომდევნო წინადადებაში მისი გამოტოვება ბუნდოვანებას არ წარმოქმნის. ჟესტურ ენებს ზოგადად ახასიათებთ ამ ტიპის ელიფსისები. ეს უკავშირდება ენის ეკონომიკურობის პრინციპს.

ერთ-ერთი მიდგომაა ზმნის პირიანობის გაგება ე. წ. ლოკუსის გზით. აქ გამოიყოფა წყარო (სუბიექტი) – საიდანაც იწყება მოქმედება და მიზანი (ობიექტი) – საითკენაც მიემართება მოქმედება. (პფაუ, სტეინბახი, 2013).

ლექსიკური თვალსაზრისით, ზმნა შესაძლოა განსხვავებულად გამოიყურებოდეს იმის მიხედვით, სუბიექტი და/ან ობიექტი ვინ კატეგორიაა თუ რა კატეგორია, სულიერია თუ უსულო. სხვა ჟესტური ენების მსგავსად, კლასის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში საკმაოდ აქტიურია.

სუბიექტად წარმოდგენილი სულიერი აქტანტი ერგატივის ფორმას გამოიყენებს. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რაც ხაზს უსვამს ქართული ჟესტური ენის უნიკალურ ბუნებას. ზოგადად ცნობილია, რომ ჟესტური ენებისთვის ბრუნება არ არის დამახასიათებელი. ქართული ჟესტური ენა კი ამ დებულებას არ იზიარებს. ამასთან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეს ენა არ ახდენს სამეტყველო ქართული ენის ბრუნვათა სისტემის კოპირებას, არამედ აყალიბებს თავის ორიგინალურ სისტემას (მახარობლიძე 2012). ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ეს ერთობ საგულისხმო ფაქტია. ერგატივის ნიშანი წარმოშობით არის ადამიანის ჟესტი:



ადამიანი

ეს არის ერთხელიანი, დინამიკური, ჟესტი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერა თითები გამოსახავენ ღია წრეს, ხელი ქვევით ეშვება. ჟესტი სრულდება მკერდისა და მხრების დონეზე. როდესაც ეს ჟესტი აფიქსურ ფორმად

გამოიყენება, ამ შემთხვევაში ერგატივის ნიშნად, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, იგი არ დაერთვის რა კატეგორიის არსებით სახელებს. ქართულ ჟესტურ ენაში ერგატიული ბრუნვა ახასიათებს მხოლოდ ვინ-კატეგორიის ადამიანის კლასის სახელებს. ასევე, მხოლოდ ამ კლასის სახელებს აქვთ მეორე აქტანტური ბრუნვა – დატივი. ჟესტური ზმნა იცვლება სუბიექტის და ობიექტის მიხედვით. სულიერი ვინ-კატეგორიის ირიბი ობიექტის მქონე ზმნა განსხვავებულია. საგულისხმოა, რომ ბევრი სხვა სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ქართულ სამეტყველო ენაშიც ასახულია ამ ტიპის ოპოზიცია. რაც შეეხება *ქონა-ყოლის* ოპოზიციას, რომელიც ქართულ სამეტყველო ენაში კარგად არის ჩამოყალიბებული ვინ-რა კატეგორიის მიხედვით, ქართულ ჟესტურ ენაში ასეთი ოპოზიცია არ არსებობს. აქ ამკარაა რუსული (ჟესტური) ენის გავლენა. უფრო მეტიც, არ არის სხვაობა *ქონა-ყოლასა* და *ყოფნა* ზმნას შორის. ამ პირველადი ზმნის პოსესიური და ეგზისტენციალური ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში ერთნაირადაა წარმოდგენილი.


მნიშვნელოვანია იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ნეიტრალურ პოზიციაში (დესტინაციურ-პოსესიური თვალსაზრისით) ირიბ ობიექტს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშანი – ეს, ფაქტობრივად, არის დატიური მარკერი, რომელიც მხოლოდ ვინ კატეგორიის ირიბ ობიექტთან გამოიყენება. ამ მორფოლოგიური აფიქსის ჟესტი ასე გამოიყურება:




ირიბი ობიექტის დატიური მარკერი

წინადადებაში *მე ვუთხარი დედას ეს ამბავი*. ეს ჟესტი იქნება წარმოდგენილი სიტყვა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ჟესტურ ენაში შეგვიძლია გამოვყოთ მესამე პირის პირდაპირი ობიექტის გარკვეული ნიშანიც:



ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური სამფაზიანი ჟესტი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მესამე პირის უსულო, რა-კლასის პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად და წინ უძღვის ნაცვალსახელს *ის/ეს*. მაგ. *მე გავაკეთე ეს*. ამ წინადადებაში *ეს* წარმოდგენილი იქნება ამ ზემოთმოცემულ ჟესტთან ერთად. ფაქტობრივად, ეს ჟესტი შეგვიძლია პირდაპირი ობიექტის აღნიშვნელ რთულ ნაცვალსახელადაც მივიჩნიოთ – ასეთი კომბინაციით პირის ნაცვალსახელთან:



ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ჟესტს (ამ ფოტოზე წარმოდგენილ პირველ სამ ნაწილს) დამოუკიდებლად არ გააჩნია ლექსიკური დონე, ანუ ცალკე იგი დელექსიკალიზებული ერთეულია. ბოლო, მეოთხე ფოტოზე კი წარმოდგენილია დეიქტიური ნაცვალსახელი *ის/ეს*. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს ენობრივი მოვლენა

რუსული ქესტური ენიდანაა და იქაც აკუზატიური აქტანტის ფუნქცია აქვს მესამე პირის უსულო საგანთა კლასის აქტანტებისთვის.

ზმნური აქტანტების ასეთი აქტივობა (მარკერების ქონის დონეზე) ძალიან მნიშვნელოვანია ამ ენის მორფოლოგიისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სამეტყველო ქართულის გავლენას, ცხადია, ვერ გაეცევა ქართული ქესტური ენა, მაგრამ აქტანტების მარკირების მისი სისტემა არ იმეორებს სამეტყველო ქართულის მონაცემებს. კერძოდ, ქართული ქესტური ენა მხოლოდ ვინ კატეგორიის აქტანტების მარკირებას ახდენს.

ლიტერატურა:

- Aronoff, Mark, Irit Meir & Wendy Sandler. 2005. The paradox of sign language morphology. *Language* 81. 301–344. DOI: <https://doi.org/10.1353/lan.2005.0043>
- Börstell, Carl (2019). Differential object marking in sign languages. *Glossa: A Journal of General Linguistics*, 4(1), 3. DOI: <http://doi.org/10.5334/gjgl.780>
- Börstell, Carl. 2017. *Object marking in the signed modality: Verbal and nominal strategies in Swedish Sign Language and other sign languages*. Stockholm: Stockholm University dissertation.
- Bross, Fabian. 2018. Differential object marking in German Sign Language: Animacy and definiteness as cross-linguistically stable cognitive concepts. Presentation at the VIII International Symposium on Intercultural, Cognitive and Social Pragmatics. Universidad de Sevilla.
- Dahl, Östen & Kari Fraurud. 1996. Animacy in grammar and discourse. In Tore Fretheim & Jeanette K. Gundel (eds.), *Reference and referent accessibility*, 47–64. Amsterdam: John Benjamins. DOI: <https://doi.org/10.1075/pbns.38.04dah>
- Dryer, Matthew S. 2013. Order of subject, object and verb. In Matthew S. Dryer & Martin Haspelmath (eds.), *The World Atlas of Language Structures Online*. Leipzig: Max Planck Institute for Evolutionary Anthropology. <http://wals.info/chapter/81>.
- Emmorey, Karen (ed.). 2003. *Perspectives on classifier constructions in sign languages*. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates. DOI: <https://doi.org/10.4324/9781410607447>
- Friedman, Lynn A. 1976. The manifestation of subject, object, and topic in American Sign Language. In Charles N. Li (ed.), *Subject and topic*, 127–148. London/New York, NY: Academic Press.
- Gelderen, Elly van. 2011. The grammaticalization of agreement. In Bernd Heine & Heiko Narrog (eds.), *The Oxford handbook of grammaticalization*, 491–501. Oxford: Oxford University Press. DOI: <https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199586783.013.0049>
- Hammarström, Harald, Robert Forkel, Martin Haspelmath & Sebastian Bank. 2016. *Glottolog* 2.7. Jena. <http://glottolog.org>.

- Holler, A., Steinbach, M. 2018. Sign language agreement: A constraint based perspective. In Muller, Stefan, & Richter, Frank (Eds.), *Proceedings of the 25th International Conference on Head-Driven Phrase Structure Grammar*, University of Tokyo, 49–67. Stanford, CA: CSLI Publications
- Huang, Yan. 2000. *Anaphora: A cross-linguistic approach*. Oxford: Oxford University Press.
- Iemmolo, Giorgio. 2011. *Towards a typological study of differential object marking and differential object indexation*. Pavia: University of Pavia dissertation.
- Kimmelman, V. 2018. Basic argument structure in Russian Sign Language. *Glossa: A journal of general linguistics* 3(1): 116. 1–39, DOI: <https://doi.org/10.5334/gjgl.494>
- Liddell, Scott K. 2011. Agreement disagreements. *Theoretical Linguistics* 4(3–4). 161–172. DOI: <https://doi.org/10.1515/thli.2011.012>
- Lillo-Martin, Diane & Richard P. Meier. 2011. On the linguistic status of ‘agreement’ in sign languages. *Theoretical Linguistics* 37(3–4). 95–142. DOI: <https://doi.org/10.1515/thli.2011.009>
- Makharoblidze, Tamar. 2015. Indirect object markers in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 18(2). 238–250. DOI: <https://doi.org/10.1075/sll.18.2.03mak>
- Mathur, Gaurav & Christian Rathmann. 2012. Verb agreement. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), *Sign language: An international handbook*, 136–157. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton. DOI: <https://doi.org/10.1515/9783110261325.136>
- Meir, Irit. 2003. Grammaticalization and modality: The emergence of a case-marked pronoun in Israeli Sign Language. *Journal of Linguistics* 39(1). 109–140. DOI: <https://doi.org/10.1017/S0022226702001664>
- Meir, Irit, Mark Aronoff, Carl Börstell, So-One Hwang, Deniz Ilkbasaran, Itamar Kastner, Ryan Lopic, Adi Lifshitz Ben-Basat, Carol Padden & Wendy Sandler. 2017. The effect of being human and the basis of grammatical word order: Insights from novel communication systems and young sign languages. *Cognition* 158. DOI: <https://doi.org/10.1016/j.cognition.2016.10.011>
- Padden, Carol. 1988. *Interaction of morphology and syntax in American Sign Language*. New York, NY/London: Garland Publishing, Inc.
- Padden, Carol, Irit Meir, Wendy Sandler & Mark Aronoff. 2010. Against all expectations: Encoding subjects and objects in a new language. In Donna B. Gerdts, John C. Moore & Maria Polinsky (eds.), *Hypothesis A/hypothesis B: Linguistic explorations in honor of David M. Perlmutter*, 383–400. Cambridge, MA: MIT Press.
- Pfau, Roland & Markus Steinbach. 2013. PERSON climbing up a tree: (and other adventures in sign language grammaticalization). *Sign Language & Linguistics* 16(2). 189–220. DOI: <https://doi.org/10.1075/sll.16.2.04pfa>
- Pfau, Roland, Martin Salzmann & Markus Steinbach. 2018. The syntax of sign language agreement: Common ingredients, but unusual recipe. *Glossa: A Journal of General Linguistics* 3(1). 107. DOI: <https://doi.org/10.5334/gjgl.511>

- Rathmann, Christian. 2003. The optionality of agreement phrase: Evidence from German Sign Language (DGS). In William Earl Griffin (ed.), *The role of agreement in natural language: Proceedings of the 5th Annual Texas Linguistics Society Conference*, 181–192. Austin, TX: Texas Linguistics Forum. _
- Rathmann, Christian & Gaurav Mathur. 2002. Is verb agreement the same cross-modally? In Richard P. Meier, Kearsy Cormier & David Quinto-Pozos (eds.), *Modality and structure in signed and spoken languages*, 370–404. Cambridge: Cambridge University Press. _
- Sapountzaki, Galini. 2012. Agreement auxiliaries. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), *Sign language: An international handbook*, 204–227. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton. _
- SWitzlack-Makarevich, Alena & Ilja A. Seržant. 2018. Differential argument marking: Patterns of variation. In Ilja A. Seržant & Alena Witzlack-Makarevich (eds.), *Diachrony of differential argument marking* (Studies in Diversity Linguistics 19), 1–40. Berlin: Language Science Press. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.1228243>
- მახარობლიძე თ. (2019) ქართული ქესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
- მახარობლიძე თ. (2018) ლინგვისტური წერილები - IV წიგნის ფაბრიკა. თბილისი ISBN 978 9941-9-0044-3 317 გვ.
- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ქესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ქესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- მახარობლიძე თ. (2009) ლინგვისტური წერილები - I. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. ISBN 978-9941-404-50-4 173 გვ.

Tamar Makharoblidze**Valency of GESL verbs****Abstract**

Like in many other spoken and sign languages, in GESL verb may have a subject and an object. Sign languages are considered as polypersonal verbal languages. Although the approach to the category of verbal valency and verbal argument structures is absolutely different from the one spread in spoken languages.

In sign languages so called incorporated or polypersonal verbs are the verbs which can kinetically display the object directed dynamics. In contrast from spoken languages, in sign languages the verbal valency depends on the object oriented kinetic vector. Sign languages are 3D spatial visual languages, and verbal persons/arguments and velency are connected to this spatial dynamics.

In sign languages, lexical and semantic content is not the central point of verbal valency, unlike spoken languages. This fact should be taken into account in a briad typological analysis, since it introduces large changes in typological points of view regarding incorporated verbs and argument structures in in languages as a whole.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ჩერნიშოვა

ენათმეცნიერება Linguistic

მანანა მიქაბე

ქუთაისი, საქართველო

მამია გურიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ენისათვის

(ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდიდან)

მწერლის ენის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწერლის პირადი წერილები. თითოეული მათგანი ინდივიდუალურია, როგორც შინაარსით, ასევე სტილურად. მამია გურიელს მიმოწერა ჰქონდა მრავალ პიროვნებასთან.

ყველა წერილს ეტიკეტის მიხედვით დასაწყისიცა და დაბოლოებაც შესაბამისი აქვს. პოეტს ახასიათებს წერილებში მოფერებითი სახელების ჩართვა, რაც კიდევ უფრო აკეთილშობილებს წერილების სტილს. წერილები გულითადი სასაუბრო ენითაა დაწერილი, გამოყენებულია იმდროინდელი მეტყველებისათვის დამახასიათებელ გამოთქმები. გურიელი წერილებში სისტემატურად მიმართავს განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს. განსაკუთრებით ხშირად მიმართავს იყენებს, რომელიც დიალოგის ფორმას აძლევს წერილს.

იმდროინდელ მეტყველებაში ხშირი იყო რუსიციზმები. რასაც მ.გურიელიც ვერ ასცდა.

ამ წერილებიდან კარგად ჩანს განათლებული ადამიანების წერის სტილი, მამია გურიელი არა მარტო მშვენიერ ლექსებს წერდა, ცნობილია რუსული და ინგლისური ენიდან მისი თარგმანები, ამდენად, მისი წერის მანერა შეიძლება განვაზოგადოდ მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლების სტილად.

საკვანძო სიტყვები: მამია გურიელი, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, წერილის ეტიკეტი

მე-19 საუკუნის პოეტი მამია გურიელი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, იგი 15 წლამდე სოფელში იზრდებოდა, მისთვის ქეიფი, ნადირობა გახლდათ დროის მოკვლის ძირითადი საშუალებანი. ნიჭიერ კაცს არც ოჯახმა გაუმართლა, მეუღლეს დაშორდა, ერთადერთმა შვილმა

კახაბერმა თავი მოიკლა, ერთ დროს თავის ნაყმევს ბაბალეს შეეკედლა და იქ დალია თავისი ბობოქარი სული, ერთ დროს შეძლებული თავადის ოჯახის ძე, ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიის სამრევლოს ქვეშაც ვერ დასაფლავდა, ოჯახმა ეს ვერ შეძლო... წმინდა გიორგის ეზოდან კი მისი საფლავი მთელ ქუთაისს გადაჰყურებს და ალბათ, ასობით სამდურავს უთვლის ქვეყანას, რომლისთვისაც არასოდეს უღალატნია, თუ უღალატა ისევ თავის თავსა და საკუთარ ჯანმრთელობას.

საოცარია, კაცმა, რომლის ცხოვრებაც მხოლოდ ტრაგიკულია, საოცრად იმედიანი, სიყვარულით გაჟღენთილი ლექსები დატოვა, თავზე გვირგვინად კი „ადამიანი“ დაადგა.

კერძო პირის წერილები, რაღაც მისტიკით ყოველთვის სავსეა, როცა მის პირად სივრცეს ეხები, გგონია მის მყუდროებასაც არღვევ, ამიტომ ამ ეტაპზე მზის სინათლეზე გამოგვაქცეს ის პირადი წერილები, რომლებშიც ჩანს მისი დამოკიდებულება ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე და მის ღრმა პირად სივრცეს არ ვეხებით. მამია გურიელის პირადი წერილებიდან ჩანს, რომ პოეტის გარემოს წარმოადგენდა იმდროინდელი ქართული გონებრივი ელიტა.

პოეტს სჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც თავის სულიერ განცდებს გაუზიარებდა. სწორედ ასეთი გულითადი მეგობარი და მესაიდუმლეები იყვნენ მისთვის...საკუთარი დედა და რძალი ელეონორა.

მწერლის ენის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწერლის პირადი წერილები. თვითეული მათგანი ინდივიდუალურია, როგორც შინაარსით, ასევე სტილურად. მამია გურიელს მიმოწერა ჰქონდა მრავალ პიროვნებასთან.

გასულ საუკუნეებში წერილები დიდ როლს ასრულებდა ადამიანთა ურთიერთობაში. განსაკუთრებული სითბოთი, სიყვარულით, პატივისცემით გამოირჩევა დედისადმი მიწერილი წერილები, თითოეულის წაკითხვა უალრესად კეთილად განგაწყობს ავტორისადმი და ადრესატისადმი: „გაკოცებ ურიცხვს, ჩემო მანუგეშებელო დედა, ღმერთსა ვსთხოვ მიცოცხლოს დედა, სანამ არ მომეწყინოს“ (2173/100); „შენი ჭირი შენს მამიას ჩემო დედილო“ (2173/107); „შენი ჭირი შენს მორჩილ მამიას“ (2173/101), ყურადსადებია, ამ წერილების ავტორი ამ დროისათვის 4 ათეულ წელსაა გადაშორებული... მისი ადრესატი მშობელი დედა კი 9 - ათეულს. როგორც წერილებიდან ჩანს, დედა იყო განათლებული, ჭკვიანი, ოჯახისა და შვილების ერთგული ქართველი ქალი.

ყველა წერილს ეტიკეტის მიხედვით დაბოლოებაც შესაბამისი აქვს:

„თქვენი მარად მამია გურიელი“ (2173/90)

„შენდამი კეთილად განწყობილი მამია გურიელი“ (2173/89)

„შენი ერთგული ბიძა მამია გურიელი“ (2173/88)

„შენი ერთგული მეგობარი მამია გურიელი“ (2173/87)

„დავითები ყოველთვის ერთგული. მამია გურიელი“ (2173/86)

„შენი ერთგული მეგობარი მამია გურიელი“ (2173/84)

„შენი უერთგულესი მეგობარი მამია გურიელი“ (2173/80)

„შენი მეგობარი, ძმა მამია გურიელი“ (2173/79)

ან წერილი დაბოლოებულია მხოლოდ სახელითა და გვარით: „მამია გურიელი“ (2173/85).

პოეტს ახასიათებს წერილებში მოფერებითი სახელების ჩართვა, რაც კიდევ უფრო აკეთილშობილებს წერილების სტილს: „ რაც ვითომ აქამდის არ იცოდი შე ფრახუცავ (წერილი ივდითს, 1879, 6.12, 2172/72); მაკა დრუნცი მომიკითხეთ (2173/100); „ჩემო ჯანკუკუ... ჯანკულაჩა (წერილები ჯაბას , 2173/103).

წერილები გულითადი სასაუბრო ენითაა დაწერილი, გამოყენებულია იმდროინდელი მეტყველებისათვის დამახასიათებელ გამოთქმები.

მამია გურიელი ეპოქის შვილია, საკუთარ უბედობასთან ერთად განიცდის ქვეყნის მდგომარეობას, ქართული ენისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას, მაგალითად მოგვყავს რძლის, ელეონორა გურიელისადმი გაგზავნილი წერილი (სასვენი ნიშნები დაცულია ორიგინალის მიხედვით):

„ ივნისის 21 ფოთი

საყვარელო სძალო ელეონორა!

მართალი უნდა გითხრა ცოტა არ იყოს გემდური და აი რისთვის: გთხოვე და წერილი გამოგიგზავნე, გამოგეგზავნა ჩემთან და ეს ვერ შემისრულე, ესეც შენ და ესეც შენმა ბერიკაცმა. აგრეთვე გთხოვე ჯაბამ (ელეონორას მეუღლე - მ.მ.) მნახოს მეთქი, სადაა? ნუთუ ამ ერთი თვის მეტ განმავლობაში ნახევარი დღე ვერ მოიცალა ჩემთვის?

ამას გარდა კახაბერი (პოეტის ერთადერთი ვაჟი - მ.მ.) მწერს, გუშინ მომივიდა დეპეშა: თუ ორასი მანეთი კიდევ არ გამომიგზავნე ვერ წამოვალო, შვებულებაში არ მიშვებენო. რა ვქნა და რა მეშველება აღარ ვიცი. გოგიბერიძე სულ მპირდება და სულ მატყუებს. ამის თაობაზე მინდოდა მომელეპარაკებინა ჯაბასთან და ერთმა ჩიბათელმა ყმამ მთხოვა განთავისუფლება და ეგებ მოხერხებულიყო რამე. მეტი რა მოგწერო; ახალი ანბავი აქ ეხლა ეს გახლავს: ხემწ. იმპერატორისთვის ვილაც აფიცერს უსვრია რევოლვერი და ორს ადგილს დაუჭრია, კისერში და ხელში, მაგრამ მადლობა ღმერთს მსუბუქათ. ეგზარხოსს უბრძანებია, რომ სემინარიაში ქართული ენა ასწავლონ და აგრეთვე ყველა სასულიერო სასწავლებელში. ამაზე გამწყრალა დუნდუკოვი და იანოვსკი (პოპ უჩიტელი ყველა კლასის სასწავლებლისა) და მიუწერიათ ეგზარხოსისათვის, როგორ თუ ერევო, რაც ჩვენ მოვსპეთ, თქვენ რათ აღადგინეთო?! ექსარხი თავის მხრით გაჯავრებულია და მიუწერია,

რომ თქვენ ჩემი უფროსი არ ბრძანდებითო და არც შეგიძლიათ მოითხოვოთ ანგარიში თუ მე რა განკარგულებასაც დავსდებ ჩემს სამწყოსშიო.

მე თქვენ არ გემორჩილებით, არამედ მხოლოდ სინოდსაო. ამიერთგან არაფერი მომწეროთ და ამგუარი, თორემ პირდაპირ ხელმწიფესა და სინოდს მოვახსენებო. ამის მეტი შესამჩნევი არა არის რა.

მოგეხუტვი კეთილ გულში შენ და შენ ბანჯგვლიან ქმარს, თქვენი ერთგული მამია გურიელი

P.S. შენი ჭირიმე ელეონორა რაც მოხერხდება საჩქაროს გამომიგზავნე აგრეთვე თემურყვა და თუ შეიძლებოდეს ჯაბაც“.

საინტერესოა მამია გურიელისა და კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა, კირილე ლორთქიფანიძე ქუთაისის ისტორიაში ცნობილია, როგორც ყველას დამხმარე და ბევრი საკითხის მომგვარებელი, უაღრესად განათლებული იურისტი:

„ქუთაისი 16 ივნისს 1879 წ.

ძმაო კირილე!

გთხოვ გულით მათხოვო რამდენიმე დღით ჩემი შაირები, რომლებიც შენა გაქვს: „დემონი“, (აქ საუბარია ლერმონტოვის „დემონზე“, რომლის ქართული თარგმანიც შეასრულა მამია გურიელმა - მ.მ.) და „ვისია“, ძლიერ მადრიელი დავრჩები და ორ დღეს უკან ისევ მოგართმევ

შენი უერთგულები მამია გურიელი“ (2173/80).

ხშირად ავადმყოფობდა მამია გურიელი, მაგრამ უსახსრობის გამო არ შეეძლო რიგიანი მკურნალობა, რისთვისაც დასახმარებლად მიმართავდა კირილე ლორთქიფანიძეს:

„ლესა 7 სექტემბერი 1890 წ.

ძვირფასო ძმაო კირილე!

ჩემ საშინელ ავათ მყოფობას გაიგონებდი უთუოდ. თუმცა ახლა ვითომაც მოსვენებული ვარ, მაგრამ მაინც იმედი ბევრი არ რჩება მთლად წამოდგომის თაობაზე. ჩემთვის მიუცილებლად საჭიროა რიგიანი აქიმობა და ჰაერის გამოცვლა, ე.ი. სრულებით სხვა ჰაერში უნდა წავიდე სადმე. მოგეხსენება სხვაგან, მოშორებით წასულისა და იქ თავის რჩენისათვის საჭიროა ფულები მეტათ, რომლებიც ჩვენში არ მოიპოება. ამისთვის მე დავითანხმე ჩემი მოწილეები, რომ დავაგირაო ბანკში რამდენიმე ქცევა მიწა. ეხლა შენ გთხოვ მიქნა მეგობრობა და დაწვლილებით მომწერო პირველისავე ფორტით, თუ რა დოკუმენტები, მოწმობა და სხვა რამ უნდა იმისთვის, რომ სახელმწიფო აზნაურობის ბანკმა მიიღოს მამული გირაოთ და ფულები მომცეს. თუმცა ესეები გაზეთშიც სწერია, მაგრამ ძნელი გასაგებარია, და შენი იმედი მაქვს უმეტეს გასაგებრათ და ადვილ მისახვედრათ მომწერ ყველაფერს.

მანდ თუ რამ ამბავი დადის საყურადღებო მაცნობე ეგრეთვე: აზ. ბანკმა მართველის ამორჩევაზე, ან სხვა რამ ახალი.

გისურვებ ყოველგვარ ბედნიერებას შენი ერთგული მამია გურიელი

P.S. დავით მიქელაძე (ცნობილი პოეტი „მეველის“ ფსევდონიმით - მ.მ.) სიყვარულით მომიკითხე თავის ივერივანით და სთხოვე, რომ მელიტონ ნაკაშიძის ადრესი მომწეროს“.

მამია გურიელი თავისი შეჭირვებული მდგომარეობის გამო ხშირად აწუხებს კირილე ლორთქიფანიძეს მოუგვაროს ფინანსური მდგომარეობა:

„ძვირფასო კირილე!

.... მე მეტად პატივსა გცემ და მეშინოდა არ გწყენოდა ჩემგან უმცირედესიც, მაგრამ მოგეხსენება: „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო“, ისე შემართება მეც. მეტის მეტი გაჭირვებული რომ არ ვიყო ამჟამად და სახელდობრ რამდენიმე დღით, მერწმუნე აქაც ეხლა შეგატყობინებთ ამ ჩემ გარემოებას. მე ეხლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ უმჯობეს ნაცნობს მოგმართე მეტი ღონე არ იყო და იმედი მაქვს ამ მცირე ხელის გაწყობაზე არ უარს მყოფ. ჩემთვის მიუცილებლად ყოვლად, მიეცით ძალიან საჭირო 200 მანეთი, რომელსაც ესე სწეული და მას მიეცით სამასი მანეთის ვექსილი და როცა იმ ორას მანეთს გადაუხთი ვექსილს დამიბრუნებენ. გთხოვ კირილე მიყო იმდენი შეჭირვება და ამ ოცდა ათი თუმნის ვექსილზე ხელი მომიწერო, რითიც მეტად დამავალე. რაც შეეხება გარდახდას, ენდე ჩემ სინიდისს და პატიოსნებას, რომ დროზე ადრე გადავიხდი და არაფრისთანა შიში არ მაქვს. ამას გარდა ენდე ჩემ სინიდისს, რომ სახჩობელაზე უფრო სიამოვნებით ავალ ვიდრე მე შენ და ან სხვა ვინმე ამხანაგს უღალატო. მეტს აღარ გწერ,...

შენი ერთგული მამია გურიელი

1 ივლისს 1884“.

კირილე ლორთქიფანიძე ხშირად ეხმარებოდა პოეტს ნაწერების პუნქტუაციურად და სტილურად გამართვაში, რისი დასტურიცაა ქვემოთმოყვანილი წერილი:

„ქუთაისი 7 დეკემბერს 1889 წ.

ძმაო კირილე!

ამას წინეთ, შენც იქ იყავ მაშინ, კოლხიდაში (სასტუმრო ქუთაისში, სადაც ხშირად ჩერდებოდა დიდი აკაკი - მ.მ.) ბ. იხარყევსკომ მთხოვა, რომ ჩემი შაირი გადამეთარგმნა და გადამეგზავნა მისთვის. აქამდის ეს საქმე ვერ მოხერხდა, რადგანაც მე ამგვარებში ესეც ვარ დაფაცურებული კაცი. ამისთვისაც ეს შრომა აიღო თავის თავზე თათარყან დადიშქელიანმა (დადეშქელიანების გვარის უმცროსი შტოს მეთური - მ.მ.), და ესეც არის გამომიგზავნა. გთხოვ შეასწორო და ნიშნებიც დაუსვა საჭირო ადგილებზე; ესეც არის თითონ თათარყანის სურვილიც.

ამას გარდა შე დალოცვილო ჩემი შაირები, რომლების გადაწერაც შემპირდი რა უყავი? თითონ გაუგზავნე იქნება „საფაროვას ქალს“, (მე-19 საუკუნის ცნობილი მსახიობი, მაკო საფაროვა - მ.მ) რომ ამ ოინით გამო გერაცხა მისი გული ჩემი ხელიდამ . ჰო, მართლა ვიცი შენი სისუსტე ქალების შესახებ, მაგრამ არ მეგონა თუ ღალატამდის მიგიყვანდა. მართლა კირილე აწ კი დრო არის გამომიგზავნო.

დავშთები ყოველთვის ერთგული მამია გურიელი“ (2173/86).

წერილებში ნათლად იკვეთება მწერლის სულიერი მდგომარეობა. ის აანალიზებს თავის გრძნობებს, განცდებს, რისთვისაც სათანადო ლექსიკას იყენებს .

გურიელი წერილებში სისტემატურად მიმართავს განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს. განსაკუთრებით ხშირად მიმართავს იყენებს, რომელიც დიალოგის ფორმას აძლევს წერილს. მიმართვა ძალიან ხშირად მეორდება და ეფუძნება წერილის შინაარსს, რის შესახებ იწერება ის:

„ჩემო ივდითი, შენი ჭირიმე“ (2173/72); „ჩემო ივდითი ჯან“ (2173/71); „ჩემო საყვარელო ივდითი“ (2173/79)

„ძმაო კირილე“ (2171/80); „ძვირფასო ძმაო კირილე“ (2171/83); „ძვირფასო კირილე“ (2171/84); „ძვირფასო კირილე ბეჟანის ძე“ (2171/837;

„საყვარელო სძალო ელეონორა“ (2173/74); „ჩემო დაიკო ელეონორა“ (2173/77); „ჩემო ელეონორა“ (2173/73)

„კნიაუნა მაკა გურიელის ქალს“ (2173/)

„ჩემო დედა ბატონო!“ (2173/75); „ჩემო დედილო“ (2173/7); „ჩემო ბატონო დედა“ (2173/78).

ასეთი მიმართვები ფამილარულადაც შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ეს წერილს მეტ სიახლოვესა და სიყვარულს სძენს.

მამია გურიელი ჩაბმულია საქვეყნო საქმეშიც, მას სურვილი აქვს აკაკი წერეთლის წამოწყებაში მანგანუმის მოპოვებისა და გაყიდვაში მონაწილეობა მიიღოს, რისი დასტურიცაა ეს წერილი გაგზავნილი კირილე ლორთქიფანიძისადმი:

„1 აგვისტოს 1886 წ.

ძვირფასო კირილე ბეჟანის ძე!

ამას წინეთ ჩვენი საზოგადო მოღვაწე აკაკი (აკაკი წერეთელი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე - მ.მ.) იყო აქ და გველაპარაკა 2 რაღაცის თაობაზე. სხვათაშორის ისიც გვითხრა, რომ ვითომც შენ მამულებში აღმოჩენილიყოს. მე რა საკვირველია მიაჩნებოდა ეს ამბავი და მოვწახე კაცი, რომელიც მზად არის აიღოს აქციები, მამულები ორენდით, ყიდვით თუ როგორც გინდათ, მხოლოდ მანგანუმის რაოდენობა ჩააბაროთ დანიშნულს ადგილს, რა საკვირველია პირობის თანახმად.

აკაკიმ მაშინ ისე შეგვპირდა, რომ ხუთ-ექვს დღეში შეგვატყობინებდა ყველაფერსა, მაგრამ აქამდისაც არავითარი ცნობა მისგან არ გვაქვს! ამისთვის, რადგანაც ადვილად შესაძლებელია აკაკი მანდ არ იყოს, შენ თითონა გწერ. ამ კაცს, რომელსაც უნდა თქვენი მარგანეცი აიღოს ისეთ ნაირათ აქვს საქმე, რომ ძლიერ ეჩქარება, მით უმეტეს, რადგანაც ორ კვირაზე უნდა ჩავიდეს ანგლიაში. თუ მამულში მართლა არის ნიშნები მარგანეცისა, მაშინ თუ აკაკი მანდ არ იყოს, შენ თითონ მოახდინე შემდეგი განკარგულება: გამომიგზავნე ვინმე, რომელმაც წაგვიყვანოს და გვაჩვენოს ის ადგილები, და რაც შეიძლება სიჩქარით. ინსპექტორი საჭირო არ არის, რადგან იმ კაცმა თითონ იცის კარგათ მადნეულის საქმე.

ამასთანაც უნდა გითხრა, რომ ამ საქმეს გირჩევ დაეშურო; ეს კაცი მეტად კარგი კაცია და დიდი კაპიტალის მქონე. თუ ღმერთმა ჰქნას და მართლა აღმოჩნდა თქვენ მამულებში მანგანუმი, შენი საქმე მართლა კარგათ წავა, რითაც სრული კმაყოფილი დარჩები.

შენი ერთგული მეგობარი მამია გურიელი

P.S. ამასთან ერთად აკაკისაც ვსწერ წერილს, თუ მანდ არ იყოს შენ მიიღე კოლხიდაში და გარდაეცი. ვგონებ შეგიძლია კიდევაც გახსნა და წაიკითხო, რადგანაც უმეტესად შენ საქმეს შეეხება, ოღონდ ეს დამოკიდებულია თქვენს ერთმანეთს შორის მიღებულ ჩვეულებაზე (2173/87).

იმდროინდელ მეტყველებაში ხშირი იყო რუსიციზმები. უფრო მეტიც, ხშირად საუბრის დროს მთელ წინადადებებსაც რუსულად წარმოთქვამდნენ ელიტურ საზოგადოებაში. მ. გურიელი თავის პირად წერილებშიც ჩაურთავს ხოლმე სიტყვებს ან წინადადებებს რუსულ ენაზე, ზოგ მათგანს ქართული ასოებით წერს, ზოგსაც რუსული შრიფტით:

კატორღნი რაბოტაში გამგზავნეს... (2173/77)

ერთი ზაპრეშჩენიე იყო ქალაღდის შედგენის თაობაზე... (2173/88)

გლავნი ნოტარიუსმა უკან დაუბრუნა ქალაღდი... (2173/88)

დიღის პოეზდით მოვიდეს (2173/88)

უბრძანებ სეკრეტარს... (2173/88)

პარახოღიღამ მოვედი და მოუთმენლად გელოღები... (2173/101)

ტი პროსტო მალაღეც ბრატევე უსტროიღ, ა ტეპერ ესლი ი სესტრიშეკ პრისტროიშ, ტო სლავა ტებე (2173/102)

Вас точного (2173/88)

Лучше поздно, чемь никогда (2173/91)

ამ წერილებიდან კარგად ჩანს განათლებული ადამიანების წერის სტილი, მამია გურიელი არა მარტო მშვენიერ ლექსებს წერდა, ცნობილია რუსული და ინგლისური ენიდან მისი თარგმანები, ამდენად, მისი წერის მანერა შეიძლება განვაზოგადოთ მე-19 საუკუნის 70-80-იანი

წლების სტილად: როგორც წესი პირველი სუბიექტური პირის ნიშნები გამოტოვებულია, (ულალატო მე, წერო მე, ხატვიდე მე...) რიცხვი და თვე ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია (1 ივლისს 1884, 7 დეკემბერს 1889 წ...). ზმნისწინები ყოველთვის ცალკე დგას ზმნისაგან (გამო გერაცხა, გამო სულიყო, გამო ეწირა...) თანდებული -გან აღმოსავლური ქართულისათვის დამახასიათებლადაა წარმოდგენილი (ხელიდამ, გულიდამ, პირიდამ, ზეციდამ...) ზმნაში როგორც პირველი სუბიექტურია ასევე მესამე ობიექტური პირის ნიშანიცაა გამოხატული (ვსთხოვე, ვსჯიკაობდი, ვსთვლიდე...)

წერილებში ხშირად გვხვდება ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნაწილაკები. მაგალითად ჰო, აბა და ა.შ.

„ჰო – ეხლა ალბათ შეუდექით მოაგარაკის დღიურობას“

„ჰო, მთელი დღე ვმუშაობ“

„აბა ასე არ უნდა-თქვა“

მამია გურიელის პირად წერილებს განსაკუთრებულ ბუნებრიობას ანიჭებს ელიფსი.

ელიფსი პოეტური ფიგურაა სტილისტური ხერხია. ამგვარ კონსტრუქციებს თავისებური რიტმი შემოაქვს თხრობაში.

„ეხლა კმარა!... მემახიან ... ნახვამდის. არ დამივიწყო“.

წერილებში გვხვდება ეპისტოლარული სტილისათვის დამახასიათებელი გარკვეული ლექსიკური ერთეულები:

„ბავშვები ჩამიკოცნე. ვისის კი განსაკუთრებით ვაკოცებ“ (2173/45);

„მოგეხუტვი კეთილ გულში შენ და შენ ბანჯგვლიან ქმარს“ თქვენი ერთგული მამია (2173/53);

„გკოცნი გულსა და ხელებზე შენი მორჩილი შვილი“ (2173/55);

“გკოცნი ათას, თან ჩემს საყვარელს პირსა და გულში. შენი მეგობარი ძმა მამია გურიელი (2173/67);

„გკოცნი მრავლობით შენი მამია გურიელი“ (2173/90).

პოეტი XIX საუკუნის ლექსიკით საზრდოობდა და მით აფერადოვნებდა და კონკრეტული სიტუაციისადმი მორგებულს ხდიდა სათქმელს. პირადი წერილები ახალ შუქს ჰფენს პოეტის ენობრივ სამყაროს.

გამოყენებული დოკუმენტური მასალა:

1. ქალაქ ქუთისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდიდან კირილე ლორთქიფანიძის ფონდი 2173/25 დან -2173/95 -ის ჩათვლით.
2. მამია გურიელი, რჩეული ლექსები, ქუთაისი, 2010

Manana Mikadze

**For the language of Mamia Guriel's epistolary heritage
(From the Kutaisi Museum Manuscript Fund)**

Abstract

XIXth-century poet Mamia Gurieli was a child of a wealthy family, growing up in the village until the age of 15, and for him, hunting was the main means of killing time. The talented man's family was not lucky, his wife divorced, his only son Kakhaber committed suicide, at one point shook his head at Babal and drank his spoiled soul. From St. George's Yard, his tomb overlooks the whole of Kutaisi and probably hundreds of three Uravi greetings countries, romlistvisav never ughalatnia, if betrayed again by itself and their own health.

Surprisingly, the man whose life is only tragic left remarkably hopeful, love-filled lyrics, with a "man" crowned.

The poet needed a man to share his spiritual feelings. It was such a heartfelt friend and caretaker for him his own mother and daughter-in-law Eleonora.

Of particular interest to the writer is learning the writer's personal letters. Each of them is individual, both in content and in style. Mamia Guriel corresponded with many individuals. All letters start with the label and end with the corresponding. The poet is characterized by the inclusion of adjectives in letters, further enhancing the style of letters. The letters are spoken in a cordial manner, with expressions typical of the time spoken. Guriel systematically addresses divergent words and expressions in his letters. He often uses an appeal that gives the letter a form of dialogue.

Russianism was often used in speech at that time. What M. Gurieli failed to do.

From these writings, the writing style of well-educated people shows that Mamia Gureli not only wrote beautiful poems, her translations from Russian and English are well known, so her writing style can be generalized to the style of the 70s and 80s of the 19th century.

ენათმეცნიერება Linguistic

რამაზ სვანიძე

ქუთაისი, საქართველო

კონცეპტი ოჯახი გერმანულენოვან დისკურსში

სტატიაში განხილულია კონცეპტი ოჯახი გერმანულენოვან დისკურსში. გერმანული დისკურსის ანალიზმა გამოავლინა საყოველთაო და სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებლები ოჯახის ცნების, ღირებულებითი დომინანტებისთვის, რაც ეხმარება მიმღებს რეალიზაციის, შეცვლის ან გაფართოების პროცესში. იგი ენათმეცნიერული კონტექსტით იქნა წარმოდგენილი, თუ რა ცვლილებები იწვევს კონცეფციის კულტურულ ტრანსფორმაციას და როგორია მომავალ-ზე ორიენტირებული ოჯახი.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი ოჯახი, გერმანული დისკურსი, ლინგვისტური მახასიათებლები

კონცეპტი ოჯახი წარმოადგენს ნებისმიერი, მათ შორის გერმანულენოვანი, კულტურის ერთ-ერთ საბაზისო კონცეპტს, რომელსაც აღვწერთ თანამედროვე მედია-ტექსტებზე დაყრდნობით. ტექსტის ამ სახეობებით დაინტერესება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, საერთო დისკურსზე. პოლიფონიური ტექსტების გაცნობა და საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

პირველ რიგში, წარმოვადგენთ კონცეპტის სალექსიკონო აღწერას: ოჯახის პირველადი მნიშვნელობაა მშობელთა ან ერთი მშობლისა და სულ მცირე ერთი ბავშვის, ასევე სისხლით მონათესავე ადამიანების ერთობა.² ოჯახი ეტიმოლოგიურად მოდის ლათინური სიტყვიდან familia, რაც თავდაპირველად მხოლოდ მონებს ნიშნავდა, შემდეგ კი მთელ ოჯახურ ერთობას. ლათინური დასახელება XV საუკუნიდან გავრცელდა გერმანულ ენაში. უფრო ძველია გოთური დასახელება *heiv*, ძველ და საშუალო გერმანულში გვხვდებოდა *hīwiski*, *hīwisch(e)*, რაც ნიშნავდა *Geschlecht*, *Familie*, *Hausgesinde*, *Haus*, *Haushaltung*³. ლუთერი იყენებს გერმანულ სიტყვას Haus ოჯახის მნიშვნელობით: *ich vnd mein Haus wollen dem Herrn dienen*, ასევე გავრცელებული იყო კოლოკაცია „Weib und Kind“ (ცოლ-შვილი).³

² <https://www.duden.de/suchen/dudenonline/Familie>, დამოწმებული 2019 წლის 7 ნოემბერს.

³ <https://www.wissen.de/wortherkunft/familie>; <https://rette-sich-wer-kann.com/patriarchat/herrschaft/familie-ein-ueberholtes-modell-oder-fehlkonstruktion-von-anfang-an>; <https://www.dwds.de/wb/Familie>, დამოწმებული 2019 წლის 8 ნოემბერს.

საუკუნეების განმავლობაში ოჯახმა ტრანსფორმაცია განიცადა. დღესდღეობით ის თანაცხოვრების ბევრ ფორმას მოიცავს. 1997 და 2017 წლების შედარებისას შემდეგი სურათი გამოიკვეთა: მარტოხელათა (37,5%-44,1%) და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი უბავშვო წყვილების (3,6%-5,2%) რაოდენობამ მოიმატა. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილები კი სტაბილურია (24,5%-23,1%). ბავშვთა ძირითადი ნაწილი რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილებზე მოდის (18,8%), თუმცა 1997 წელს მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო (27,1%).⁴ დაქსაქსული ოჯახების რიცხვიც საკმაოდ მაღალია (13%).⁵ სამუშაოს ძიება წყვილებს გარკვეული დილემის წინაშე აყენებს: ოჯახები მხოლოდ შაბათ-კვირას იყრიან თავს ერთად, რადგანაც სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ.⁶

განქორწინების პროცენტული მაჩვენებლი რადიკალურად შეიცვალა: 1970 წელთან შედარებით 2010 წელს ახალ ფედერალურ მიწებზე განქორწინებული ოჯახების რაოდენობამ 1,5-ჯერ მოიმატა (20.7%-32.9%), ხოლო ძველ მიწებზე თითქმის 2,5-ჯერ (15.1%-40%). 2015 წლის მდგომარეობით განქორწინება მთელი გერმანიის მასშტაბით ასევე მაღალია (34.7%). ამავდროულად შობადობის კოეფიციენტიც მოიკლო: 1901 წლის საშუალო მაჩვენებლი 4.17-ს შეადგენდა, ხოლო 2016 წელს - 1.59-ს.⁷ დაშორების გამომწვევ მიზეზებად სახელდება *მაღალი მოლოდინი და რომანტიკული წარმოდგენები* (მერკელი 2012: 57). ამ საკითხთან პირდაპირ კავშირშია ქორწინების გადადება. ეს მოვლენა სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული: *შემოღებულ სოციალურ ფენებში მარტოხელა ცხოვრების ფაზის გახანგრძლივება, მშობლებთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, განათლების ექსპანსია, ქირის ღირებულების მომატება, უმუშევრობა*. დაოჯახების გადადება შობადობის შეზღუდვას იწვევს, შესაბამისად, პირველი ბავშვის გაჩენის ასაკი 24-დან 28 წლამდე მერყეობს. ამას ემატება მცირერიცხოვანი ოჯახისადმი მიდრეკილების გლობალური ტენდენცია. ამ მოვლენებს ევროპული საზოგადოება შობადობის დაბალი მაჩვენებლისა და დემოგრაფიული კრიზისისკენ მიჰყავს (ეკარიუსი 2007: 63-64).

საზოგადოებრივი ცვლილებების მიუხედავად რეკლამებში კლასიკური ოჯახი დომინირებს. მკვლევართა ჯგუფი, რომლებმაც 1994-2015 წლებში რამდენიმე ასეული რეკლამა შეისწავლეს, დაასკვნეს, რომ ასეთი სურათის შექმნა შემკვეთი ორგანიზაციების დამსახურებაა, რადგან ისინი საზოგადოების მოთხოვნას უწყვეტ ანარიშს.⁸

სულ უფრო მეტად აუცილებელია ოჯახისა და სამსახურის თავსებადობა, რაც დროით თანმიმდევრობას (ჯერ ოჯახი, შემდეგ სამსახური) ცვლის. ამ საკითხს ეძღვნება 2017 წელს ჩატარებული გამოკითხვა. გამოკითხულთა 68%-ის აზრით, „ოჯახისა“ და „სამსახურის“ შერწყმა რთულია, რაც გადმოცემულია მეტაფორით „შპაგატი“. 84% თვლის, რომ შვილის ბაგა-ბაღში ადრეული მიყვანა *ცუდ დედობას* არ ნიშნავს. ტრადიციული მოდელის „დასაქმებული მამა, ოჯახის საქმეებზე მზრუნველი დედა“ მომხრეების რაოდენობამ 2013 წელთან შედარებით 7%-ით მოიმატა. ყველაზე პოპულარულია მოდელი „მამა სრულ განაკვეთზე, დედა – ნახევარზე და

⁴ <http://www.sozialpolitik-aktuell.de/familie-datensammlung.html>, დამოწმებული 2019 წლის 14 ნოემბერს.

⁵ <https://www.eltern.de/patchwork-familie>, დამოწმებული 2019 წლის 9 ნოემბერს.

⁶ <https://www.familienhandbuch.de/familie-leben/partnerschaft/herausforderung-konflikte/fernbeziehungundwochenendbeziehung.php>, დამოწმებული 2019 წლის 10 ნოემბერს.

⁷ <http://www.sozialpolitik-aktuell.de/familie-datensammlung.html>, დამოწმებული 2019 წლის 12 ნოემბერს.

⁸ <https://www.pro-medienmagazin.de/gesellschaft/gesellschaft/2015/05/19/klassische-familie-wunschbild-nummer-eins/>, დამოწმებული 2019 წლის 15 ნოემბერს.

ამავდროულად ზრუნავს ოჯახზე“ (41%). ოჯახთან დაკავშირებული ყველა საკითხის თანაბრად განაწილების მომხრეა 23%.⁹

ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები მჭიდრო კავშირშია ოჯახის კონცეპტთან: „*Das Erste, das der Mensch im Leben vorfindet, das Letzte, wonach er die Hand ausstreckt, das Kostbarste, was er im Leben besitzt, ist die Familie*“ (ადოლფ კოლპინგი).¹⁰ ოჯახი *ბედნიერების ქვაკუთხედს* (მერკელი 2012: 56) და მაღალი ღირებულებების მატარებელ ადგილს წარმოადგენს: „*Es muss auch klar sein, dass Familie einer der wichtigsten Lernorte ist, in dem Werte und Einstellungen geprägt werden*“ (ibid: 29). ბუდებერგი მიუთითებს, რომ ოჯახური ცხოვრება „პროცესია“ და არა „მდგომარეობა“ (ბუდებერგი 1998: 25). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიურგერულ საზოგადოებაში ოჯახის შექმნა თანმიმდევრული ეტაპების შედეგი იყო: *გაცნობა, მშობლების თანხმობა, ნიშნობა, ქორწილი*. დღესდღეობით ოჯახისკენ მიმავალი გზა ინდივიდუალურია და არჩევანი რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: *სიმპათია, განათლება, პირადი გზა, ცხოვრებისეული გამოცდილება* (ბექ-გერნსჰაიმი 2010: 75).

დღესდღეობით მნიშვნელოვანია ოჯახის „თაობათა სოლიდარულ (მულტილოკალურ) ერთობად“ ჩამოყალიბება. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოს თავიდან აარიდებს დამატებით სოციალურ ხარჯებს (ჰუინინკი 2008). ოჯახი საზოგადოებისთვის ენერჯის მიმცემია (Kraftzentrum). ეს ადგილია, სადაც *უნარებსა და ცოდნას ეუფლებიან, ურთიერთაგებას, კონფლიქტების მართვასა და კომპრომისების პოვნას* სწავლობენ, მომავლის *პერსპექტივებზე ფიქრობენ* და *პასუხისმგებლობას იღებენ*, ყოველდღიური სირთულეების გადაჭრაზე, *მორალურ სტანდარტებსა და სოციალურ წესებზე* მუშაობენ. ამ ტიპის ურთიერთობის მახასიათებლებია: *თანამშრომლობა, ურთიერთზრუნვა, ურთიერთდაცვა, მხარდაჭერა, გამხნეება, გვერდში დგომა* (მერკელი 2012: 94, 97). დროის დეფიციტის აღმოსაფხვრელად და მეტი სოლიდარობის გამოსაჩენად უნდა შეიქმნას „ზრუნველობის დროის ბიუჯეტი“ (Care-Zeit-Budget) ან „დროის ბანკი“ (ibid 2012: 62, 86). სამსახურისა და ოჯახური ან მოხალისეთა საქმიანობის გათანაბრება ჩამოყალიბებს „ზრუნველ საზოგადოებას“ („sorgende Gesellschaft“, „Caring Communitys“), რაც ამავდროულად აღმოფხვრის დასაქმებულთა დეფიციტს პროფესიულ სამყაროში (ibid 2012: 76).

დემოგრაფიული ცვლილებების პირობებში საზოგადოების *ერთობა* აუცილებელია. შემდეგი მოვლენები უწყობენ ხელს ამ პროცესს: *დაქსაქსულობის გადალახვა, თითოეული მოქალაქის ინტეგრაცია, დოვლათის გადანაწილება, თანაბარი შესაძლებლობებისა და ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა* (მერკელი 2012: 11). ლუდვიჰ ერჰარდი დოვლათის ქვეშ სხვადასხვა ფაქტორს მოიაზრებდა, მათ შორის, *სტაბილურ ოჯახსა და მეგობრობას* (ibid).

2019 წლის ნოემბერში ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომელშიც 30 სტუდენტი მონაწილეობდა. მათ ჩამოთვალეს კონცეპტის *ოჯახის* მახასიათებლები, რომლებიც უმეტესწილად დაემთხვა გერმანული დისკურსის წარმომადგენლების შეხედულებებს. აქ წარმოდგენილია მხოლოდ ყველაზე ხშირად გამოყენებული ნიშნები: სიყვარული (28), სითბო (20), თანადგომა, მხარდაჭერა (22), ბედნიერება (19), მზრუნველობა (16), ერთგულება (15), ურთიერთაგება (14), მეგობრობა (11), ურთიერთპატივისცემა (12), იმედი (9), ერთობა (9), ნდობა (6) და სიკეთე (6).

⁹ <https://www.merkur.de/leben/spagat-zwischen-job-und-familie-macht-vielen-eltern-probleme-zr-8279688.html>, დამოწმებული 2019 წლის 30 ოქტომბერს.

¹⁰ <https://www.aphorismen.de/suche?text=Familie>, დამოწმებული 2019 წლის 16 ნოემბერს.

დავასკვნით, რომ გერმანული დისკურსის ანალიზმა აჩვენა ოჯახის კონცეპტის უნივერსალური და სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებლები, ღირებულებითი დომინანტები, რაც ეხმარება რეციპიენტს მოახდინოს საკუთარი ცოდნის აქტუალიზაცია, შესწორება ან განვრცობა. ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში წარმოდგენილ იქნა, რა ცვლილებები განაპირობებს კონცეპტის კულტურულ ტრანსფორმაციას და როგორ გამოიყურება მომავალზე ორიენტირებული ოჯახი. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ოჯახის სოციალური ინსტიტუტის, როგორც საზოგადოების ბურჯის, გაძლიერებას. ოჯახურ ერთობას აყალიბებს სოლიდარული დინამიკური ურთიერთობები, რომლებიც როგორც პიროვნული, ასევე საზოგადოებრივი განვითარების საძირკველია.

ლიტერატურა

1. ბექ-გერნსჰაიმი 2010 - Beck-Gernsheim, Elisabeth: Was kommt nach der Familie? Alte Leitbilder und neue Lebensformen. München: Beck, 2010.
2. ბუდებერგი 1998: Buddeberg, Claus: Partnerbeziehung während der Gravidität. In: Künzel, Wolfgang (Hrsg.): Gesunde Lebensweise während der Schwangerschaft: Ratgeber für Ärzte. Berlin: Springer, 1998.
3. ეკარიუსი 2007: Ecarius, Jutta (Hrsg.): Handbuch Familie. Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften, 2007.
4. მერკელი 2012: Merkel, Angela (Hrsg.): Dialog über Deutschlands Zukunft. Hamburg: Murmann, 2012.
5. ციფლე 2009: Ziefle, Andrea: Familienpolitik als Determinante weiblicher Lebensläufe? Die Auswirkungen des Erziehungsurlaubs auf Familien- und Urlaubsbiographien in Deutschland. Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften, 2009.
6. ჰუინინკი 2008: Huinink, Johannes: Familie und Familienpolitik. Informationen zur politischen Bildung. Nr. 301/2008. <https://www.bpb.de/izpb/8017/familie-konzeption-und-realitaet?p=all>, დამოწმებული 2019 წლის 17 ნოემბერს.

Ramaz Svanidze

The Concept of the Family in German Discourse

Abstract

The analysis of German discourse has revealed universal and specific linguistic features of the family concept, value dominants that help the recipient actualize, modify or extend their knowledge. It has been presented in the linguoculturological context what changes are causing the cultural transformation of the concept and what a future-oriented family looks like. The state, through the consolidation of political, economic, and public forces, seeks to strengthen the family institution as a community pillar. Solidary and dynamic relationships are a bond for family unity; they are the foundation of both personal and community development.

რეცენზენტი: პროფ. დ. ბახტაძე

ენათმეცნიერება Linguistic

ლელა ციხელაშვილი

თბილისი, საქართველო

ვალსაა ტიპის ფორმების შესახებ ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში

ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში კითხვითობის მარკერად კითხვითი სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი (ძირითადად, -ა) გვევლინება, თუმცა იშვიათად დასტურდება მხოლოდ ინტონაციით (კითხვითი ტონით) მარკირებული წინადადებებიც.

სტატიაში განხილულია ძველი და საშუალო ქართული ენის ტექსტებში იშვიათად გამოვლენილი ვალსაა ტიპის ფორმები, რომლებშიც ერთი -ა კითხვით ნაწილაკს წარმოადგენს, ხოლო მეორის ფუნქცია გაურკვეველია. ამ ტიპის ფორმების არსებობას შეიძლება მოეძებნოს სამგვარი ახსნა: 1. შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის ნიმუშად; 2. ჰქონდეთ ფონეტიკური საფუძველი ან 3. ჩაითვალოს გადამწერის მექანიკურ შეცდომად.

საკვანძო სიტყვები: კითხვითობის მარკერი, ფსევდოგრამატიზებული დაწერილობა

თუკი ახალ ქართულ ენაში კითხვით წინადადებაში კითხვითობას, ძირითადად, ინტონაცია (კითხვითი ტონი) განსაზღვრავს და, ამდენად, მისი მარკირება კითხვითი სიტყვით ან კითხვითი ნაწილაკით აუცილებლობას არ წარმოადგენს, ძველი ქართულისთვის კითხვითობის მარკირება ოდენ ინტონაციით არ იყო ბუნებრივი (თუმცა ასეთი შემთხვევები სპორადულად უკვე ძველ ქართულშივე დასტურდება [ბაბუნაშვილი, 1953:138]), ამიტომ მის გამოსახატავად ორი ალტერნატიული საშუალება არსებობდა:

1. კითხვითსიტყვიანი, რომელთანაც შეუთავსებელი იყო -ა კითხვითი ნაწილაკი (1);
2. არაკითხვითსიტყვიანი, რომელშიც კითხვითობას კითხვითი ნაწილაკ(ებ)ი,

ძირითადად კი, -ა ნაწილაკი გამოხატავდა (2):

- (1) „**ვინაღ** მოხუდით, მოგუნო, ანუ ვის ეძიებთ?“ [უძვ. იადგ. 14:6].
 (2) „**არა** მისი განზრდილი **ხარა?**“ [ძვ. ქართ. აგიოგ. I, 18:7].

ძველი ქართულის უფრო მოგვიანო პერიოდის ხელნაწერები ასახავენ გარდამავალ საფეხურს ამ მხრივ და გვიჩვენებენ როგორც ორივე ალტერნატიული საშუალების პლეონასტურად გამოყენების (3), ისე ორივე მათგანის გამორიცხვის და კითხვითობის ოდენ კითხვითი ტონით მარკირების (4) შესაძლებლობას:

- (3) *მე ვარქუ, ვითარმედ: „**რაა გინებსა?**“* [ძვ. ქართ. აგიოგ. I, 18:27 D]. *გინებს* A.
 (4) „**არა გიცნობიეს, რამეთუ სიტყუანნი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?**“ [ძვ. ქართ. აგიოგ. I, 70:19-20 BI]. *გიცნობიეს* N.

„ვეფხისტყაოსნისთვის“ უკვე ნორმას წარმოადგენს კითხვითობის მარკირება სპეციფიკური ნაწილაკების გარეშე, ოდენ კითხვითი ინტონაციით [უთურგაიძე, 1966:215].

ძველი ქართულის დონეზე გამოყოფენ შემდეგ კითხვით ნაწილაკებს: -ა, -მე, -მე-ა¹¹, **ნუ**¹², **ანუ**, **ნუუკუე**, (**ნუთუ**¹³). მათგან -ა, -მე-ა, **ნუთუ** მხოლოდ კითხვით ნაწილაკებს წარმოადგენდნენ. -მე, კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა განუსაზღვრელობითი ნაწილაკიც ყოფილიყო, ხოლო **ნუ** – უარყოფითი. **ნუუკუე** ფუნქციურად დატვირთული ერთგვარი კავშირ-ნაწილაკი იყო ძველ ქართულში.¹⁴ ანალოგიურად, **ანუ** ხან მაცალკეებელი კავშირის, ხან კი კითხვითი ნაწილაკის როლში გვევლინებოდა [დანელია, 1998:113].

კითხვითი ნაწილაკები კარგადაა განხილული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ მათზე დეტალურად აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ჩვენი აზრით, ძველი ქართულისთვის კითხვით ნაწილაკებად მიჩნეული ფორმებიდან ოდენ -ა ნაწილაკი უნდა ჩაითვალოს ტიპურ კითხვით ნაწილაკად, დანარჩენების ფუნქცია კი, ზოგადად, გარკვეული მოდალური ნიუანსის (ძირითადად, ეპისტემური მოდალობის) შეტანა უნდა

¹¹ -მე და -ა კითხვითი ნაწილაკები შეიძლება ერთადაც ყოფილიყო გამოყენებული მრჩობლი -მე-ა ნაწილაკის სახით [შანიძე, 1980:608-609; სარჯველაძე, 1997:160-161; დანელია, 2009:94]: „**პოვოსმეა** სარწმუნობაჲ ქუეყანასა ზედა?“ [ლ. 18:8].

¹² **ნუ** ნაწილაკით კითხვითობის გამოხატვა ბერძნული ენის **კალკი** უნდა იყოს, რამდენადაც ამ ფუნქციით **ნუ** ნაწილაკი მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში გამოიყენება და ქართულისათვის არაბუნებრივია [დანელია, 1998:111-112].

¹³ **ნუთუ** ნაწილაკი შედარებით ახალია, „ნეოლოგიზმია“ და IX საუკუნიდან იჩენს თავს [იქვე].

¹⁴ **ნუუკუე** ძველ ქართულში მაქვემდებარებელ კავშირადაც გამოიყენებოდა („**ნუცა** დაუგებთ მარგალიტსა თქუნსა წინაშე ღორთა, **ნუუკუე** დათრგუნონ იგი ფერჯითა მათითა“ [მ. 7:6 DE]. **რადთა არა** C), რაც მის ამოსავალ ფუნქციას წარმოადგენს, და კითხვით ნაწილაკადაც („**ნუუკუე** ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეგმარების“ [ძვ. ქართ. აგიოგ. I, 18:23-24] [შანიძე, 1976:148; ყაუხჩიშვილი, 1946:267; დანელია, 1998:109-114; სარჯველაძე, 1997:160].

ყოფილიყო კითხვით წინადადებაში (დაეჭვების, ნატვრიტობის, განცვიფრების, განუსაზღვრელობის...).

ძველ ქართულში -ა კითხვითი ნაწილაკი აუსლაუტში ერთვოდა, ძირითადად, ზმნას (2, 37-40, 48-50), იშვიათად – სხვა მეტყველების ნაწილსაც [შანიძე, 1980:608; ბაბუნაშვილი, 1953:138; უთურგაიძე, 1966:214-215]: ნაცვალსახელს (3, 46, 47), სახელს (44, 45), ნაწილაკს¹⁵ (42). -ა კითხვითი ნაწილაკი დასტურდება საშუალო ქართულშიც. ბერძნული და სომხური შესატყვისები ამ ნაწილაკს არ ეძებნება [ბაბუნაშვილი, 1953:139], რამდენადაც იგი წარმოადგენს არა თარგმანის გზით დამკვიდრებულ მოვლენას, არამედ საერთოქართველურ მონაცემს. -ა ნაწილაკის კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტი დასტურდება სვანურსა (-ა) და მეგრულში (-ო) [ჩიქობავა, 1936:187; ბაბუნაშვილი, 1953:140; ქალდანი, 1964; უთურგაიძე, 1966:214].

როგორც ძველი, ისე საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში იშვიათად დასტურდება შემთხვევები, როდესაც კითხვით წინადადებაში -ა კითხვითი ნაწილაკი, ერთი შეხედვით, მრჩობლადაა გამოყენებული და ახსნა არ ეძებნება ამ მოვლენას. მოგვყავს ნიმუშები ძველი ქართულიდან:

- (5) *ჰკითხვიდა მათ: იხილეთ თუ სადამე იგი, მო-მე სადა-ვალსა იგი, ანუ მუნვე ცათა შინა არს?* [სინ. მრავ. 229:1]. *მო-მე სადა-ვალსაა S.*
- (6) *შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს?* [შუშ. 24:24-25 A]. *გონიესაა H. გგონიესა K.*
- (7) *კეთილისა ამისთვის სტირა, ხუცეს?* [შუშ. 22:6-7 A]. *სტირაა H. სტირ F.*
- (8) *და აწ სახელი ჩემი შენ ძლით იგმობვის სახლსა მაგას შინა და შენ მანდა ხარა-ა?* [ძვ. ქართ. აგიოგ. II, 246:2].
- (9) *ძალ-გიცა სასუმელსა, რომელსა მე შევსუამ, შესუამდ, და ნათლის-ღებასა, რომელსა მე ნათელ-ვიღებ, ნათლის-ღებად?* [მრკ. 10:38]. *გიცაა Z.*
- (10) *ნუუკუე შორსა გზასა გაიძულებაა შენ წარსლვასა მკვრცხლ, გინა მონაგებთა და საფასეთა წარგებასა, გინა მოწლედ ვედრებასა მეფეთა და მთავართასა?* [მამ. სწავ. 37:30].
- (11) *მეძავნო და მემრუშენო, ანუ არა უწყითაა, რამეთუ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობაჲ არს ღმრთისაჲ?* [კათ. ეპისტ. 4:4].
- (12) *აწ უკუე რაჲ წინა-მე-ვჰმატოთ?* [ჰრომ. 3:9]. *ვჰმატოთა B. ვჰმატოთა E.*
- (13) *ნუუკუე სახლებ არა ვიდგსა ჭამად და სუამად?* [კორინთ. I, 11:22 CD]. *გითქსა G. გითქსა T. გითქსა IK.*

¹⁵ -ა ერთვის ზმნის ნაწილაკიან ფორმასაც (41, 43).

- (14) *გან-მე-ყოფილ არსა ქრისტე? ანუ პავლე ჯუარს-ეცუა თქუნთვს? ანუ სახელისა მიმართ პავლესისა ნათელ-ილეთა?* [კორინთ. I, 1:13]. *არსაა* T. *ჯუარს-ეცუა* TIK. *ნათელს-ილეთაა* T.
- (15) *შენ აწ ჰყოფაა ეგრეთ მეფობასა ისრაელისასა?* [ამათა ცხორ. 277:14 B].
- (16) *და სხვანი იტყოდინან, საყვარელნო ძმანო, შენდობა მეყოსაა ამიერიტგან უფალმან ჩვენ ზედა?* [კლემაქსი 112:7].
- (17) *ჰრქვა მას: აკაკი, მოკვედაა? ხოლო მოწაფემან მან მორჩილმან, აჩვენა მორჩილება თვისი, შემდგომად სიკვდილისაგა* [კლემაქსი 97:5].
- (18) *შემესრულ არსაა ხმა ჩვენი უფლისათა?* [კლემაქსი 112:13].
- (19) *ნუსადა კნინდა თვთოეულსა კვრიაკესა გუქონან კელთდასხმადნი, ნუსადა ძალ-მიცაა მიმდემად ათორმეტთა, ანუ ათთა, ანუ არა ფრიად უმცირესთა ამის რიცხვსათა მოწოდებად ეპისკოპოსთად* [დიდი სჯულ. 308:32].
- (20) *ესე მოსაგებელი მოაგეთაა უფალსა, ერნო ცოფნო?* [უძვ. იადგ. 205:22].
მსგავსი შემთხვევები უიშვიათესად დასტურდება საშუალ ქართულშიც:
- (21) *იხილეთაა: რა: იგი: ჰქუა: ჯუარცმისათვს: ქრისტესსა:* [ქართ. ცხ. მარ. 843:9].
- (22) *გაგ ზაენისაა ვინმე მოციქულად კაცსა ბრმასა და მუნჯსა?* [ბახთიარ-ნამე 208:23].
- (23) *მუსულმანი ხარაა ანუ გაჰური?* [მგზავრ. 151:12].
- (24) *ხოლო ალექსანდრე ჰრქვა მას: „სარგებელ მექმნესაა შესმა წამლისა ამის?“* [ალექსანდრ. 95:10].
- (25) *ამავე ცნობითა მოვიდნენაა ანუ არა?* [ალექსანდრ. 161:11].
- (26) *ხოლო ალექსანდრე ჰრქვა მათ: „კეთილის მყოფელი თქვენი მოჰკალით, მე უცხო არა მომკლათაა?“* [ალექსანდრ. 114:27].
- (27) *არა უწყიაა, ვითარმედ წინაშე ძალისა ჩემისა ყოველთა ქვეყანათა ვერა უძლონ დაფარვა შენი?* [ალექსანდრ. 131:21].
- (28) *ხოლო ესე არა უწყიაა შენ, ვითარმედ რა შეგემთხვივოს შენ?* [ალექსანდრ. 142:18].
- (29) *შენ ხარაა სპარსეთისა პატრონი და მოალაგე?* [ალექსანდრ. 139:22].
- (30) *არა დასჯილ ხარაა შენცა სამყოფელად ჩვენთანა?* [ალექსანდრ. 150:14].
- (31) *შემძლებელ ხარაა შეწევნად ჩემდა და დახსნად სიკვდილისაგან?* [ალექსანდრ. 172:28].
- (32) *ჯერ ხართაა თქვენ ყოველნი მაკედონელისა ყრმისაგან ყოვლისა სოფლისა ამის დაპყრობასა?* [ალექსანდრ. 106:5].

- (33) *მაუწყე მე, დედაო ჩემო, ყოველი ქმნული ჭემმარიტი: ესე მამა არსაა¹⁶ ჩემი?* [ალექსანდრ. 63:13].
- (34) *და უკეთუ იქმნესაა ხილვანი და ცნობანი, ოდესცა სული და ხორცი შეიყარნენ დიდსა მას სავაჭროსა?* [ალექსანდრ. 161:7].
- (35) *იქმნესაა კვალად ხორცთა აღდგომა ანუ არა?* [ალექსანდრ. 161:10].
- (36) *ძმაო, არსაა იმედი, რომე ჩვენად მისვლადმდე უდგნობენ მეომარნი თქვენნი გარეგანთა მათ?* [დილარ. 49:30].

კითხვითი წინადადების რომელიმე სიტყვაფორმის (ძირითადად, ზმნის) აუსლაუტში მრჩობლი ა-ს არსებობა შემთხვევათა უმეტესობაში სავსებით კანონზომიერია, რადგან ბოლო წარმოადგენს კითხვით ნაწილს, წინმსწრებ ხმოვანს კი ეძებნება გარკვეული მორფოლოგიური ფუნქცია, კერძოდ:

ა) შემთხვევათა უმეტესობაში იგი S₃-ის პირის ნიშანია:

- (37) *ანუ განამრავლასაა ლოცვაჲ, ვითარ-იგი ელია?* [სინ. მრავ. 131:3].
- (38) *მოგეცასა აზნაურება, ანუ ჯერეთ იჭვნეულ არს გულის-სიტყვა შენი?* [კლემენსი 115:18].

ბ) II კავშირებითის მწკრივის ნიშანია:

- (39) *მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სული შენი ჩემთვის დასდვასა?* [ი. 13:38].
- (40) *გასუა მან სასუმელი თვისი და აწ შენ გრილი წყალიცა არა მიუპყრასა?* [თარგმან. 335:15].

გ) ნაწილს კუთვნილებას:

- (41) *და შემდგომად სიკუდილისა და დაფლვისა, მოვიდესმცასა წარპარვად?* [თარგმან. 465:25].
- (42) *გიძნავს არაა ესე შენ, რამეთუ ვითარცა ღმერთსა გხადიან შენ?* [უდაბნ. მრავ. 159:21].
- (43) *მერმე ჰრქუა მას: „რასა იტყვ აწ შეჭქმნასა თავისა შენისა ხუთი?“* [თეოფ. 290:33].

დ) სავრცობია:

- (44) *ხოლო მე ვარქუ: „ყრმისაღმქუმელსა ებრაელსა ვეძიებ“. მომიგო და მრქუა: „ებრაელსაა?“* [პროტოევ. 261:8].
- (45) *ხოლო ვიეთ ეფუცა არა შესლვად ქუეყანასა მას აღთქუმისასა? ანუ არა ურწმუნოთაა?* [ფსევდომაკ. 197:9].

ე) ბრუნვისნიშნისეულია:

¹⁶ იმავე ტექსტის კითხვით წინადადებებში არსაა ფორმა სულ შვიდჯერ დასტურდება [65:27; 92:8; 127:37; 140:29; 149:5; 162:28].

(46) *ხოლო იოსებ თქუა: „მეცა აღვიწერო ძეთა ჩემთა თანა; არამედ ქალწული ესე ვითარ ვყო? ვითარ აღვიწერო? ცოლად ჩემდაა?“*¹⁷ [პროტოევ. 259:9].

ვ) ფუძისეულია:

(47) *და ჰრქუა პავლეს ქმარმან მისმან: მამაო, რაა უყო შვილთა მისთა?* [მამათა ცხორ. 272:3].

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ეძებნება თუ არა ლოგიკური ახსნა კითხვითი წინადადების *ვალსაა* ტიპის ფორმებს (5-36), რომლებშიც მხოლოდ ერთი ა-ს ფუნქციაა გარკვეული (კითხვითი ნაწილაკია), თუ ისინი, უბრალოდ, გადამწერის მექანიკურ შეცდომად უნდა კვალიფიცირდეს?

1. შესაძლოა, *ვალსაა* ტიპის ფორმები მივიჩნიოთ ე.წ. **ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის** ნიმუშად. ცნობილია, რომ ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის მიზეზი სალიტერატურო ენის ნორმების ცოცხალი მეტყველებისაგან დაშორებაა [სარჯველაძე, 1984:98-99]. იგი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ესა თუ ის ენობრივი მოვლენა უკვე გაქრობის გზაზეა და გადამწერისთვის ნათელი აღარაა მისი გამოყენების წესები. იგი ცდილობს, ზედმიწევნით დაიცვას ძველი ნორმები და ანალოგიით ამ „წესს იცავს“ იმ შემთხვევებშიც, რომლებშიც ამის საჭიროებაა არაა.

ცნობილია, რომ -ა კითხვითი ნაწილაკის დაკარგვის პროცესი უკვე ძველ ქართულშივე დაწყებულია [ბაბუნაშვილი, 1953:140], რასაც ადასტურებს თუნდაც ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერის (ვერსიის) შედარება:

(48) *განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ?* [კორინთ. I, 1:20]. *განაცოფაა* TIK.

(49) *შენ ხარა ქრისტე?* [მრ. 14:61 DEFGHIK]. *ხარ* C.

(50) *ეგრე გგონიესა, ვითარმედ გალილეველნი იგი უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ევნო მათ?* [ლ. 13:2 C]. *გგონიეს* DEFGHIK.

აღნიშნულიდან გამომდინარე, *ვალსაა* ტიპის ფორმების გაჩენის მიზეზი სავსებით შესაძლოა გამხდარიყო იმ ტიპის ფორმები (37-47), რომელთა აუსლაუტში ორი ა-ს არსებობა სავსებით კანონზომიერი იყო. მათი ანალოგიით (იცოდა რა, რომ გარკვეულ შემთხვევებში სიტყვის ბოლოს ორი ა იყრიდა თავს), გადამწერი ორ ა-ს დაწერდა იმ შემთხვევებშიც, რომლებშიც ამის მორფოლოგიური საფუძველი არ არსებობდა.

ამ მხრივ საინტერესოა მე-14 მაგალითი: სამი არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებიდან მხოლოდ მეორე წინადადების ზმნა (*ჯუარს-ეცუა*) არ არის მარკირებული კითხვითი ნაწილაკით. ხელნაწერთა ერთ წყებაში (TIK), ძველი ქართული ენის ნორმების

¹⁷ *ჩემდა, შენდა* ტიპის ფორმების შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი მოსაზრებით, -და ამ შემთხვევაში ვითარებითი ბრუნვის ალომორფს წარმოადგენს [გიგინეიშვილი, სარჯველაძე, 1978:133].

თანახმად, ეს ზმნა -ა კითხვითი ნაწილაკითაა წარმოდგენილი (*ჯუარს-ეცუა*), რის საფუძველზეც თავს იყრის ორი ა: პირველი S_3 -ის სუფიქსია, მეორე – კითხვითი ნაწილაკი. მაგრამ ერთი ამ ხელნაწერთაგანი (T) -ა-ს უმატებს არა მხოლოდ ამ ზმნას, არამედ მის გარემოცვაში მყოფ სხვა ზმნებსაც (*არსაა, ნათელს-იღეთაა*), შესაძლოა, სწორედ *ჯუარს-ეცუა* ფორმის ანალოგიით, რის საფუძველზეც ვიღებთ მცდარ, ფსევდოგრამატიზებულ დაწერილობას. ამავე ტენდენციას ავლენს ეს ხელნაწერი მე-13 მაგალითშიც.

2. ამ ტიპის ფორმების გაჩენა შესაძლოა აიხსნას **ფონეტიკურ** ნიადაგზეც. ა. შანიძე საუბრობს რა -ა კითხვითი ნაწილაკის გაქრობის მიზეზზე სალიტერატურო ქართულში, აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ ენაში -ა-ნაწილაკიან სიტყვაში მახვილი ა-ზე კი არ მოდიოდა, არამედ მის წინა მარცვალზე, რამაც გამოიწვია კიდევ უმახვილო პოზიციაში მყოფი კითხვითი ნაწილაკის დასუსტება და, საბოლოოდ, დაკარგვა. ავტორი პარალელს ავლებს თანამედროვე ქართულის მთის კილოებთან (კერძოდ, ფშაურთან), რომლებშიც კითხვითი -ა დღესაც ცოცხალია და არც იქაა მახვილიანი. ამ შემთხვევაში, ავტორის შენიშვნით, მახვილი უნდა დაეცეს ბოლოდან მეორე ან სულ პირველ მარცვალს: „მაშასადამე, „გაახარება“ ასე კი არ უნდა წავიკითხოთ: გაახარებ`ა? არამედ ასე: გაახარ`ება ან ასე (ფშაურის მიხედვით) გ`ახარება? [შანიძე, 1955:312; 1980:608].¹⁸

მაშასადამე, ძველ ქართულ ენაში (და დღეს ფშაურშიც) კითხვის ტონური მახვილი მოდიოდა ბოლოდან მეორე მარცვალზე (წავიდ`აა?), ხოლო -ა ნაწილაკის დაკარგვის შემდეგ იგი აღმოჩნდა ბოლოდან პირველ მარცვალზე (წავიდ`ა?), რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის დღეს ნორმას წარმოადგენს.¹⁹

ცნობილია, რომ მახვილი ორი სახისაა: დინამიკური (ინტენსიური) და ტონური (მუსიკალური). თ. უთურგაიძე ეხება რა მახვილის წესს ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში, აღნიშნავს: „როგორც ჩანს, კითხვით ფორმაში ორი მახვილი მოქმედებდა: **ინტენსიური** და **ტონური**. შეიძლებოდა მათი ადგილი ერთიმეორეს დამთხვევოდა ფორმაში, ან სხვადასხვა მარცვალზე გვექონოდა ისინი. კითხვას ემსახურებოდა ტონური მახვილი, რომლის ადგილიც ბოლოდან მეორე მარცვალი ყოფილა ფორმაში; ძირითად მახვილად ჩაითვლება ინტენსიური მახვილი. თითოეულის რაოდენობა-თვისებაში ცვლილება გავლენას მოახდენდა უთუოდ მეორეზეც, მაგრამ ეს სპეციალური ძიების საგანია“ [უთურგაიძე, 1966:218].

¹⁸ თ. უთურგაიძის აზრით, მთის კილოებში (მაგ., ფშაურ-ხევსურულში) მახვილი, ძირითადად, ბოლოდან მეორე ხმოვანს ეცემა როგორც თხრობით, ისე კითხვით ფორმებში [უთურგაიძე, 1966:218].

¹⁹ ძველი ქართულის მსგავსად, ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის კითხვითი ტონი მეგრულ-სვანურშიც [უთურგაიძე 1966:218].

ჩვენი დაკვირვებით, *ვალსა* ტიპის ფორმები უფრო ერთმარცვლიან ზმნურ ფორმებთან იჩენს თავს (5, 7, 8, 9, 12, 13, 14, 15, 18, 19²⁰...). ცნობილია, რომ ცალკე წარმოთქმულ ერთმარცვლიან სიტყვებში მახვილი ამ ერთადერთ მარცვალს აქვს, თუმცა შესიტყვების შემთხვევაში შესაძლოა დაკარგონ მახვილი და ენკლიტიკებად ან პროკლიტიკებად იქცნენ (ძირითადად, ნაწილაკები) [გამყრელიძე, 2003:90]. არ გამოვრიცხავთ, რომ კითხვით წინადადებაში *ვალსა*, *სტირას*, *ხარას*, *არსა* ტიპის ფორმების გაჩენის მიზეზი სიტყვაფორმაში სწორედ ინტენსიური და კითხვის ტონური მახვილის დამთხვევის დამღევა და ამ გზით კითხვითი წინადადების არაკითხვითი წინადადებისგან გამიჯვნის მცდელობა ყოფილიყო (თუმცა ინტონაციურად მაინც გარჩეული იქნებოდა). რადგან ზემოთქმულის თანახმად, ძველ ქართულში არაკითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებაში სავარაუდებელია ინტონაციით *ხ`არ-ა* წარმოთქმა (ტონური მახვილი მოუდის კითხვითი ნაწილაკის წინა მარცვალს) და დინამიკური მახვილიც იმავე მარცვალზე ივარაუდება არაკითხვით წინადადებაში (*ხ`არ*), *-ა* კითხვითი ნაწილაკის ერთგვარად დუბლირების, ანუ მარცვლის მომატების, შემთხვევაში ტონური მახვილი თავად კითხვით ნაწილაკს დაეცემოდა (*ხარ-`ა*). ამგვარად, მახვილის უკან გადაწევა ამ შემთხვევაში დისტინქციური ფუნქციის მატარებელი იქნებოდა. ეს მოვლენა შემდეგ ანალოგიით *ორ-* და მეტმარცვლიან ფორმებზეც უნდა გავრცელებულიყო.²¹ მართალია, თვისობრივად ტონური და დინამიკური მახვილი სხვადასხვაა და ეს უკანასკნელი დღეს ქართულში სუსტი და ფიქსირებულია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისტორიულად დინამიკური მახვილი გაცილებით ინტენსიური და ფუნქციური უნდა ყოფილიყო [ჩიქოზავა, 1942; როგავა, 1963 და სხვ.]. ქართულის ტიპის ენებში, ცალკეული სიტყვის შემთხვევაში, მართალია, დღეს არც ტონური მახვილი ასრულებს რაიმე როლს, მაგრამ შესიტყვებაში ის განსაზღვრავს ინტონაციას [გამყრელიძე, 2003:91] და აქვს დისტინქციური უნარი, გამიჯნოს კითხვითი წინადადება არაკითხვითისაგან.

არაა გამორიცხული, ძველი ქართული ენის დიალექტთა ერთ ნაწილში თავიდანვე დაფუძვით ტონურმახვილიანი *-ა* კითხვითი ნაწილაკის არსებობა (ანუ კითხვითი ტონის არსებობა ბოლო მარცვალზე²², როგორც დღესაა სალიტერატურო ქართულში, რაც მეორეულია).

²⁰ ცალკე აღებული *მიც* ერთმარცვლიანია, მაგრამ რთული ზმნის შემადგენლობაში მარცვალთა რაოდენობა მატულობს და დინამიკური მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე, ანუ სახელურ კომპონენტზე მოდის: *ძ`ალ-მიც*.

²¹ *ორ-* და სამმარცვლიან ფორმებში ასეთი დამთხვევა არაა მოსალოდნელი.

²² სამეცნიერო ლიტერატურაში ტონური მახვილის არსებობა ივარაუდება ისტორიულადაც და დღესაც ქართულისა და ზანურის ყველა სამ- და მეტმარცვლიან სიტყვაში, დინამიკურ მახვილთან ერთად. დინამიკურის ადგილი განისაზღვრება ბოლოდან მესამე მარცვლით, ხოლო ტონურისა – ბოლოდან მეორე მარცვლით. ეს ორივე მახვილი, ისტორიულად – ინტენსიური, დღეს სუსტია [როგავა, 1963:9]. ჯერ კიდევ არნ. ჩიქოზავამ მიაქცია ყურადღება ტონური მახვილის არსებობას ქართულისა (მთიულურში, ზემო რაჭულში, ფერეიდნულში, გურულში) და ლაზურის (ათინურსა და არქაბულში) ზოგ დიალექტში

ა-ს კითხვითი ტონით წარმოთქმა, სავარაუდოდ, სიგრძის, ანუ გრძელი ხმოვნის, შთაბეჭდილებას იძლეოდა, რაც უნდა გამხდარიყო მისი მრჩობლად, ორი ა ხმოვნით ჩაწერის მიზეზიც²³. ამ მოვლენას ისიც გაამყარებდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში (37-47) ამ ტიპის ფორმების არსებობა მორფოლოგიურადაც გამართლებული იყო.

ძველი (უფრო ნაკლებად, საშუალო) ქართული ენის ტექსტებში *ვალსაა* ტიპის ფორმების სწორედ სპორადულად გამოვლენა გვაფიქრებინებს, რომ ისინი არა, ზოგადად, სამწერლობო ქართულის, არამედ მის დიალექტთა ერთი წყებისთვის დამახასიათებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო (და ამ გზით შეეღწია სამწერლობო ქართულშიც). აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი გამოვლენა ამა თუ იმ ტექსტის შემცველ ცალკეულ ხელნაწერთა თავისებურებას უფრო წარმოადგენს, რისი განმაპირობებელიც უნდა იყოს ხელნაწერის შექმნის ადგილი, მწერლის (გადამწერის) წარმომავლობა ან კავშირი ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივთან, მისი ენობრივი პოზიცია და სხვ. მაგ., „შუმანიკის წამებიდან“ ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით (6, 7), ამ ტიპის ფორმებს (*გონიესაა, სტირასა*) XI საუკუნით დათარიღებული ერთი და იგივე ხელნაწერი (H-341) გვიჩვენებს. პავლეს ეპისტოლეთა ტექსტის შემცველი ხელნაწერებიდან ასეთ გამოკვეთილ ტენდენციას ისევ ერთი და იგივე ხელნაწერი (T) გამოავლენს (13, 14). განსაკუთრებით თვალში საცემია ამ ტიპის ფორმების სიხშირე „ალექსანდრიანში“ (24-35), რომლის ხელნაწერებიც გვიანი საშუალო ქართულის პერიოდისაა (ძირითადად, XVIII-XIX საუკუნეებისა). ზოგადად, წერილობით ძეგლებში *ვალსაა* ტიპის ფორმების სიმცირეს შეიძლება მოექმნოს ლოგიკური ახსნა: ცხადია, ნებისმიერი გადამწერი ეცდებოდა, ტექსტი ნორმების დაცვით უშეცდომოდ გადაეწერა, მაგრამ ზოგჯერ სიფრთხილე ღალატობდა და მისი ენობრივი კოლექტივისთვის დამახასიათებელი ფორმები ეპარებოდა [სარჯველაძე, 1984].

3. რადგან ვსაუბრობთ ისტორიულ მოვლენაზე და არა ენის სინქრონიული დონის ფაქტზე, ამასთანავე, არ ვიცით, ზუსტად როგორ წამოითქმოდა *ვალსაა* ტიპის ფორმები, ცხადია, დაბეჯითებით რამის მტკიცება გაჭირდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტექსტის პუბლიკაცია თუ ტექსტურ მონაცემთა ელექტრონული ბაზა, მიზეზთა გამო, ყოველთვის ვერ ასახავს ხელნაწერის რეალურ ვითარებას. ის გარემოება, რომ *ვალსაა* ტიპის ფორმებზე არაა საუბარი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, იძლევა ფიქრის საფუძველს, რომ, დიდი ალბათობით, ისინი **გადამწერთა მექანიკურ შეცდომად** იქნებოდა მიჩნეული და ამავე მიზეზით

[ჩიქობავა, 1924:347; 1935:42]²² და მიუთითა, რომ ტონური მახვილი თითქმის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის სიტყვას, მაგრამ **იშვიათად – უკანასკნელსაც, სათანადო ხმოვანი კი გაგრძელებულად წარმოითქმის** (ხაზი ჩვენია – ლ.ც.) [ჩიქობავა, 1924:347; 1936:41-42].

²³ ცნობილია, რომ ძველ ქართულში წერდნენ ისე, როგორც წარმოთქვამდნენ.

ზოგჯერ შესაძლოა, არც ასახულიყო ტექსტის პუბლიკაციაში²⁴. უნდა ითქვას, რომ საკითხის ამგვარად დასმაც არაა გამორიცხული, მეტადრე, თუ ეს მოვლენა არაა კონკრეტული ხელნაწერისთვის დამახასიათებელი და მასში ერთი-ორი ასეთი ფორმა თუ დასტურდება.

ლიტერატურა:

ბაბუნაშვილი ე. (1953). ნაწილაკები ძველ ქართულში, სადისერტაციო შრომა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

გიგინეიშვილი ბ., სარჯველაძე ზ. (1978). ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, მრავალთავი, VI.

დანელია კ. (1998). ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.

დანელია კ. (2009). ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, II, თბილისი.

ლომთათიძე ქ. (1942). კითხვითი ფორმები აფხაზურში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №9, თბილისი.

როგავა გ. (1963). მახვილის საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბილისი.

რუხაძე ნ. (2008). კითხვითი ნაწილაკის ისტორიისათვის უდიურში, II საერთაშორისო სიმპოზიუმი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები, ეძღვნება აკად. არნ. ჩიქობავას დაბადების 110 წლისთავს, მასალები, თბილისი.

სარჯველაძე ზ. (1984). ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

სარჯველაძე ზ. (1997). ძველი ქართული ენა, თბილისი.

უთურგაიძე თ. (1966). კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში, იკე, XV, თბილისი.

ქალდანი მ. (1964). კითხვითი, განსაზღვრებითი და გამლიერებითი ნაწილაკები სვანურში, იკე, XIV.

ყაუხჩიშვილი თ. (1946). ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იკე, I, თბილისი.

შანიძე ა., ბარამიძე ალ., აბულაძე ი. (1955). ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი.

შანიძე ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი.

ჩიქობავა არნ. (1924). გრძელი ხმოვნები მთიულურში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV.

ჩიქობავა არნ. (1936). ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

²⁴ ხელნაწერები ამ მხრივ უფრო საინტერესო მასალის შემცველია.

ჩიქოზავა არნ. (1942). მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №2 – 3, თბილისი.

შემოკლებათა განმარტება:

„ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა (titus.uni-frankfurt.de):

ალექსანდრ. – რევაზ მირიანაშვილი, ალექსანდრიანი, თბილისი, 1980.

ბახთიარ-ნამე – ალ. გვახარია, სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, ბახთიარ-ნამე, თბილისი, 1968.

დიდი სჯულ. – დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.

დილარ. – დილარიანი, თხზულება პეტრე ლარაძისა, ტფილისი, 1903.

თარგმან. – წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I-III, თბილისი, 1996-1999.

თეოფ. – თეოფილე ხუცესმონაზონი, მამათა სწავლანი და თხრობანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს მ. დვალმა და დ. ჩიტუნაშვილმა, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, III, თბილისი, 2014.

კორინთ. I – პავლე მოციქულისა წიგნი კორინთელთა მიმართ პირველი: ქ. ძოწენიძე და კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 16, თბილისი, 1974.

კათ. ეპისტ. – ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბილისი, 1956.

კლემაქსი – ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემაქსი რომელ-არს კიბე, ფოთი, 1902.

მამ. სწავ. – მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის ძეგლები, 8, თბილისი, 1955.

მამათა ცხორ. – ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), თბილისი, 1975.

მგზავრ. – გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1967.

მეტაფრას. – ნ. გოგუაძე, ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, 7, თბილისი, 1986.

პროტოევ. – იაკობის პროტოევანგელე: G. Garitte, Le Protévangile de Jacques en Géorgien, Le Muséon 70, 1957.

სინ. მრავ. – სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბილისი, 1959.

უდაბნ. მრავ. – უდაბნოს მრავალთავი, ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 28, თბილისი, 1994.

უძვ. იადგ. – უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980.

ფსევდომავ. – ფსევდომავარის თხზულებათა ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, 4, თბილისი, 1982.

ქართ. ცხ. მარ. – ექვთიმე თაყაიშვილი, ქართლის ცხოვრების მარიამ დეოფლის ვარიანტი, ტფილისი, 1906.

ძვ. ქართ. აგიოგ. I - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.

ძვ. ქართ. აგიოგ. II – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.). დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967.

ჰრომ. – პავლე მოციქულისა წიგნი ჰრომაელთა მიმართ საკითხავი. ქ. მოწენიძე და კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 16, თბილისი, 1974.

Lela Tsikhelashvili

On the Forms of *valsaa* Type in the Old Georgian Interrogative Sentences

Abstract

The markers of interrogative sentences in Old Georgian are question-words or interrogative particles (chiefly, -a). However, in rare cases, there are sentences in which the question is marked only by means of intonation (interrogative tone).

The paper analyzes the forms of *valsaa* type, which are sometimes found in the texts of Old and Middle Georgian. In these forms, one -a represents an interrogative particle, whereas the function of the other -a is uncertain. The existence of such forms may be explained in three ways: 1. They can be considered as examples of the so-called **pseudo-grammatical spelling**; 2. **Phonetic** or 3. **Mechanical error** of the scribe.

რეცენზენტი: პროფ. მ. ქაცარავა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

ლევან ბებურიშვილი

თბილისი, საქართველო

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების
საკითხი ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევში

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეით ჩვენს სინამდვილეში XIX საუკუნის ბოლოდან დადგა. 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელიც მწერლის აზროვნების მასშტაბურობის ბრწყინვალე დასტურად გვევლინება და მრავალი კუთხით სადღეისოდაც ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველას შეხედულებები კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხზე ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდ მსგავსებას ავლენს გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევთან. ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის შეხედულებათა პარალელური განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მივიდეს გამორჩეული ანალიტიკური ტალანტით დაჯილდოებული ორი დიდი მოაზროვნე მსგავს დასკვნებამდე ისე, რომ არ იცნობდეს ერთმანეთის ნააზრევს.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, ნიკოლაი ბერდიაევი, კოსმოპოლიტიზმი, პატრიოტიზმი

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებული

სიმწვავით ჩვენს სინამდვილეში XIX საუკუნის ბოლოდან დადგა. აღნიშნული საკითხი მეტად მტკივნეულად განიცდება სადღეისოდაც, გლობალიზაციის ფონზე. სულ უფრო მზარდი, საყოველთაო გულგრილობა ეროვნული ფენომენის მიმართ მრავალგვარ საფიქრალს აღუძრავს პატარა ერის შვილებს.

1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელიც მწერლის აზროვნების მასშტაბურობის ბრწყინვალე დასტურად გვევლინება და მრავ ალი კუთხით სადღეისოდაც ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას. წერილის დაწერის ბიძგი ვაჟას, რა თქმა უნდა, ქართულმა სინამდვილემ მისცა, კერძოდ – ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისაგან მომდინარე საფრთხემ. ქართული სოციალ-დემოკრატია, ე. წ. „მესამე დასი“, 1898 წლიდან აქტიურად დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძესა და გაზეთ „ივერიის“ ეროვნულ იდეოლოგიას. ინტერნაციონალიზმი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი იყო, რაც გულისხმობდა სოციალური ფაქტორის პრიმატს ეროვნულზე. პროლეტარიატის ბელადთა თქმით, „მუშებს არა აქვთ სამშობლო“ [მარქსი... 1978: 34]. მარქსისა და ენგელსის მოწოდებამ – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ [მარქსი... 1978: 79], – მრავალს დაუბინდა გონების თვალი, მათ შორის – ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც, რომელთაც ეროვნული მოძრაობა შეაფასეს, როგორც არისტოკრატისა და კაპიტალისტების ინტერესების გამომხატველი იდეოლოგია. ნოე ჟორდანიას კმაყოფილებით ირწმუნებოდა, რომ „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორც ქართველ ხალხს... ნაციონალური დროშა ხალხმა უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა“ [ჟორდანია, 1908: 3, 5].

ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდობიდანვე ყურადღებით ადევდებდა თვალს „მესამედასელთა“ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ღიად მიუთითებდა მათი აზროვნების ზედაპირულობაზე, ცალმხრივობაზე, სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში სიღრმისეულად გათვითცნობიერების უუნარობაზე. გულისტკივილით წერდა ვაჟა: „მრწამს, რომ ყოველ ერს ჯერ თავისი თავი ენიაზება, თავისთვინ უნდა კეთილი, თავის საქმეების მოწესრიგება ე. ი., როგორც ხალხი ამბობს: ყველა თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცქერის და ხეირი იმდენად უნდა, რამდენადაც თავადაც გამოადგება იგი. მხოლოდ ერთს ნაწილს ქართველებისას არა სწამს, რომ ეს ასეა და ესენი გახლავან „დასელები“, რომელნიც ქადაგებენ სხვა გავაბედნიეროთ, გავაპლიეროთ და ამით ჩვენც ძლიერნი შევიქნებითო“ [ვაჟა-ფშაველა, 1964ბ: 117]. მწერალი ხაზს უსვამდა მარქსისტული ინტერნაციონალიზმის სქემატურობას და მიუთითებდა, რომ ეს მოძღვრება ადამიანის შინაგანი, სასიცოცხლო მისწრაფებების გამომხატველი კი არ იყო, არამედ ცივი გონების მიერ შექმნილი იდეოლოგიური კლიშე.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მომმლავრებასთან ერთად კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების პრობლემა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, რუსულ სინამდვილეში დადგა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველას შეხედულებები ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდ მსგავსებას ავლენს გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევთან. თუ ვაჟა-ფშაველას წერილი 1905 წელს დაიბეჭდა, ნ. ბერდიაევის ამ თვალსაზრისით საყურადღებო ნაშრომები: „ნაციონალიზმი და კაცობრიობა“, „ერის შესახებ“, „კაცობრიობის ერთიანობა და ნაციონალიზმი“ 1917-1918 წლებში გამოქვეყნდა.

ვნახოთ უფრო კონკრეტულად, თუ რა საერთო მიდგომები ვლინდება ორი დიდი მოაზროვნის შეხედულებებში.

ვაჟა-ფშაველა მსჯელობას იმის მტკიცებით იწყებს, რომ ყოველმა ადამიანმა თავისი შემოქმედებითი ძალები უნდა მიმართოს იმ საზოგადოების საკეთილდღეოდ, რომლის ბუნებრივი წევრიც არის. შეუძლებელია აბსტრაქტული მსახურება კაცობრიობისათვის. მხოლოდ მშობლიური გარემოს წრფელი სიყვარული შეიძლება გახდეს ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმის საფუძველი და არა პირიქით: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამომემთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის“ [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 252].

მწერლის აზრით, ყოველ ნორმალურ ინდივიდს მშობლიური გარემოსადმი სრულიად განსაკუთრებული ემოციუ-რი დამოკიდებულება უყალიბდება: „ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერთი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება!.. თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს“ [ვაჟა-ფშაველა, 1964 : 254].

ვაჟა-ფშაველა თვლის, რომ ეროვნული ფენომენის უარყოფა ნიშნავს საკაცობრიო მრავალფეროვნებასა და უნივერსალიზმზე უარის თქმას, ბუნების წესების წინააღმდეგ გალაშქრებას: „ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს“ [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 254].

„ჩვენებური“, ყოვლად მახინჯი კოსმოპოლიტიზმისაგან განსხვავებით, ვაჟა-ფშაველა აყალიბებს ამ ტერმინის საკუთარ გაგებას: „კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერთი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო

არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს" [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 254]. ამგვარად გაგებულ კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმს შორის, მწერლის თქმით, ცხადია, არ არსებობს შინაგანი წინააღმდეგობა. შესაბამისად, „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია" [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 254].

ნ. ბერდიაევის შეხედულებები აღნიშნულ საკითხზე ვაჟა-ფშაველას მსჯელობასთან დიდ სიახლოვეს ავლენს. რუსი ფილოსოფოსის თქმით, კონფლიქტი ეროვნულსა და საკაცობრიოს შორის ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის მიერ ხელოვნურადაა შექმნილი. სინამდვილეში „შეუძლებელია და უაზროა დაპირისპირება ეროვნებისა და კაცობრიობისა, ეროვნული სიმრავლისა და ყოვლადსაკაცობრიო ერთიანობისა... ადამიანი შედის კაცობრიობაში თავისი ეროვნული ინდივიდუალობით, როგორც ეროვნული ადამიანი, არა როგორც განყენებული კაცი" [ბერდიაევი, 1993: 47, 52].

ბერდიაევის თვალსაზრისით, მარქსისტული კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ აბსტრაქციაა. იქ, სადაც უარიყოფა ეროვნული ხასიათის განუმეორებლობა, რჩება სიცარიელე, ნაციონალურ ძირებს მოწყვეტილი ადამიანი კი ეროვნულ იდენტობასაც კარგავს და ვერც კაცობრიობის სრულფასოვანი წევრი ხდება: „კონკრეტულ ყოვლადერთიანობაში არ შეიძლება არსებობდეს დაპირისპირება ერსა და კაცობრიობას შორის... მსოფლიურობაში ერი და კაცობრიობა ერთიანი კოსმიური იერარქიის განუყოფელი და ერთმანეთის მგულისხმებელი წევრები არიან. ინტერ-ნაციონალიზმში ერი და კაცობრიობა ერთმანეთს გამორიცხავენ, აღარც ერია და აღარც კაცობრიობა, რადგან აღარ არის კონკრეტული რეალობა, არავითარი კონკრეტული ინდივიდუალობა, არამედ მხოლოდ განყენება" [ბერდიაევი, 1993: 19-20].

ორივე მოაზროვნე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს პატრიოტული გრძნობის ბუნებაზე. სამშობლოს, მშობლიური გარემოს სიყვარული, მასზე ემოციური მიჯაჭვულობა ისეთი განცდაა, რომელიც ყველა ნორმალურ ინდივიდს ბუნებრივად უყალიბდება: „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს" [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 253]. ვაჟა-ფშაველას მიხედვით, თუ პატრიოტულ გრძნობას საფუძველი ადამიანის შინაგანი სამყაროს უღრმეს შრეებში აქვს, კოსმოპოლიტიზმი პრაგმატული გონების ნაყოფია: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჰკუა-გონებისა..." [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 254].

ანალოგიურად მსჯელობს ნ. ბერდიაევიც. მისი შეხედულებით, განსხვავებით კოსმოპოლიტიზმისაგან, პატრიოტიზმი არ საჭიროებს ფილოსოფიურ დასაბუთებას, რადგან მისი სათავე ადამიანის გრძნობათა სამყაროშია: „პატრიოტიზმში ეროვნული ცხოვრება უშუალოა

და ბუნებრივი... პატრიოტიზმი უქველად ემოციური ღირებულებისა და არ საჭიროებს გონებისმიერ გამართლებას" [ბერდიაევი, 1993: 111].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ორივე მოაზროვნე საგანგებოდ მიუთითებს კულტურაზე, სფეროზე, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ ხორციელდება ეროვნულისა და უნივერსალურის სინთეზი. გენიალური შემოქმედი ერთდროულადაა როგორც ნაციონალური, ისე – ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი. ვაჟას თქმით, გენიოსი სახეა თავისი ხალხისა, რადგან მის შემოქმედებაში სიღრმისეულადაა ასახული ერის ეთნოფსიქოლოგია და ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები: „დიდის სიყვარულის მოხვეჭა... მხოლოდ დიადს ადამიანს, გენიოსს შეუძლიან, რომელიც ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში მოუყრია თავი" [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 304]. მართალია, გენიოსთა შემოქმედება ეროვნულ ნიადაგზეა ამოზრდილი, მაგრამ ზოგადკაცობრიულია თავისი მასშტაბებით, რამდენადაც უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის: „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა... გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს – არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება..“ [ვაჟა-ფშაველა, 1964ა: 253].

კულტურის ბუნებაზე ანალოგიურად მსჯელობს ნ. ბერდიაევიც. მისი აზრითაც, სწორედ კულტურაში ხორციელდება სვლა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, ეროვნულიდან – უნივერსალურისაკენ: „კულტურა არასოდეს ყოფილა და არც ოდესმე იქნება განყენებულ-კაცობრიული, ის ყოველთვის კონკრეტულ-კაცობრიულია ანუ ეროვნულია, ინდივიდუალურ-ხალხურია და მხოლოდ ამ თვისებით აღწევს იგი ზოგადკაცობრიულს" [ბერდიაევი, 1993: 54].

რუსი ფილოსოფოსის თქმით, სწორედ გენიოსის შემოქმედებაში ხდება სინთეზირება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებებისა: „ყველაფერი რაც კი კულტურაში შემოქმედებითია, ეროვნული გენიოსის ბეჭედს ატარებს... ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა სწორედ ეროვნულ შემოქმედებას აქვს, ოღონდ თავის უმწვერვალეს გამოხატულებაში... დოსტოევსკი რუსული გენიაა... იგი რუსული სულის სიღრმეებს უმზეურებს მსოფლიოს. მაგრამ ყველაზე რუსი რუსთა შორის ამავე დროს ყველაზე ყოვლადსაკაცობრიო, ყველაზე უნივერსალურიც არის რუსთა შორის... გოეთე უნივერსალურია არა როგორც განყენებული ადამიანი,

არამედ როგორც ეროვნული ადამიანი, გერმანელი... დანტე, ლ. ტოლსტოი, შექსპირი თუ გოეთე ნაციონალურნიც არიან და უნივერსალურნიც ერთდროულად" [ბერდიაევი, 1993: 54-55, 107-108].

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების თაობაზე ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა პარალელური განხილვა ნათლად გვიჩვენებს, თუ რო გორ შეიძლება მივიდეს გამორჩეული ანალიტიკური ტალანტით დაჯილდოებული ორი დიდი მოაზროვნე მსგავს დასკვნებამდე ისე, რომ არ იცნობდეს ერთმანეთის ნააზრევს.

ლიტერატურა:

ბერდიაევი 1993: ბერდიაევი ნ. ერი და კაცობრიობა. თარგმნა ზ. კიკნაძემ. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1993.

ვაჟა-ფშაველა 1964ა: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964ბ: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1979: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი: ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

მარქსი... 1978: მარქსი კ., ენგელსი ფ. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1978.

ჟორდანიას 1908: ჟორდანიას ნ. ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი ქუთაისი: 1908.

Levan Beburishvili

The problem of relationship between cosmopolitanism and patriotism in the thought of Vazha-Pshavela and Nikolai Berdyaev

Abstract

In the modern reality the problem of the relationships between the national and universal human values has been most urgently arisen since the end of the XIX century, when the social-democratic and anarchist international ideas gained the sufficient popularity over the whole Russian Empire. The problem of the relationship between cosmopolitanism and patriotism is fixed and reviewed from the ethical perspective by Vazha Pshavela. Along with strengthening the social-democratic movement the above mentioned problem was obviously arisen, first of all, in the Russian reality. The utmost interest should be taken in the circumstance that from the typological perspective Vazha Pshavela's believes appear to be similar to the thoughts of the Russian Philosopher, Nikolay Berdyaev. The parallel review of Vazha Pshavela and N. Berdyaev's world-outlook shows how the two great thinkers endowed with the distinguished analytical talent can reach the similar conclusions not being aware of each other thoughts.

რეცენზენტი: პროფ. ა. ლევიცკი

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

გურანდა გობიანი

ქუთაისი, საქართველო

მეხსიერების ფენომენის პოსტმოდერნისტული „ანაბეჭდები“
გონის ანთროპომეტრულ ჭრილში
(ნ. გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“

ნ. გელაშვილის მოთხრობა „ჩვენება (ანაბეჭდები)“ ინპლიციტურ და ცნობიერ მეხსიერებაში აღდგენილი მიკროტექსტების კომპოზიციურ მთლიანობას წარმოადგენს. ავტორი საკანცელარიო საბუთების, ჩანაწერებისა და განცხადებების საფუძველზე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებს ქმნის, რომელშიც ყოველგვარი ჰარმონიის გარეშე წარმოდგენილი ჰეტეროკლიტური ელემენტების კოლაჟი, ერთგვარ ქაოტურ სურათს ხატავს, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის გელაშვილის ინტერტექსტულურ სამყაროს.

ავტორი მშრალი „ჩვენებებითა“ და „განცხადებებით“ კარგად ახერხებს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასახვას, მისი შინაგანი და სულიერი განწყობის, როლისა და ადგილის პოვნას, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსადმი. ცნობიერებასა და რელობას შორის არსებული ტრაგედია ნარატივში გადმოცემულია ორმაგი კოდირებით, რაც, ზოგადად, პოსტმოდერნისტული „ღია ტექსტისათვის“ დამახასიათებელი ნიშანთვისებაა.

ტექსტში უდიდეს ადგილს იკავებს ასოციაციები, რემინისცენია-ალუზია, ორაზროვნება, სიმბოლოზობა, მცირე ისტორია, მოულოდნელობით დატვირთული სივრცეები, ინტერტექსტუალობა.

საკვანძო სიტყვები: ნ. გელაშვილის მოთხრობა „ჩვენება (ანაბეჭდები)“, მიკროტექსტები

პოსტმოდერნიზმმა, ორმაგი კოდირების პრინციპზე დაყრდნობით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ელიტარული და პოპულარული კულტურის ერთ სფეროში გაერთიანების უნარი შეიძინა, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ხელოვნების და რეკლამის შერწყმა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნ. გელაშვილის მოთხრობა „ჩვენება (ანაბეჭდები)“. ავტორი საკანცელარიო საბუთების, ჩანაწერებისა და განცხადებების, გამონაგონისა და ნამდვილის, ილუზიურისა და რეალურის ონტოლოგიური აღრევის საფუძველზე, ერთგვარი პოსტმოდერნისტული სიმულაციით, უაღრესად მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწარმოებს ქმნის, რომელშიც ყოველგვარი ჰარმონიის გარეშე წარმოდგენილი ჰეტეროკლიტური ელემენტების კოლაჟი, ერთგვარ ქოტურ სურათს ხატავს, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის გელაშვილის ინტერტექსტუალურ სამყაროს. „ჩვენება (ანაბეჭდები)“ ინპლიციტურ და ცნობიერ მახსიერებაში აღდგენილი მიკროტექსტების მთლიანობაა. ავტორი მშრალი „ჩვენებებითა“ და „განცხადებებით“ კარგად ახერხებს პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასახვას, მისი შინაგანი და სულიერი განწყობის, როლისა და ადგილის პოვნას, სადაც ნათლად იკვეთება ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსთან, მის ცნობიერებასა და რეალობას შორის არსებული ტრაგედია.

პოსტმოდერნიზმისათვის ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, თამაშია, თავის მხრივ თამაში კი, სამყაროს შემეცნების, განმარტებისა და თარგმანების საშუალება. თავისუფლება „თამაშში“ პოსტმოდერნიზმის მთავარი „იარაღია“. „ადამიანი ჩაბმულია თამაშში საკუთარ წარმოდგენებთან, მატერიალურ საგან-მოვლენებთან, დრო-სივრცესთან და, რაც მთავარია, ენასთან, რომელიც მისთვის, ფაქტობრივად, ერთადერთი რეალური მოცემულობაა“ (წიფურია ბ. გვ. 25). მწერალი სრულიად განსხვავებულ, თავისუფალ „სივრცეშია“ მოქცეული, მთავარი და არსებითი არის „ტექსტი“ - „სამყარო, როგორც ტექსტი“ და „ცნობიერება, როგორც ტექსტი“, რაშიც უდიდეს ადგილს იკავებს ასოციაცია, ორაზროვნება, სიმბოლოზობა, სიღრმე და ზედაპირულობა ერთდროულად, მცირე ისტორია, მოულოდნელობით დატვირთული სივრცეები, „თამაშისკენ“ მიდრეკილება, ორმაგი კოდირება, პაროდირება, დეკონსტრუქცია, „ავტორი ნიღაბი“ და ა.შ

მოთხრობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბუთებსა და დოკუმენტებზეა აგებული, რომლებიც გარკვეული ტექსტებია წარსულის შესახებ, „ ჩვენება იმ საგნებისა, რომლებზედაც რჩებოდა ჩვენი მარტოობის, ჩვენი ჯავრის, ჩვენი თითების ანაბეჭდები...“ [გელაშვილი, 2010:82]. ეს „ცნობები“, ფაქტობრივად, ადამიანის გონის იმპლიციტურ მახსიერებაში მოხვედრილი შინაარსებია, რომლებიც ცნობიერი მახსიერებისათვის მიუწვდომელია, მაგრამ მაინც მახსიერებას განეკუთვნება და გავლენას ახდენს მის ქცევაზე. ნაწარმოებში ნებისმიერი

მოქმედება პერსონაჟთა (პერსონაჟის) სულიერ განწყობასთან არის დაკავშირებული. ყოველი „ჩვენება“, „დოკუმენტი“, „განცხადება“ თუ „სამედიცინო დასკვნა“, ტოვებს განსაკუთრებულ, წარუშლელ „ანაბეჭდეს“ გმირის ქვეცნობიერ არსზე, თითქოს, გარკვეულწილად, მართავს მის საბედისწერო ცხოვრებას და, საბოლოო ჯამში, ხსნის ნაწარმოების შინაარსს. ეს არის, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ერთი თბილისელი ბიჭის ცხოვრება და, ზოგადად, კაცის ცხოვრების ისტორია „სკოლის ზარიდან“ - „გლოვი ს ზარამდე“. „ერთი სიცოცხლე, სადაც მე ვერ ვერევი, ვერ ჩავერიე, ვერაფერი ვერ გადავადგილე და ვერ შევცვალე...“ [გელაშვილი, 2010:84].

ნაწარმოების ერთი ეპიზოდი, მთლიანად მეტატექსტია, ანუ „ამბის თხრობისას მწერალი თხრობის ამბავსაც ამბობს“ (ზ. ქარუმიძე). მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს როგორც მოთხრობის იდეურ-აზრობრივი, ასევე თეორიული თვალსაზრისითაც. რეალურისა და ილუზიურის სიმულაციური აღრევით პოსტმოდერნისტი მწერალი თავისი ნაწარმოების სამყაროში აღწევს და მკითხველს „ეკონტაქტება“. ეს ესეისტურ-თეორიული ნაკადი არის დიალოგი თანამედროვე მწერალსა და „ყოველგავრ სიახლეთათვის მზადმყოფ მკითხველს“ (ნ. გელაშვილი) შორის, რითაც უფრო ნათელი ხდება ნ. გელაშვილის მიერ დანახული „ქალაქზე აღბეჭდილი, დანომრილი, გაჩერებული ჩვენი ცხოვრების“ [გელაშვილი, 2010:82]. მიღმა არსებული სამყარო, რომელიც ფიქრთა ჭიდილით, სევდით, ტკივლით, ტრაგიზმითა და მწუხარებით არის აღსავსე.

ავტორი მწერლობას და, ზოგადად, შემოქმედებით პროცესს, შინაგან და საბედისწერო საქმიანობას უწოდებს: „ბედისწერებს რომ აღვწერთ, თავად ვართ წერაატანილება ამ დროს: ბედისწერის ცხარკლიტულის ჭუჭრუტანებში იმდენ ხანს ვიჭვრიტებით თავწახრილნი, ვიდრე ბოლოს მართლა არ გამოვახედებთ და არ მივიპყრობთ იმის მუქ მზერას“ [გელაშვილი, 2010:83]. ყველა ეს საბედისწერო ამბავი, „ტანჯვა და აზრი“ მწერლის სულში იყირს თავს, გროვდება და გამოთქმას ითხოვს სიტყვებად, ლექსებად, მოთხრობებად... თუმცა ავტორმა კარგად იცის, რომ მწერლობა უბრალოდ დაპირებაა და „ეს დაპირება უმეტესად ფერადი ბუმტივით ლაპლაპებს ჰაერში...და ის...ვინ და ადამიანი, აქ სრულიად მარტოა.....გულდაწყვეტილი, ამაოდ მომლოდინე მზერით, როგორც კაცი, რომელსაც ხელისგულში ხიჭვი აქვს, მას კი ხელისგულის საინტერესო ხაზებზე ესაუბრებიან ოსტატურად, იდუმალი ჩურჩულით ან სულაც ხიჭვის შემადგენლობას განუმარტავენ სიმღერ-სიმღერით...“ ამ მიგნებული შედარებით ავტორმა მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა ადამიანის მარტოობის ტრაგიზმი საზოგადოებრივი გულგრილობის და ირონიის ფონზე და კიდევ ერთხელ მიაწვდინა ხმა „დღევანდელ მკითხველს“, რომელსაც იმედი აქვს, რომ თუ ტკივილს ვერ მოურჩენს და გაუყუჩებს, რითაც ასე დადღასმული და „კალთაუხვია“ ჩვენი საუკუნე, იმას მაინც მიახვედრებს, რა რატომ სტკივა, ან ახალ ტკივილს მაინც გაუჩენს - უფრო ნამდვილს, უფრო საჭიროს [გელაშვილი, 2010:82].

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველთან საუბრისას ავტორი ცალსახად აფიქსირებს მიუკერძოებლობას და ცდილობს განზე გადგეს, არ ერევა და თითქოს არაფერს ცვლის მთავარი გმირის ისტორიაში, მაინც აშკარად იკვეთება მწერლის უდიდესი თანაგრძნობა და სიყვარული ცხოვრების ლაბირინთებში დაკარგული, „ზაფრანაღვრილი“ კაცისადმი, რომლის სიცოცხლე გაჩენის დღიდან უდიდესი ტკივილით იწყება (დედა მშობიარობას გადაჰყვა) და ნომრებზე, რიცხვებზე, ცნობებზე, ჩანაწერებზე, ყვითელ ქაღალდებზე გავლით, რომლებზედაც თითოეული ადამიანის ცხოვრება მიედინება, იმავე საბედისწერო დღეს, თავის დაბადების და დედის გარდაცვალების დღეს, 4 ივლისს სრულდება. ავტორი გიორგი გიორგობიანის „ცხოვრების დანომრილ საფეხურებს“ , რომლებიც, სავარაუდოდ, ნაცრისფერ, ან ხაკისფერ, ან ფერდაკარგულ ცისფერ საქაღალდეში იქნებოდა თავმოყრილი, თბილ ლურჯ ქსოვილში ახვევს და გულთან მიკრული დაატარებს, იმ იმედით, რომ „საშინელების წინა წამს“ შეაჩერებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საყოველთოდ ცნობილ რიტორიკულ შემახილს „შეჩერდი წამო!“ სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია აქვს მიღებული ნაწარმოებში, ის ერთგვარი დეკონსტრუქციაა კლასიკური ტექსტისა, რაც, ზოგადად, კიდევ ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია პოსტმოდერნი-სტული მწერლობისა. „შეჩერდი წამო! ორი წამით შეჩერდი! დარჩეს სამყაროს გაჩერებული წამის სურათი, განა იმიტომ, რომ მშვენიერი ხარ, არა, საშინელების წინა წამი ხარ და თუკი ოდნავ შეჩერდები და გაგრძელები, აღარ მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს შენს შემდეგ“ [გელაშვილი, 2010:94], მაგრამ ამაოდ, „მარადისობის მოძრავი ხატი“ უტიფრად განაგრძობს სრბოლას და ხდება ის, რაც მოსახდენია... მოთხრობის გმირი, გიორგი გიორგობიანი, ფიქრებსა და მეხსიერების სიღრმიდან ამოტივტივებულ წარმოდგენებსა თუ წარმოსახვებში გახვეული, გზაზე გადმომხტარი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენას ახერხებს და თავად ხრამში იჩეხება.

ტექსტში, მშრალ დოკუმენტებსა და რიცხვებს შორის, როგორცაა: მშობიარობის ისტორია, ანამნეზი, თერაპევტის კონსულტაცია, ბავშვის განვითარების ისტორია, ატესტატი, პასპორტის ამონაწერი და სხვა, შიგადაშიგ, ხშირად ვხვდებით პერსონაჟთა ფიქრებსა და განცდებს, რასაც ავტორი ასეთ „გამართლებას“ უძებნის : „მე ვერ შევძელი მარტო დამეტოვებინა ადამიანები მათ უდიდეს სიმართლევებში...მე ჩავერიე იქ, სადაც ისინი სულ ახლოს იყვნენ საფრთხესთან... და ისე ახლოს მივედი, რომ მათში ჩავსახლდი“ [გელაშვილი, 2010:85]. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შთამბეჭდავი და ემოციურია მომაკვდავი დედის ფიქრები, მთავარი გმირის სიკვდილის აგონია და მამის დატირების სცენა, რომლებიც, მართლაცდა, წარუშლელ ანაბეჭდებს ტოვებს მკითხველის მეხსიერებაში და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ამქვეყნიურ ამოებაზე. „ყველა საყდარი დაგენგრევა მიუსაფარო, ყველა სამკვიდრო... დედის საშოდან გამოდევნილო, გზას გაუდგები, საით? შენს კანს, რომელიც ასკილის ფურცელზე უფრო

ნაზია, შეეხეთქება სამყაროს ხაო, სიცოცხლის ხორკლი...საით წახვალ, სად გეძახიან...ხელებს აცეცებ წყვილიაღზე და გზას მიიკვლე, ვინ გელოდება, ვინ მოგყვება..." - ვკითხულობთ „ძველ წიგნში ბიბლიოთეკის ბეჭდით №100“, რომელიც, როგორც ირკვევა, გიორგობიანის დედის უსაყვარლესი წიგნი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ზემოხსენებული „წიგნის“ ერთი და იგივე ფრაგმენტი ორჯერ მეორდება ტექსტში და, გარკვეულწილად, კომპოზიციურად კრავს და აერთიანებს მოთხრობას. ნიშანდობლივია ისიც, რომ „ძველი წიგნი“, რომელსაც ავტორმა სათაურიც კი არ მისცა, დედიდან, მამის გავლით, შვილზე გადადის და საბოლოოდ მასთან იღებს ბინას. თითქოს ამ „წიგნით“ მომაკვდავი დედა ცდილობს უხილავი ძაფები გააბას შვილთან, რომლის ამქვეყნად მოვლინებასაც თავი სი სიცოცხლე ანაცვალა, თითქოს წინასწარ გრძნობს მისი გული მოსალოდნელ საფრთხეს და ცხოვრების სიმუხთლის, ადამიანთა მარტოობისა და მიუსაფრობის სამყაროსთან ჭიდილისთვის ამზადებს თავის პირმშოს, სიცოცხლის ალაყაფის კარებს უხსნის ფართოდ და ცხოვრების რთულ, წინააღმდეგობრივ, ტკივილითა და მწუხარებით, სევდითა და სიხარულით სავსე ასპარეზზე უშვებს თვალცრემლიანი, რათა მანაც ბოლომდე შეიგრძნოს ადამიანად ყოფნა-არყოფნის ტკბილ-მწარე სევდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გელაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედის ფენომენს („დედის ოთახი“) და, ზოგადად, ქალურ საწყისს, ის არის პირველწყარო დასაბამისა. „შენ რომ გაჩნდები, ჩემთვის ცხრა თვის და ერთი დღის იქნები, მამაშენისთვის ერთი დღის, მერე, ჩემთვის - ერთი წლის, მამაშენისთვის სამი თვის“ - ეჩურჩულება დედა ჯერარდაბადებულ, მუცლადმყოფ შვილს და თითქოს ამით დედის ფენომენის უპირატეს მისიას შეახსენებს ადამის მოდგმას, ის არასოდეს ტოვებს თავის „საწყალ თიკანს“ (ასე მოიხსენიებს თავის შვილს), ყოველი განსაცდელის ჟამს, მოთხრობის მთავარი გმირი, მთელი არსებით შეიგრძნობს გარდაცვლილი დედის სიახლოვეს: ბავშვობაში, როდესაც „წითელა“ შეეყრება და წითელკაბიანი, წითელმძივიანი ქალი მის საყვარელ ალუბლის ნამცხვარს აწოდებს (ალუბლის ნამცხვარი დედასაც ძალიან უყვარდა) და სიცოცხლისა და სიკვდილის გზაგასაყარზე, როდესაც ცაცხვის ტოტებიდან, დახურული ფანჯრის გავლით, გადმოსული ისევ წითელკაბიანი და წითელმძივიანი ქალი, წითელ ყვავილად ამოსული, ბნელეთის გზას უნათებს და თავისი გრძელი ხელებით თითქოსდა უმტკივნეულოდ გაჰყავს ცხოვრების ლაბირინთებიდან. თითქოს მხოლოდ დედას შეეძლო მისი შეცნობა, მისთვის ხმის მიწვდენა, რომელიც მუსიკის ჰანგებივით ჩაესმის გარდაცვალების მომენტში მომაკვდავ კაცს. მამისთვის ის ბოლომდე შეუცნობელი დარჩა: „ჩვეულებრივი კაცი არ იყავი, მაგრამ დამნახავი რომ არავინ იყო... რაღაც სხვა გინდოდა, ვერ ისვენებდი, სხვანაირად მინდა ყველაფერი, მამიო, ეგრე იცოდა ხოლმე მთვრალმა, სხვანაირადო, რა იყო ნეტა ეს სხვანაირი, რომ არ მესმოდა...ყველაფერი გქონდა თითქოს და ვერ ისვენებდი, სულ ჩქარობდი...სხვანაირად უნდა

ვცხოვრობდე, სხვანაირად... ქალი გვაკლდა, ალბათ, ბიჭო, ქალი...ალბათ ქალს უნდა გაეღო მამასა და ვაჟს შორის რომ რაღაც პიტალოა, ან ჩემს ცოლს, ან შენსას, მაგრამ რომ არ გამოგვივიდა ცხოვრება...ეჰ, რა ვიცი, გამოსდის კი ვინმეს?...“ [გელაშვილი, 2010:101]. ნ. გელაშვილის ნარატივში ფალო-ლოგო-ცენტრიზმს (მამაკაცურ საწყისს) ანაცვლებს მატრიარქალური პლასტები, რაც, როგორც ზ. ქარუმიძე აღნიშნავს, საზოგადო მოვლენა გახდა 90-იანი წლების კოლექტიური ქართული ცნობიერების ყველა სფეროსათვის (ზ.ქარუმიძე).

ადამიანი ბუნებით მიდრეკილია „მარადიული დაბრუნებისკენ“, მუდმივად ისწრაფვის დედობრივი წიაღისაკენ, საწყისისაკენ, რათა სიმშვიდე ჰპოვოს მშფოთვარე სულმა... „მოგენატრება დედის საშო თბილწყლებიანი...გამოდევნილო... შენ გიშორებს ყოველივე და, სულ გიბიძგებს...სიცოცხლეც ასე შეიკუმშება, რათა გაგდევნოს, ამოგისროლოს და იმწამსვე შეიკრას პირი“ [გელაშვილი, 2010:76]. დედის ალერსს, სითბოს, სიყვარულს, მზრუნველობას მიჩვეული, წყალს, ცრემლსა და სისხლში განათლული ადამიანი მარადიულ ძიებაშია: „მუდამ სახლს ეძებ, სულ დედა გინდა, გასურს ყოველივეს ჩაესახო და ისაშო, გინდა საყდარი იპოვო მყარი, მაგრამ ყოველი მიდის და მოდის..“(იქვე)... „და მაინც ვარსკვლავებისკენ უნდა იარო, სხვისკენ აიღო გეზი“, რამეთუ შენ გერგო უპირატესობა სიკვდილ-სიცოცხლის არსის შეცნობისა და „იმით ხარ უძლიერესი, რომ შენ ერთადერთს შეგიძლია შეიცოდო მთელი სამყარო“, სულში აიგო თეთრი შენობა, უხილავი, თბილი ტაძარი, რომელსაც დრო და ჟამი ვერაფერს დააკლებს, სადაც სიყვარულის, სიმართლისა და თავისუფლების ზარები რეკენ მარადიულად. ასეთია „ძველი წიგნის“ ფრაგმენტის დასასრული, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორჯერ მეორდება ტექსტში და ერთგვარ ოპტიმისტურ „დისონანსს“ ტოვებს სევდის ისტორიაში.

ავტორის მეხსიერებაში აღბეჭდილი და შემორჩენილი ე.წ. „ჩვენებები“, რომლებიც მთავარი გმირის, გიორგი გიორგობიანის არშემდგარი ცხოვრების ფრაგმენტებია, ერთგვარი პოსტმოდერნისტული სიმულაკრუმებია ტექსტში: „ანამნეზი“, „მშობიარობის ისტორია“, „თერაპევტის კონსულტაცია“, „ბავშვის განვითარების ისტორია“, „ამონაწერი № რაიონის ბავშვთა ოთახის საქმეებიდან“, „საშუალო განათლებით ატესტატი № 010030“, „პასპორტი“, „საქმე № 2003“, „ჩათვლის წიგნაკი“ და სხვა. მათ შორის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს „ძველი წიგნი, ბიბლიოთეკის ბეჭდით № 100“ და „ახალი წიგნი, ბიბლიოთეკის ბეჭდით № 1990“. ამ უკანასკნელით ავტორი, ფაქტობრივად, გამოეხმაურა თავისი თანამედროვე ეპოქის, „ახალ დროების“, ე.წ. 90-იანი წლების „სამოქალაქო თვითგვემის“ ეპოქალურ კატაკლიზმებს, „როდესაც ინფანტილიზმისა და ნარცისიზმის გადალახვის ნაცვლად ქართული ნაციონალიზმი კიდევ უფრო მეტად გაიჟღინთა ამ ტენდენციებით: „საქართველოს გლობალური უპატრონობის“ განცდამ ხალხი ფრუსტრაციაში ჩააგდო, მეტიც, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ

მიმართულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ისტერიული სახე მიიღო“ (ზ. ქარუმიძე). ნ. გელაშვილი თვალთ დაწახული 90-იანი წლების სურათი ასეთია: „...ქვეყანაზე ბატონობს ტკივილი, ის ალბათ ქვეყანაზე უფრო დიდია, მისია სიკვდილი და სიცოცხლეც მისია

ტკივილის აქვს აშლილი სახე და თეთრი ასკეტის თითები,
და ასე გგონია, ის ერთადერთია, რომლეზედაც შეგიძლია თქვა
დაბეჯითებით, რომ არ ის
ტკივილი – სამყაროს მძლეთანმძლეა თავად, დედაა ჩვენი,
შვილი და აკვანი“.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ მთელი ნაწარმოების იდეა ერთ წინადადებაშია მოქცეული: „ვირწევით სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ - ტკივილიდან ტკივილისაკენ...“ „მძიმე წიგნია ცხოვრება ჩვენი...თავზარდამცემი ნაწერთა და მუქი ფურცლებით“, სადაც „ხმადაბალი ოხვრით იფერფლება სიცოცხლე ჩვენი ქალაქის კუბოში“, როგორც ჩაიფერფლა გიორგი გიორგობიანის სიცოცხლე, რომელსაც „უნდა ეკაშკაშა და სანაცვლოდ მხოლოდ ბჟუტავდა“. ასეთია ნ. გელაშვილის სევდის ისტორია, რომელსაც სავსებით მოულოდნელი და ორიგინალური ფინალი მოუძებნა მწერალმა - „ამონაწერი სასკოლო რვეულიდან II კლასის მოსწავლის გიორგი გიორგობიანის. რვეული ქართული წერისათვის“, სადაც ბავშვური სუფთა ლოგიკითა და კალიგრაფიით ყველაზე ნათლად ჩანს მეოცნებე მარტოსული ადამიანის ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა, ტრაგიზმი და ბედისწერის მწარე ირონია.

ლიტერატურა:

1. ალხაზიშვილი გ, მუზაშვილი ნ, ქართული პოსტმოდერნი და ქართული დეკონსტრუქცია; ელექტრონული ბიბლიოთეკა www.lib.ge
2. ბარტი რ, ავტორის სიკვდილი, ჟურ. „სჯანი“, ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო კრებული №3, 2002.
3. გელაშვილი ნ. „ჩვენება (ანაბეჭდები)“. ნაირა გელაშვილი. თხზულებები I ტ. გამ: „კავკასიის სახლი“. თბილისი. 2010
4. მირცხულავა ლ. XX საუკუნის 80-იანი წლების ქართული პოსტმოდერნისტული პროზის თავისებურებანი. კულტურათათმცოდნის კომუნიკაციები. 2009. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e>
5. ნუგზარ მუზაშვილი, ჩვენ და ისინი, თბ., „მერანი“ 2004
6. ქარუმიძე ზ. პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი. თბილისი. 2009

Guranda Gobiani

Postmodern "Imprints" of Memory Phenomenon in the scope of Anthropometry of Mind


("Display (imprints)" by Naira Gelashvili)

Abstract

"Display (imprints)" by N. Gelashvili represents compositional unity of restored microtexts of implicit and conscious memory. The author creates postmodern work of great interest and significance by virtue of the stationary documents, notes and statements where collage of heteroclitite elements with scarcity of harmony depict a chaotic picture and all in all highlights intertextual world to which Gelashvili points.

Based on shallow indications and statements the author thoroughly illustrates psychological condition, inner self of human being, spiritual disposition, self-assertion in pursuit of role and place, which make it clear how people react toward outer world. The narrative conveys the tragedy between consciousness and reality by means of double encryption that is characteristic feature of postmodern "open texts".

The text can be distinguished by associations, reminiscence, allusion, ambiguity, symbolism, brief history, spaces with unexpected moments, intertextuality.



რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

გაბრიელ თაგაური

თბილისი, საქართველო

**ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების
ზოგიერთი იდეურ-სტრუქტურული მახასიათებელი**

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ქართული ზღაპრის იდეურ-სტრუქტურული მახასიათებლები და ის პრობლემური საკითხები, რომლებიც დღესაც კი გადაჭრას საჭიროებენ. ვ. ი. პროპის მიერ გამოვლენილი 31-ვე ფუნქცია ჯადოსნური ზღაპრებისა, უფრო უნივერსალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე წმინდად ეროვნულს. რამდენადაც ზღაპარი ნაციონალურ დას ასვამს ნარატივს, ჩვენი კვლევისათვის საყურადღებო საგანსა და შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, თუ როგორი ეროვნული ხაზით განვითარდა საერთო-ზღაპრული მოტივები, როგორი მოდიფიკაცია განიცადა ზღაპრის ზემოაღნიშნულმა ფუნქციებმა, და ასევე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, თუ რა ასახვა ჰპოვა ნაციონალურმა ბაზისმა ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების ტექსტებში.

საკვანძო სიტყვები: ქართული ზღაპარი, ჯადოსნური ზღაპრები, ლიტერატურული ზღაპრები

ზღაპარი კონკრეტული ქვეყნის კულტურულ წიაღში მწიფდება და ვითარდება, ამიტომ სხვადასხვა ხალხთა ზღაპრები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მკვეთრად გამორჩეული საცნობარო ნიშნებით. სწორედ ეს ნიშნები გახლავთ ჯერ დასადგენი და შემდეგ - დასახარისხებელი. აღნიშნული პრობლემა თავიდანვე მწვავედ იდგა მეცნიერთა წინაშე, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დღემდე არ ჩატარებულა სერიოზული კვლევა-ძიება. 1938 წელს გამოცემულ წიგნში - „ქართული ფოლკლორი“ პროფ. მ. ჩიქოვანი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას შემჩნეული ხარვეზის ამოვსების საჭიროებაზე: „ფოლკლორული ნაწარმოების განხილვა და შესწავლა იმავე წესით შეიძლება, რა წესითაც მწერლის თხზულება ისწავლება. განსხვავება მათ შორის იმ სპეციფიკურ ფორმაშია, რომლითაც, ვთქვათ, ზღაპარი განსხვავდება მოთხრობისაგან.“ ამ საკითხებს საეტაპო ნაშრომი მიუძღვნა ცნობილმა მკვლევარმა ვ. ი. პროპმა (მხედველობაში გვაქვს „ზღაპრის მორფოლოგია“, 1984), მაგრამ, დაგვეთანხმებით, საკითხის არასრულყოფილ გაგებად ჩაითვლება, უკლებლივ ის 31-ვე ფუნქცია ჯადოსნური ზღაპრებისა, უცვლელად და „ბრმად“ მოვარგოთ დღემდე შექმნილ ყველა ზღაპარს.

ქართულ ზღაპარში საოცარ სინქრონიზმში მოდის ერთმანეთთან ზღაპრის ექსტექსტი და ინტერტექსტი. ტექსტის ზედაპირზე ირეკლება რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი, რომლებიც საერთო იქნება ხალხური და ლიტერატურული ზღაპრებისათვის. შეიძლება, ქვემოთჩამოთვლილი კრიტერიუ-მებიდან რამდენიმე მათგანი სხვადასხვა ხალხთა ზღაპრებშიც შეგვხვდეს, მაგრამ რამდენადაც ზღაპარი ნაციონალურ დას ასვამს ნარატივს, ჩვენი კვლევისათვის საინტერესო და საყურად-ღებოა ის ფაქტი, თუ როგორი ეროვნული ხაზით განვითარდა საერთო-ზღაპრული მოტივები, როგორი მოდიფიკაციის გზა განვლეს პროპის ფუნქციებმა, და ასევე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, თუ რა ასახვა ჰპოვა ნაციონალურმა ბაზისმა ქართული ზღაპრის ტექსტში. ეს კრიტერიუმებია:

III პირში თხრობა. - აუცილებელი

ზღაპარში მთხრობელი/ავტორი არასოდეს მონაწილეობს და არც რომელიმე მონაკვეთში ჩანს. სინამდვილეში, იქ პირველი პირი (მე) მიემართება არა ავტორ-მთხრობელს, არამედ ავტორის მიერ გამოგონილ და მთხრობელის მიერ გადმოცემულ პერსონაჟს (მას/ის) ე.ი. ზღაპარში I პირი III - ის ფარდია. მაგალითად, მსგავს კონსტრუქციებში: დევმა შესძახა: ქვეყანაზე სულიერი არ არსებობს, რომ ჩემს ტერიტორიაზე შემოსვლა გაბედოს და შენ ვინა ხარ, რომ ჩემს სამფლობელოში შემოსვლა გაბედო? - მე ჭინჭრაქა ვარო!...) > მე = ჭინჭრაქა □ /მცდარი/ მე = ავტორი.

მარტივი ერთ დაწერილობა - აუცილებელი

სწორედ მარტივი ერთ დაწერილობა ქმნის ქართული ზღაპრისათვის დამახასიათებელ თავისებურ მუსიკალურობას.

მოცულობითი შეზღუდულობა. - აუცილებელი

არ უნდა იყოს გრძელი. დაუშვებელია, სიდიდით რომანს გაუტოლდეს, რადგან რომანის მოცულობა, სქელტანიანი იქნება თუ საშუალო სიდიდისა, არაა მკაცრად განსაზღვრული. შევეცდებით ამ ჰიპოთეზისათვის შესატყვისი ფორმულის დაწერას:

{იგავი < ზღაპარი <= მოთხრობა < რომანი}

შენ. ტოლობა-უტოლობის მიმდევრობაში ამოსავალი გახლავთ ზღაპარი.

მონაწილე პირთა ცხოველუნარიანობა. - არააუცილებელი

ცხოველ-ფრინველებს თუ ბუნებას უნდა შეეძლოთ ყველა იმ მოქმედების შესრულება, რასაც ასრულებს ადამიანი, მეტყველება იქნება ეს თუ სიმღერა, ცეკვა-თამაში, ფიქრი და ა.შ. კრიტერიუმი არააუცილებელია, რადგან მისი აუცილებლად მიჩნევის შემთხვევაში ავტორს ამბის/ტექსტის შექმნისას შევუზღუდავთ თავისუფლებას. ხალხური ტექსტის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებას „კოლექტიურობა“ წარმოადგენს, ე.ი. ხალხურ ზღაპარს ქმნის არა ჩვენთვის ცნობილი ერთი თუ რამდენიმე კონკრეტული პიროვნება, არამედ უცნობ ავტორთა ჯგუფი და, ამდენად, არც ხალხური ზღაპარია უავტორო, მასაც ჰყავს თავისი ავტორი. აი, სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე არ დავყავით ტექსტები ავტორისეულ და არაავტორისეულ მოცემულობებად და ხალხურ ზღაპარს ვუწოდებთ, ჩვეულებრივ, ხალხურს, ან ფოლკლორულს.

დასაწყისი და დასასრული ფორმულები /ქონა-არქონა/ - არააუცილებელი

არის სრულად და შეუცვლელად როგორც დასაწყისში, ასევე დასასრულში.

/ „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა." (დასაწყ.) – „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა." (დასას.) /

არის ნაწილობრივ შეცვლილი სახით როგორც დასაწყისში, ასევე დასასრულში.

/ აკ. წერეთელი, ზღ. „კუჭია": „იყო და არა იყო რა" (დასაწყ.). [ნაცვლად: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა" – „ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე" (დასას.). [მაგიერ: „ჭირი იქა, ლხინი აქა..."]

აკაკიმ ხალხური ზღაპრის დასაწყისს მეორე ნახევარი ჩამოაშორა („ღვთის უკეთესი რა იქნებოდა"), ხოლო ფინალის მისებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. იხ. აკ. წერეთელი, „თხზულებათა სრული კრებული თ ხუთმეტ ტომად", ტ.8 - მხატვრული პროზა. 1958 გვ. 159-161.

ზღ. „ბროწეულის წყარო": „იყო და იყო, ღვთის უკეთესი არა იყო რა" (დასაწყ.). – „ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე." (დასას.). ადვილად შესამჩნევია: ავტორმა დასაწყის ფორმულაში პირველი ნაწილის ელემენტი გადასვა მეორე ნაწილში. □

[იყო და არა იყო რა] - I ნაწილი / [ღვთის უკეთესი რა იქნებოდა] – II ნაწილი

იყო და { } იყო (I) --- ღვთის უკეთესი {არა} იყო რა. (II)

იხ. წერეთელი: 1958 /ტ.8/ გვ. 120-126.

დასასრული ფორმულა ყველგან ერთია:

„ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე."

არის მხოლოდ თავში შეცვლილი ან შეკვეცილი სახით.

ზღ. „კიკოლას ნაამბობიდან": „იყო და არა იყო რა" (წერეთელი 1958: 77).

ზღაპრული მოთხრ. კუდაბზიკეთი: „იყო და არა იყო რა" (წერეთელი 1958: 187).

ზღ. „ორი ძმა": „იყო და არა იყო რა" („არავი" 2, 2016 - რობაქიძე: 32).

ჩვენი დაკვირვების თანახმად, არ არსებობს ისეთი შემთხვევა, როდესაც ფორმულა არ იყოს თავში და შეგვხვდეს მხოლოდ ფინალში. მაშასადამე, თუ არის ნაწილობრივ, არის აუცილებლად - დასაწყისში.

არ არის დასაწყისი-დასასრული ფორმულები.

თხრობის დაწყება „იყო" მეშველი ზმნით. - აუცილებელი

შევნიშნავთ, რომ როგორც ხალხური ზღაპრის ფორმულაა მყარი, ასევე თავისი წესი გააჩნია ხალხური ზღაპრის ამბის დაწყებასაც, კერძოდ, ფაქტის დამოწმება ხდება მეშველი ზმნის - „იყოს" გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა ზღაპრების წერის დროს არ იყენებდა ზღაპრულ ფორმულებს თავსა და ბოლოში, ამბის თხრობას უგამონაკლისოდ და აუცილებლად იწყებდა „იყო" - თი. თორემ სხვა მხრივ, ვაჟას ყველა ზღაპარი უზუსტესად და დიდოსტატურად მისდევს ქართული ზღაპრისათვის დამახასიათებელ აუცილებელ კრიტერიუმთა მთელ რიგს.

ზღ. „წისქვილი": „იყო დრო, რომ დედამიწის ზურგზე წისქვილი არსად იყო." (ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად; 1964 ტ.5 /მოთხრობები 1881-1895/ - „წისქვილი" გვ. 107-113).

ზღ. „მუცელა“: „იყო და აღარ არის, ღმერთმა ნუღარც აჩვენოს ქვეყანას იმისთანა ადამიანი, როგორც ის იყო. ვინა? - მუცელა, მუცელა...“ (ვაჟა-ფშაველა, იგივე: „მუცელა“ გვ. 309-346).

აკაკი წერეთელთან ცოტა სხვაგვარი სიტუაციაა იმ მხრივ, რომ იგი დასაწყისი ფორმულის მსგავსად ასხვაფერებს თხრობის დაწყების სტილსაც, რაც, ვფიქრობთ, ძალიან საინტერესოა. სანიმუშო მაგალითები:

ზღ. „ბროწეულის წყარო“: „ერთი ხელმწიფე იყო და ორი ვაჟი-შვილი ყავდა ნანატრი და სანაქებო“ (თხზ. სრ. კრ. ტომი 8. /მხატვრული პროზა/ 1958. გვ. 120). ხალხურ ზღაპარში ეს წინადადება ასე იქნებოდა: იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ორი ნანატრი და სანაქებო ვაჟი ჰყავდა.

ზღ. „კუჭია“: „ერთი ხელმწიფე იყო უსაქმური და ჭამა-სმაზე გადაყოლილი.“ (წერეთელი, იგივე: „კუჭია“ გვ. 159-161). ხალხურ ზღაპარში იგივე შინაარსი ასე შეგვხვდებოდა: იყო ერთი უსაქმური და ჭამა-სმაზე გადაყოლილი ხელმწიფე.

ამრიგად, ტექსტს ზღაპრულობას სძენს არა ფორმულები, არამედ სიუჟეტი, ამ სიუჟეტში მონაწილე პირნი და, რაღა თქმა უნდა, თავისებური ლექსიკა.

ფანტასტიკური/ჯადოსნური ელემენტების პოვნეობა. - აუცილებელი სხვა კრიტერიუმებთან ერთად და ცალკე აღებული - არააუცილებელი.

ქართველ კლასიკოსთა შემოქმედება აღსავსეა ნაციონალური ფოლკლორის უღრმესი პლასტებით, სადაც თითოეული შრე ერთობ სიღრმისეულად გახლავთ წარმოჩენილი. წყლის სიმბოლიკა უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და მასში უშორესი წარსული აირეკლება. წყლის სტიქიის გადალახვისა და დაძლევის ძალა ღვთაებრივი ბუნების მქონე ადამიანებს უპყრიათ ხელთ, კაცობრივი წარმოშობის „უბრალო ადამიანი“ დაიღუპება წყალში. თუ აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“-ში ცოტნემ ნათელას გულის მოსაგებად თეთრი რაშით ადიდებული ყვირილა გადალახა, კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“ მომაკვდავი, ფეხმძიმე თამარის ნახვის მსურველი თარამ ემხვარი ადიდებულ ენგურში იხრჩობა და, ამგვარად, თავფარავნელი ჭაბუკის ბედს იზიარებს - ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა სატრფოსთან მიახლება, სწორედაც წყლის დაუმორჩილებელი ძალის გამო.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის სახე „წყალთან კონტაქტში“ შემოდის: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“... შეიძლება ვიფიქროთ, რომ გმირს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული მიჯნურის პოვნა-გადარჩენის დიდად აუცილებელ საქმეში ხელს ეს, მის წინ ჩამომდინარი წყალი უშლის. ის, რომ საბოლოოდ ტარიელმა მოახერხა წყლის გადალახვა, ამირანის მსგავსად ააღწია წყლით შემოსაზღვრულ კლდის თავზე აღმართულ ქაჯეთის ციხეში (პოემაში იმ ადგილს „ზღვის ჭიპი“ ჰქვია, ე.ი. ქაჯეთის სამეფო წყლის შუაგულშია (ხაზი ჩვენი); - იხ. ჩვენი წიგნი „რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები“, თბ. 2015. /ზღვის ჭიპის გააზრებისათვის/ გვ. 64-66), ადასტურებს ტარიელის „ნაწილიანობას“, რასაც ნესტან-დარეჯანიც ამოწმებს გულისსწორთან მიწერილ ერთ-ერთ წერილშიც: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი.“ კოშკი წარმოადგენს მიულწევლობისა და იდუმალების სიმბოლოს, ამიტომაც ყველა კოშკი მიუვალ ადგილას - მთის/კლდის წვერზე, ან უკიდევანო წყლის ეპიცენტრშია აღმართული. იქ ასული უღირსი/ცოდვილი გმირი იღუპება, ანუ ტრაგიკულად ასრულებს სიცოცხლეს. სიმბოლურ ფუნქციათა თვალსაზრისით ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან კოშკი და წყალი. ამგვარი გაშინაარსებით ერთ იდეურ ზოლზე დალაგდებიან ლიბოზე ამოზიდული

„ვერკვლის ციხე“ – „იდუმლის კოშკი“ – „ღრუბელთბატონის“ (იგივე: იგრიბატონი) ციური სამფლობელო – „ქაჯეთის ციხე“. მივიჩნევთ, რომ კოშკის სინონიმებადაა გასააზრებელი ილიასთან „მონასტერი“ და „ქვაბული“ („განდეგილი“), აკაკისთან „ფაცხა“ („გამზრდელი“), ვაჟასთან „სოფელი“, „კლდე“ და თავად „კოშკი“. ... კომპამდე აღწევს და იქვე მყუდრო სამკვიდრებელს ჰპოვებს მოხერხებული და გონიერი გმირი. ხსენებული კუთხით ნიშანდობლივია, რომ „ჭინჭრაქა“ და „ხუთკუნჭულა“ სწორედ კოშკის წვერიდან ამარცხებენ დევებს (დევნი, როგორც უღირსი არსება, ვერ ახერხებს კოშკის თავზე ასვლას). კოშკის თავზე შემოსკუპებულმა ჭინჭრაქამ დევს უთხრა: კოცონი დაანთე, შიგ ჩახტი და ალი უმაღ აქ ამოგაქანებსო; დევმაც დაუჯერა, ჩახტა ცეცხლში და ერთიანად შეიხრუკა. ხუთკუნჭულამაც მსგავსი მოფიქრებულობა გამოიჩინა და შემდეგ ხერხს მიმართა: კოშკზე ლოდი აიტანა და დევს ჩამოსძახა: გულაღმა დაწევი, ლო დს ჩამოვადებ, მკერდზე დაგეცემა და ჩემთან ამოგახტუნებსო; დევი შუაზე გაიხლიჩა. მოყვანილ ზღაპრულ სიუჟეტებში ერთი ძალიან ძველი ქართული ანდაზის აზრია გატარებული: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ გადათამაშებულია დევის დედის მიერ „ასფურცელას“ კიდობანში გადამალვის სცენა - ასმათი ძალავს ავთანდილს და მხოლოდ სასურველი პირობის მიღების შემდეგ ეუბნება სიმართლეს. (შენ. ამ საკითხებზე ვრცელი მსჯელობისათვის იხ. ჩვენი წიგნი „ქართული ფოლკლორის კვალი ვეფხისტყაოსანში“, თბ. 2017). გრ. რობაქიძის ზღაპარში „ორი ძმა“, მწერლური ოსტატობითაა მოთხრობილი ბედნიერების მამიებელი ორი ძმის ამბავი. მეფის ვაჟებს თავიანთი სამეფო არ ჰყოფნით და დაუოკებელი სურვილის დასაკმაყოფილებლად სახლიდან ძალიან შორს მიემგზავრებიან. წასვლამდე ისინი დანიშნული ქვის ქვეშ თავიანთ ბეჭდებს ათავსებენ, რათა ასე გაიგონ დაბრუნების შემდეგ ერთმანეთის ავან-ჩავანი; თუ რომელიმე მათგანს დათქმულ დროს ბეჭედი კვლავ იმ ადგილზე დახვდა, ე.ი. ბეჭდის პატრონი გასაჭირშია და დახმარება ესაჭიროება. ერთი წლის მერე უფროსი ბრუნდება, ხოლო უმცროსი ძმის ბეჭედი ადგილზე ხვდება. იგი მიემართება თავისი ნაბოლარა ძმის საპოვნელად და გადასარჩენად. ხანგრძლივი და შრომატევადი ძიების წყალობით ის სამეფო სასახლეში იპოვის სიცოცხლისაგან დაცლილ, უსულოდყოფილ ძმას, ჯადოსნური ყვავილის მეშვეობით გააცოცხლებს, დაიხსნის გასაჭირისაგან უმცროსი ძმის საცოლეს და მფრინავი ოქროს პერანგით შინ ბრუნდებიან. ასეთია ძალიან მოკლედ ამ ზღაპრის შინაარსი. მოკლე შინაარსიდანაც კი კარგად ვხედავთ, თუ როგორ დეტალურად მისდევს ჯადოსნური ზღაპრის მოქმედ პერსონაჟთა ფუნქციებს რობაქიძის ეს ზღაპარი, რაც უთუოდ, მწერლის სასახელოდ ჩაითვლება. სულ ასეთი 31 ფუნქციით გახლავთ შემკული ჯადოსნური ზღაპრის გმირი, საიდანაც პირველია ოჯახის ერთ-ერთი წევრის სახლიდან წასვლა, ბოლო კი - ამავე გმირის უკან დაბრუნება, ქორწინება და გამეფება. ფაქტობრივად, ავტორი საოცარ წრიულ და ლოგიკურად გადანასკვულ ჯაჭვს ქმნის და ამავდროულად თავისი ზღაპრის გმირებს ფუნქციათა მრავალფეროვნებითაც ტვირთავს, კერძოდ: ყველა (აქ: ორივე) გმირი გადის სახლიდან - ერთ-ერთი ბრუნდება - კვლავ ტოვებს თავის სამფლობელოს - მოჰყავს უმცროსი ძმა - ეს ძმა ქორწინდება მეფის ასულზე და მეფდება. თუ მხოლოდ ჯადოსნური ელემენტები და ფანტასტიკური მოვლენები იქნებოდა საკმარისი ტექსტის ზღაპრად მიჩნევის ურთულეს პროცესში, მაშინ ასე „დიდოსტატის მარჯვენა“ („ფარსმან სპარსის“ გამო), „სანავარდო“, „ბათა-ქექია“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „სურამის ციხეც“ და კიდევ სხვა მრავალი ნაწარმოები ზღაპრებად უნდა მიგვეჩნია, რაც, ბუნებრივია, მცდარია. ამიტომ ვთქვით

ხაზგასმით დასაწყისში, რომ ეს კრიტერიუმი აუცილებელია სხვებთან ერთად, მაგრამ - არა ცალკე!

სათაური - არააუცილებელი

ზღაპრის სათაური სხვა არცერთი ჟანრის ნაწარმოებს არ გააჩნია; სახელწოდებაში გატანილია ზღაპრული პერსონაჟის ან ზღაპრული ქალაქ-სოფლის გამოგონილი სახელი და, ამდენად, ზოგჯერ სათაურითაც ცდილობენ ავტორები „ზღაპრულობის“ შექმნას, სხვაგვარად, სათაურით მიგვი თითებენ, გვანიშნებენ, რომ ჩვენ წინ არსებული თხზულება - ზღაპარია! თუმცა, კრიტერიუმი მაინც არააუცილებელია, რადგანაც „ნაცარქექიას“, „ასფურცელას“, „კუჭიას“, „მუცელას“ პარალელურად გვხვდება ასეთი სათაურებიც: „გაუცინარი ხელმწიფე“, „ბაყაყი და მზეთუნახავი“, „ცხრა ძმა“ და ა.შ.

პერსონაჟთა სახელები - აუცილებელი

მწერალი ნაწარმოების შექმნისას იგონებს და ძერწავს თავის პერსონაჟებსაც, ანიჭებს მათ სახელებს, რათა ასე გამოარჩიოს სხვა ლიტერატურული ქმნილებებისაგან და წარმოაჩინოს საკუთარი ხაზი. ამგვარად, გამოგონილ გმირთა სახელები, მეტწილად, ყველა ჟანრის ნაწარმოებშია, მაგრამ ზღაპრები ამ თვალსაზრისითაც გამოირჩევიან სპეციფიკურობით, რამდენადაც მწერალ-მეზღაპრეებს შემუშავებული აქვთ ნომინაციის თავისებური პრინციპი და თავისუფლად შეიძლება ზღაპრის გმირის სახელი მივიჩნიოთ საიდენტიფიკაციო კოდად, ერთგვარ გამჭვირვალე მინიშნებად ტექსტის ზღაპრად დადგენის საქმეში. ზღაპრის გარდა, არცერთ ტექსტში არ მონაწილეობენ ასეთი სახელებით შემკული გმირ-პერსონაჟები. არის შემთხვევები, როდესაც ლიტერატურულ ზღაპარში გამეორებულია ხალხური ზღაპრის გმირის სახელი. მაგალითისათვის იხ. ალექსანდრე (ალიოშა) საჯაიას ზღაპარი „როგორ იქცა კაცი ხედ“, სადაც „ჭინჭრაქა“ ჰქვია პატარა, კეთილ, მოხერხებულ და დიდი გულის მქონე ჩიტს, რომელმაც უკვდავების წყლის ერთი წვეთით ომში დაღუპული ცხრა ძმა გააცოცხლა. როგორც ვხედავთ, ავტორმა აღნიშნული სახელის მატარებელი პერსონის უდაოდ საინტერესო ტრანსფორმაცია შემოგვთავაზა, მაგრამ ფუნქცია-თვისებები იგივე დაუტოვა. დევის მომრევი ჭინჭრაქას დარად ამ ჭინჭრაქამაც მოხერხებულობა გამოიჩინა და მისი წყალობით იხსნა სათავისიანო ბოროტებისაგან; პატარა ჩიტს, სახელად „ჭინჭრაქას“, თავის მომცრო ნისკარტში ვერ ჩაეტია უკვდავების წყლის ცხრა წვეთი (ე.ი. თითო წვეთს თითო გმირი უნდა გაეცოცხლებინა, რისთვისაც ცხრის ქონა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა), მაგრამ არ შედრკა და პრობლემის გადაჭრის ამგვარ გზას მიმართა: თავდადებული ცხრა ძმის განსასვენებელ სამვალესთან ერთი წვეთი ცხრა ნაწილად გაჰყო, ანუ ერთი ცხრას აკმარა, რაც ინტუიტიურად გვახსენებს ერთ ძველთაძველ ქართულ ჰიპერბოლიზებულ ანდაზას: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“, რომლის გადამშავებულ ვერსიადაც ვრაცხთ დამოწმებული ზღაპრის მოყვანილ სიუჟეტს (შეაფასეთ): 1. „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“ – 2. ერთი უკვდავების წვეთი ცხრა ძმამ გაიყო. ... როგორც შეუძლებელია, ერთი თხილის გული ცხრავე ძმამ იკმაროს, ასევე დაუჯერებელი გახლავთ ერთი წვეთის ცხრად განაწილება (დაიბეჭდა: „ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები“, ნაკადული, თბ. 1978. გვ. 262 – 271).

თავისებური ლექსიკა - აუცილებელი

ზღაპრებისათვის დამახასიათებელი თავისებური ლექსიკის დაყოფა-დაჯგუფება ასე წარმოგვიდგენია:

თავისებური საკუთარი სახელები - კოკროჭინა, წიქარა, ხუთკუნჭულა, ასფურცელა, ჭინჭრაქა, ნაცარქექია, სასწორთვალა, კუჭია, მუცელა ...

თავისებური საზოგადო სახელები - დევი, ჭინკა, ალი, ალქაჯი, კუდიანი დედაბერი, დედინაცვალი ...

თავისებური ტოპონიმები (გეოგრაფიულ ადგილთა სახელები) - სმა-ჭამეთი, ყინულეთი, ზარმაცეთი, კუდაბზიკეთი და ყველა ასეთი - /ეთ/ სუფიქსით დაბოლოებული ტოპონიმი.

ყველა ამ სახელის საერთო თვისება/ნიშანი ის არის, რომ ბუნებაში, რეალურ სამყაროში ამგვარი სახელები არ არსებობს, არ მოიპოვება და, ამრიგად, მხოლოდ ზღაპრების კუთვნილებანი არიან.

თავისებური ზედსართავები / ეპითეტები - დევის - (...), დადებითი გმირის /პრინცის - პრინცესის/ (...), უარყოფითი გმირის (...), დედაბერის (...), კეთილი ჯადოქრის (...), ბოროტი ჯადოქრის, ალქაჯის (...). ვფიქრობთ, გმირები თავიანთი ფუნქციებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად დახასიათდებიან ზღაპარში. მაგალითად, დევი იქნება: ბაჯბაჯა, ნელი, როყო, დიდტანა და დიდთავა, უტვინო; ამ უკანასკნელი თვისების გამო ის მარტივად ტყუვდება, დადებითი გმირი (ადამიანი) კი - შედარებით სწრაფი, მოქნილი, მოხერხებული, გონიერი, მოფიქრებული, შესაძლოა დევზე მომცრო ტანისაც იყოს.

თავისებური ზმნები - აქ საჭიროა ცალ-ცალკე გავმიჯნოთ დევის - ადამიანი გმირის - მზეთუნახავის - ჯადოქრის მოქმედებები. საინტერესო და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ზღაპრებში პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობა ასახვას ჰპოვებს მათივე გარეგნულ მხარეებსა და შესაძლებლობებზე, შესაბამისად, უარყოფითი გმირის დახასიათებისას გამოყენებულია უარყოფითი კონოტაციის მატარებელი ზმნები და, ასავე, დადებითი გმირის აღწერის შემთხვევაში - დადებითი კონოტაციის შემცველნი. დადებითი გმირის საქციელი და უსაზღვრო შესაძლებლობები, მისი გონიერება, მოხერხებულობა და უნარ-ჩვევები საოცარ აღფრთოვანებას, გაოცებასა და მოწონებას იწვევს მნახველში, დევის, ბოროტების სამსახურში ჩამდგარ ჯადოქარ-დედაბერთა და ალქაჯთა კი ზიზღს, შიშსა და საშინელ უსიყვარულობას სთესავს გარემოში.

თავისებური იდიომა-სინტაგმები - თვალის დახამხამებაში, წამის მესაღეში, ელვისებური სისწრაფით, დედამიწის ზურგზე, მთელს დუნიაზე, ცხრა მთის იქით, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთის გადავლა, ერთი ხელის გაწვდენაზე, მკლავის სიგრძეზე, საშინლად გაცოფებული, გუდა-ნაბდის ასხმა, მგელივით მშიერი, სულის ამოდრობა, სულის გაფრთხობა, ხმის გაკმენდვა, სული ძლივს უდგას პირში და მისთ.

შესაძლოა, ბოლოს მიღებული მასალის ლექსიკურ სინსეტებად დახარისხება და მათი ვიზუალიზაციისათვის ასევე მისაღებია გამოვლენილი ლექსიკური სურათის ზედმიწევნითი ასახვა ე.წ. ლექსიკური სინსეტების ცხრილში.

აქვე შევლენ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ნაკლებადგამოყენებადი სიტყვები, ანდაც მეტყველებიდან სრულად გაცხრილული ლექსიკური ერთეულები. უმეტესად, აქ თავს

მოიყრიან „დარგობრივ ლექსიკაში“ შემავალი ტერმინები, რადგანაც ზღაპარი იმ დროს იქმნებოდა, როდესაც ქართველი კაცი ძირითადად ჯერ კიდევ მიწაზე მუშაობდა და მისთვის ცნობილი იყო სამეურნეო იარაღები, სეზონური სამუშაოები, საწესჩვეულებო რიტუალები და სხვ. ამრიგად, ერთიანად იზრდება ზღაპრის მნიშვნელობა, ვინაიდან მივიწყებული ლექსიკური ფორმების დამკვიდრება-მიმოქცევის საქმეში იგი უდიდეს როლს შეასრულებს.

ქრონოტოპია - აუცილებელი

ზღაპრის დრო და მანძილი არ ეთანადება ფიზიკურ დროსა და მანძილს, ამრიგად, ზღაპრები თავისებურ შკალას გვთავაზობენ აღნიშნული ფიზიკური ერთეულებისათვის და მათი გადათვლა სწორედ ამ შკალაზე უნდა განხორციელდეს. შეიძლება ითქვას, რომ ზღაპრებში ერთგვარი სივრცული ვაკუუმია, ანუ, უფრო ზუსტად, თუ რეალურად არსებული პრიზმით შევხედავთ, იქ უდროობასა და უსივრცობას დავიანახვთ, რამდენადაც ადამიანურ ძალებს აღემატება მცირე დროში იმდენი საქმის მოსწრება და იმხელა მანძილის დაფარვა, რასაც თავისუფლად და დაუბრკოლებლად ახერხებენ ზღაპრის გმირები. ვივარაუდებთ: რაც რეალურ სამყაროში წამია, ზღაპარში საათს უდრის, ხოლო კილომეტრი მეტრს ეთანადება. მაშასადამე, ქართულ ზღაპრებში წარმოებს ფიზიკური დროის მატება და ფიზიკური მანძილის კლება. ამ ფაქტორიდან აიხსნება ისიც, თუ როგორ ახერხებენ ზღაპრის გმირები „ცხრა მთის“ გადავლას. ამ კუთხით, შეად. ცხრა მთა გადაიარა და ერთ სამეფოს მიადგა - თვალის დახამხამებაში გაატყავა ცხვარი, როდესაც დევს დაწყებულიც არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, ზღაპრის ყველა კეთილი გმირი, არ არის აუცილებელი, იყოს ნაწილიანი (ღვთის რჩეული, ნახევარღმერთი, ღვთის დანაბადი), მაგრამ ზოგჯერ პროტაგონისტი ნახევარღმერთად წარმოგვიდგება, სადაც უკვე დასაშვებია რეალურ სამყაროში არსებულ კლიშეთა თუ კანონ-პრინციპთა დარღვევა.

ტექსტის/თხრობის შუა ნაწილში მყარი ფორმულების არსებობა - აუცილებელი

ზღაპრის უცნობმა თუ ნაცნობმა ავტორმა საჭიროა ტექსტის შიგნით ჩართოს ისეთი მყარი ფორმულები, რომლებიც შეიცავენ მისალმება-დამშვიდობების, დალოცვის, დაწყევლის, შელოცვის, ფიცის თუ სხვა რაიმე დატვირთვის მქონე შინაარსს; ამასთან ერთად, აუცილებელია გამოიყენოს უკვე არსებული ანდაზები, გამოცანები, გამონათქვამები, შეგონებები, ან თავადვე შექმნას. ჰიპოთეზის სარწმუნოდ მიჩნევისათვის იხილეთ აკაკი წერეთლის „ნაცარქექია“. ასევე უნდა შეინიშნებოდეს ტოტემურ თუ ოკულტურ წარმოდგენათა კვალი.

მინიმუმ ორი სამეფოს (მეზობელი - შორეული) არსებობა - აუცილებელი

გმირი ხომ უნდა გავიდეს სახლიდან? მას ის ფათერაკები, სადაც ბედნიერებას უბედობა შეუცვლის, სწორედ სხვა (მეორე) სამფლობელოში ელოდება.

პრობლემის, დამაბულობის მოულოდნელი გაჩენა თხრობაში - აუცილებელი

ზღაპრის ავტორები (აქ ხალხიც ითვლება, როგორც ზღაპრის შემქმნელი), სწორედაც რომ აღნიშნული ხერხის მეშვეობით ხატავენ გმირთა ხასიათს, წარმოაჩენენ მათ შესაძლებლობებს და ლოგიკურ დასასრულს უძებნიან ზღაპარს. ბოლობოლო, თუ პრობლემა არ შემოიჭრა, მაშინ როგორ წარმოგვიდგენია ზღაპრის გაგრძელება და დაწყებული სიუჟეტის განვითარება? ...

ბედნიერი დასასრული - აუცილებელი

ზღაპრის ანონიმი ავტორისათვის ნაცნობია ზღაპრის აგების პრინციპი და ის მკაცრად განსაზღვრული თარგი, რასაც შეუცდომლად უნდა მიჰყვეს ზღაპრის ქმნადობის პროცესში. ესენია:

მთავარი გმირის სახლიდან გასვლა - ამავე გმირის ფათერაკებთან ბრძოლა - ბედნიერი დასასრული /გმირის გამარჯვება/.

მოგეხსენებათ, უკლებლივ ყველა ზღაპარი პასუხობს იდეას „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, და არამარტო პასუხობს, არამედ გვთავაზობს კიდევ ბოროტებასთან ბრძოლის საუკეთესო და მომგებიან ხერხებს. შენიშნული ანგარიშგასაწევი ასპექტი ზღაპრის დასაწყისი და დასასრული ფორმულებიდანაც მკვეთრად გამოსჭვივის: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. / „ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა.“ მაშასადამე, თუ ზღაპრის უცნობი ავტორი ან ავტორთა კოლექტივი ტრაგიკულ დასასრულს მიუსჯის პროტაგონისტს, ამით ის დაარღვევს იმ მოცემულობას, რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე და, ამდენად, ავტომატურად შეეწინააღმდეგება ზღაპრის უმთავრეს მორალს. აქვე შევნიშნავთ, რომ გმირის აღსასრული / გარდაცვალება სრულიადაც არ ნიშნავს მის სიკვდილს, დასასრულს, დამარცხებას, რამდენადაც გმირის ღირსეული (გმირული) აღსასრული და სანიმუშო თავდადება ბოროტებაზე ძლევისა და ცრუსოფელზე ამაღლების სიმბოლოდ გაიზრება, იმ ამაღლებისა, რა განსპეტაკებისა და რეინკარნაციის გზაც განვლეს ლუხუმმა, აჩრდილმა, დათა თუთაშხიამ. ამგვარი ამაღლების შედეგად ზვარაკად შეწირული გმირი მისთვის აწ უკვე სამუდამოდ განკუთვნილ ზენა ადგილს იკავებს ზემთა სოფელში, ხოლო ცოდვილი სოფელი ქვემოთ რჩება. ამდენად, რამდენადაც ფართო და თავისუფალია ზღაპარი თემატურად, იმდენადვე შეზღუდულია იგი თხრობის განვითარების ხაზით.

ზმნათა გამეორება - აუცილებელი

ზემოთ ვთქვით, რომ ზღაპარში ამ რეალური სამყაროსაგან ბევრად განსხვავებული დრო და მანძილი იხატება. ვფიქრობთ, ზმნათა გამეორება ერთ-ერთი იმ მეთოდთაგანია, რომლის საშუალებითაც ავტორ-მეზღაპრენი ქმნიან ზღაპრულ სივრცეს. აი, მაგალითად: (შენ. დავალაგებთ ზრდადობის მიხედვით).

1.იარა - 2.იარა, იარა - 3.ბევრი იარა თუ ცოტა იარა.

შევნიშნავთ, რომ მე-2 და მე-3 კონსტრუქციებს უგამონაკლისოდ მოსდევს ზმნა - „მიადგა“, მაშ: ([იარა, იარა, და მიადგა...] / [ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა...]). ამ კონსტრუქციას არ არღვევს ლიტერატურული ზღაპრის ავტორიც. „ბროწეულის წყაროში“ (აკ.წერეთელი) ვკითხულობთ: „გაეხარდა ხელმწიფეს, შეყარა ჯარი და გაისტუმრა შვილები. წავიდნენ, დიდი იარეს, პატარა იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და **მიადგნენ** ერთ ორ-კაპალა გზას; მარცხნივ ეკლიანი იყო და მარჯვნივ ია-ვარდით მოფენილი...“ აკაკი წერეთელმა უგრძესი გზის აღწერისას მიმართა ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გამოყენებულ „ზმნათა გამეორების“ ხერხს, რითიც ერთგვარად ჰიპერბოლიზირება შესძინა და ფანტასტიკური იერ-სახე შემატა თავის ნათქვამს. ასევე, გამოსაცნობია, რომ მან, როგორც ავტორმა, არაერთგზის შენიშნული კონსტრუქციის გადმოსაცემად მოდელის მოდიფიკაცია ამჯობინა; ხალხურში: „ბევრი იარა თუ ცოტა იარა - მიადგა...“ / აკაკისთან: „დიდი იარეს, პატარა იარეს“, სადაც „ბევრი“ შეცვლილია „დიდით“ და „ცოტა“ – „პატარათი“. საჭიროა ერთიც ითქვას: ხალხურ ზღაპრებში „მიადგა“ ზმნით გრძელდება

მხოლოდ ერთი მოდელი, - და არა ყველა! (იხ. ოდნავ ზემოთ) აკაკიმ თავი მოუყარა ყველა მოდელს და ასე შემოგვთავაზა კონსტრუქციათა მთელი დიდი ჯამი, კერძოდ: „წავიდნენ, (1) დიდი იარეს, პატარა იარეს, (2) ცხრა მთა გადაიარეს (3) და მიადგნენ ...“

მირის მოფიქრებულობა და მოხერხებულობა - აუცილებელი

ზღაპრის მორალი გვემცნობება კეთილი გმირის მოქმედებებიდან გამომდინარე, ასე რომ, აღნიშნული მოტივი დიდ მნიშვნელობას იძენს ზღაპრებზე საუბრისას.

ხალხური ზღაპრის მთავარი გმირი (დადებითი პერსონაჟი) მომცრო ტანისაა, დევი (ბოროტი პერსონაჟი) კი უზარმაზარი ტანის მქონედ წარმოგვიდგება. ვვარაუდობთ, რომ სწორედ მათ შორის არსებულ გარეგნულ სიდიდეთა სხვაობით წარმოჩინდება პროტაგონისტის (სიკეთის მსახურის) გამორჩეულობა, „ნაწილიანობა“, ნახევარ - /დმერთობა, ადამიანობა. მის ღვთაებრივ ბუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი დევთმმუსვრელად გვევლინება; გარდა პროტაგონისტისა, სხვას არ ძალუძს დევის დამარცხება, ამას ვერც მთავარ გმირზე ბევრად უფრო დიდი ძალით შემკობილნი ახერხებენ და ვერც მას ზე დიდი ტანისათ ხელეწიფებათ დევის დაჯაბვა. ხშირ შემთხვევაში, ვითომც-და, ყოვლისშემძლე ძალაუფლების მქონე ხელწმიფე ჩია გარეგნობის, თითქოს არაფრით გამორჩეულ პერსონაჟს (პროტაგონისტი), ავალებს ურთულესი, ერთი შეხედვით, შეუძლებელი დავალების შესრულებას. გმირის ასეთი მოხერხებულობა ხსნის, აცხადებს მის პირვანდელ ფესვებს, გვახედებს მის ღვთაებრივ საწყისში და ხაზს უსვამს მისსავე უანალოგო ინდივიდუალურობას. თუმცა საკითხი ამით არ ამოიწურება: ზღაპრის დადებითი მთავარი მოქმედი პირი ნებისმიერ წარმატებას მრავალთა ტანჯვათა თმენით აღწევს, ე.ი. მას საბოლოო გამარჯვება ხორცთა მუდმივ წვრთნად, ხორცთა წამებად უჯდება. თუ არა ღვთაებრივი ბუნება და ამ ბუნებისაგან ნაწყალობევი ძალ-უნარები, უბრალო (ჩვეულებრივი) წარმოშობის ადამიანი ასეთ კოლოსალურ ტკივილებს ვერ დაითმენდა. როგორც ხედავთ, ბევრი ისეთი ასპექტის მოძიება შეიძლება, რომელიც დაადასტურებს საკუთრივ ზღაპრის, თან გამოგონილი და თანაც რეალურად არსებული, ბოროტებასთან მებრძოლი პროტაგონისტის ნაწილიანობას.

თაყვანცემის ზემატერიალური ობიექტის არსებობა - აუცილებელი

ლოგიკურია დაშვება, რომ ზღაპარში აღწერილი ამბები ტრიალებენ რაიმე რელიგიური კულტის გარშემო და ზღაპრულ პერსონაჟებსაც სჯერათ ზებუნებრივი, ამოუხსნელი ძალებისა. ქართული ზღაპრები კარგად ხსნიან „ანიმიზმის“ ჭეშმარიტებასა და უტყუარობას (ანიმიზმის ფუძემდებელია გერმანელი მეცნიერი გ. შტალი). ვაჟა-ფშაველაც ხომ გარკვევით წერდა:

„ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა,

ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა.“

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ ის კლიშე, თითქოს მხოლოდ ბავშვებისათვის იწერებოდა და იწერება ზღაპარი, რადგან ზღაპრებიდან მოწვდილ ძალა მორალსა და ჰუმანურ იდეებს უფროსები უკეთ ჩაწვდებიან და სწორედ მათ უნდა განუმარტონ მცირეწლოვანებს ამა თუ იმ ზღაპრის დედააზრი. მოგეხსენებათ, ზღაპრებში კეთილი გმირი კლავს ბოროტ პერსონაჟს, ე.ი. იმარჯვებს ვისიმეს მოკვლით და, ამდენად, შენიშნული ფაქტების პირდაპირი გაგება, უთუოდ, დააზიანებს ბავშვთა ფსიქოლოგიას.

სინამდვილეში, ზღაპრის ბოლო სცენები ბოროტებასთან სიკეთის ჭიდილის ალეგორიაა, სადაც ღმერთი/ღვთისმსახური ამარცხებს სატანას, მუსრავს ჯოჯოხეთს და ქვეყანაზე ამკვიდრებს ზენაარ წესრიგს, გაწამებული, შეშინებული საზოგადოებისათვის მოაქვს სიკეთე და სიმშვიდე, მაგრამ კაცობრიობის ხსნა შეიძლება კეთილისმოქმედსაც ძვირად დაუჯდეს... ამრიგად, არამართო ქართული, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები წარმოადგენენ ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებებს, მეორენაირად - ცხოვრების საუკეთესო მასწავლებლებს.

ლიტერატურა:

1. აგიაშვილი ნიკა, „ ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები“, 1978: გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
2. ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. 5 /მოთხრობები/. 1964: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
3. თაგაური გაბრიელ, „რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები“, 2015: გამომცემლობა „მუსფონდი“, თბილისი.
4. თაგაური გაბრიელ, „რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები“, 2015: გამომცემლობა „მუსფონდი“, თბილისი.
5. კიკნაძე ზურაბ, „ქართული ფოლკლორი“, 2008: თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.
6. კუტივაძე ნესტან, „ქართული ლიტერატურული ზღაპარი (XIX საუკუნე)“, 2014: ქუთაისი.
7. რობაქიძე გრიგოლ: „ორი ძმა“ (ზღაპარი), გვ. 32-35. - არავი: ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, ნ 2, 2016: გამომცემლობა „ახალციხის ინ-ტი“, ახალციხე.
8. ქურდოვანიძე თეიმურაზ, „ქართული ზღაპარი“, 2002: გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
9. ჩიქოვანი მიხეილ, "ქართული ფოლკლორი", წიგნი 1. 1938: გამომცემლობა „პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინ-ტი“, თბილისი.
10. ჩიქოვანი მიხეილ, "ქართული ფოლკლორი, მასალები და გამოკვლევები", ტ. 4. 1974: გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
11. ჩოლოყაშვილი რუსუდან, „ზღაპარი და სინამდვილე“, 2009: გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
12. წერეთელი აკაკი, „თხზულებათა სრული კრებული“ 15 ტომად, ტ. 8 /მხატვრული პროზა/. 1958: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
13. სს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ.1. 1991: გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
14. ქეგლ-ი ტ. 1. /ა-ბ/ 1950: რედ. არნ. ჩიქობავა, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი.
15. ქეგლ-ი ტ. 4. /ვ-ლ/ 1955: რედ. არნ. ჩიქობავა, მ. ჭაბაშვილი, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი.
16. პროპი ვლადიმერ, "ზღაპრის მორფოლოგია", 1984: გამომცემლობა „მეცნიერება“, მთარგ.: მ. კარბელაშვილი, თბილისი.

Gabriel Tagauri**Some Conceptual and Structural Characteristics of Georgian Folk and Literary Tales****Abstract**

Present paper analyses conceptual and structural characteristics of Georgian tales, including those controversial aspects that still call for solution. All thirty-one functions fairy-tails, formulated by V.Y. Propp, are more of a universal nature than purely national. However, as long as every tale integrates national features into narration, the purpose of my research was to explore how the conventional intents of a tale transform and how general motives of its storyline get modified in the national context. Particularly important was to understand how the national basis gets reflected in the texts of Georgian folk and literary tales.

რეცენზენტი: პროფ. რ. ხაჭაპურიძე

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

თეა თალაკვაძე

თბილისი, საქართველო

გენდერული ოპოზიციები ოთარ ჭილაძის რომანის „აველუმი“ მიხედვით

XX 90-იანი წლების მიჯნაზე მყოფი პოსტ-ტოტალიტარული ქალაქის ცხოვრებაა ასახული ქართველი კლასიკოსი მწერლის ოთარ ჭილაძის „აველუმში“. ოთარ ჭილაძის შემოქმედება განსხვავებული პერსპექტივებითა და მეთოდოლოგიით ხორციელდება, ჩვენი მიზანია, რომანში გამოკვეთილი გენდერული ოპოზიციების წარმოჩენით მთავარი პერსონაჟის ფსიქო-სოციალური ყოფის განსაზღვრა. როგორია მისი "მე" კონცეფტის მიმართება გარე სამყაროსა და მისი საყვარელი სამივე ქალის მიმართ. ქალთა ფსიქო-ტიპების გასაანალიზებლად ვყვრდნობით ფროიდის ფსიქოანალიზის სამ ინსტანციას.

საკვანძო სიტყვები: „აველუმი“, გენდერული ოპოზიციები ფსიქო-სოციალური ყოფა

ოთარ ჭილაძის შემოქმედების განხილვა დღემდე განსხვავებული მეთოდოლოგიებით და მრავალფეროვანი პერსპექტივიდან ხორციელდებოდა, რაც გვადლევს მისი ტექსტების მრავალმხრივი წაკითხვის შესაძლებლობას. მწერლის რომანების ინტერპრეტაციებსა და კრიტიკულ წერილებში, ხშირად საუბრობენ ფსიქოლოგიზმის, ცნობიერების ნაკადის, მითოლოგიზმის, გაუცხოებისა და სივრცული მოდელების შესახებ. ფროიდის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით ოთარ ჭილაძის რომანების ინტერპრეტაცია გვეხმარება პერსონაჟთა ცნობიერისა და არაცნობიერის კონფლიქტში წარმოშობილი სუბიექტური შრეების გამოსაშვარავებლად. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ფსიქოანალიტიკური მეთოდით რომან „აველუმის“ პერსონაჟ ქალთა ურთიერთმიმართებისა და პოზიციონირების წარმოჩენა მათ შორის ჩამდგარი აველუმის მიკუთვნებულობისა და „მე“ კონცეპტის გამოსაშვარავებლად. ავტორი, სწორედ ცნობიერის, ფსიქო-სოციალური ტიპების ჩამოყალიბებით ქმნის ერთმანეთისგან რადიკალურად დაპირისპირებულ ოპოზიციურ მოდელებს, რომლებიც ურთიერთმონაცვლეობით აჩენენ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ტიპებს. აველუმი სამივე ქალთან ცალ-ცაკლვე ეძებს თავშესაფარს, რომელშიც გაიხსნება, იპოვის სახლს და დაივანებს.

რომანში აშკარად და მძაფრად იკვეთება სამი პერსონაჟი ქალის მელანჩას, სონიას და ფრანსუაზას ემოციური ბმა და დამოკიდებულება აველუმის მიმართ, რომელიც პოზიციონირებს და დგას სამივე ზემოხსენებული ქალის ცენტრში და მოიაზრება მათი ცხოვრების მსაზღვრელად.

„აველუმი თავის „სიყვარულის იმპერიის“ ნგრევაში იმპერიის ნგრევისა და სამყაროს წესრიგის სურათს ხედავს. ამ კონტექსტში ერთვება ოჯახის, სიყვარულის, თაობათაშორისი

ურთიერთობების, ანუ ადამიანისა და საზოგადოების უმაღლესი და უპირითადესი ფასეულობების ნგრევის მტანჯველი განცდაც“ (კვაჭანტირაძე, 2010:56).

აველუმის ძალისხმევის გასაანალიზებლად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მისთვის საყვარელი ქალების არქექტიპული მოდელების კლასიკური ფსიქოანალიზის საფუძველზე და ზიგმუნდ ფროიდის მიერ ადამიანის ფსიქიკის სამი ფსიქიკური ინსტანციის გამოამჟღავნებით, რომანში წარმოდგენილი სამივე ქალის ფსიქო- სიციალური პროფილის წარმოჩენა.

იგი – წყარო ინსტინქტური ენერჯისა (ლიბიდო), რომელიც მუდმივად მიისწრაფვის გამოვლენისკენ. «იგი» გააქტიურებულია ფრანსუაზას ტიპში, რომელიც დაუფარავად ამქლავნებს სწრაფვებსა და სურვილებს და მისი მოქმედების არეალიც თავისუფალი და მიზანიმართული ქმედებების ერთობლიობაა.

ზე-მე – ერთგვარი ცენზორი, რომელიც ზღუდავს ვნებების დაკმაყოფილებას. ზე-მე მოიცავს ინდივიდის მიერ სოციალიზაციის შედეგად გათავისებულ ღირებულებებსა და ნორმებს. სუპერ-ეგოს მატარებელია აველუმის მეუღლე მელანია, რომელიც პასიური და ინერტულია, რამდენადაც მას კოლექტიური ცნობიერების ფონზე გააზრებული აქვს ცოლისა და ოჯახის დედაბოძის როლი საკუთარი სუბიექტური ვნებების, ლიბიდოს დაბლოკვის ხარჯზე და დამოკიდებულია კოლექტივის მიერ ნორმალიზებული ცხოვრების რითმზე.

მე – მიისწრაფვის კომპრომისისკენ საკუთარ სურვილებსა და მოთხოვნებს შორის. მექანიზმი, რომლითაც მე ცდილობს თავი დაიცვას კონფლიქტებისგან, არის მიუღებელი მოთხოვნილებების დათრგუნვა. ამგვარად, მოთხოვნილებები ვეღარ აღწევს ცნობიერებამდე, თუმცა არ ქრება, არამედ ილექება არაცნობიერში. სონიას ონტოლოგიური პროფილი კი «იგისა» და «სუპერ-ეგოს» ზღვარია, სადაც გამოხატულია მერყევი *მე*, ერთის მხრივ საკუთარ ლტოლვას აყოლილი, თუმცა მეორეს მხრივ, სოციალურ დიქტატს დამორჩილებული, რელობასა და კოლექტიურ მორალს ამოფარებული.

სამივე ქალის ცენტრში პოზიციონირებს აველუმი, რომელსაც არაცნობიერიდან ცნობიერების ველზე, მოთხოვნილებების შესაბამისად, თავისთავად და ბუნებრივად, ამოჰყავს ვნებებისა და სურვილების დაუოკებელი წყურვილი, ან პირიქით, თრგუნავს.

აველუმის ცხოვრებაში პირველი ქალი, რომელმაც მეუღლის გვირგვინი დაიდგა მელანიაა. ფრანგი საყვარელი ფრანსუაზა მელანიას და სონიას შორის ჩამდგარა და მიუხედავად სიშორისა, აქტიურად აგრძელებს ვნებიან და „აკრძალულ“ სიყვარულს აველუმთან. პირველი ქალი, რომელიც რომანის დასაწყისში ჩნდება აველუმის მოსკოვში მცხოვრები საყვარელი სონიაა, „სიყვარულს რომ არ შესწირვოდა მსხვერპლად, ქმარს მიეკედლა, სხვანაირად რომ ვთქვათ. სიყვარულიდან, ანუ მომაკვდავი ზღვიდან, სახელდახელოდ შეკოწიწებულ ოჯახს, ანუ ხელოვნურ ნაპირს მიაშურა, საიდანაც მისი უკან დაბრუნება ისეთივე სისასტიკე იქნება დღეს, როგორი სისასტიკეც იმავე ზღვიდან მისი ძალით გამოთრევა იქნებოდა გუმინ“ (ჭილაძე, 11:2016) სონია გადაწყვეტილებას უმაღლეს ატყობინებს „ყოფილ“ საყვარელს და ისიც ბუნდოვანია, რატომ, ან რისთვის. სონია აველუმის მესამე აღმოცენებული „ელდა და ჭექაქუხილი“ ერთის მხრივ ვნების თავისუფლებას მიცემული და საზოგადოების და ოჯახის სოციალურ ნარატივს გამიჯნული, მეორე მხრივ კი დამორჩილებული, "მართლა ანტილოპა, რომელმაც ისე მოიშალა მუცელი, არც გააგებინა აველუმს“, მაგრამ ამავე დროს „ოჯახურ საბჭოზე“ მიღებული გადაწყვეტილება აღასრულა და სწორედ აქ გაავლო პირველი ზღვარი სოციალურ ვალდებულებასა და თავისუფალ ნებას შორის. სონიამ იმ დღეს დაასრულა ბრძოლა სიყვარულისთვის, მიუხედავად იმისა, „რომ ღრმად იყო დარწმუნებული, სულის ამოხდომამდე, ნებისმიერი იარაღით იბრძოლებდა აველუმის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად“ (ჭილაძე,

2016:51), თუმცა მიიღო პრაქტიკული გადაწყვეტილება და აირჩია უკეთესი ვარიანტი, მამაკაცი, რომელიც მუდამ გვერდით ეყოლებოდა და ერთი კოცნისთვის არც კავკასიონის გადაფრენა მოუწევდა“. მისი გადაწყვეტილებით პირველად დაირღვა აველუმის ცხოვრებაში განსხვავებული სამკუთხედი, რომელსაც ერთ-ერთი საყრდენი მელანია გამოეცალა.

ფრანსუაზას და აველუმის სიყვარული ზედამხედველობის ქვეშ დაიბადა, საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირში ჩამოსულ სტუმარს ბუნებრივია მკაცრად აკონტროლებდნენ და მის 'საეჭვო' კავშირებს აყურადებდნენ. მისი სიყვარული ბრძოლაა „მიშა და სიყვარულს შორის“, სადაც შეუზღუდავად მოქმედებდა იგი.

ფრანსუაზას თავისუფლება მისი ევროპული წარმომავლობითა და აღზრდითაა ახსნილი, ამკარაა, რომ ის მოქმედებს საკუთარი ვნებების და სურვილების შესაბამისად, მისთვის უცხოა სამოქალაქო კოდექსი, ოჯახური ვერდიქტი და სახელმწიფოებრივი შეზღუდვები. ფრანსუაზა მიჩვეულია თავისუფლებას, ის იმ კუნძულზე გაიზარდა, სადაც მისი ბებია მეგობრებთან ერთად შიშველი დადიოდა, სადაც ეზიარნენ „ფიზიკური სიშიშვლის ესთეტიკას“. ფრანსუაზა გაოცებული ეკითხება კიდეც აველუმს: „როგორ მიდის წიგნის საქმე, გმირი მართლა ტიტველია? კი მაგრამ, შეიძლება საბჭოეთში ასეთი რამე?“ (ჭილაძე, 2016:134).

ფრანსუაზა ტოვებს აველუმს, მაგრამ სონიასგან განსხვავებით აველუმისგან შვილს აჩენს. მისი სურვილი მყარია, რადგან მას შვილი არა სიბერის სანუგეშებლად, არამედ აველუმისგან სამახსოვროდ, მისი განუმეორებელი, მარადიული სიყვარულის მუდმივ შესხენებად სჭირდება და ამიტომაც თხოვდა აველუმს, ავალდებულებდა, ემუქრებოდა, რომ ყველაფერი ეღონა საიმისოდ, რომ სიყვარულის ნაყოფი ეშვა, თავისუფალი სიყვარულის პირში. ფრანსუაზამ მიზანს მიაღწია და „კონტრაბანდასავით გადააპარა აველუმის გენი საზღვარზე“. ფრანსუაზამ „აველუმი კი მიატოვა, მაგრამ ერთ დღესაც არ უცხოვრია უაველუმოდ“.

ამდენად, აველუმი რომანში გამოკვეთილი სამივე ქალის მიმართ გულწრფელია. საწინააღმდეგო სქესი განსაზღვრავს მის ორიენტაციას სამყაროში, შეკრულია სამკუთხედი, რომლის ცენტრშიც დგას აველუმი, ერთისკენ მისთვის ერთფეროვანი, სიკვდილთან და უსიცოხლო არსებობასთან თანაზიარი აწმყო აქვს, მეორე კი, თავად ტოვებს აველუმს, ხოლო მესამე, რომელმაც თავისი დაიჟინა და ბოლომდე შეძლო ვნების თავსმოხვევა, სამუდამოდ იმკვიდრებს იმპერიის ნანგრევებში მიუსაფარ და უნუგემოდ მიტოვებულ აველუმს: 'სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფრანსუაზასთან გაქცევა. უფრო ზუსტად, შემთხვევით გაახსენდა უცებ ფრანსუაზასგან ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულში მიღებული და დღემდე უპასუხოდ დატოვებული მიპატიჟება, და ახლა, საკუთარ ქალაქში გზააბნეული, მგზნებარედ ეფიცებოდა გუნებაში უსინდისოდ დავიწყებულ ფრანსუაზას, აუცილებლად რომ ისარგებლებდა ამ ბედნიერი შემთხვევით" (ჭილაძე, 2016:324). აველუმი ირჩევს თავისუფლების კუნძულს, რათა თავი გადაირჩინოს.

ლიტერატურა:

1. ჭილაძე, ოთარ. 2010. აველუმი. თბილისი:
2. კვაჭანტრირაძე, მანანა. 2010. ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში. რიტყვა N5, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
3. ფროიდი, ზიგმუნდ. 2012. ფსიქოანალიზი. თბილისი: მერიდიან

Tea Talakvadze

Otar Chiladze's "Avelum"**Abstract**

The Georgian writer, whom I think is the classical worker of the twentieth century, is Otar Chiladze, translated into several languages, studied and laureates of Nobel Prize several times. His creative work have been discussed several times and Georgian researchers are still actively studying different perspectives such as psychoanalysis, mythology, stream of consciousness and more. However, on the basis of gender research, Otar Chiladze's works have not been discussed yet.

My goal is to analyze Otar Chiladze's "Avelum" on the basis of gender differences and the types of women different from each other, two of them are Georgian and one French. They have never seen each other but are united around one man. With different moral and opposite desires.

The environment where the characters of the novel live is totalitarian, starts with the Soviet imperial space and ends with breaking the Soviet republics and fight for independence. From the totalitarian situation, the main characters move into the post-totalitarian space where they are able to recognize and see themselves, because ideology is free from their free will.

რეცენზენტი: პროფ. ხ. არსლანი

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

თინათინ სიხარულიძე

თბილისი, საქართველო

ბაირონის თავისუფლების იდეა და საქართველო

XIX საუკუნეში ქართული ლიტერატურა მჭიდროდ უკავშირდება ევროპის ქვეყნების ლიტერატურას, ფრანგულიდან თუ რუსულიდან თარგმნილის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ჯორჯ გორდონ ბაირონის (1788-1824) პიროვნებისა და შემოქმედების პოპულარიზაციის საკითხი საქართველოში. ბაირონის შემოქმედებას იცნობდნენ ქართველები ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე, ამიტომ დაიწყო კიდევაც თარგმნა ქართულ ენაზე, მაგრამ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა XIX საუკუნის II ნახევარი, როცა, ქართული პრესის განვითარებასთან ერთად, ბაირონი ითარგმნება ქართულად. მის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ყოველივე ეს ასოცირდება „ბაირონიზმთან“, როგორც ამაზე მიგვანიშნებს ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი ლიდერი ილია ჭავჭავაძე (1837-1907), რომელიც, ერთ-ერთი პირველი, თარგმნის ლექსს ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“, ნაწყვეტებს პოემებიდან.

მეორე პოეტი აკაკი წერეთელი (1840-1915) ასევე თარგმნის ბაირონის ორ ლექსს „ებრაული მელოდიებიდან“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ილიასა და აკაკის თარგმანები შესრულებულია არა უშუალოდ ინგლისურიდან, არამედ რუსული თარგმანების მეშვეობით, მაგრამ მთარგმნელები აღრმავებენ თარგმნილ ლექსებს თავიანთი მამულიშვილური გრძნობებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან XIX საუკუნის დასაწყისიდან.

ზემოაღნიშნულმა თარგმანებმა ხელი შეუწყო ბაირონის შემოქმედების პოპულარიზაციის ტრადიციას ქართულ მთარგმნელობით სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: ბაირონი, ი. ჭავჭავაძის, ა.წერეთლის ქართული თარგმანები

XVIII საუკუნის დასასრულიდან ევროპაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ ძვრებს შედეგად მოჰყვა თავისუფლების იდეისაკენ სწრაფვა, რაც დაუპირისპირდა კლასიციზტურ და სენტიმენტალისტურ მიმართულებებს. საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას მოჰყვა მისი „ნაყოფიც“. როგორც რომანტიზმის ფუძემდებელი და თეორეტიკოსი გერმანელი ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829) აღნიშნავდა, რომანტიზმი, როგორც მიმართულება

ლიტერატურაში, განაპირობა სამმა მიზეზმა: საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, ი. ფიხტეს ფილოსოფიამ და გოეთეს რომანმა „ვილჰელმ მაისტერის მოწაფეობის წლები“ [„ქართველი მწერლები სკოლაში“, წ. 1, 2003:4-5], ამ დენად თავად რომანტიზმში ძვეს ის, რამაც ევროპის ლიდერი პოეტები გააერთიანა თავისუფლებისმოყვარეობის იდეის ქვეშ. ამ იდეის წინამძღოლად გვევლინება ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი და ეს ფაქტი შემთხვევითი არ იყო. როგორც აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი თავის ნაშრომში "LIBERTY AND THE GEORGIAN BYRON" წერს: "Georgian readers were, in the main, unable to read Byron in English but his sublime ideas and unselfish patriotism, his poetic vision of the world and the narrative strength of his poems reproduced in French, Russian and Polish translations greatly affected the way of composing poetry in Georgia." [Merabishvili, 2004:8] ბაირონის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტებიდან გამომდინარე, მასთან ჩნდება დაუკმაყოფილებლობისა და არსებული რეჟიმის უარყოფით მხარეებთან დაპირისპირების სურვილი. ამას დაემატა უკვე საბერძნეთში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაც და ბაირონი ცდილობს სიტყვით თუ საქმით აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ბაირონის შემოქმედებაში ჩნდება სწორედ მებრძოლი პოეტის განწყობილებანიც, ამიტომ აიტაცა მისი თავისუფლების იდეა ევროპის ბევრმა ქვეყანამ და, მათ შორის, თავისუფლებადაკარგული ქვეყნის, საქართველოს, მოწინავე ინტელიგენციამ. თავდაპირველად რუსული თუ ფრანგული თარგმანების საშუალებით ქართული საზოგადოება ეცნობა ბაირონის პიროვნებას თუ შემოქმედებას და პოულობს მიუსადაგოს მასში ქვეყნის ბედზე საფიქრალი. სტატიაში ვეცდებით მიმოვიხილოთ, როგორ გამოვლინდა ზემოთქმული ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანებში XIX საუკუნეში. აღნიშნულ საკითხზე არსებობს ქართველ მკვლევართა და თარგმანმცოდნეთა ნააზრევოც (დ. ლაშქარაძე, გ. გაჩეჩილაძე, ი. მერაბიშვილი და სხვ.), აღნიშნული საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში მეტნაკლებადაა შესწავლილი, რისი შევსების მცდელობაცაა მოცემული წინამდებარე სტატიაში.

ქართული ლიტერატურის ისტორია თუ წინა საუკუნეებში განიცდიდა აღმოსავლური ლიტერატურის გავლენას, XVIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ეწევა ევროპის მოწინავე ქვეყნების იდეების გაზიარებას, რაც ტერმინ „ევროპეიზმთან“ ასოცირდება. სწორედ ევროპულის შემოსვლასა და გაზიარებასთან არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურის დაინტერესებაც ბაირონით და, როგორც მკვლევარი ქეთევან ელაშვილი აღნიშნავს, „ბაირონის სულიერმა ამბოხმა, მძაფრმა ვნებათაღელვამ, საოცარმა პოეტურმა ხიბლმა და წამლეკავმა შემოქმედებითმა პათოსმა წარმოშვა „ბაირონიზმი“. როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული განშტოება [ქართული რომანტიზმი 2012-235]. მართალია აკადემიკოსი, პროფესორი ი. მერაბიშვილი, რომელიც ამ ფაქტს ასე განმარტავს: „ბაირონიზმი არის უპრეცედენტო მოვლენა იმ თვალსაზრისით, რომ არც მას შემდეგ არ შემდგარა არცერთი სხვა მწერლის სახელობის ლიტერატურული მიმდინარეობა, რაც ერთიანად მეტყველებს ბაირონის უდიდეს გავლენასა და მნიშვნელობაზე [ლორდ ბაირონი, 2013:14].

როგორც მკვლევარი დ. ლაშქარაძე აღნიშნავს, ბაირონის შემოქმედების თარგმნა ნიშნავდა ქართული ლიტერატურის დაახლოებასაც ევროპეიზმთან. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ჩნდება სწორედ „ევროპეიზმისკენ“ სწრაფვა და ისიც დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთან. „ევროპეიზმის“ მიმდევარი ილია, პოეზიის ჭეშმარიტ განსახიერებად რომ თვლიდა ცხოვრების აზრის, ერის სულისკვეთების გადმოცემას, ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რა უნდა ეთარგმნათ და როგორ. „ევროპეიზმის“ არსად იგი ხალხის სულიერი ცხოვრების სიღრმისეულ კვლევას. მისი „უკვდავების ძარღვის შენძრევას“, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“ წვდომას რაცხდა“ [დ. ლაშქარაძე, 1988:18].

ინესა მერაბიშვილი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა აღნიშნული საკითხი, წერს, რომ ბაირონს იცნობდნენ საქართველოში მანამდე, სანამ დაიწყებოდა მისი თარგმანების პუბლიკაცია ქართულ პრესაში, რაც ძირითადად XIX საუკუნის II ნახევარს უკავშირდება. ქართველ მწერლებს ს. ალექსი-მესხიშვილს უთარგმნია ბაირონის „რომაული სიმღერა“ „ოსკარ დ'ალვა“, მიხეილ თუმანიშვილს „უდაბნო“, და „თასი თავისი სარქველით“ (რომლებიც მხოლოდ ხელნაწერით არის შემონახული). XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იბეჭდება მოკლე ინფორმაციებიც ქართულ პრესაში ბაირონის შესახებ, რომლებშიც ნაწილობრივ გახსნილია ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ბაირონის პოპულარობის მიზეზები ევროპაში: „ბაირონის პოეზიამ ქარივით დაჰვერა ევროპას, რომელსაც სული უწუხდა ამ ორმოც-სამოცი წლის წინად. მაშინდელის უგვანის წეს-წყობილების გამო, როგორც გრიგალი, ასე გაჩნდა ბაირონი და არ დაჰზოგა ევროპა, ევროპის საზოგადოება, რომელსაც დამონავებული და დამორჩილებული ჰყვანდა ყოველივე, რასაც თავისუფლების ნიშან-წყალი ეტყობოდ ა, რაც ასე თუ ისე ეურჩებოდა სულისა და გონების შემხუთველს ჰაერს“ [„ივერია“, 1888:3].

ევროპიდან „ბაირონიზმი“ რუსეთსა და საქართველოში ხდება პოპულარული. რამდენადაც ბაირონის პირველი თარგმანები რუსულ ჟურნალებში 1820 წლიდან გვხვდება, საქართველოში მისი იდეების შემოსვლაც სავარაუდოდ 1830-იან წლებთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ პირველი თარგმანების პუბლიკაცია უკავშირდება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მწერლისა და პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელმაც 1859 წელს გამოაქვეყნა „ცისკარში“ ბაირონის ერთი ლექსის „სტიროდეთ“ („ებრაული მელოდების“ ციკლიდან) მკვლევარს მ. კუჭუხიძის აზრით, „ილიას ამ ლექსის თარგმანისას უსარგებლია საკმაოდ ზუსტი ბწკარედით“ [მ. კუჭუხიძე, 1977-193].

ილია ჭავჭავაძის მიერ ამ ლექსის თარგმნა გამოწვეული უნდა იყოს თავად მის შემეცნებაში მძლავრად ფესვგადგმული იდეისაგან, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, რაც ეხმიანება ებრაელი ერის ტრაგიკულ მდგომარეობას:

²⁵ „ოხ! სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვისიც მამული სამშობლოსა,
არა რა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ იუდის ჩანგსა დამსხვრეულს!
სტიროდეთ... სადაცა ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა-იმა ალაგსა
არიან ვისაც ღმერთი არა ჰყავთ.“

(თარგმანი ილია ჭავჭავაძისა) [ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1988:16]

აშკარაა, ილიამ ამ ლექსის („სტიროდეთ“) იდეაში დაინახა სიახლოვე საქართველოს მდგომარეობასთან, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებლობა 1801 წელს და რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა, ილია ზუსტად მიყვება რუსულ თარგმანს. მაგრამ, ამავდროულად, „სავსებით კანონზომიერია.

ჭავჭავაძის მიერ ამ ლექსის არჩევა სათარგმნელად. ბაირონის ლექსი უპასუხებდა ქართველ მოღვაწეთა საერთო განწყობილებას და ეს თარგმანიც მიზნად ისახავდა პატრიოტული

²⁵ ტექსტი წარმოდგენილია პირველი გამოცემის მიხედვით- ჟ. „ცისკარი“, N9, გვ:3- თ.ს

განწყობილების გაღვიძებას ქართველ მკითხველში. ისიც დამახასიათებელია, რომ ასეთ მკვეთრ მიდრეკილებას პატრიოტიკისადმი ამჟღავნებდნენ სწორედ ბაირონის ლექსების პირველი თარგმანები, მაშინ, როდესაც უფრო მოგვიანო თარგმანებში გვხვდება უკვე ბაირონის ინტიმური ლირიკის ნიმუშებიც“ [გ. გაჩეჩილაძე, „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, №1:3]. ლექსი ნათარგმნია ათმარცვლიანი სალექსო ზომით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ლექსი XX საუკუნეშიც ითარგმნა აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის მიერ.

„ტანჯულო ხალხო, ხეტიალით გადაგლიათ სულიც და ხორციც,
ბედი არ გწყალობთ, შვება არ ჩანს, სამუდამო, დღეს თქვენი მოდგმის,
მტრედს თუ ბუდე აქვს თავშესაფარად, სოროს ეძებს დევნილი მელა,
თუ კაცის რწმენა სამშობლოა, თქვენ რად გელით სამარე ყველას“.
[ი. მერაბიშვილი, 2013:151].

ახალ თარგმანში იგრძნობა შემოქმედებითი მიდგომა ორიგინალისადმი. 1860 წელს ილიას უთარგმნია ნაწყვეტები ბაირონის პოემებიდან „კაენი“ და „მანფრედი“. ამ თარგმანებშიც მებრძოლი განწყობილება მოჩანს.

1861 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ილია წერს „მგზავრის წერილებს“, რომელშიც მოცემულია მთელი მისი შემოქმედებისა და პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროგრამა. უსული საგნების, მყინვარისა და მდინარე თერგის შედარებისას, ილია კაცობრიობის ორი დიდი გენიოსის სახელსაც ახსენებს, ესენია: გერმანელი გოეთე, ინგლისელი ბაირონი. ილია სვამს კითხვას: თუ რაში ვლინდება ადამიანის სიცოცხლე (ჭეშმარიტი ადამიანის არსი) და აქვე ასკვნის, რომ ეს აქტიურ მოძრაობაში, მოქმედებაშია. აქ მდინარე თერგს, მოძრავსა და მჩქროლავს, ისევე, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ ბაირონს უპირატესობას აძლევს მშვიდ და ზვიად მყინვარის მსგავს გოეთესთან: „მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ [ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1988:23]. შემდგომში ილიას განუზრახავს ინგლისური ენის შესწავლა. ილიას თარგმანებს თავის დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელი ბაირონის შემოქმედების მეშვეობით ქართულ საზოგადოებაში თავისუფლებისმოყვარეობის იდეის გაღვიძების თვალსაზრისითაც.

ილიამ თავის თარგმანებით, თუ პუბლიცისტურ წერილებში მოხსენიებით ხელი შეუწყო არამცთუ ბაირონის პოპულარიზაციას და ტერმინ „ბაირონიზმის“ დამკვიდრებას, არამედ მისი აქტიურად თარგმნის ტენდენციასაც.

მეორე დიდმა ქართველმა მწერალმა აკაკი წერეთელმა (1840-1915) ასევე გამოიჩინა დაინტერესება ბაირონის პოეზიისადმი და თარგმნა მისი ორი ლექსი „ებრაული მელოდიებიდან“: „იეფი ფასის ასული“ და „გოდება ებრაელთა“. თარგმნილ ლექსებს ახასიათებთ აკაკისათვის ჩვეული ხალხურობა და რითმულობა. აკაკიმ შეარჩია ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ ეს ლექსები იმიტომ, რომ იგი ცდილობდა ანალოგია ეპოვნა ებრაელთა ტანჯული ცხოვრებისა ქართველი ხალხის მდგომარეობასთან. გარდა აკაკისა ლექსი „იეფთაის ასული“²⁶ უთარგმნია მეორე ქართველ პოეტს იოსებ ბაქრაძეს 1871 წელს, მაგრამ აღნიშნული თარგმანი უფრო დაბალი მხატვრული ღირებულებისაა.

ი. ბაქრაძე (1850-1902) ინტენსიურად ეწევა ბაირონის ნაწარმოებების თარგმნას, მაგრამ არა ორიგინალიდან, არამედ რუსული თარგმანებიდან. მას უთარგმნია ბაირონის ლექსები და პოემები: „დონ ჟუანი“, „ჩაილდ ჰაროლდი“ და სხვ. ი. ბაქრაძეს გადაწყვეტილი ჰქონია ცალკე წიგნად გამოეცა ბაირონის თხზულებათა ქართული თარგმანები, მაგრამ ეს ჩანაფიქრი

²⁶ ასეთი ლექსის სახელწოდება სხვა თარგმანებში – თ.ს.

განხორციელდა მხოლოდ გარდაცვალების შემდგომ, XX საუკუნეში, ლიტერატურათმცოდნე სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ.

გარდა ი. ბაქრაძისა, ბაირონს თარგმნიდნენ სხვადასხვა დროს ქართველი პოეტები და მწერლები: მამია გურიელი (ფაზელი), ნიკო ლო მოური, „იორდანე ტუსალი“ და სხვ. თარგმანები სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი ხშირად აწერს „ბაირონით“ „ბაირონიდან“ და სხვ. მაინც თავად ავტორსაც არა აქვს გამოკვეთილი თავისუფალი თარგმანია ეს, მიბაძვა, თუ გადმოკეთება? ამ კუთხით მკვლევარი თ. მიქაძე ეთანხმება საგამომცემლო პრაქტიკაში ტექსტოლოგიების მიერ გადმოკეთებული ნაწარმოებების ორიგინალის გვერდით პუბლიკაციის ტენდენციას, რამდენადაც იგი ემყარება ილია ჭავჭავაძისეულ თვალსაზრისს, რომ „გადმოკეთებისას მწერლის მიზანია თავისი ხალხისთვის უფრო გასაგები და მისაწვდომი გახადოს ნათარგმნი ნაწარმოები. სხვა ხალხის საკუთრება თავისი ხალხის საკუთრებად აქციოს, ე.ი. ასეთ შემთხვევაში თავისებურ, ორიგინალურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმეო“ [თ. მიქაძე, 2007:97].

თარგმანმცოდნე გ. გაჩეჩილაძე აანალიზებდა რა ბაირონის ქართულ თარგმანებს, აღნიშნავდა, რომ თარგმანის დროს ქართველები სათარგმნელად არჩევდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოს იყო მათ სულიერ განწყობილებასთან ან ქვეყნის მდგომარეობასთან. ამიტომ ზოგჯერ დაბალმხატვრული თარგმანი გამოსდიოდათ [გ. გაჩეჩილაძე, „ლიტერატურული გაზეთი, 1956, №1:3].

მკვლევარმა მ. კუჭუხიძემ საფუძვლიანად შეისწავლა ბაირონის ქართული თარგმანები XIX საუკუნეში და დასვა საკითხი, რომ აუცილებელია იმ რუსული თარგმანების მოძიება შემდგომად, საიდანაც სარგებლობდნენ ქართველი პოეტები, რის გაგრძელებასაც ვაპირებთ სამომავლოდ ჩვენს ნაშრომებში.

მკვლევარნი ჩვენს მიერ შესწავლილ საკითხთან დაკავშირებით თანხმდებიან, რომ ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანები XIX საუკუნეში იყო დაბალმხატვრული და ნაკლებად დაახლოებული ორიგინალთან, რადგან მათთვის მთავარი იყო ბაირონის თავისუფლებისმოყვარეობის განწყობის ანალოგიის პოვნა დამოუკიდებლობადაკარგული ერის მდგომარეობასთან.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე. გ., „ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები“ „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წლის 20 იანვარი, №3; 2.
2. ელაშვილი. ქ., „სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში“. კრებულიდან „ქართული რომანტიზმი“, თბ. 2012;
3. ვინოგრადოვი ა., „ბაირონი“ (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, 49), „ნაკადული“, თბილისი, 1973;
4. კუჭუხიძე მ., „ქართველი სამოციანელები და ბაირონის შემოქმედება“. კრებულიდან „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. 1., „მეცნიერება“, თბილისი, 1977;
5. ლაშქარაძე დ. ლიტერატურული მერიდიანები. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1988;

6. ლორდ ბაირონი: 2013 ლორდი ბაირონი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები, დაურთო ი. მერაბიშვილმა, თბ., 2013;
7. მერაბიშვილი.ი., „ლორდ ბაირონი. ლექსები“. ინგლისურიდან თარგმანა გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ი. მერაბიშვილმა, თბ., 2013;
8. მიქაძე თ., იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და შემოქმედება. „უნივერსალი“, თბილისი, 2007
9. „100 წელი ბაირონის დაბადებიდან. მოხსენებები სპასოვიჩისა და სტოროჟენკოსი“, გ. „ივერია“. 1888, 11 თებერვალი, №31;
10. Innes Merabishvili; “LIBERTY AND FREEDOM AND THE GEORGIAN BYRON”; Volume II, Chapter 21; THE RECEPTION OF BYRON IN EURPE IN TWO VOLUMES Edited by Richard A.Cardwell; Continuum Press, London- New Y ork,2004.

Sikharulidze Tinatin

Byron's idea of liberty and Georgia

Abstract

In the 19th century Georgian literature was closely linked to the literature of European countries through French and Russian translations. In this consideration it is particularly noteworthy one of the most influential romantic poets George Gordon Byron's (1788-1824) appearance in Georgia. Byron's works were still familiar to Georgians in his life, thus Georgians began translating his works into Georgian in that period, but the second half of the 19th century was the most active period when the Georgian press was developed and the works of Byron were translated as well. The information about him was published and this all was associated with “Byronism”. The revival of the Georgian national movement, Ilia Chavchavadze (1837-1907) indicated to us about all this, he was the first foremost figure who translated the verse from “Hebrew Melodies”, fragments from Byron's poems.

The second distinguished poet, Akaki Tsereteli (1840-1815), who translated two verses of Byron from “Hebrew Melodies”. it is remarkable that Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli's translations were conducted not from English, but through Russian translations. However, just mentioned poets made an attempt to improve their translated verses of Byron based on their patriotic feelings which had been connected with the loss of independence of Georgia since the beginning of the 19th century.

Above-stated translations strongly promoted the popularization's tradition of Byron's works in Georgian translation space.

რეცენზენტი: პროფ. კ. კორენოვსკა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

თეა სუმბაძე

თბილისი, საქართველო

სიმონ ჩიქოვანი ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ

ცნობილი ქართველი პოეტის, სიმონ ჩიქოვანის, ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ესეისტური წერილები, რომლებიც ქართული პოეზიის კლასიკოსთა შემოქმედებას ეხება. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია სიმონ ჩიქოვანის შეხედულებები ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე. უმთავრესად განხილულია ორი საკითხი – ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა პლასტიკურობა და პოეტის სალიტერატურო ენის პრობლემა. ს. ჩიქოვანი შესაბამისი მაგალითებით ასაბუთებს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ფერწერული პოეტური სურათები გამეფებული, ვაჟას პოეტური სამყარო სურათოვანია და თვალით სახილველი. რაც შეეხება პოეტის ენის პრობლემას, სიმონ ჩიქოვანი თანმიმდევრულად აანალიზებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პოლემიკა აკაკი წერეთელთან, აკაკისა და ვაჟას ენობრივი შეხედულებების ურთიერთმიმართება, ასტროფია, როგორც ვაჟას პოეტური მეტყველების ბუნებრივი ფორმა და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, სიმონ ჩიქოვანი, მხატვრული სახის პლასტიკურობა, სალიტერატურო ენა

ცნობილი ქართველი პოეტის, სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ესეისტური წერილები, რომლებიც ქართული პოეზიის კლასიკოსთა შემოქმედებას ეხება. ამ ესეებში ნათლად ვლინდება ავტორის ფართო ერუდიცია, ლიტერატურული გემოვნება, ანალიტიკური ტალანტი. რიგ შემთხვევებში სიმონ ჩიქოვანი ძალზე საყურადღებო დაკვირვებებს გვათავაზობს ცნობილ ქართველ პოეტთა შემოქმედებითი თავისებურებების შესახებ.

ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ სიმონ ჩიქოვანის შეხედულებებს ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე. ერთი წერილის ფარგლებში გაგვიჭირდება სიმონ ჩიქოვანის ვაჟასადმი მიძღვნილი ვრცელი ნარკვევის პრობლემატიკაზე სრულად მსჯელობა, ამიტომაც გამოვყოფთ ორ არსებით ასპექტს: ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა პლასტიკურობის საკითხს და პოეტის სალიტერატურო ენის პრობლემას სიმონ ჩიქოვანის ნააზრევში.

ის, რაც ვაჟა-ფშაველას გამოარჩევს სხვა მწერალთა შემოქმედებისაგან, რაც ვაჟას სწორუპოვრებას ანიჭებს, ესაა ბუნების გამორჩეული მგრძნობელობა და ხალხურ ფესვებთან განსაკუთრებული სიახლოვე. ყველა კრიტიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ძალიან დიდია ბუნების ხვედრითი წონა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ბუნების წიაღში აღზრდილი ვაჟა თვითმხილველი და უშუალო განმცდელი იყო იმისი, რასაც ხატავდა და გადმოსცემდა. მწერალი ბუნების სურათებს საკმაოდ მრავალფეროვნად და მრავლისმეტყველად გამოხატავდა. ისეთი ფერადია მისი ბუნება, თითქოს მხატვარს ფუნჯი აუღია მისი სილამაზის გადმოსაცემად. სიმონ ჩიქოვანი საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა სურათოვანებას. იგი წერს: „ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ფერწერული პოეტური სურათებია გამეფებული. მის სურათებში ყველაფერი საგნობრივია, მატერიალიზებულია და საოცარი პოეტური ხილვის მეშვეობით ბუნების ცხოვრების შინაგანი და გარეგანი მხარე მკაფიოდ ნაჩვენებია“ [ჩიქოვანი 1983: 265].

სიმონ ჩიქოვანის თქმით, ვაჟას პოეზიაში თვალი უფრო მნიშვნელობს, ვიდრე ყური. იგი წერს: „ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო სურათოვანია და თვალით სახილველი. მართალია, პოეტი მრავალ თავის ლექსს „სიმღერას“ უწოდებდა და იგი ხალხური პოეზიის დარად თავის საუკეთესო ლექსებსა და პოემებს უმთავრესად ერთი სასიმღერო ზომით წერდა, მაგრამ ვაჟას ლექსებში არც მღერადობაა მთავარი და არც მელოდია, არც განსაკუთრებული რიტმა და რიტმული გადასვლები. მისი პოეტური სურათები უმთავრესად ფერწერულია, ხოლო მის პოემებში გამოყვანილი მოქმედი პირი გამომერწილია თუ გამოთლილი. იგი ვაჟაკური ხმის პოეტია, თითქო მის პოეტურ ინტონაციაში ხევების ამოძახილი და უსიერი ტყეების შრიალი შეჭრილა“ [ჩიქოვანი 1983: 267].

ენა მწერლისათვის ლიტერატურული არსებობის სასიცოცხლო ფორმაა. საკუთარი ენობრივი პლატფორმის პოვნა ლიტერატურულ სარბიელზე მწერლის შემოქმედებით ინდივიდუალობას განაპირობებს. ამ მხრივ ვაჟას ინდივიდუალობა სრულიად თვალსაჩინოა.

სიმონ ჩიქოვანმა საგანგებო ადგილი მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას ენის საკითხს.

ვაჟას ლიტერატურულ ენაზე დავა, შეიძლება ითქვას, პოეტის პირველივე ლექსების გამოქვეყნებისთანავე დაიწყო, კონცეპტუალური გაფორმება კი ამ კრიტიკულმა თვალსაზრისმა მოგვიანებით, აკაკი წერეთლის ლექსში მიიღო:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო“.

დავამ ვაჟას ენის თაობაზე ხელახალი ძალით თავი იჩინა 1951 წელს, როდესაც საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ იდეოლოგიური კამპანია წამოიწყო ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ. ამ დროს ითქვა, რომ „ვაჟა-ფშაველას არასწორი პოზიცია ეკავა ლიტერატურული ენის საკითხში. იგი ცდილობდა პოეტურ მეტყველებად დაემკვიდრებინა ქართული ენის ფშაური კილო. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთო ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებას“ [ჩარკვიანი 1951: 3]. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი პირი იქვე

აღნიშნავდა, რომ „აუცილებელია ბოლო მოეღოს არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი“.

სიმონ ჩიქოვანი ამ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ. სხვა მწერლებთან ერთად მასაც მოუხდა დათმობაზე წასულიყო და არ შეწინააღმდეგებოდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელის პოზიციას. მოგვიანებით, როცა კანდიდ ჩარკვიანი თანამდებობიდან მოხსნეს და მისი ახირებაც დავიწყებას მიეცა, სიმონ ჩიქოვანმა იგრძნო მორალური ვალდებულება სიცხადე შეეტანა მავანთა მიერ თავდაყირა დაყენებულ საკითხში. 1960 წელს იგი წერს წერილს „ვაჟა-ფშაველას სალიტერატურო ქართულის გამო“, რომლის მიზანიცაა ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიციის გამართლება.

სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ბევრ მწერალსა თუ კრიტიკოსს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ვაჟას ფშაური კილოსადმი და საზოგადოდ, ფშაური მეტყველების მიმართ. ისინი თვლიდნენ, რომ ვაჟა სალიტერატურო ენას აუბრალოვებდა და ამდაბლებდა. სიმონ ჩიქოვანი მიუთითებს, რომ ვაჟა-ფშაველას ენის გარშემო ატეხილი კამათი არ წარმართულა სწორი გზით და იმდროინდელი კრიტიკა ვერ გაერკვია პოეტის ენობრივ პოზიციაში. როგორც პროფესორი იუზა ევგენიძე აღნიშნავს, „ყოველგვარი სიახლე ერთგვარი მოულოდნელობაა, რასაც შეგუება, გათავისება და კითხვის ტრადიციაც სჭირდება. ადამიანთა გემოვნებისათვის მიმართულების ცვლა იოლი არაა და იგი გარკვეულ დროს მოითხოვს“ [ევგენიძე, 1989: 111].

სიმონ ჩიქოვანი მიუთითებს, რომ ვაჟა-ფშაველა ცდილობდა, ფშაური კილოსათვის უფლება მოეპოვებინა და მისი საჭიროების აუცილებლობა დაემტკიცებინა. პოეტი ასაბუთებდა, რომ ფშაურ კილოს სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება შეეძლო. ძალზე მნიშვნელოვანია სიმონ ჩიქოვანის დაკვირვება იმის თაობაზე, რომ ვაჟა-ფშაველას ენის მკაცრი კრიტიკოსი აკაკი წერეთელიც იდენტურ პოზიციაზე იდგა აღნიშნულ საკითხში. სიმონ ჩიქოვანი წერს: „აკაკი წერეთელი, რომელიც მთის პოეტის მოწინააღმდეგედ ითვლებოდა სალიტერატურო ენის საკითხში, წერდა: „იმ დროს, როცა რუსთაველი არსებობდა, საქართველო შეადგენდა ერთ სამეფოს და არ იყო განაწილებული. მაშინ ენაც ერთი ჰქონიათ, ე. ი. ის ენა, რომელიც რუსთაველს უხმარია. შემდეგ საქართველო დანაწილდა სამთავროებად. ხშირად ერთი სამთავრო იყო მტრის მონობაში და გავლენის ქვეშ, როდესაც მეორე თავისუფლად რჩებოდა. ამგვარად დამონებულ სამთავროში რომელიმე ქართული სიტყვა იკარგებოდა და მის ნაცვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდიოდა, მაშინ როდესაც დაუმონებელ სამთავროში რჩებოდა ის სიტყვა. დღეს ჩვენი ვალია, რომ ეს სიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არ გავდევნოთ მხოლოდ იმისათვის, რომ ამ სიტყვას ქალაქში კინტოები არ ხმარობენ.“ აკაკი წერეთლის ეს მოსაზრება ზოგადად სრულიად არ ეწინააღმდეგება ვაჟა-ფშაველას შეხედულებას სალიტერატურო ენის საკითხზე“ [ჩიქოვანი 1983: 298] – სამართლიანად დაასკვნის წერილის ავტორი.

სიმონ ჩიქოვანის აზრით, შეიძლება აკაკის გადამეტებულად მიაჩნდა ფშაური კილოს გამოყენება და ზომიერების დაცვას მოითხოვდა ვაჟასგან.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ პოეზიისგან განსხვავებით, ვაჟა-ფშაველას პროზა თავისუფალია კუთხური გამოთქმებისაგან. ფშაური კილო აქ გამალაშინებული და დახვეწილია. პროფესორ შოთა ძიძიგურის აზრით, თავის პოეტურ ეპოსში ვაჟა მხოლოდ დიალოგებში იყენებს

კუთხურ მეტყველებას და ავტორისეულ თხრობაში მას ადგილი არა აქვს. სიმონ ჩიქოვანი ეკამათება ამ თვალსაზრისს. „ეს შეხედულება სავსებით არ დასტურდება, – აღნიშნავს იგი, – პოემაში „ალუდა ქეთელაური“ არა მარტო გმირების დიალოგშია კუთხური გამოთქმები და ლექსიკური მასალა გამოყენებული, არამედ ავტორისეულ აღწერაში და თხრობაშიც. პოემა აჭრელებულია ფშაური კილოკავითა და კუთხური სიტყვებით“ [ჩიქოვანი 1983: 300]. ესე იგი, თავად მთხრობელის მეტყველებაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დიალექტური ფორმები.

მეტად საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის დაკვირვება, რომ ფშავ-ხევსურული გამოთქმის ფორმები ერთნაირი სიხშირით არ არის გამოყენებული ვაჟას ნაწარმოებებში. „ადრე არავის მიუქცევია ყურადღება, რომ პოემები „სტუმარ-მასპინძელი“ და „სისხლის ძიება“ დაწერილია ზოგადქართული ხალხური ენით და კუთხური, კილოკავური ფორმები და სიტყვები თითქმის განდევნილია მათი ენობრივი ქსოვილიდან“ [ჩიქოვანი 1983: 300]. ასეთი მსჯელობის საფუძველზე მკვლევარს გამოაქვს დასკვნა: „ამგვარად, ვაჟა-ფშაველას პოემებში ორნაირი სალიტერატურო ენის ნაკადი შეიმჩნევა. „სტუმარ-მასპინძლისა“ და „სისხლის ძიების“ ამბავი და მოქმედება გაშლილია საქართველოს გარეთ, ქისტეთისა და ჩერქეზეთის სოფლის ფონზე. ამ ნაწარმოებებში უმთავრესად ზოგადქართული ხალხური იერის მქონე სალიტერატურო ენაა მომარჯვებული“ [ჩიქოვანი 1983: 300]. სიმონ ჩიქოვანს მოჰყავს ადგილები ვაჟას შესაბამისი პოემებიდან და დაასკვნის: „როგორც მოყვანილი ნაწყვეტებიდან ირკვევა, ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ენას ამუშავებდა ამა თუ იმ თემის საფუძველზე“ [ჩიქოვანი 1983: 301]. სიმონ ჩიქოვანი დამაჯრებლად ნათელყოფს, რომ ვაჟა-ფშაველასათვის ამოსავალია შემოქმედებითი მასალა, ამითაა განსაზღვრული ის გარემოება, რომ ავტორისა და პერსონაჟთა მეტყველება სრულ შესაბამისობაშია თხზულების შინაარსობრივ-თემატურ მხარესთან.

სიმონ ჩიქოვანი ყურადღებას აპყრობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან და უადრესად საგულისხმო გარემოებას. როგორც ცნობილია, ვაჟას უმთავრესი სალექსო საზომია ხალხური შაირი, თუმცა მის შემოქმედებაში ვხვდებით ხუთმარცვლედით, ათმარცვლედითა და თოთხმეტმარცვლედით დაწერილ ლექსებსაც. საგულისხმოა აქ ისაა, რომ როდესაც ვაჟა უარს ამბობს შაირზე, და მაგლითად, წერს ათმარცვლედით, იგი მკაცრად იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს, როცა შაირზე გადადის, მაშინ კვლავ უხსნის გზას დიალექტურ მეტყველებას. ერთი სიტყვით, დიალექტური ფორმები ვაჟასთან შერწყმულია შაირის სალექსო საზომთან. სიმონ ჩიქოვანის თქმით, „ვაჟა-ფშაველას... ყველა ლექსში, რომლებიც დაწერილია ხალხური შაირის ზომით, კუთხური, არქაული კილო და გამოთქმები მომძლავრებულია და ამ შემთხვევაში მის პოეზიაზე ხალხური გარეგნული გავლენა მკაფიოდ შესამჩნევია. მაგრამ მთის პოეტის მიერ დაწერილ ათმარცვლიან და თოთხმეტმარცვლიან ლექსებში ეს ენობრივი კუთხური კოლორიტი თითქმის განდევნილია. ისინი სუფთა, ზოგადი ქართული სალიტერატურო ენით არის დაწერილი“ [ჩიქოვანი 1983: 302].

სიმონ ჩიქოვანი ყურადღებას მიაპყრობს ვაჟას სალექსო მეტყველების კიდევ ერთ თავისებურებას – ასტროფიას. მართლაც, ეს ერთ-ერთი ძირეული და განმასხვავებელი ნიშანია ვაჟა-ფშაველას ლექსისა. ვაჟას ლექსში სტროფები არაა გამოყოფილი. ამ ფორმობრივ თავისებურებას სიმონ ჩიქოვანი ვაჟას პოეზიის შინაგანი ბუნებიდან ხსნის. მისი თქმით, ვაჟას

ლექსის „სტროფული წყობა მის პოეტურ სუნთქვაზეა დამყარებული და ერთნაირ სიმეტრიულ სტროფულ წყობას არ ექვემდებარება და, როგორც მთის მდინარე, შეუნელებლად მიექანება მკითხველისაკენ. მისი პოეტური მიდრეკილება ეპიკურია. მისი ლირიკული ლექსებიც თითქოს პოეტური ეპოსის ნაწყვეტებია" [ჩიქოვანი 1985: 303]. ძალზე მნიშვნელოვანია ეს დაკვირვება. ვაჟა მართლაც ეპიკური სულის პოეტია, ამიტომაც მის ლირიკაშიც იჭრება ხშირად ეპოსის სული. ყოველივე ეს ფორმოზრივ გამობატულებას კი ლირიკული ლექსის ასტროფიაში ჰპოვებს.

სიმონ ჩიქოვანის აღნიშნული ნარკვევი სრულად ვერ ამოწურავს ვაჟა-ფშაველას სამყაროს, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავად და დასაბუთებულად წარმოადგენს ვაჟას ფენომენს. თუ ეს ნარკვევი არ არის სრულყოფილი, მხოლოდ იმიტომ, თვით ვაჟაა ფენომენალური ხელოვანი. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყობდა: „ვაჟა ა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენა მწერალია, რომ მის შესაფასებლად არა კმარა ერთი კაცის ძალ-ღონეო.“ სიმონ ჩიქოვანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ვაჟას პოეზიაზე რამდენიმე ისეთი დაკვირვება წარმოადგინა, რაც შემდგომში შესაძლოა ბიძგის მიმცემი გახდეს არაერთი საკითხის უფრო ღრმა კვლევისათვის.

დამოწმებანი:

ევგენიძე 1989: ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველა, თბილისი. 1989.

ჩარკვიანი 1951: საქ. კპ (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენება 1951 წლის 10 იანვარს: თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია, გაზ. "კომუნისტი", 1951, 14 იანვარი.

ჩიქოვანი 1983 წერილები, ტ. 3

ჩიქოვანი 1983 წერილები ტ. 4

Tea Sumbadze

Simon Chikovani about Vazha-Pshavela's Poetry

Abstract

One of the important pieces of the famous Georgian poet Simon Chikovani's literary heritage is the essayist writings on the works of the classics of Georgian poetry. The present article analyzes Simon Chikovani's views on Vazha-Pshavela's poetry. Two main issues are discussed - plasticity of Vazha-Pshavela's artistic figures and the problem of literary language of the poet. S. Chikovani argues with relevant examples that Vazha-Pshavela's poetry is rich in pictorial poetry, Vazha's poetic world is pictorial and eye-catching. As for the problem of the poet's language, Simon Chikovani consistently analyzes issues such as the relationship between Akaki Tsereteli's polemics, Akaki and Vazha's linguistic views, astrophysics as a natural form of Vazha's poetic speech and so on.

რეცენზენტი: პროფ. ა. ლევიცკი

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

ნესტან ღამბაშიძე

თბილისი, საქართველო

მელანია მამაცაშვილი

მელანია მამაცაშვილი მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მეტად საინტერესო ფიგურაა. მან ჟურნალ „ზურნაში“ გამოაქვეყნა ავტობიოგრაფია და ამგვარად ამხილა მაშინდელი საზოგადოებრივი აზროვნება. მისი ბიოგრაფია შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი აქცენტის გათვალისწინებით, მათ შორისაა ის ფაქტიც, რომ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა და ადამიანებს უჭირდათ ახალ დროსთან შეგუება, მძიმედ იდგა ქალთა განათლების საკითხი. მელანია მამაცაშვილი თამამად ალაპარაკდა ასეთ საჭირობოროტო საკითხებზე, მის სიტამამეზე მეტყველებს მისივე ფსევდონიმი „ბუდუმჩაია გრუზინსკაია პისატელნიცა“ და ის ფაქტიც, რომ სამაგალითოდ საზოგადოების წინაშე თავისი პირადი ცხოვრება გამოიტანა.

საკვანძო სიტყვები: მელანია მამაცაშვილი, ჟურნალი „ზურნა“, ქალთა განათლება

მელანია მამაცაშვილი XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მეტად საინტერესო ფიგურაა. XIXმეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურულ ჟურნალ „ზურნაში“ გამოჩნდა ქართველი მწერალი ქალი მელანია მამაცაშვილი-ზადრიძე, დაუმთავრებელი პატარა მოთხრობით „კატო და ანა“ და თამამი ფსევდონიმით – „ბუდუმჩაია გრუზინსკაია პისატელნიცა“. ეს ფაქტი ყურადღების მიღმა არ დარჩენია გაზეთ „კავკაზის“მეფელეტონეს, იგი სიხარულით იუწყებოდა, რომ თბილისში პირველი მწერალი ქალი გამოჩნდა და ამ მიღწევას გაზეთ „კავკაზს“მიაწერდა, მის დანიშნულებას იწონებდა „რადგან გზას უხსნიდა ყველას და საზოგადოების განვითარებისა და ახალი მწერლების გაცნობის სამსახურში იდგა,“ამჟამად ტფილისის მეფელეტონეს „რადგა ეადვილება და ეხალისება „კავკაზის“მკითხველთან გამოსაუბრება,რადგან მას შეუძლიან დაიწყოს იგი ყველაზე ახალ,ყველაზე საოცარ,საქართველოსთვის უჩვეულო და სასიხარულო ამბით. მართლაც რა უნდა იყოს იმაზე უჩვეულო და სასიამოვნო, როგორც აღმოაჩინო, ამცნო საქართველოს ხალხის განვითარება და განათლების ყველა მოღვაწეს ქართველი მწერალი ქალის მოვლენა“ („კავკაზი“1854წ №56)

მელანია მამცაშვილის ბიოგრაფია ნაკლებად ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის, მის შესახებ ინფორმაციას ვიღებთ ავტობიოგრაფიული წერილიდან, რომელიც წინ უძღვის მის ერთადერთ დაუმთავრებელ მოთხრობას „კატო და ანა“. მელანია მამცაშვილი დაბადებულია ქარელის რაიონის სოფ. რუისში იმისი გვარი „კეთილი აზნურების“ სახელითაა ცნობილი, თვითონვე წერს-„მოდგმით ნამდვილი ქრისტიანი ქართველი ქალი გახლავართ იმ ძველი და საჩინო ხის უჩინარი შტოთაგანი, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში ნეტარ ფესვებს, მიწის ძირამდე მაღლა სტყორცნის ახალ ღეროებს მეც ამ ხის ჩრდილქვეშ დავიბადე, სოფელში რომელიც ერთ დროს ჩვენი მეფის რეზიდენციას შეადგენდა.“ თუ რატომ ამაყობს მელანია თავისი გვარით, ცხადი ხდება სოფ. რუისში გავრცელებული ლეგენდის თანახმად „როდესაც საქართველოში თურქ-სელჩუკობა იყო, თბილისის ამირა მართავდა 1072წ. გიორგი მეორე რუისის ღვთაების მონასტერში აკურთხეს მეფედ, აქ ცხოვრობდა და მართავდა ქვეყანას, აქვე დაიბადა მისი ვაჟი დავითი (შემდეგში აღმამეზობლად წოდებული) მტერს, რომ არ მოეკლა ტახტის მემკვიდრე რუისელებმა ყველაფერი გააკეთეს და უფლისწულს მალულად ზრდიდნენ, მამცაშვილების გვარი (კახაბერ კენკიშვილი „კარიბჭე“-„ ჩემი სოფელი“ 2006წ.11.08.), როგორც აღვნიშნეთ მელანია მამცაშვილის ბიოგრაფია ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისთვის, სოფელში გავრცელებული მოარული ამბების მიხედვით, მელანია არ ყოფილა ჩვეულებრივი სოფლის გოგო, ის ხან ქართულად იცვამდა თურმე, ხან ევროპულად, მისი სახელი კი, მელანია ერთგვარ საზოგადო სახელად ყოფილა გადაქცეული. ქალი რომ სითამამეს გამოიჩენდა თურმე ამბობდნენ:- „ესეც მეორე მელანიააო“. ამ სითამამის გამო იყო ალბათ, რომ „აშარსაც“ ეძახდნენ სოფელში. ხელმარჯვე გოგოც ყოფილა მელანია, დილით რომ კაბას გამოჭრიდა, საღამოს უკვე შეკერილი ჰქონდა და იმ კაბით დადიოდა, მელანიას ქმარიც განსხვავებული ყოფილა იმ დროის ბატონთაგან. „ულამაზო, უფულო, ცალთვალზე ბისტგადაკრული, ყურთმაჯებიან კაბაში გამოწყობილი ანჩისხატის უბნის ბატონი -კონა ბადრიძე“. ცოლ-ქმარი მალევე, უშვილოები დაშორებულან ერთმანეთს, მელანია მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა. სოფ.რუისში ახლაც დგას მამცაშვილების ორი სახლი, ერთ-ერთ სახლში უნდა დაბადებულიყო მელანია. სახლები საბჭოთა ეპოქაში ჩამოართვეს მამცაშვილებს, ერთ სახლში სოფლის საავადმყოფო გახსნილა, მეორეში -საბავშვო ბაღი. როგორც სოფელში გადმოცემით იციან, სახლში არსებული ქონების ნაწილი განადგურდა, დასუფთავდა გარემო და ისე გაიხსნა სახელმწიფო დაწესებულებები.

არქივში დაცულია სოფ. რუისში მცხოვრები მამცაშვილების გვარის გენეალოგიური რუკა, 1891 წელს შედგენილი. როგორც გვიამბეს, გენეალოგიურ რუკაზე მამცაშვილები მხოლოდ ვაჟებს აფიქსირებდნენ, ქალიშვილები თვითონ წერდნენ თავიანთ სახელებს, მხოლოდ ისინი ვისაც შვილი ჰყავდათ“. შესამღებელია მელანია სწორედ ამ მოთხოვნების გამო ვერ მოხვდა რუკაზე.

მელანიას სითამამე შემდეგი შემთხვევიდანაც ჩანს. იგი საყვედურით იწყებს ავტობიოგრაფიას და მიმართავს მეფელეტონეს (მიხეილ თუმანიშვილი), რომ მას ერთი წელია იცნობს და არც კი დაინტერესებულა, ვინ არის და რა სურს უსწავლელ ქალს. მელანიას ბავშვობაში სწავლის დიდი სურვილი ჰქონია, აი რას წერს ის:-„მალიან მინდოდა ენათა შესწავლა მაგრამ ღმერთმა არ მომცა საამისო შემთხვევა, მშობლებიც მიშლიდნენ, არ უნდოდათ მცოდნოდა

რომელიმე ენა მშობლიურის გარდა, ამის გარდა მუსიკისა და სიმღერის შესწავლის დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენში აზიაში, დედათა სქესს დიდ სირცხვილად ეთვლებოდა." ამ შემთხვევაში მელანიას ოჯახი კონკრეტულად მარტო მისი ოჯახი არაა, ესაა იმდროინდელი ოჯახების ტიპიური სახე და მათი შეხედულებები ქალი-შვილის სწავლა-განათლებაზე. მაშინდელი ოჯახების დიდი ნაწილი ძველ ტრადიციას ქალების გათხოვებასთან დაკავშირებით ძალზე უფრთხილდებოდა, მხოლოდ მზითვი და ქალისთვის ხელსაქმის ცოდნა საკმარისი იყო მისი მომავლისთვის, ეს ფაქტი ცხადია იწვევდა მშობლებსა და შვილებს შორის გაუცხოვებას, მელანია სრულიად უმიზეზოდ გამხდარა ავად, მას კითხვას უშლიდნენ მშობლები, წიგნებს უმაღვდნენ, ოთახში კეტავდნენ და ყოველივე ამის შემდეგ შვილის ავადმყოფობის მიზეზს ვერ იგებდნენ, ვერ ხვდებოდნენ რომ აუსრულებელმა ოცნებებმა, სწრაფვამ განვითარებისკენ, წიგნის კითხვის სურვილმა შეიძლება ავად გაგხადოს. მელანიას ავადმყოფობის მიზეზი მშობლების შიშია, ის მუდმივად იმალება ,მაღავს წიგნებს, ხან მიწაშიც კი მარხავდა რომ მშობლებს არ ენახათ.

„რამდენჯერ მსმენია დედისაგან - წერს მელანია, რომ მე უფრო მიტომ ვუყვარდი, რომ ვგავდი მის დედას ბატონის ასულს მარინეს, როგორც ორი წვეთი წყლისა. განსვენებული ყოფილა საოცრად მახვილი, ჭკვიანი სათნო და ღვთისნიერი არსება, თავის უკანასკნელ საბადებელს ახმარდა ეკლესიათა აგებას და ამ ნეტარ საქმიანობაში დალია სიცოცხლის უკანასკნელი დღენი. ჩემს საბრალო დედ-მამას ეგონათ, რომ რადგან გარეგნობით დიდედას ვგავდი, ყველაფერში დავემსგავსებოდი და ისე მშვიდობიანად გავატარებდი ცხოვრებას, მათ სწამდათ, მარინეს აგებული საყდრები ჩემს სახსნელად გამოდგებოდნენ. ამაო იყო ეს რწმენა მარინეს საყდრები დღესაც არსებობს ქართლის ზოგიერთ კუთხეში, ჩემი ბედნიერება კი, გარემოებათა ბოროტი ძალების მიერს კარგა ხანია დამსხვრეულია". ფაქტი ნათელია, რას ელოდნენ მშობლები მელანიასგან, რომ მას ტრადიციისამებრ მოუძებნიდნენ საქმროს, გაათხოვებდნენ, ხელსაქმე კი იცოდა მელანიამ, ოჯახში არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ მშობლები მთავარს, ეს „შექმნილი" ბედნიერება იქნებოდა მელანიასთვის, ის, რაც, მის დაუდგრომელ შინაგან სამყაროს სურდა? დედასა შვილს შორის ჩუმი კონფლიქტი პატარა ასაკიდანვე დაწყებულია ,მელანია როგორც კი მიხვდა მიზეზს რატომ უყვარდა დედას (შეიძლება ეს სულაც არ იყო ასე) მაგრამ ფაქტია, ბავშვმა, პატარა გოგონამ, იგრძნო დედისგან, რომ ბებოს ჰგავდა და მისნაირ ცხოვრებას აჩვევდნენ , იქნებ ესეცაა მიზეზი, რომ მელანიას შინაგანი პროტესტი გაუჩნდა მშობლის მიმართ, ალბათ დედის დაუფარავმა ნათქვამმა იმოქმედა მელანიას ფსიქიკაზე და ოჯახისაგან რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების გზა აირჩია, მელანიაც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე სიმშვიდედაკარგული იყო, დედამაც ვერ მიაღწია საწადელს, რომ შვილს ტრადიციული ქართული ოჯახი შეექმნა.

მელანიას არც გათხოვებითა და ახალი ცხოვრებით გაუმართლა ერთადერთი რისი მადლობელიცაა ქმრის ოჯახში, წიგნების რაოდენობაა და კითხვას არავინ უშლის. „-პირველად ხელში ჩამივარდა „დაბადება" სიამოვნებით ვკითხულობდი, ხან მანცვიფრებდა შემოქმედის საქმენი, ხან მაინტერესებდა ადამიანის ცხოვრება ქრისტეს მოსვლამდე, მახსოვს რომ ამ დროს ჩემი აზრი აფორიაქებული იყო, საშინელი გაოცებით. მომაგონდა რომ ქართველები ცხედარს

მკვდარს კი არ უწოდებდნენ არამედ გარდაცვალებულს, გარდაცვალება ე.ი. სახის შეცვლა ერთი სახიდან მეორეში გადასვლა, ისე რომ ჩვენი ენა პირდაპირ გვიჩვენებს მკვდრები მხოლოდ გარდაცვლილნი ერთი სახიდან მეორეში გარდასულან და ამ მოსაზრებიდან გადავედი სხვა მოსაზრებაზე, მეჩვენა რომ მეც ოდესმე მეცხოვროს და ახლა კი სახეშეცვლილი ვიყვე". ეს გრძელი ციტატა გამიზნულად მოვიყვანეთ, რადგან აქ კარგად ჩანს მელანიას შინაგანი სამყარო. მას არათუ წაუკითხავს დაბადების წიგნი, არამედ ფილოსოფიური ხედვით გაუშინარსებია იგი. საკუთარი თავის მაძიებელი ქალისგან საინტერესო მსჯელობაა, მას სჯერა, რომ სიკვდილი არ არსებობს, იმიტომ რომ ღმერთს არ შეუქმნია იგი, ჩვენ, რასაც სიკვდილს ვეძახით გარდასახვაა, ერთი მდგომარეობიდან მეორე - მდგომარეობაში, სულიერი სიკვდილი ამ სამყაროშიც შეიძლება, მელანიას სამყაროში საინტერესო დ იხსნება სულთა მოგზაურობაზე ფიქრი დროსა და სივრცეში, თითქოს იგი იცნობდეს პლატონის დროის ფილოსოფიას, რომელიც აწყმო (ახლანდელ) დროს არ სცნობს და ამბობს, რომ დრო ორია: წარსული და მომავალი. ადამიანი ან წარსულშია, ან მომავალს გეგმავს, აქედან მელანიას ფიქრებს დასკვნა რომ გავუკეთოთ ის იყო წარსულში უკვე, მისი ფიქრები კი სამომავლოა. მელანიას ფიქრები რომ სამომავლოა ცხადია, მას მწერლობა სურს, უნდა რომ მწერალი ქალის სტატუსით იცნობდეს საზოგადოება. გადაუწყვეტია კიდეც რომანის დაწერა, სათაურიც შეურჩევია „აზიელი ქალის პირველი განცდა". თუმცა მისმა დაწერილმა მისივე კრიტიკას ვერ გაუძლო და ნაკუწებად აქცია ნაწერი.

მელანია თავისი ცხოვრების განმავლობაში სამ მნიშვნელოვან ცხოვრების ეპიზოდს გამოყოფს, რამაც მას სიხარული აგრძნობინა ესაა: 1) როდესაც თბილისში ჩამოჰყავს რუს ოჯახს და მის გადაწყვეტილებას იწონებენ (გახდეს მწერალი); 2) განახლებული დედაქალაქი, რომელსაც ახალი სიცოცხლის მაჯისცემა ეტყობა; 3) მისი ძმების გამგზავრება რუსეთში, სამხედრო სასწავლებელში.

მელანიას თითოეული სიხარულის განცდას, რა თქმა უნდა, ახსნა და შეფასება აქვს, ის ფაქტი, რომ რუსი ოჯახი არწმუნებს მელანიას იმაში, რომ მის მიზანი გახდეს მწერალი შესაძლებელია, მელანიას ახარებს და სტიმულს აძლევს რომ ბრძოლას აზრი აქვს. განახლებულ დედაქალაქში მელანია ვორონცოვის მმართველობის დროინდელ ხანას აღნიშნავს, ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა ქართული ახალი კულტურის აღორძინებისთვის, მიძინებული ერი გამოფხიზლდა, სიცოცხლე დაეტყო ქვეყანას, აფუსფუსდა საზოგადოება, ქართულმა თეატრმა მშობლიურ ენაზე დაიწყო წარმოდგენები, გამოიცა ჟურნალ-გაზეთები, აშენდა სახლები, გაიმართა ვაჭრობა, მელანიამ იგრძნო საზოგადოების გამოფხიზლება, იგრძნო ქვეყნის სასიკეთო მიმართულებით შეცვლა და გახარებულია ამ ფაქტით. მელანიას მესამე სიხარული მის ოჯახს უკავშირდება, როდესაც დიდი ძალისხმევით მოახერხა და ძმები სასწავლებლად გაგზავნა. ოჯახი ამის გამო დაემდურა მელანიას, მისი მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი სიხარული სწორედ მშობლებთან შერიგება და მისი ძმების წარმატებაა.

მელანია მამაცაშვილის ავტობიოგრაფია მნიშვნელოვანია, პირველი იმით, რომ მელანია არის პირველი ქალი, რომელმაც ამხილა იმდროინდელი საზოგადოების აზროვნება და შეხედულებები ქალების განათლების შესახებ. სამაგალითოდ, საჯაროდ საკუთარი ბიოგრაფია გამოიტანა, „კარგად დაწერილი ბიოგრაფია იგივე მხატვრული შემოქმედებაა" (ვ.კოტეტიშვილი).

„რჩეული ნაწერები ორ წიგნად“ ტ.1 გვ:247), მელანია მამაცაშვილის ბიოგრაფია ნამდვილად არის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში, მასში კარგად ჩანს მაშინდელი საზოგადოების მსოფლმხედველობა. ნათლად ჩანს რომ იწყებოდა ახალი ერა, საჭირო იყო გადაფასება ზოგიერთი საკითხის, ბიოგრაფიაში ნაჩვენებია საზოგადოება, რომლებსაც უჭირს ახლ დროსთან შეგუება.

ლიტერატურა:

- 1) ვ.კოტეტიშვილი „რჩეული ნაწერები ორ ტომად „ ტ-1. გვ:247.
- 2) თამაზ ჯოლოგუა, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ გვ:108-109.
- 3) ჟურნალი „ზურნა“ 1854 წ.№ 56.

Nestan Gambashidze

Melania Mamavashvili

Abstract

Melania Mamavashvili is a very interesting figure of 19th century Georgian public thinking. He published an autobiography in the journal Zurna and thus reflected the public opinion of that time. Her biography can be taken into account with a number of important accents, including the fact that a new era in Georgian public opinion history was beginning and people had to adapt to the modern times, and the issue of women's education was a serious one. Melania Mamatsashvili boldly spoke about such pressing issues, her pseudonym "Budushchaya Gruzinskaya Pisatelnitsa" and the fact that she exemplified her personal life in public.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ჟანპეისოვა

პედაგოგია Pedagogic

ცირა ბრეგვაძე, მზევინარ ტაბატაძე

ჭიათურა, საქართველო

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

სტატიაში განხილულია საგანმანათლებლო სისტემისა და სწავლა სწავლების პროცესის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი. შესაბამის ლიტერატურასა და პირად პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით გაანალიზებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა, მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. პრობლემის გადაჭრის ძირითადი სტრატეგიები. პრობლემასა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლების საერთო მახასიათებელი. მისი დადებითი მხარეები და გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: სწავლა სწავლების პროცესი, მოსწავლეთა მოტივაცია, სწავლის და ინოვაციების უნარი

განათლების სპეციალისტების მთავარი საზრუნავია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შემენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. სწორედ ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანი, რომ სკოლამ, საგნობრივ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად, მოსწავლეებს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარი. იმისათვის რომ მოსწავლე 21-ე საუკუნის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდეს უნდა ვიფიქროთ იმ უნარებზე, რომელთა განვითარებაც მყარ საფუძველს ჩაუყრის მოსწავლის მიერ ღირებული ცოდნის მოპოვებას და წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას. აშშ-ში ჩამოყალიბდა 21-ე საუკუნის უნარების კონცეფცია, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლის მზაობა ახალი საუკუნის გამოწვევების დასაძლევად. ამ მიდგომით გამოიყოფა 21-ე საუკუნის უნარების 3 კატეგორია

1. სწავლის და ინოვაციების უნარი ;
2. ინფორმაციის მედიისა და ტექნოლოგიური უნარი;
3. ცხოვრების და კარიერის უნარი ;

კვლევები ადასტურებს, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეები უფრო აქტიური და მოტივირებული არიან. ამ მიდგომით განათლება მიღებული მოსწავლეები წარმატებას აღწევენ პროფესიულ ცხოვრებაში და აკადემიურ სფეროშიც. ეროვნული სასწავლო

გეგმის ძირითადი მიზანია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სხვადასხვა საგნით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირებით. მას ახასიათებს 3 ძირითადი ასპექტი:

1. სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს.
2. მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში.
3. მასწავლებელი არის “ ფასილიტატორის“ როლში , რის შედეგადაც მოსწავლე იღებს

მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას იზრდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან მოსწავლე, ახალ ცოდნას იძენს გამიზნულად, იგი ავითარებს ჯგუფური მუშაობის და თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს კრიტიკულ აზროვნებას და კომუნიკაციის უნარს.

21- ე საუკუნის უნარების კონცეფციის პირველ კატეგორიაში “სწავლისა და ინოვაციის უნარები” გამოიყოფა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და კოლაბორაცია (თანამშრომლობითი სწავლა).

კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრისთვის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სწორად შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება, ეფექტურად უნდა გაანალიზონ და შეაფასონ არგუმენტები მტკიცებები და წარმოდგენები, მოახდინონ ინფორმაციისა და არგუმენტების დაკავშირება და სინთეზირება, სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრა როგორც აღიარებული ისევე ინოვაციური მეთოდებით, უნდა გამოკვეთონ მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც ცხადყოფენ არგუმენტებს და ხელს უწყობენ პრობლემების გადაწყვეტას. პრობლემის გადაჭრა გონებრივი აქტივობაა. პრობლემის გადაჭრის ამოცანის წინაშე დადგომისას ადამიანი აანალიზებს არსებულ მდგომარეობას, აგროვებს ინფორმაციას, აყალიბებს ჰიპოთეზას და ამოწმებს მას, არგუმენტის დადასტურება ან შემოწმება სათანადო მსჯელობით და ფაქტებით უნდა იყოს გამყარებული. ეფექტური გუნდური მუშაობა პრობლემის გადაჭრა და კოლაბორაციული სწავლების განვითარება და მართვა მაღალი ხარისხის ემოციურ ინტელექტს მოითხოვს (დანიელ გოულმანი) მისი ხუთი ძირითადი კომპონენტი: 1. იცოდე და შეგეძლოს საკუთარი ემოციის გამოხატვა 2. სხვისი ემოციების მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა 3. ემოციის გაკონტროლება და რეგულირება 4. საკუთარი თავის და სხვების მოტივირების უნარი 5. სოციალური უნარჩვევების ფლობა, რომელთა მეშვეობითაც პირველი ოთხი კომპონენტის ქმედებაში მოყვანაცა შესაძლებელი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრა უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით რაც აქვს, ამ პროცესის დროს იგი აქტიურია, ეძებს საჭირო ინფორმაციას, და ახალი ცოდნით ცდილობს პრობლემის გადაჭრის გზის მონახვას. საჭირო ინფორმაცია შეიძლება მიიღოს წიგნების, გამოკვლევების, ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. სწავლების ეს ფორმა საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეს ვასწავლოთ აზროვნება აზროვნების შესახებ (მეტაკოგნიცია). როდესაც მეტაკოგნიცია ეხება საკუთარი სწავლის პროცესების გაცნობიერებას, ხდება სწავლა - მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვა რომელიც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს.

დასმული პრობლემა მოსწავლეებს უბიძგებს მოიძიონ და შეიძინონ ახალი ცოდნა, ერთადერთი სწორი პასუხის მოძებნის სანაცვლოდ მოახდინონ დასმული პრობლემის ინტერპრეტირება, მოაგროვონ საჭირო ინფორმაცია, ააგონ მოდელი, გამოთქვან ვარაუდი, შეაფასონ და შეადარონ შესაძლო შედეგები და გააკეთონ დასკვნები. პრობლემაზე

დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე გამოთქვამს დაინტერესებას, ავლენს ცნობისმოყვარეობას.

ფსიქოლოგიაში პრობლემის გადაჭრის პროცესს ახდენენ ციკლის საშუალებით. ციკლი მოიცავს სხვადასხვა ეტაპს :

1. პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა (გულისხმობს შეკითხვების დასმას, პრობლემების დანაწევრებასა და პრიორიტეტის მიხედვით დალაგებას);
2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა (საწყისი და საბოლოო საფეხურის აღწერა და ვიზუალურად ან ვერბალურად წარმოდგენა);
3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება (მოსწავლემ უნდა მოახერხოს პრობლემის გადაქცევა ამოცანათ, გამიჯნოს რა არის ცნობილი და რა არის საძიებელი, ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება);
4. შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება (მოსწავლეს შეუძლია ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოაჩინოს ყველა ორგინალური იდეა, არასტერეოტიპული ანალოგია და ასოციაცია);
5. პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა (მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება პერსპექტივიდან რისკის განსაზღვრა , მისაღები სტრატეგიის შერჩევა და მისი დამაჯერებლობის დასაბუთება);
6. შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება (მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა , ამ გეგმის სხვისთვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა);
7. შედეგების შემოწმება და შეფასება (მოსწავლემ უნდა განახორციელოს ინდიკატორების შემოწმება, რამდენად რეალური იყო გეგმა და შეაფასოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები).

რეალურ სიტუაციაში მუდმივი პრობლემა ტრადიციული საგანმანათლებლო პრინციპების გამოყენება მასწავლებლების მხრიდან (დიდი რაოდენობით ფაქტების ცოდნა, საზეპირებული მასალის ზუსტად გახსენება, სტანდარტული მეთოდების ზუსტი გამოყენება.

პროფესიონალ მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლეებს შესთავაზოს შემოქმედებითობაზე ორიენტირებული პრინციპები (პრობლემის აღმოჩენა, მოულოდნელ კითხვებზე პასუხის გაცემა, ტრადიციულად იზოლირებული სფეროების დაკავშირება.)

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სამი ძირითადი ასპექტი

- ➔ სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- ➔ მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში;
- ➔ მასწავლებელი არის „ფასილიტატორი“.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ მზა პრობლემა/საკითხი, რომლის გადაჭრის სტრატეგიები და საშუალებები თავად უნდა განსაზღვრონ დავალების შესასრულებლად.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა

რეალური, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

საკითხის შესახებ ცოდნა

რა უნდა გავითვალისწინოთ?

- ➔ კოგნიტური განვითარების რა დონეზე იმყოფებიან მოსწავლეები?
- ➔ დავალების დამოუკიდებლად შესრულების როგორი უნარი აქვთ და რისი გაკეთება შეუძლიათ სხვების დახმარებით?

როგორ დავეხმაროთ?

- ➔ ამოცანის გადაჭრის გეგმის შედგენის გზების შეთავაზებით;
- ➔ მაგალითის ჩვენებით, მოდელირებით;
- ➔ რთული დავალების პატარა მარტივ ნაწილებად დაშლით;
- ➔ კონკრეტული მითითებების/მიმართულების მიცემით;
- ➔ დამხმარე შეკითხვების დასმით;
- ➔ დავალების წარმატებით შესრულების წახალისებით;
- ➔ ინდივიდუალური პროგრესის შეფასებით.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხი. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მართვის დამოუკიდებლობის მინიჭება ზრდის მათ პასუხისმგებლობას და უვითარებს თანამშრომლობით და ანალიზურ უნარებს. ისინი არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მითითებას სწავლობენ. ამრიგად პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესის სადავეები მათ ხელშია. ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს უვითარებს. მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებლის მხრიდან კარგი გადაწყვეტილებაა სასწავლო პროექტების შეთავაზება. წარმატებული სასკოლო პროექტის ინდიკატორად, კვლევის პროცესის გვერდით, პროექტის პროდუქტი მოიაზრება, რომელიც პრობლემის რაობას წარმოაჩენს და კვლევის უნიკალურ მეთოდებს გვთავაზობს. ამავე დროს პროექტის პროდუქტი მორგებული უნდა იყოს მოსწავლეების ინტერესებს, შეხედულებებსა და წარმოდგენილი უნდა იყოს მათთვის მისაღები ფორმატით.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებასა და დისციპლინათაშორისი გამოცდილებების გამთლიანებას. პრობლემა რომელიც მოსწავლეთა კვლევის ფოკუსში ექცევა, შემოიფარგლება არა ერთი საგნის დისციპლინარული ცოდნით, არამედ სხ/სხ საგნობრივ გამოცდილებებს გადაკვეთს.

იმისათვის რომ პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ერთმანეთთან ეფექტურად ითანამშრომლონ აუცილებელია:

1. თანამშრომლობის დეტალურად გაწერილი გეგმის შედგენა, რომელიც წინასწარ შეთანხმებულ მიზნებსა და ღირებულებებს დაეფუძნება
2. თანამშრომლების ქსელში ჩართულ მოსწავლეებს შორის საკომუნიკაციო სტანდარტების შემუშავება.
3. თითოეული ჩართული მხარის თანაბარი პასუხისმგებლობა და მონაწილეობა
4. თანამშრომლობის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება
5. წარმატების კრიტერიუმების დადგენა, დაგეგმვის ეტაპზე.

პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას

➔ კონკრეტული პროდუქტის შესაქმენად მოსწავლეები მიჰყვებიან წინასწარ განსაზღვრულ პროცედურებს/ეტაპებს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას -

მოსწავლეებს ეძლევათ მზა პრობლემა/საკითხი, რომლის გადაჭრის მეთოდები და ხერხები თავად უნდა განსაზღვრონ.

პრობლემა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლების საერთო მახასიათებელი.

- მასწავლებელი არის პროცესის გზამკვლევი;
- რეალური, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება;
- მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება;
- საკითხის შესახებ მიღებული ცოდნა.

რას მივიღებთ შედეგად?

- ➔ კრიტიკული აზროვნება
- ➔ შემოქმედებითი აზროვნება
- ➔ ანალიტიკური აზროვნება
- ➔ ლოგიკური აზროვნება
- ➔ ტრანსფერული უნარები
- ➔ მეტაკოგნიტური უნარები და სხვ.

საბოლოო შედეგი კი არის მოსწავლე რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სწავლების უნარ-ჩვევებით .

ლიტერატურა :

1. დიუი ჯ. წიგნიდან შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა. წიგნის ელექტრონული ვერსია მოპოვებულია ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან: <http://www.iliauni.edu.ge/ge/>
2. ს ჯანაშია , მ.წერეთელი , შ. სამაგლიშვილი და სხვა -პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ნაწილი2.თბ.
- 3.ზ.გიუნაშვილი, ლ. კოკილაშვილი - ცოდნის კონსტრუირება პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლებისას . სტატიების კრებული 2009-2010წ ტომი მეორე. თბილისი 2010 .
4. ჯ.თერნბული -პროფესიონალი მასწავლებლის ცხრა მახასიათებელი , თბილისი 2009 წ
5. ა.კროპლი, დ. კროპლი -შემოქმედებითობის სტიმულები შეფასების მეშვეობით . კრებული-სტატიები განათლების საკითხებზე. თბილისი 2010 წ.
6. გოხელაშვილი, რ., გეგეჭკორი, თ., (2007). VIII კლასი, ბიოლოგია, გამომცემლობა ბუნება პრინტი.

Tsira Bregvadze, Mzevinar Tabatadze

“Problem based teaching”

Abstract

The article concerns one of the most problematic questions of the teaching system. After studying suitable literature and considering pedagogic experience, the article shows the advantages of problem based teaching, its importance in the teaching process and students high participation during classes. The article gives us the main strategies to solve the problems, the similarities between problem based and project based teaching ,their positive and negative sides.

რეცენზენტი: პროფ. თ. გუსევა

პედაგოგია Pedagogic

ცირა ბრეგვაძე, მზევინარ ტაბატაძე

ჭიათურა, საქართველო

**ინკლუზიური განათლების მიდგომების/პრინციპების
 დანერგვა სკოლის დონეზე**

სტატია ეხება ინკლუზიური მიდგომების დანერგვას სკოლის დონეზე მსგავსი პრობლემების წინაშე მყოფი ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გახდეს მსხვერპლი. განსაკუთრებით ის ბავშვები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი თანატოლებისაგან, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მახასიათებლებით. “რისკის ჯგუფში” ხვდებიან ფიზიკური ნაკლის, თავისებური ქცევის მქონე ბავშვები, რომელთაგან შეიძლება ჩამოყალიბდეს არარეალიზებული და არასრულფასოვანი პიროვნება.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობა

თემის აქტუალობას განსაზღვრავს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები . დღემდე პრობლემურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (ინკლუზიურ) ბავშვებთან მუშაობა; ესაა საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას უზრუნველყოფს და უზრუნველყოფს იმისდა მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებლები აქვს. ინკლუზიური განათლების ფარგლებში განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება იმ ბავშვებზე, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ. ეს შეიძლება იყოს საგანგებო საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები, ბავშვები უღარიბესი ოჯახებიდან და ა.შ. ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს სკოლის ყველა ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და/ან სირთულეები სასწავლის პროცესში. მისი მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა

თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისას საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

ინკლუზიური განათლების პრინციპები ჩვენს სკოლებში, რასაც ჩვენი მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება, ასე გამოიყურება:

- ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლის ერთნაირი შესაძლებლობა;
- ბავშვები ყველაზე უკეთ მაშინ სწავლობენ, როდესაც ერთად სწავლობენ;
- სკოლა აღიარებს და სათანადოდ რეაგირებს განსხვავებული მოსწავლეების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე, მათ შორის ისეთი მოსწავლეებისა, რომლებსაც ტრადიციულად უარს ეუბნებოდნენ როგორც სკოლაში მიღებაზე, ასევე პროცესებში თანაბარ მონაწილეობასა და ჩართულობაზე;

• პროგრესი დამოკიდებულია ბავშვის ძლიერი ინდივიდუალური მხარეების გამოყენებაზე და არა აღქმის დეფიციტის ხაზგასმაზე;

• პროგრესი დამოკიდებულია ბავშვის ძლიერი ინდივიდუალური მხარეების გამოყენებაზე და არა აღქმის დეფიციტის ხაზგასმაზე;

• ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ საზოგადოების, სკოლისა და ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში;

- უნდა მოხდეს ფიზიკური თუ სოციალური ბარიერების მინიმუმამდე შემცირება.

ჯანმრთელი ბავშვების მშობლების, ექიმებისა და ზოგჯერ პედაგოგებისგანაც ხშირად გაიგონებთ – მათ სპეციალურ სკოლებში უნდა ისწავლონო; მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმის აღნიშნული ნაწილის ჰუმანურობაში ეჭვი არავის შეაქვს, მის მიმართ მაინც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს;

რეფორმის ამ საკითხსაც აზრთა დიდი სხვადასხვაობა მოჰყვა და არცთუ უსაფუძვლოდ.

საქმე ისაა, რომ ყველა იმ ჰუმანურ რეკომენდაციას, რასაც სპეციალისტები გვთავაზობენ, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ფინანსური მხარდაჭერა და პედაგოგების განსაკუთრებული მცდელობა სჭირდება. ამასთან ერთად, მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით, ამგვარ ბავშვებს ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში უფრო მეტი ფსიქიკური პრობლემები ექმნებათ, ვიდრე საგანგებო სკოლებში.

ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ორივე მხარე მართალია, თუმცა ინკლუზიური განათლების დანერგვა ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ მხრივ მუშაობა, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დაწყებულია და მასში არაერთი სკოლაა ჩართული, მათ შორისაა დარკვეთის საჯარო სკოლა, სადაც სამი სსსმ მოსწავლე სწავლობს.

ადამიანის უფლებებისა და უნარშეზღუდულობის შესახებ გაეროს 1991 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ქვეყნების უმეტესობაში ათიდან სულ მცირე ერთ ადამიანს მაინც აქვს ფიზიკური, კოგნიტური ან სენსორული დარღვევა. ეს ნორჩის სკოლიდან გარიცხვის ყველაზე გავრცელებული და ხშირი მიზეზია.

რეფორმის ინიციატორები იმ უცხოურ გამოცდილებას ეყრდნობოდნენ (და ახლაც ეყრდნობიან), რომელიც ინკლუზიურ განათლებას მთლიანი სკოლის რეფორმის განუყოფელ ნაწილად განიხილავს.

მათი აზრით, კანონები და სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომა მხარს უნდა უჭერდეს სწავლის ხელმისაწვდომობის უნივერსალურ უფლებას და თანაბრად უნდა იქნეს

გამოყენებული ყველა მოსწავლის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვისაც.

ინკლუზიური განათლების წარმატების მიზნით, სკოლამ და მასწავლებლებმა სპეციალისტების დახმარებით უნდა შექმნან:

- დამხმარე საშუალებები და პირობები, რათა რეაგირება მოახდინონ თითოეულ ბავშვზე, როგორც ცალკე ინდივიდზე;

- გააცნობიერონ, რომ განათლება მუდმივი სწრაფვაა;

- ყველაფერი გააკეთონ საიმისოდ, რათა ყველა ბავშვი ჩამოყალიბდეს ჯანმრთელ, პროდუქტიულ მოქალაქედ და თავისი წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ოჯახის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

აუცილებელია ადრეული ინტეგრაცია.

საამისოდ საჭიროა:

- სკოლების ფიზიკური მისაწვდომობა;

- შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობა;

- ერთიანი მიდგომის არსებობა, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, აკადემიური და შესაბამისი ქცევით სოციალური ინტერაქციების სწავლებას.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის მოვამზადეთ სპეციალური მასწავლებელი. მას შეუძლია დახმარება-კონსულტაცია გაუწიოს თითოეულ მასწავლებელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ყველა ბავშვისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამით მათ ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენის საშუალება. მათთვის მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული უნარებისა და თვითშეფასების აღმოცენება და განვითარება, რათა ნაკლებ ტვირთად დააწვინონ სხვა ადამიანებს (ოჯახის წევრებს, მეგობრებს) და უფრო პროდუქტიულები იყვნენ. ხშირად ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს ეცოდებათ ბავშვი. დახმარებად მიაჩნიათ მის მაგივრად ყველაფრის კეთება, რითაც უნებლიედ ხელს უშლიან ნორჩის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების პროცესს; ამიტომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ყმაწვილის ცხოვრების შემდეგ სფეროებზე:

1. საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე;
2. ქცევის დამოუკიდებლად მართვაზე;
3. აკადემიურ უნარებზე;
4. მაკომპენსირებელ უნარებზე;
5. ოჯახურ ურთიერთობებზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილთაგან უფრო წარმატებული ისინი ხდებიან, რომლებიც დამოუკიდებლები, თვითდაჯერებულები და მიზანდასახულები არიან. ერთობ მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს დახმარება გაეწიოს უნარების მართვაში. გარშემომყოფი ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ არსებული პრობლემის გამო ნორჩი უნდა გაათავისუფლონ პასუხისმგებლობისაგან - ის არ უნდა დაისაჯოს

ან არ უნდა მოეთხოვოს დისციპლინირებულობა. ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყმაწვილები ისეთი ბავშვები არიან, რომლებსაც დასწავლის, მეტყველების, ფიზიკური, კოგნიტური, სენსორული და ემოციური სირთულეები აქვთ. ამგვარი მიდგომის მიხედვით, ამ ბავშვთა უმეტესობის შესაძლებლობათა შეზღუდვას სწორედ რომ ჩვეულებრივ სკოლაში სწავლების შეუძლებლობა აძლიერებს და არა მათი ფიზიკური ნაკლი. ინკლუზიური განათლება კი კლასში ყველა ბავშვისთვის თანაბარი უფლებების მინიჭებას

იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს მიზანი და ყმაწვილი ეფექტიანად დაეუფლოს სასურველ ქცევებს ან ჩაანაცვლოს სოციალურად მიუღებელი ქცევები პოზიტიურით, აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობის გათვალისწინება და ადეკვატურად გამოყენება.

ლიტერატურა:

1. Королько В. Основы Паблик Рилейшнз. – Київ, 1997.
2. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, შრომები, ტ.-5, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004.
3. ხიზანიშვილი ს., თანამედროვე განათლების სამომავლო ტენდენციები, აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრომები, ქუთაისი, 2012.
4. ხვედელიძე დ., „ინკლუზიური განათლება სკოლაში“, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, № 26, 2012 (გვ. 160-165).
5. მაზმიშვილი მ., „მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში“ აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შრომები, 2013 (გვ.41-43).

Tsira Bregvadze, Mzevinar Tabatadze

Inclusive education approaches / principles, Implementation at school level

Abstract

The article deals with the introduction of children's inclusive approaches at school level. Any child with similar problems may become a victim. Especially those children who differ from their peers as physical and mental characteristics. In the "Risk Group" are the children with physical defects ,peculiar behaviours, they can be formed as an unrealized and incomplete people.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ეკემბეგვა

პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების ზოგიერთი ასპექტი

განათლების სისტემაში მიმდინარე სარეფორმო პროცესების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას პროფესიული განათლება წარმოადგენს, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საყურადღებო ფაქტორია. ევროპული ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და ახალი მიდგომების დანერგვასთან ერთად, საგულისხმო გამოწვევას შეადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადება და პროფესიული განვითარება. აღნიშნული კადრის მომზადების რამდენიმე მოდელი არსებობს, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, აგრეთვე საუნივერსიტეტო სივრცეში. ამასთან, მნიშვნელოვანი ხდება ამ მიმართულებით დასაქმებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სადღეისოდ პროფესიული განათლებისათვის მნიშვნელოვანი გახდა ახალი ტიპის მასწავლებლის – კომპანიის/საწარმოს ინსტრუქტორის მომზადება. აღნიშნული პრობლემის დროული და ეფექტიანი გადაჭრა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს განათლების აღნიშნული სეგმენტის განვითარების, ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის ეფექტიანობის, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პროფესიული თვითრეალიზაციისა და სოციალიზაციის მიმართულებითაც.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადება

პროფესიული განათლება საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. პროფესიული განათლების სტრატეგიის შემუშავებისას (2013-2020 წწ.) გათვალისწინებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკის დინამიურ ზრდასა და განვითარებას, აგრეთვე პროფესიული განათლების თანამედროვე გამოწვევები და მათი გადაჭრისათვის ევროპული და სხვა ქვეყნების, კერძოდ, გერმანიაში დანერგილი დუალური პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების წარმატებული გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა. სტრატეგიით განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას

ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, ზრდასრულთა და განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ განათლებას, პროფესიული სასწავლებლების მაღალი ხარისხის, ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფას და ა.შ. ამასთან, საყურადღებოა, რომ ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. სწორედ საუნივერსიტეტო სივრცეში უნდა მოხდეს ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება პროფესიული განათლებისათვის ადამიანური რესურსების მომზადების თვალსაზრისით.

მასწავლებელი პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი ფიგურაა. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში სფეროს ერთ–ერთ გამოწვევად განსაზღვრულია პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრის სისტემურად მომზადება და უწყვეტი განვითარება, რამდენადაც პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწავლების ხარისხს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ცხადია, საყურადღებოა სათანადო საგანმანათლებლო რესურსის არსებობაც (აღჭურვილობა, მასალები, პრაქტიკული სასწავლო ბაზა და ა.შ.).

დღევანდელი კანონმდებლობით, პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, გავლილი უნდა ჰქონდეს სავალდებულო პედაგოგიური კურსი. თუმცა მხოლოდ პედაგოგიური კურსის გავლის საფუძველზე მასწავლებელი ვერ შეძლებს სათანადო პედაგოგიურ–ფსიქოლოგიურ ცოდნაზე დაფუძნებით, სასწავლო გარემოს მოწყობის სათანადო მოდელის განსაზღვრას, სწავლა–სწავლების პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას, სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი ფორმების (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა) ეფექტიანად გამოყენებას, სტუდენტებისათვის ინოვაციური მიდგომების, მოტივაციის ამღებების, კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიების, ტექნოლოგიური განვითარების საფუძველზე მიღებული შესაძლებლობების შეთავაზებას.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის, გარდა რიგი ფაქტორებისა (მოწინავე ევროპული გამოცდილების შესწავლა–გაზიარება, შესაბამისი მარეგულირებელი, ნორმატიული ბაზის დახვეწა, საგანმანათლებლო რესურსის შექმნა და სხვ.), მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადების სხვადასხვა მოდელის განხილვა.

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადება უშუალოდ პროფესიულ სასწავლებელში, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის პედაგოგიური ცოდნის გადაცემასა და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული მიდგომა საყურადღებოა პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით – ისინი არა მხოლოდ პროფესიას შეიძენენ, არამედ შეძლებენ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე დასაქმებას საწარმოს/კომპანიის ინსტრუქტორად, რაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების კონცეფციაშიც არის აღნიშნული (2013), თუმცა, ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ ყველა შემთხვევაში სტუდენტებს უნდა შევთავაზოთ პედაგოგიური კურსი, რაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უდაოდ არ არის საკმარისი მასწავლებლობისათვის და საჭიროა აღნიშნული საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა;

2. არანაკლებ საყურადღებოა განსაზღვრული სპეციალობების ბაკალავრებისათვის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის შეთავაზება, რომელშიც სათანადო დატვირთვას შეიძენს პედაგოგიური პრაქტიკა. აღნიშნული მიდგომის განხორციელება ხელს შეუწყობს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა დასაქმებას როგორც სპეციალობით, ისე პედაგოგიურ სარბიელზე.

პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, როგორც პირველ (პროფესიული სასწავლებელი), ისე მეორე შემთხვევაში (უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), მნიშვნელოვანია პრაქტიკის პასიური და აქტიური ასპექტების შერწყმა: ერთი მხრივ, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, ანალიზი და შეფასება, მეორე მხრივ – სასწავლო გარემოს მოდელის შერჩევა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ჩატარება და თვითანალიზი. გასათვალისწინებელია პრაქტიკის კომპლექსური შეფასებაც, რათა სტუდენტმა შეძლოს შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების სრულად გამოვლენა;

3. გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც პროფესიული განათლების სტრატეგიაშია აღნიშნული, საყურადღებოა საუნივერსიტეტო სივრცეში ახალი აკადემიური პროგრამების შემუშავება, რომლებშიც აქცენტირებული იქნება პროფესიული განათლების სფეროს ადმინისტრირება, ადამიანური რესურსების განვითარება, ზრდასრულთა განათლება და სხვა ასპექტები (მაგალითად, მაგისტრატურის დონეზე), ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია პროგრამაში მასწავლებლის მომზადების მოდულის ჩართვა ((თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებით), რაც ხელს შეუწყობს მაგისტრის მრავალმხრივ პროფესიულ თვითრეალიზაციასა და კარიერულ ზრდას.

ცალკე საკითხია პროფესიული განათლებისათვის მნიშვნელოვანი, ახალი ტიპის მასწავლებლის – კომპანიის/საწარმოს ინსტრუქტორის მომზადება, რომლის ძირითად სამუშაო ადგილსაც უშუალოდ საწარმო/კომპანია წარმოადგენს. აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სადღეისოდ, მოწინავე ევროპული გამოცდილების შესაბამისად, პროფესიული განათლება მიმდინარეობს როგორც პროფესიულ სასწავლებელში, ისე კომპანიაში/საწარმოში. იმისათვის, რომ ამ კატეგორიის კადრმა მიზანმიმართულად და ეფექტიანად წარმართოს სტუდენტებისათვის სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემა, თავად უნდა იყოს აღჭურვილი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესიის (საგნის) ფუნდამენტური ცოდნით და ამავე დროს, ფლობდეს პედაგოგიურ ცოდნას, რათა შეძლოს მუშაობა სტუდენტებთან, დაეხმაროს მათ პრაქტიკული უნარების განვითარებაში ისევე, როგორც ამას აკეთებს მასწავლებელი პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში თეორიული სწავლებისას. კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი მოვალეობებია: სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის სამუშაო გარემოს მოწყობა, სწავლების ფორმების ცოდნა და ამ პროცესში მიზანმიმართულად გამოყენება, სტუდენტისთვის სათანადო ინსტრუქციების მიცემა და სამუშაო პროცესში ეტაპობრივად ჩართვა, ობიექტური და მრავალმხრივი შეფასება და სხვა. გარდა ამისა, სწორი და კეთილგანწყობილი კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტსა და კომპანიის ინსტრუქტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროფესიული განათლების შემთხვევაში, სწავლების მინიმუმ 50% სწორედ რეალურ სამუშაო გარემოში მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გაიმიჯნოს, თუ სწავლის შედეგების რა ნაწილი მიიღწევა სასწავლებელში და რომელი პრაქტიკული უნარების განვითარება მოხდება საწარმოში. შესაბამისად, აუცილებელია

ეფექტური კომუნიკაცია საწარმოს/კომპანიის ინსტრუქტორსა და პროფესიული განათლების მასწავლებელს შორის, რამდენადაც სწორედ ისინი წარმოადგენენ პროფესიული განათლების მნიშვნელოვან ფიგურებს.

რაც შეეხება პროფესიული განათლების სფეროში დასაქმებულ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ამ მხრივ პირველ რიგში, საყურადღებოა აღნიშნული კადრის საჭიროებების იდენტიფიცირება, პროფესიული განვითარების ალტერნატიული შესაძლებლობების განსაზღვრა და განხორციელება (მაგალითად, მოკლე და გრძელვადიანი ტრენინგები, თემატური სემინარები, მასტერკლასები და სხვ.) როგორც უშუალოდ პროფესიული მასწავლებლების ბაზაზე, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული ღონისძიებების შეთავაზება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით, დონორი ორგანიზაციების ჩართვით და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებები დაეხმარება მათ, გაიღრმავონ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ცოდნა, შეიძინონ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების, სასწავლო მიზნების შესატყვისი აქტივობების განსაზღვრის, თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების მიზნობრივად შერჩევისა და გამოყენების, აგრეთვე თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციები.

ამგვარად, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების სისტემაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას, მაღალი კვალიფიკაციის, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას და შედეგად, იმ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზებას, რომლებიც დასახულია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2018 წ.
2. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფცია (პროექტი). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013 წ.;
4. პროფესიული განათლება საქართველოში, მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013 წ.;
5. პროფესიული განათლების პედაგოგთა საჭიროებების კვლევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013 წ.

Nana Macharashvili

**Some aspects about Vocational Teacher Training
Abstract**

Vocational education is an important area of the ongoing reform process in the education system, which is an important factor in the country's socio-economic development. As well as sharing successful experiences with European countries and introducing new approaches, the training and professional development of VET teachers is a significant challenge. There are several models of the aforementioned staffing that can be implemented both on the basis of vocational education institutions and in the university setting. At the same time, it is important to support the professional development of teachers employed in this field. It should also be taken into account that the training of a new type of teacher - company / enterprise instructor - has become important for the day. The timely and effective resolution of this problem will also play an important role in the development of this segment of education, the effectiveness of adult education policy, the professional self-realization and socialization of certain sections of the population.

რეცენზენტი: პროფ. ვ. იზბულე

პედაგოგია

Pedagogic

მზევინარ ტაბატაძე, ცირა ბრეგვაძე

ჭიათურა, საქართველო

„თანამშრომლობითი სწავლა უფრო მეტია ვიდრე მოსწავლეების ერთად მუშაობა“

სტატიაში განხილულია თანამშრომლობითი სწავლების შესახებ არსებული კვლევები და თეორიები. სტატიაში წარმოდგენილი განზოგადებული დასკვნები სასარგებლო იქნება იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც თანამშრომლობით სწავლაზე მიმართული აქტივობების განხორციელებას გეგმავენ. სტატიაში წარმოდგენილია თანამშრომლობითი სწავლების პრაქტიკული მაგალითები საკლასო სივრცეში. სხვადასხვა კრიტერიუმები მოსწავლეთა დასაჯგუფებლად. აღნიშნული მეთოდი შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მეთოდად ჩაითვალოს სწავლებაში, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიყენოს სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში.

საკვანძო სიტყვები: თანამშრომლობითი სწავლება

მოსწავლეთა დაჯგუფების მეთოდებიდან თანამშრომლობითი სწავლება შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ნაყოფიერად. თანამშრომლობითი სწავლის მეთოდი მასწავლებელმა შეიძლება სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენოს სხვადასხვა ფორმით. ზოგი ამ მეთოდს აღიქვამს როგორც „მოსწავლეთა დაჯგუფების“ ზოგადი სტრატეგიის ნაწილს. თავდაპირველად დაჯგუფების პროგრამა მიმართული იყო „შესაძლებლობების მიხედვით“ დაჯგუფებული კლასების შექმნისკენ, რომლის მიხედვითაც დაწყებით კლასებში მოსწავლეებს სწრაფი წინსვლის საშუალება ეძლეოდათ (აშშ 1982 წელი ჯ. ქულიქი, ქ. ქულიქი.)

თუმცა მხოლოდ საუკუნეების ბოლოს მიიღო ის ფორმა რომელიც დღევანდელი სასკოლო პრაქტიკის მსგავსია. ქულიქის მიერ გამოყენებული „ჰომოგენური დაჯგუფების მოდელი“ თანდათანობით კარგავდა აქტუალურობას რადგან ასეთი პრაქტიკა ნაკლებად ეფექტურია. ამ მეთოდის პოპულარობის ვარდნა იმითაა განპირობებული რომ შესაძლებლობების მიხედვით დაჯგუფება აღვივებს მოსწავლეთა შორის უთანასწორობას, სხვა სიტყვებით ეს მეთოდი არ ემსახურება „ფართო შესაძლებლობებისა და დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების შორის ნაპრაღის შევსებას (ოაქსი 1985)

უმჯობესია სასკოლო პრაქტიკაში მასწავლებელმა გამოიყენოს ჰეტეროგენული დაჯგუფების მეთოდი. თანამშრომლობითი სწავლის სფეროში გამორჩეული სპეციალისტები დევიდ ჯონსონისა და როჯერ ჯონსონის მიხედვით ამ მეთოდის განმსაზღვრელი 5 ელემენტია

არსებობს: (მინესოტას უნივერსიტეტის თანამშრომლობითი სწავლისადმი მიძღვნილი ვებ გვერდი -<http://www.co-peracion.org/pages/cl.html>. თანადირექტორები ჯონსონი და ჯონსონი.)

1.პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება. (გრძნობა იმისა, რომ ერთად გადავრჩებით ან ერთად დავიღუპებით)

2.ურთიერთ გამხნეება (ერთმანეთის დახმარება სწავლაში, ურთიერთგამხნეება და წახალისება)

3. ინდივიდუალური და ჯგუფური ანგარიშვალდებულება (თითოეული ჯგუფის წევრს აქვს ვალდებულებები და ამ ვალდებულებების შესრულებით შესაძლებელი ხდება ჯგუფის საერთო მიზნის მიღწევა)

4.ინტერპერსონალური და პატარა ჯგუფში მუშაობის უნარები. (კომუნიკაცია, ლიდერობა, ნდობა, კონფლიქტის მოგვარება და გადაწყვეტილების მიღება.)

5. ჯგუფის წინსვლა (დაკვირვება) იმაზე, თუ როგორ მუშაობს გუნდი და რა ღონისძიებები უნდა ჩავატაროთ იმისთვის რომ გუნდის მუშაობა გაუმჯობესდეს.

კვლევები ადასტურებს რომ როდესაც თანამშრომლობით სწავლას მოსწავლეთა შორის კონკურენციაზე ორიენტირებულ მეთოდებს ვადარებთ, თანამშრომლობითი სწავლა უფრო ეფექტურია ასე რომ, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ჩართვა მთელ ამ პროცესში ეფექტური მეთოდია იმის და მიუხედავად ეჯიბრებიან თუ არა მოსწავლეთა ჯგუფები.

არსებობს დასკვნები რომლებიც გვხმარება პედაგოგებს თანამშრომლობით სწავლაზე მიმართულ აქტივობების განხორციელების დაგეგმვისას:

1.ნაკლებად მიზანშეწონილია მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა შესაძლებლობების მიხედვით. (დაბალი აკადემიური შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები ჰეტეროგენულ ჯგუფებში უფრო ეფექტურად მუშაობენ ვიდრე მათივე დონის მოსწავლეთა დაჯგუფების შემთხვევაში. (ეფექტის უარყოფითი სიდიდე -0,60) უფრო მეტიც მაღალი დონის მოსწავლეთა ჰომოგენურ ჯგუფებში გაერთიანება დაბალი ეფექტურობით გამოირჩევა. (ეფექტის სიდიდეა მხოლოდ 0,09) საშუალო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები ყველაზე დიდ სარგებელს ჰომოგენურ ჯგუფებში პოვებენ. (ეფექტის სიდიდეა 0,51) აღნიშნული მონაცემები ამოღებულია ლოუსა და სხვების ნაშრომიდან (1996)

მოსწავლეთა ჰომოგენურ და ჰეტეროგენულ ჯგუფებში მუშაობის ეფექტურობის შედარება			
მოსწავლეთა დონე შესაძლებლობების მიხედვით	ეფექტის სიდიდეების რაოდენობა	საშუალო ეფექტის სიდიდე	პროცენტის ზრდა
დაბალი შესაძლებლობა	4	-0,60	-23
საშუალო შესაძლებლობა	4	0,51	19
მაღალი შესაძლებლობა	5	0,09	3

3. სასურველია თანამშრომლობითი ჯგუფები იყოს პატარა. კვლევამ ლოუ და მისი კოლეგები მიიყვანა დასკვნამდე რომ 3-4 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფები უფრო ეფექტურია ვიდრე დიდი ჯგუფები.
- 4.

თანამშრომლობითი ჯგუფების ზომა			
ჯგუფის ზომა	ეფექტის სიდიდების რაოდენობა	საშუალო ეფექტის სიდიდე	პროცენტის ზრდა
წყვილები	13	0,15	6
3-4	38+	0,22	9
5-7	17	-0,02	-1

3. თანამშრომლობითი სწავლება სასარგებლო აქტივობაა მაგრამ ზედმეტად ხშირად არ უნდა გამოვიყენოთ. (საუკეთესო შედეგი და მეთოდის ნაყოფიერება ვლინდება მაშინ როცა კვირაში ერთხელ მაინც მივმართავთ აღნიშნულ მეთოდს.)

დაჯგუფების რა კრიტერიუმები შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს?

იმისთვის რომ მოსწავლეთა გამოცდილების მრავალფეროვნება უზრუნველყოთ, აუცილებელია სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენება და თანამშრომლობითი სწავლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება:

მაგალითად მოსწავლეები შეიძლება დავეყვით: მათი ინტერესების, ტანსაცმლის ფერის, სახელის და გვარის პირველი ასოების, დაბადების თვეების ან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (მოსწავლეთა სახელები პატარა ქალაქში დავწეროთ და ამოვიღოთ შემთხვევითი პრინციპით; გადათვლის მიხედვით; „კამათლის პრინციპი“). პირად პედაგოგიურ პრაქტიკაში უფრო ხშირად ვიყენებ შემთხვევითობის პრინციპს; „გადათვლა“ - რაც დროის ეფექტურად დაზოგვასა და მოსწავლეთა შორის გაურკვევლობის აღმოფხვრაში მეხმარება.

არაფორმალური, ფორმალური და საბაზო ჯგუფები

არაფორმალური ჯგუფების სახეობაა-დაწყვილება და გვერდით მჯდომთან მიტრიალება. მიზანი შეიძლება იყოს დავალების პირობის დაზუსტება; მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება; გაკვეთილის შეჯამება; მოსწავლეთათვის მეტი დროის მიცემა რომ ინფორმაცია გაიაზროს.

მაგალითად ბიოლოგიის გაკვეთილზე (9 კლასი) - თემა : „მემკვიდრული დაავადებები“ - წყვილებს ვურიგებ სიტუაციურ ამოცანებს. წყვილმა უნდა იმსჯელოს მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ცალ-ცალკე ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ გააცნონ ერთმანეთს. საბოლოო ეტაპზე დაავადებების მიხედვით ქმნიან გენეალოგიურ სქემებს და აკეთებენ დასკვნას პრევენტივის სახით.

ფორმალური ჯგუფები- მიზანი მოსწავლეებს აკადემიური დავალების საფუძვლიანად შესრულებისთვის მეტი დრო ჰქონდეს. ფორმალური ჯგუფების შექმნისას მასწავლებელი დავალებას ისე აყალიბებს რომ თანამშრომლობითი დაჯგუფების ყველა ძირითად კომპონენტს მოიცავს.

- პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება
- ჯგუფის წინსვლა
- სოციალური უნარების სათანადო გამოყენება
- ურთიერთგამხნეება, ინდივიდუალური და ჯგუფური ანგარიშვალდებულება.

მაგალითად ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე (6 კლასი) -თემა სისხლდენები . კლასში 20 მოსწავლეა. მოსწავლეებს ვთხოვ გადაითვალონ ერთიდან -ხუთამდე და დაჯგუფდნენ 4 ჯგუფად. შესაბამისად თითოეულ ჯგუფში აღმოჩნდება 5 მოსწავლე. ჯგუფში დელეგირებულია ფუნქციები: იდეების გენერატორი, დეკორატორი, პრეზენტატორი პირველ ეტაპზე - „ ამოიცანი ახსენი „ მოსწავლეებს ჯგუფების მიხედვით ურიგდებათ სისხლდენის სხვადასხვა სახეების ამსახველი ფოტოები. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ტიპის სისხლდენაზეა საუბარი და თანმიმდევრობით დააღაგონ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ეტაპები. მეორე ეტაპზე (მომდევნო გაკვეთილისათვის) მოსწავლეები თვითონ გეგმავენ სიმულაციურ თამაშებს.

მოსწავლეები ჯგუფებში გადაინაწილებენ ფუნქციებს და მასწავლებლის მიერ მიწოდებული რესურსების დახმარებით წარადგენენ სიმულაციას „პირველადი სამედიცინო დახმარება სისხლდენის დროს“. ჯგუფების მუშაობის პროცესს ვაკვირდები 5 კომპონენტის მიხედვით . რამდენად თანამშრომლობენ, ამჟღავნებენ სოციალურ უნარებს , როგორ წყვეტენ წამოჭრილ სირთულეებს , როგორ მიდის ჯგუფის მუშაობა წინ . პერიოდულად ახდენენ თვითშეფასებას . საბოლოო პროდუქტის პრეზენტაციისას (სიმულაციური თამაშები) - მოსწავლეებმა მთლიანი ჯგუფის ნამუშევარი უნდა წარმოადგინონ და ჯგუფის თითოეული წევრის კონკრეტული წვლილი უნდა აღნიშნონ.

საბაზო ჯგუფები- ხანგრძლივ დროზეა ორიენტირებული მაგალითად ერთ სემესტრზე ან სასწავლო წელზე. ასეთ დაჯგუფებებს მივმართავ სასკოლო და სოციალური პროექტების განხორციელებისას. მაგ: „ ნარჩენების მართვა“ (Reduce – შემცირება ; Reuse – ხელახალი გამოყენება ; Recycle – რეციკლირება)

თანამშრომლობითი სწავლის სირთულეები

- მეტი დრო, მეტი შრომა, წინასწარი დაგეგმვა;
- სპეციფიური დავალებების შექმნისა და შერჩევის საჭიროება.

თანამშრომლობითი სწავლის სირთულეები და გადაჭრის გზები:

- ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპების ცოდნა;
- ჯგუფური მუშაობისათვის დავალებების შექმნა და/ან შერჩევა;
- მოსწავლეებისთვის ჯგუფური მუშაობის ნორმების გაცნობა და ახსნა; ჯგუფური მუშაობის ქცევების გამომუშავება, მათი ყოველდღიურ რუტინად გადაქცევა;
- მუდმივი თვითშეფასება და რეფლექსია მასწავლებლის მიერ;

თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობები მოსწავლისათვის:

- **სოციალური** განვითარება - ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, განსხვავებული აზრის მოსმენა და მიღება, გუნდური პასუხისმგებლობის გაზიარება,
- **პიროვნული** განვითარება - ანალიტიკურ-კრიტიკული აზროვნების უნარების, აგრეთვე თვითმართვის უნარების (ქცევისა და ემოციების მართვა) განვითარება.
- **საგნობრივი** ცოდნის შეძენა ურთიერთსწავლების რეჟიმში, რაც საკმაოდ ეფექტიან მეთოდად ითვლება.

მასწავლებლისთვის:

- შედეგზე გასვლა უფრო მოკლე დროში;

- ნაკლები დისციპლინის პრობლემები და მაღალი აკადემური შედეგები კლასში .

პედაგოგიური პრაქტიკა მამლევს საშუალებას თამამად გავიმეორო, რომ „თანამშრომლობითი სწავლა უფრო მეტია ვიდრე მოსწავლეების ერთად მუშაობა“

ლიტერატურა:

1. ჯ. მარზანო . ჯ.ფიქერინგი , ი.ფოლოქი -„ ეფექტური სწავლება სკოლაში „
2. Chiu, M. M. (2008).Flowing toward correct contributions during groups' mathematics problem solving: A statistical discourse analysis. Journal of the Learning Sciences, 17 (3), 415 - 463. 2.
3. Sharan, Y. (2010). Cooperative Learning for Academic and Social Gains: valued pedagogy, problematic practice. European Journal of Education, 45,(2), 300-313. 3.
4. Siltala, R. (2010). Innovativity and cooperative learning in business life and teaching. University of Turku.
5. Schul, J.E. (2011). Revisiting an old friend: The practice and promise of cooperative learning for the twenty-first century. The Social Studies, 102, 88-9 5.

Mzevinar Tabatadze, Tsira Bregvadze

“Cooperative learning means more than students working together”**Abstract**

The article discusses the theories and researches about cooperative teaching. The general conclusions presented in the article will help the teachers who plan the activities based on cooperative learning. The article gives the examples of cooperative learning at class, different criterions how to group the students. This method can be considered as of the effective teaching ways. It can be used in different forms and in different situations.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ჩერნოვატი

ეთნოგრაფია

Ethnography

რამაზ ხაჭაპურიძე

ქუთაისი, საქართველო

სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვები ლეჩხუმის
ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით

შელოცვა ფოლკლორის ერთ-ერთი არქაული ჟანრია. ამ ტიპის ტექსტებს სხვადასხვა წარმოდგენა უდევს საფუძვლად, რომელშიც სიტყვას სულიერ და უსულო საგნებზე მაგიური ზემოქმედების მნიშვნელობა ენიჭება. შელოცვები ცხადყოფს ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის ყოვლისშემძლეობის რწმენას. ეს ტექსტები მისნური შინაარსისაა და მიმართულია სხვადასხვა ძალების და მავნე სულების წინააღმდეგ. როგორც წესი, ცდილობენ ავადმყოფის სხეულიდან შიშის, ავი თვალისგან მიყენებული ზიანის და სხვადასხვა დაავადების გამოდევნას, აგრეთვე ბუნების მოვლესთან მიმართებაში, გვალვისა და წვიმის მოყვანას უხვი მოსავლის მოწევას და ბოროტი ძალების დამარცხებას.

საკვანძო სიტყვები: შელოცვა, ფოლკლორი, მავნე სულები

შელოცვები წარმოადგენს ქართული ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშს, იმავდროულად, მათ ახასიათებთ ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით განსაზღვრული თავისებურებები. სამწუხაროდ ცხოვრების წესის ცვლილებასთან და ტექნიკურ პროგრესთან ერთად შელოცვების უმრავლესობა დავიწყებას მიეცა და დღეს ის მხოლოდ თითო-ორი ადამიანმა თუ იცის და ისიცი ასაკობრივი თვალსაზრისით, ხანშიშესულებმა.

ჩვენ მიერ 2016 წლის ზაფხულში, ლეჩხუმში ექსპედიციის შედეგად მოვიპოვეთ და დავიწყებისგან ვიხსენით უნიკალური სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვები.

ჩვენი მსჯელობის საგანია სამკურნალო შელოცვები. აღვნიშნავთ, რომ შელოცვები თითქმის გამქრალია და მხოლოდ რამდენიმე ადამიანისაგან ჩავიწერეთ. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ მათ მხოლოდ გადმოცემით იციან შელოცვები, მათ ძველებურად საკრალურად აღარც განიცდიან და არც დიდად სწამთ.

ჩვენი რესპოდენტის თქმით, შელოცვების წარმოთქმის დროს ატარებენ გარკვეულ რიტუალს, მაგალითად შელოცვა უფრო ძლიერია თუ მას სამი გვარის ქალი წარმოთქვამს, შელოცვა სრულდება ჩურჩულით, ზოგჯერ შელოცვა ხდება პურის ლუკმაზეც, რომელიც ავადმყოფმა უნდა შეჭამოს.

ლეჩხუმში გავრცელებულია რწმენა ავი, ბოროტი თვალის მქონე ადამიანის შესახებ, რომელიც ვნებს სხვა ადამიანს. ჩვენმა რესპოდენტმა გვითხრა, რომ ავი თვალი ადამიანს იმ შემთხვევაში აქვს თუ დედა უმცროსი შვილისთვის განკუთვნილ რძეს უფროს შვილს მოაწოვებს. საინტერესოა, **ნათვალევის შელოცვა** რომლის ტექსტიც ასეთია:

„გადმოიქცა თეთრი კლდე, გადმოყვა თეთრი გველი, ჩაუყვავი თეთრი მათრახი, ამოვიღე თეთრი გველი გადავარტყი სიჰსა ქვასა, მაწყინარი თვალისასა, ასად გასკდა, ასად გაგჯა, ასად ღმერთი გოუწყრა, თვალი დოუდგა შენი ავი თვალით, ავი გულით, მავნებელი სხეულით შემომხედავსა (იგივე შავ და წითელ გველზე) ჯვარი გიწერია, ჯვარი გიწერია, ჯვარი გიწერია (სამჯერ!)“

ლეჩხუმში ჩავიწერეთ **გულის ლოცვა**, რომელიც მამაკაცის ქამრის (ღვედის) დახმარებით ტარდება, აღნიშნული ლოცვა სხვა მონაცემთა მიხედვით არაა ჩაწერილი და საინტერესოა თავისი წესით და რიტუალით, ჩემი ნაშრომის მთავარი იდეა სწორედ ეს არის, რომ ყურადღება გამემახვილებინა და შემედარებინა სხვა მოპოვებულ, თუ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მასალასთან ჩენ მიერ ჩაწერილი ლოცვა, რომელსაც „გულის“ ლოცვას უძახიან, მაგრამ ლოცვის შინაარსიდან გამომდინარე ჰგავს „შეშინებულის“ შელოცვას, რომლის არსიც შემდეგშია: ღვედს გულთან მიადებენ ავადმყოფს და სამჯერ წარმოთქვამენ: „გულო მოდი საგულესა ნუ წასულხარ სამგუნესა, ჭოჭოლ კაბას შეგიკერავ ამოვუჭრი საგულესა, იმას მოვჭრი ურკინოდ, იმას შევჭამ უკბილოდ“

ასევე გვხვდება „მონადების“ შელოცვაც, რომელის ტექსტიც ასეთია: „მონადებო შვილიანო, მონადებო ძირიანო, შენი დედა ტირიანო, შენი მამა ტირიანო, სადაა ჩვენი შვილიო, შავგულიე დოუკლავს, თავფეხი შეუნახავს ადრე მიხვალ დაგიხვდება, გვიან მიხვალ შეგიჭამენ, გამოდი გამოშორდი, გამოდი გამოშორდი (სახელი ვისაც ულოცავ)“

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ შელოცვები დღეს მივიწყებული დარგია, შედარებით ცოცხალი სამკურნალო შელოცვებია, რაც შეეხება სამეურნეოს ის უფრო მეხსიერებაშია დარჩენილი, ვიდრე მოქმედებაში, სამწუხაროდ სოფლის მეურნეობის მოშლამ ამ დარგისთვის დამახასიათებელი შელოცვებიც გააქრო მოხმარების სფეროდან. სამწუხაროდ, ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს უნიკალური ნიმუშები გაქრობის პირასაა და მომავალ თაობაში მისი ცოდნა დაკარგულია, **თუმცა ჩვენ შევძელით სამეურნეო ხასიათს შელოცვის მოპოვებაც:**

ეთნოგრაფების გამოკვლევით დადგენილია, რომ ლეჩხუმში არსებობდა 98 ვაზის დასახელება, რაც იმას ადასტურებს, რომ ერთ მიკრორაიონში, რომლის ფართობი 755,4 კმ² შეადგენს და 58 სოფლით არის წარმოდგენილი, ადგილობრივი მოსახლეობა მეურნეობის ამ დარგს აქტიურად მისდევდა. ეს იქედანაც დასტურდება, რომ ლეჩხუმში 4 კერამიკული ცენტრი მოქმედებდა: საირმეში, ქულბაქში, ზოგიშსა და ოფიტარაში ოთხივე ცენტრისთვის წამყვანი იყო მეღვინეობისათვის საჭირო ჭურჭლის დამზადება.

ვაზის ჯიშთა სიუხვე არა მარტო მევენახეობის მრავალფეროვნების მაჩვენებელია, არამედ ამ საქმეში გლეხობის მაღალი და დახვეწილი ცოდნის გამოხატულებაცაა. წარმოდგენილი ჯიშების მიხედვით თუ ვივარაუდებთ, გამოდის, რომ 45–ზე მეტი მეთოდი იყო საჭირო, რომ ჯიშის შესაფერისი წესით ღვინო დაეყენებინათ.

გადმოცემის თანახმად, ლეჩხუმში ვაზი ძველად ხეზე იყო გაშვებული, ზოგიერთ სოფელში მაღლარი ვენახები ჰქონდათ. მაგ. ლუხვანოში. ამასვე აღნიშნავდა XIX ს–ის 80–იან წლებში იაკოვლევი. მისი ცნობით, გურიისა და სამეგრელოს შემდეგ მაღლარი ვენახებით ლეჩხუმის მაზრა გამოიჩინებოდა. მაღლარისათვის სათანადო ჯიშებს არჩევდნენ: ადესას, ოჯალეშს, ფაჩხატას, ნაკუთნოურს, ალექსანდროულს, ციცქას. მაღლარად გაშენებულ ვენახს ლეჩხუმში „ხემამულიც რქმევია“.

ლეჩხუმში დაბლარ მევენახეობასაც მისდევდნენ. როცა ლეჩხუმელი მამულს ამბობს, მხოლოდ დაბლარი ვენახი იგულისხმება. დაბლარს სხვაგვარად „ჩხიროდსაც“ უძახიან.¹

დაბლარი მევენახეობა ლეჩხუმში შედარებით ახალი უნდა იყოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაბლარსა და მაღლარ ვენახს შორის არსებობდა გარდამავალი ვენახის ფორმა, რომელსაც „ოღრხარს“ უწოდებდნენ. „ოღრხარი“ ვენახი დატოტვილ სარებზე გაშვებულ ვენახს წარმოადგენს. ოღრხარი, ისევე როგორც მაღლარი, ყოველწლიურად ისხვლებოდა.

ლეჩხუმშივე გავრცელებულია ვაზის ტალავრად გაშვების წესი, რომელსაც „ხარდანს“ უწოდებენ. ტალფერი ეწოდება საკმაოდ მაღალ ბოძებზე გადებულ სარებზე გაშვებულ ვაზს. დღეისათვის ლეჩხუმში ტალავრმა ფართო გავრცელება მოიპოვა. ახლა ტალავრს აშენებენ რკინის მასალის გამოყენებით. ვენახის ჯიშებიდან სატალავრედ არჩევენ ცოლიკაურსა და ალექსანდროულს.

ლეჩხუმშივე გავრცელებულია ვაზის ფორმირება 2 ან 3 სარზე. ერთ ძირ ვაზს მიუდებენ 2 ან სამ სარს.

უკანასკნელი ფორმა ვაზის დაყენებისა, რაც გაბმულ მავთულზე შეყვლევაში გამოიხატება, თანამედროვე პირობებში შეიქმნა. დღესდღეობით ვენახის უმეტესობა ასეა გაშენებული.

როგორც ვენახის ფორმირებას, ისე გასხვლასაც ლეჩხუმში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გასხვლის საუკეთესო დროდ მიჩნეული იყო თებერვალი. დაგვიანებული გასხვლა ვაზის საზიანოდ მიაჩნდათ. ლეჩხუმელი გლეხების თქმით, ვაზის დაგვიანებული გასხვლა ცუდია, ღვინომ „ტირშლი“ იცისო ზოგიერთის დაკვირვებით „ტორშლი“ ღვინის ხარისხზეა დამოკიდებული, ტკბილი ყურძნით მიღებული ღვინო „ტირშლს“ არ მოიკიდებსო.

ლეჩხუმელი მევენახეები გასხვლისას გარკვეულ ანგარიშს უწევენ მთვარის ფაზებს. ბაბუაჩემისგან ხშირად მსმენია: ახალ მთვარეზე გასხვლისას ვაზი კარგი გამოდის, სამაგიეროდ სხმა ნაკლები იცის, ძველ მთვარეზე გასხვლისას კი სხმა უკეთესი იცის, ვაზი ნაკლები გამოდისო.

გასხლულ ვაზს სარზე ან მავთულზე აკრავენ. ამ პროცესს ლეჩხუმში ვენახის აშენება ეწოდება. აშენებულ ვენახს ბარავენ ან თოხით ამუშავებენ.

ვენახში სიმინდ–ლობოსაც თესავენ. უმეტესწილად ამჯობინებენ დაბალ ლობიოს, „უხარდნიოს“. დათესვას, რომელიც დაბარვისთანავე ითესება.

ვენახში მუშაობის მორიგი ეტაპია შეწამვლა, რასაც ლეჩხუმლები იმ დროს იწყებენ, როცა ვახის პირველი ფოთოლი 2 სანტიმეტრის ტოლი გაიზრდება. როგორც პირველ ისე მორიგ წამლობას ატარებენ კირითა და შაბიაზნით შეწამვლას ამინდის შესაბამისად აწარმოებენ.

ყურძენი სექტემბერში შემოდის და ამავე თვიდან იწყება რთველი, რომელიც გრძელდება ნოემბრის ნახევრამდე. რთველისთვის საგანგებო მზადება იციან: ასუფთავებენ ჭურებს, „ხორგოს“ (საწნახელია), საკრეფ ჭურჭლებს („სალახტოს“, „გოდორს“).

ყურძენს კრეფენ კალათებში და ხოკებში ხოკი წარმოადგენს ცაცხვის ხის ქერქისგან დამზადებულ საკრეფელას მოკრეფილ ყურძენს ყრიან ურემზე შედგმულ „ჩაჭილაში“ (ისიც ცაცხვის ხის ქერქისგან იწნება). „ჩაჭილა“ დაახლოებით 6 ფუთს იტევს. ჩაჭილიდან ყურძენს ხორგოში ყრიან, ადრე ფეხით ჭნებდნენ, ეხლა კი სპეციალურ საჭყლეტს იყენებენ. ზოგიერთი ყურძენს ხორგოში დიდხანს (რამდენიმე დღე ან ერთი კვირა) აჩერებს. მოკრეფილი ყურძენის რამდენიმე დღით გაჩერებას ხალხურ მეურნეობაში გარკვეული ტექნოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

როცა ხორგოში ღვინოს აყენებენ. თავს აყალო მიწით ამოუკეტავენ. ხორგოს გარდა ღვინოს ჭურებში აყენებენ. ღარიანი ხორგოდან გაწურული ყურძენის წვენი ჭურებში გადადის თუ ხორგოში ადუღებენ, ისევ ხორგოშივე დააბრუნებენ გაწურულ ტკბილს და ჭაჭასთან ადუღებენ, 6–7 დღის შემდეგ ხორგოდან ღვინოს გამოუშვებენ და ჭურებში ათავსებენ. ამ წესით დადუღებულ ღვინოს ტოვებენ სარქველ დაცმულს და იანვრის ბოლოს გადაიღებენ.

მეორე წესით დადუღება შედარებით მარტივია. გამოწურულ ტკბილს ჭურებში ათავსებენ, შემდეგ ჭაჭას მისცემენ „საფერად“ და იანვრიდან იმასაც გადაიღებენ.

ღვინოს ადუღებენ ჭაჭის გარეშე. ხორგოდან პირველ გამოსულ ყურძენის წვენს ჭურის თავზე უდგამენ ძაბრისებრ კალათას. ტკბილს თუ ჭარა გაყვება კალათაში გაიწურება და ჭურში სუფთა ტკბილი ჩადის. ამას უწოდებენ უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოს, რომელიც „შუმის“ სახელით არის ცნობილი. ასეთი ღვინო მეტ სიტკბოს ინარჩუნებს. ლეჩხუმში ასეთ ღვინოს საპატიო სტუმარს მიართმევენ ხოლმე, ან დღესასწაულებზე მიირთმევენ.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ლეჩხუმში ღვინოს ჭურებში ინახავდნენ ჭურს უწოდებენ დიდი ზომის ქვევრს, რომელიც 4–5 ვედროს აღემატება. ხოლო იმაზე მცირეს ქვევრს უწოდებენ. ქვევრზე მცირედს – „ყვიბარს“, ხოლო იმაზე პატარას „ქოტოს“.

ჭურებს ამზადებდნენ სოფ. საირმეში, ქულბაქში, ზუბსა და ოფიტარაში. ლეჩხუმური ჭურები იმერეთში დამზადებული ჭურებისაგან განსხვავდებიან ფორმა–მოყვანილობით. იმერულ ჭურებს კვერცხის ფორმა აქვთ. ლეჩხუმური ჭურები გულისებურია, გულის ფორმის ჭურების დამზადება უნდა აიხსნას იმით, რომ ლეჩხუმის სოფლები კლდოვანი, ქვა–ღორღიან ფერდობებზეა გაშენებული და ჭურისათვის მიწის გათხრა დიდ სიმძნელებთან არის დაკავშირებული. ჭურის ნაწილებია. ჭურის თავი, ჭურის პირი, ყელი, ბეჭები, მუცელი და ფსკერი.

დიდი ზომის ჭურებს ნახულობდნენ ეკლესია მონასტრებთან, რაც იმას ადასტურებს, რომ ლეჩხუმის ეკლესიებს გააჩნდათ როგორც სახნავ–სათესი მიწები, ასევე ვენახები. იქ დაყენებულ სასმელს კი ინახავდნენ ეკლესიის საჭიროებისათვის.

ჭური საერთოდ ფაქიზი მოსავლეა. ამიტომ ლეჩხუმელი გლეხისთვის სისტემატიური ყურადღების ცენტრშია მოქცეული ჭურის რეცხვა, რომელიც ორი წესით ხდება: წიგ ჩასვლით და

გარედან რეცხვით. დიდი ზომის ჭურებში მრეცხავი შიგ ჩადიოდა და უტარო ხელის სარცხით, რომელიც ბლის ქერქისაგან იყო დამზადებული, ჭურის კლდეებს ხედავდა. მცირე ზომის ჭურები კი გარედან ირეცხება ტარიანი სარცხით. (მზადდება ბლის ქერქისაგან, ხელის გულის ზომის ქერქს შუაზე გახვრეტენ, თხილის ტარს დაუგებენ და ზედ ასხამენ 30–მდე ფურცელს) ჭურს 3–4 ჯერ სჭირდება კარგად გახეხვა და როცა წყალი სუფთა ამოვა, რეცხვას შეწყვეტენ. ჭურის ძირიდან წყალი მაწაწურით, რომელსაც „ოფხიმოსაც“ უწოდებენ ამოაქვთ და კარგად ამომშრალევენ. შემდეგ შიგ გოგირდს აახრჩოლებენ, როცა ჭურში ტკბილი დადუღდება. სარქველს მჭიდროდ ადებენ. სარქველს ძირითადად წიფლის, ცაცხვისა და მურის ხისაგან ამზადებენ. ცეცხზე კარგად გამოწვავენ, რომ სისველის შემთხვევაში ობი არ გაუჩნდეს.

ღვინოს რამდენჯერმე გადაიღებენ, ამ წესით ღვინო დიდხანს ინახება და გემოს არ იცვლის. ლეჩხუმში აღდგომის დიდ ხუთშაბათს იციან ჭურების **დალოცვა**.

„აგუნამ ჩამოიარა

ილითა და მილითა,

ჩვენი ჭურები აავსო

ტკბილითა და ღვინითა“

ჩვენს ჭურებში ზადაგებო,

სხვის ჭურებში ზაყაყებო“.

ვენახის მოსავლის აღება ლეჩხუმის სოფლებში ძირითადად ოქტომბერში ხდება. მოსავალს აბინავებენ მარანში. არსებობს ორი სახის მარანი. ღია და დახურული. დღესდღეობით გავრცელებულია დახურული მარნები. ღია მარანი შედარებით ადრეული უნდა იყოს. ის ძირითადად ღია ცის ქვეშ, დიდი საჩრდილობელი ხეების ძირში იყო მოთავსებული. ასეთი მარნის ძირითად მოწყობილობას წარმოადგენდა ჭურები, მეღვინეობის დანარჩენი ინვენტარი გადახურულში იყო მოთავსებული.

დახურული მარანი ადრე კარ–მიდამოს კომპლექსში შედიოდა, იგი წარმოადგენდა 40–50 მ² ფართობის შრამელს, რომელიც გეგმით სწორკუთხა ხის ორთკუთხელს წარმოადგენდა. აგებული იყო ძელებით ან ფიცრით, გადახურული იყო ყავრით ან ისლით, ასეთ ნაგებობას ფანჯრები არ გააჩნდა, გარდა ერთი განიერი შემოსასვლელი კარისა.

დღეისათვის მარანმა ეზო კარმიდამოს კომპლექსიდან სახლის კომპლექსში გადაინაცვლა, სადაც დაკავებული აქვს ქვედა სართული. ხორგო სიდიდის გამო ხშირად მარნის გარეთ რჩება. სახლის კომპლექსში შემავალი მარნისათვის უკანასკნელი ატრიბუტია ცემენტით ამოშენებული საწნახელი.

ლიტერატურა:

1. მ. ბურდული, ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა, ახალციხე, 2010.
2. მ. ბურდული, მკურნალობის მაგიური საშუალებები – ფსიქოთერაპია თუ ცრურწმენა? (დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; 2012 წელი;

3. ნ. მინდაძე, ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბილისი, 2013. ქ. მუშკუდიანი, ლეჩხუმის ისტორიიდან, ქ., 2016.
4. ლ. სოსელია, მკურნალობის ხალხური ტრადიციები ლეჩხუმში (მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის) თბ., 1985.
5. დ. შავიანიძე, ოკრიბა, ქუთ., 2005.
6. ქაჯანა მუშკუდიანი – „ლეჩხუმის ისტორიიდან“ (2001 წ)
7. ლეჩხუმი. მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის
8. <http://nwa.gov.ge/page/105/geo/qarTuli-Rvinis-istoria.htm>
9. http://lechxumi.ucoz.com/news/shelotsvebi_lechkhumurad/2011-04-12-60

Ramaz Khachapuridze

**Healing and agricultural spells of Lechkhumi
According to new ethnographic materials
Abstract**

Spell is one of the archaic genres of folklore. These kinds of texts are based on a variety of representations, in which the word is given the meaning of magical influence on spiritual and sinless things. The spells demonstrate the belief in the omnipotence of the human word. These texts are of mythical content and are directed against various forces and malicious spirits. They usually try to evict the sick from the body, fear, damage to the eye and various diseases, as well as to nature, to drought and rain, to harvest abundant crops, and to defeat evil forces.

The spells are a brilliant example of Georgian spoken language, at the same time they are characterized by the local geographical environment, historical, socio-economic characteristics. Unfortunately, with the change in lifestyle and technical progress, most spells have been forgotten, and today it is only one person at a time if one knows and is age-old, older.

We won the Lechkhumi expedition in the summer of 2016, and we remembered the unique healing and economic spells we had forgotten.

რეცენზენტი: პროფ. ე. პეტროსიანი

სწავლების მეთოდოლოგია Metodic of Teaching

Manana Mikadze

ქუთაისი, საქართველო

Competences required for communication

This paper aims at a comprehensive review of the growing body of research in L2 pragmatic acquisition, including both theoretical discussions and empirical studies to date. To this end, the paper deals with a number of issues which are grouped into four broad categories: the essential constituents of pragmatic competence, models of pragmatic development, major processes of pragmatic competence, and various factors affecting pragmatic development. Throughout the paper, it is shown that cultural knowledge has central importance in pragmatic competence and that such knowledge can be acquired through language-mediated social interactions. The paper concludes with the suggestion that L2 pragmatic competence be discussed in terms of intercultural competence involving the learner's continuous, identity and attitude formation, rather than the acquisition of prescribed behavioral rules of speaking.

Key words: *growing body of research, L2, pragmatic acquisition*

This paper aims at a comprehensive review of the growing body of research in L2 pragmatic acquisition, including both theoretical discussions and empirical studies to date. To this end, the paper deals with a number of issues which are grouped into four broad categories: the essential constituents of pragmatic competence, models of pragmatic development, major processes of pragmatic competence, and various factors affecting pragmatic development. Throughout the paper, it is shown that cultural knowledge has central importance in pragmatic competence and that such knowledge can be acquired through language-mediated social interactions. Furthermore, a learner's unconditional adoption of a new set of cultural beliefs and values is unrealistic due to the unresolved conflict between L2 norms of speaking and the learner's needs and beliefs about the ways of being in the world. Given these perspectives, this paper points to the need for a holistic approach to L2 pragmatic development, taking into account both the intra learner, psychological and the inter-learner, socio-cultural aspects of learning. The paper concludes with the suggestion that L2 pragmatic competence be discussed in terms of intercultural competence involving the learner's continuous, identity and attitude formation, rather than the acquisition of prescribed behavioral rules of speaking.

We have long been interested in looking at the sources of misunderstandings which can arise between people of different cultural background. What is it, that makes some people, even fluent speakers of English, come across serious, blunt, overbearing misunderstanding? How can we better assist second and foreign language students to not only develop linguistic but also inter-cultural competencies? What knowledge, attitudes and skills should a "globally competent" person possess? We are increasingly convinced that the answer lies in the study of cross-cultural pragmatics.

Normally, *competence* is considered an ability or a set of skilled behaviors. However, any given behavior or ability may be judged competent in one context, and incompetent in another. Consequently, competence cannot inhere in the behavior or ability itself. It must instead be viewed as a social evaluation of behavior. *As communicator confidence increases, communicator motivation increases.* Confidence results from several individual experiences. For example, a person who is nervous meeting strangers is likely to be less confident when encountering a new person from a different culture. Further, the more unfamiliar a person is with a given type of situation, the less confident that person is regarding what to do and how to do it. Finally, some situations carry more significant implications and are more difficult to manage than others. For example, getting directions to a major urban landmark is likely to permit greater confidence than negotiating a multimillion dollar contract for your company. Thus, social anxiety, familiarity with the situation, and the importance or consequences of the encounter all influence an interactant's confidence in a social context.

At the beginning of our research we referred to a number of cross-cultural comparative studies which examine specific aspects of pragmatics across various language and ethnic groups, for example: issues of face in a problematic Chinese business visit to Britain; Japanese and English responses to unfounded accusations; argumentation and resulting problems in the negotiation of rapport in a German-Chinese conversation, etc. While these studies are very interesting, they were initially too specific to assist us in gaining an overview of the issues involved in cross-cultural pragmatics. We therefore decided to start with a search for *pragmatic universals*, and to move from there towards *culture-specific pragmatics*.

As claimed by some scholars, with English spreading across speech communities, the native speaker model of English cannot and should not be the only valid and acceptable model for English language acquisition. While research in cross-cultural pragmatics and intercultural pragmatics involving English language speakers has been abundant, there have been very few studies that look at the pragmatic behavior of L2 speakers of English in communication with each other, even though the findings of these studies provide a very different perspective on the nature of pragmatic competence that demands further exploration. The paper aims to enrich our understanding of factors that affect the development of L2 English speakers' pragmatic competence and the factors that affect their pragmatic choices in intercultural encounters. Pragmatic competence in English has been treated as a highly dynamic, flexible ability to negotiate meaning and norms of interaction within a given context.

As various models of communicative competence make apparent, communicating effectively and efficiently in any given language requires more than just linguistic knowledge. The ability to use this linguistic knowledge appropriately in the given sociocultural context is also essential. Hence,

pragmatics is an indispensable aspect of language ability in order for second language (L2) learners to understand and be understood in their interactions with native speakers. Despite this logical connection, pragmatics has long been a neglected area in second language acquisition (SLA) research. This is ironic when one considers that pragmatics is firmly established as a critical research area in first language (L1) development.

Countless examples can be found to illustrate the gap between knowing what a sentence means and knowing what a particular speaker means by an utterance of that sentence on a given occasion. One of the goals of linguistics is to explain how meanings are assigned to words in context. The main goal of pragmatics is to explain how speakers use language (as well as nonverbal modes of expression) to convey information which goes beyond the meanings of the words used. In order to live up to this task, pragmatic theory needs to address three questions:

1. What did the speaker intend to say (i.e. to communicate directly)?
2. What did the speaker intend to *imply* (i.e. to communicate indirectly)?
3. What was the intended *context*?

In deciding on the intended interpretation of the utterance, the addressee has to make some assumptions about these three questions. For example, the initial misunderstanding occurs because one of the students did not realize what the tutor intended to say by the utterance: “Yeah, approximately”. She thought that he was using the adverb as a way of limiting or hedging on the extent of his knowledge of bowling. But the tutor actually meant to say something like: “I know how to keep score in bowling”. By using the adverb ‘approximately’, he intended to indicate that he was observing a social convention about the need to show modesty, implying that he did not want to impose his authority on the student. The student was unaware of this. Given her cultural background, the context in which the tutor intended her to interpret his utterance was not available to her: the English adverb ‘approximately’ is not conventionally used to indicate modesty. So, the student's failure to work out what the tutor intended to say and what he intended to imply stemmed from the teacher's inability to anticipate in which context the student was likely to interpret the teacher's utterance. What let the tutor down was not his knowledge of the English language, but his knowledge about how this language is used. This pragmatic knowledge is organized in a particular way and it is applied in communication in accordance with some basic communicative principles and strategies.

Obviously, language users must share certain rules and conventions which enable them to understand one another in the many instances where the meaning and the intent, i.e. the *illocutionary force* (Yule, 1996, p. 48), of utterances are not explicitly stated.

Example 1: On being disturbed by the next-door neighbour's loud music early on Sunday morning:

- A. Great way to wake up!
- B. (peevishly) Sure is.

Looking back at this example above, a pragmatically competent listener is most likely to interpret the speaker's utterance of "Great way to wake up!" as a sarcastic remark and to understand that the speaker is expressing annoyance at being woken up by the neighbour's loud music. However,

a second language learner, even if s/he is quite fluent in English, may not necessarily arrive at the same conclusion.

Grice's formulated the conversational maxims of Quantity, Quality, Relation and Manner as follows:

Quantity: make your contribution as informative as is required. Do not make your contribution more informative than is required. **Manner:** Avoid obscurity of expression. Avoid ambiguity. Be brief. Be orderly. **Relation:** Be relevant. **Quality:** Do not say what you believe to be false. Do not say that for which you lack adequate evidence.

“To think in English” while communicating one should have pragmatic awareness which is defined as the ability to correctly infer the speaker's intended meaning. It helps learners to know which L1 pragmatics norms and strategies match with those of L2 and can hence be transferred. It thus avoids failure in communication and sometimes conflictual situations. Raising learner's pragmatic awareness should be our main objective in foreign language teaching. It is the teachers' responsibility to make their learners aware that languages differ in the way they use different speech acts, conversation routines and so on. What works in one culture does not necessarily work well in another, though it is true that some pragmatic knowledge is universal and some aspects may be successfully transferred from the learner's native language. Praising a girl for being fat, for instance in Western Africa is considered a compliment; while in European and even some Arab countries it is perceived as an insult.

Each of the components of the communication provides one or more kind of information. Words convey abstract logic, tone of voice conveys attitudes, emotions and emphases, and body language communicates requests versus commands, the stages of greetings and turn-taking,

Even assuming that words and bodily language were perfectly understood, there is more information necessary to successfully communicate across cultures. For example, in some countries it is polite to refuse the first few offers of refreshment: "Many foreign guests have gone hungry because their U.S. host or hostess never presented a third offer." In understanding communication, a listener must pay attention not just to what is said and when, but also to how many times something is said, under what circumstances, and by whom.

Overall, this research has provided us with a useful overview of some important issues in the study of cross-cultural pragmatics. Clearly, more research is needed to allow us to effectively integrate above findings into our own teaching practice. However, it has encouraged us to examine the textbooks and materials we use from a pragmatic perspective, and will assist us in helping learners to become more aware of features in their own native language.

It is our view that educators the world over have the potential and a responsibility to contribute towards inter-cultural understanding and to assist their students in the development of global competencies.

მანანა მიქაბე

**კომუნიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია კომუნიკაციისთვის საჭირო თეორიული დისკუსიებისა და დღემდე არსებული ემპირიული კვლევები, საკითხები, რომლებიც დაყოფილია ოთხ ფართო კატეგორიად: პრაგმატული კომპეტენციის არსებითი შემადგენელი ელემენტები, პრაგმატული განვითარების მოდელები, პრაგმატული კომპეტენციის ძირითადი პროცესები და სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პრაგმატულ განვითარებაზე. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კულტურულ ცოდნას აქვს მთავარი მნიშვნელობა პრაგმატულ კომპეტენციაში და რომ ამგვარი ცოდნის შექმნა შესაძლებელია ენაზე დაფუძნებულ სოციალურ ინტერაქციებში. სტატია ასკვნის, რომ L2 პრაგმატული კომპეტენცია განიხილება კულტურათაშორისი კომპეტენციის თვალსაზრისით, რაც მოიცავს მოსწავლის ცოდნის უწყვეტობას, თვითმყოფადობასა და დამოკიდებულების ფორმირებას, სანამ მეტყველებისთვის დადგენილი ქცევის წესებს მოიპოვებდეს.

რეცენზენტი: პროფ. ნ. მაღლაკელიძე

სწავლების მეთოდოლოგია

Methodic of Teaching

ქანა ხაჩატურიანი

სამცხე-ჯავახეთი, საქართველო

**სახელთა ბრუნების სწავლება სომხურ სკოლაში
 (თავისებურებები და სიძნელებები)**

დღეს ენათა შეხვედრებისა და სწავლების საკითხებს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება, რაც თანამედროვე მსოფლიოს ინტენსიურად ცვალებადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით აიხსნება.

ჩვენშიც არაქართულენოვანი პირებისთვის(საქართველოს მოქალაქეებისა თუ დროებითი მიგრანტებისთვის) ქართული ენის სწავლების პრობლემატიკას დიდი ყურადღება ექცევა , განსაკუთრებით,-სამცხე-ჯავახეთში, სადაც სომხურენოვანი მოსახლეობა კომპაქტურად სახლობს.

ჩვეულებრივ, ყურადღებაა გამახვილებული მშობლიური ენის ინტერფერენციას შესასწავლი ენის სტრუქტურულ (და ხშირ შემთხვევაში) და სემანტიკურ-კონოტაციურ მასალაში, თუმცა სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობა ძირითადად მონოლინგვაა, და სომხურ-ქართული ინტერფერენციით არ ხასითდება. არის ცდები შედგეს ენათა შეხვედრისას თავჩენილი ტიპური შეცდომების ნუსხები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეცდომათა გამოვლინების ყველა კატეგორია (ტიპურობა, სიხშირე, მდგრადობა).

„შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს (“error analysis”)-დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ ავტორებთან (S.P.Corder ; E.Haugen ; G.Helbig ; C.James ; W.Nemser ; G.Nickel ; J.C.Richards)- ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) ზემოქმედებისას ვლინდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენათა შეხვედრების გზასაყარზე გამოვლენილ შეცდომათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ენობრივი კონტაქტების დროს წარმოქმნილი ობიექტური სიძნელებები და კანონზომიერებები,რაც სწავლებისას რეალისტური მიზნების დასახვაში დაგვეხმარება.

საკვანძო სიტყვები: ბრუნება, მოთხრობითი ბრუნვა, შეცდომები, სწავლება, ქართული ენა, სომხურენოვანი, არაქართულენოვანი.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში კავკასიის ენათა კვლევამ კიდევ ერთი (უკვე მერამდენედ უახლეს ისტორიაში) ტენდენცია წარმოაჩინა: კავკასიონის ორივე ქედზე მცხოვრები ავტოქთონი მოსახლეობის ენათა ნათესაობისა და დანარჩენ, ინდოევროპული წარმომავლობის ენათა გენეზისური სხვაობის შესახებ ტრადიციული თვალსაზრისი, საუკეთესოდ გამოიხატებოდა (და დღესაც გამოიხატება) ტერმინით „**იბერიულ-კავკასიური ენები**“, მაგრამ ეს მიდგომა დღეს შეიცვალა კავკასიაში არსებული ენების (ნებისმიერი მათგანის) ერთმანეთთან სიახლოვის ოდენ ტიპოლოგიური მსგავსებით ახსნის ახალი ხაზით²⁷. ამჯერად ამ ფრიად ვრცელი და რთული საკითხის ახსნა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს; ჩვენთვის ახლა მთავარი ისაა, რომ სომხური და ქართული ამ ორივე ვერსიაში ოდენ ტიპოლოგიურად მსგავს ენებს წარმოადგენდნენ და ხანგრძლივი ისტორიული თანამეზობლობის მიუხედავად, მათი მსგავსება ნამდვილად დაფუძნებულია არა ნათესაურ, არამედ თანამეზობლურ სიახლოვეზე, რაც ნათესაობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; და რაკი მსგავსებები ტიპოლოგიურ ხასიათისაა, ამიტომ სწავლების სიმძნელებიც ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების, მსგავსება-განსხვავებათა პრაქტიკული გამოვლინებებისა და სხვაობათა გათვალისწინებით, ტიპოლოგიური გრამატიკის მეშვეობით უნდა დაიძლიოს.

“**ტიპი**” ნიშნავს ნიშან-თვისებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც წარმოქმნის ურთიერთკავშირების შინაგანად მყარ ბირთვს და ამ სახეობაში თვითონ ხდება ტიპოლოგიური ცოდნის კონკრეტული “ერთეული”. აქ სირთულეს ქმნის ტიპის სპეციფიკის განსაზღვრა “სახეობასა” (ცოდნის გენეტიკური ერთობლიობის ლოგიკური კავშირი) და “გვარეობასთან” (საკლასიფიკაციო ერთეული) მიმართებაში.

გასაოცარია, რომ დღემდე ასეთი გრამატიკა არ დაწერილა, და ქართულ-სომხურ ენობრივ (და არა მარტო ენობრივ) კონტაქტებს ნაკლებადა აქვს დამებნილი მსგავს და განსხვავებულ შესატყვისობათა გრამატიკული, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტიკური ახსნა-განმარტებები. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა შესაძლებლობა ერთი მხრივ, შემთხვევითი და, მეორე მხრივ, მიზეზთა გამო წარმოქმნილი მსგავსებები დაგვეჯგუფებინა და ისე გვესწავლებინა მაგალითად, სომხურენოვანი ბავშვებისათვის ქართული ენა²⁸.

ჩვენთვის საკითხი ასე დგას - არაქართულენოვან მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს უჭირთ ქართული ენის შესწავლა, განსაკუთრებით თვალში საცემია სიმძნელები სახელთა ბრუნების სწავლებაში (მოთხ. ბრუნვა; წოდებითი ბრუნვა); ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, რატომ უჭირთ მოსწავლეებს წინადადების აგებისას საჭირო ბრუნვის ფორმის შერჩევა და როგორ უნდა დავეხმაროთ ამ პრობლემის მოგვარებაში.

²⁷ 3. М. Габуня, Р. Гусман Тирадо, Вновь о некоторых проблемах родства кавказских языков, http://apsnyteka.org/784-gabunia_z_gusman_tirado_r_vnov_o_nekotoryh_problemah_rodstva_kavkazskih_izyakov.html

²⁸ ტიპოლოგია – შესასწავლი ერთობლიობის დაშლაა ჯგუფებად, რომელთა შორისაც სხვაობა მკვლევრის ინტერესების სფეროში აიხსნება იმ ფაქტორებით, რომლებიც შემთხვევითია შესასწავლი მოვლენისათვის და ამ მოვლენის ხასიათის განმსაზღვრელი მექანიზმებისათვის.

ამ გზაზე კი გასათვალისწინებელია ორივე ენის ბრუნვათა სისტემების ჩამოყალიბების ისტორია, და შემდეგ ამ ორი ენის შეხვედრისას წარმოქმნილი პრობლემები. თანამედროვე პრაქტიკა გაჯერებულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით (ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლინგვისტური, მეთოდური და სხვ.), რომელიც სწავლობს უცხო ენის სწავლების სირთულეებს; საკითხის აქტუალობას კი განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოს ინტენსიურად ცვალებადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები.

ჩვენი სინამდვილე, არაქართულენოვანი პირებისათვის ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით, სპეციფიკურია. (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში) არსებობს მრავალი ნაშრომი (მათ შორის სადისერტაციო კვლევები და მეთოდოლოგიური მონოგრაფიები), რომლებშიც მეტ-ნაკლებად განხილულია ტიპობრივი შეცდომები შესასწავლი ენის ათვისების გზაზე; ეს საკითხიც არ შეიძლება მხოლოდ განზოგადებულად განვიხილოთ, რადგან შესასწავლ ენაში დაშვებული შეცდომები ძირითადად დედაენის სისტემური თავისებურებებითაა განპირობებული.

როგორც ცნობილია, ენა, რომელზეც იწყებს ლაპარაკს ადამიანი, სამყაროს შეცნობის პირველი საშუალება და სათქმელის სამეტყველო რეალიზაციის პირველი ყალიბი ხდება, ამიტომაც, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მოლაპარაკე ყველა სხვა ენის ცოდნას თავისი მეტყველების ამოსავალ ყალიბებთან ათანხმებს და, ფაქტობრივად, ყველა შესაძლო შეცდომა სწორედ ამ ყალიბთა სხვაობითაა განპირობებული.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურას უამრავი მასალა აქვს ფიქსირებული სომხების ქართულად მეტყველებისას დასვებული ყველაზე ტიპური შეცდომების სახით; საინტერესოა, რომ ეს დაკვირვებები თითქმის სრულად თანხვდება დღეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში აღნუსხულ ტიპურ შეცდომებს. ამ ნაშრომებში ძირითადად ყურადღებაა გამახვილებული მშობლიური ენის ინტერფერენციულ გავლენაზე შესასწავლი ენის სტრუქტურულ (და ხშირ შემთხვევაში) სემანტიკურ-კონოტაციურ) შეცდომებზე. არის ცდები, შედგეს შეცდომათა ტიპოლოგიური ნუსხები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეცდომათა გამოვლინების ყველა კატეგორია (ტიპურობა, სიხშირე, მდგრადობა); „შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს («ერრორ ანალიზის») დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ ავტორებთან (S.P.Corder [324]; E.Haugen [331]; G.Helbig [333]; C.James [338]; W.Nemser [345]; G.Nickel [346]; J.C.Richards) [348; 349; 350]). ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) შემოქმედებისას ვლინდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეცდომათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ობიექტური სიმნელები და კანონზომიერებები სწავლების კონკრეტული ვარიანტის შემთხვევაში; ამ გზით კი სწავლების რეალისტური მიზნების დასახვა მოხერხდება, თუკი ცალ-ცალკე მიმოვიხილავთ ბრუნების სტრუქტურას ქართულსა და სომხურ ენებში. მით უფრო, რომ ბრუნვათა რაოდენობაც კი ამ ენებში სხვადასხვაგვარია.

როგორც ვიცით, თანამედროვე ქართულში შვიდი ბრუნვაა (თუმცა ეს რაოდენობა სადავოა, მაგრამ ოფიციალურ სტანდარტში, რომლითაც ჯერჯერობით ხელმძღვანელობს განათლების სამინისტრო, სწორედ შვიდი ბრუნვა სახელდება). ქართულში სახელები ყველა იბრუნვის,

ისეთებიც კი, რომლებიც დასუსტებულია იოუსვის უქონელი ეთიკისაგან (მაგ. ფოთისაგან) ან ისეთი ენებისაგან, რომლებსაც სახელთა ბრუნება შეიძლება მოეპოვებოდეს საზოგადოდ, მაგრამ ზოგიერთი სახელი მაინც უბრუნველი ჰქონდეს (ასეთია, მაგალითად რუსული ენა). სიტყვები „პალტო“ და „დეპო“ ფრანგულიდან რუსულშია ნასესხები, რუსულიდან კი ქართულშია გადმოსული. არც ერთი მათგანი არ იბრუნვის არც ფრანგულში არც რუსულში, მაგრამ ქართულში ისინი ბრუნებადია.

მეტეც, შეიძლება ითქვას: გარკვეულ შემთხვევაში ქართულში შეიძლება ვაბრუნოთ ზმნის პირიანი ფორმებიც და „რამდენიმე ნაცვალსახელი: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, თვით, რომლებიც არ იბრუნვიან.

რაც შეეხება სომხური და ქართული ენების სტრუქტურის ურთიერთმიმართებას, ამაზედ ენათმეცნიერებაში ბევრი არაფერი თქმულა დღემდე.

სომხურშიც, რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი, მრავლობითს აქვს თავისი ნიშნები, ეს ნიშნებია ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის **ևր** და ერთზე მეტმარცვლიანი სახელებისათვის - **ներ**. მრავლობითის ნიშანი ემატება სახელის ფუძეს, რომლის შემდეგ დაისმის ბრუნვის ნიშანი. ე.ი. ახალ სომხურში მრავლობითი რიცხვის გაფორმება სახელებში ქართულის მსგავსია;

ბრუნვა კი ხუთია, თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომ მორფოლოგია დამოუკიდებელ ბრუნვად მიიჩნევს განსხვავებულ ფორმას. სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში კი ამჟამად გაბატონებული მოსაზრების გამო ბრალდებითსაც ცალკე ბრუნვად გამოყოფენ, თუმცა პირდაპირ დამატებას (ბრალდებითს) არასოდეს მოეპოვება თავისი საკუთარი ფორმა: იგი ან სახელობითის, ან ნათესაობით-მიცემითის ფორმას იყენებს, ამიტომ უფრო მართებულია მისი განხილვა სინტაქსში და არა მორფოლოგიაში. ყველა სხვა ბრუნვას თავისი საკუთარი ფორმა აქვს. ამრიგად, ახალი სომხური ენის ბრუნვებია:

1. სახელობითი – **ուղական**
2. ნათესაობით-მიცემითი – **սեռական-თრական**
3. დაწყებითი – **բացասական**
4. მოქმედებითი – **գործիական**
5. ადგილობითი – **ներգոյական**

როგორც ვხედავთ, ბრუნვათა სისტემა ქართულსა და სომხურში საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან. სწორედ ამ განსხვავებული სტრუქტურის თანხვედრის მიზეზიცაა, მთელი რიგი შეცდომებისა ენის შესწავლის პროცესში.

ჩვენ მაგალითისთვის წარმოვადგენთ ერთ-ერთ ტექსტს, რომელშიც თვალსაჩინოააა მოცემული, სომეხი მოსწავლისათვის სრულიად ტიპობრივი რამდენიმე შეცდომა ქართული ტექსტის შევსების დროს (მე-10 კლასი. 15-16 წელი)

როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემა შექმნა მოთხრობითმა ბრუნვამ წარსული დროის ერთპირიანი და ორპირიანი ზმნის ფორმასთან:

შეცდომაა:

„მამაჩემმა ევროპაში მოგზაურობდა...“

„არტურმა სწავლობდა ადმინისტრირების „

„ნინო ისადილა მეგობრებთან ერთად კაფეში“

„ჩემი მეგობარი წაიკითხა საინტერესო წიგნი“

„მასწავლებელი ილაპარაკა ექსკურსიის შესახებ“

„კონცერტზე დედაჩემმა წითელ კაბას იცვამდა“

როგორც აღვნიშნეთ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის დაკვირვებები, რომელიც ფიქსირდება მხატვრულ ლიტერატურაში არაქართველთა, კონკრეტულად სომხების ქართულად მეტყველების დროს ქართველი მწერლების მიერ. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უპირველეს ყოვლისა, ამ ენის სისტემის ათვისება ხდება. ხოლო რამდენადაც სისტემა ლინგვისტიკის შესწავლის სფეროა, სწორედ ლინგვისტიკის მონაცემების მომარჯვებაა საჭირო ენის შესასწავლად. როგორც პრაქტიკა აჩვენებს ენის სისტემის შესწავლაზე უფრო დიდი მნიშვნელობა მეტყველების ათვისებას აქვს. რამდენადაც მეტყველებაა მთავარი კომუნიკაციის დროს. კომუნიკაცია კი ცალკე სამსჯელო თემაა.

ბავშვმა დედას თაიგული მიაჩნდა

ნუქსანს მასუქსუქსი ქილსი თქეს

მაგრამ ერთ-ერთი ონლაინ-მთარგმნელი პროგრამით პირუკუ თარგმანში შემდეგი ვარიანტი მივიღეთ:

ნუქსანს მასუქსუქსი ქილსი თქეს — ბავშვის დედა ბუკეტი²⁹

Մայրս համերգին կարմիր գգեսս էր հագնում – ჩემი დედა ეცვათ წითელი კაბა კონცერტი.

Ուսուցիչը խոսում է էքსკიւրսիայի մասին – მასწავლებელი, ვსაუბრობთ ექსკურსია.

მაგალითების ჩამოთვლა რომც არ გავაგრძელოთ, აშკარაა, რომ მოსწავლეთა შეცდომები არაფერია ონლაინ ლექსიკონების შეცდომებთან შედარებით.

ვფიქრობთ, უდავოა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

თანამედროვე პრაქტიკა გაჯერებულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით (ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლინგვისტური, მეთოდური და სხვ.), რომელიც სწავლობს უცხო ენის სწავლების სირთულეებს; საკითხის აქტუალურობას კი განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოს ინტენსიურად ცვალებადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები. ჩვენს მოქალაქეებს ესაჭიროებათ სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა, რაც მათი საოციალურ-კულტურული წარმატების აუცილებელი პირობაა.

დამოწმებული ლიტერატურა :

1. ანტონ I- 1767. ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, ქუთაისი, 1767
2. აბზიანიძე, 1959 _ გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.
3. Абебян М. Х. Теория армянского языка. Ереван: Издательство “Митк”, 1965. 699 с. (на армянском языке).
4. გორგაძე, პოლოსიანი, _ სომხურ-ქართული სასაუბრო / რედ.: ნ. საგანელიძე. თბილისი: განათლება, 1989.

²⁹ <http://opentran.net/armenian/hy-ka.html>

5. Джаукян Г.Б. Основы теории современного армянского языка. Ереван: Издательство Академии Наук Армянской ССР, 1974 (на арм.яз.)
6. ტაბიძე, 2005 – მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2005
7. შანიძე, 1980 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.
8. შანიძე, კვაჭაძე, 2005 – აკ. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2005.
9. შილაკაძე, 1971 – ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით : სახელმძღვ. სტუდენტებისათვის. თბილისი : თბილ.1971.

Jana Khachaturian

Teaching the case at the Armenian Schools (Peculiarities and difficulties)

Abstract

Nowadays various scientific works are dedicated to the teaching problems caused by the intensive changes of demographic, economic and social-political issues all over the world.

The problems concerning the teaching of the Georgian language is of great importance for non-native speakers of the Georgian language (for Georgian citizens and temporary migrants) in Samtskhe-Javakheti, where the Armenian speaking people are densely populated.

Generally, main emphasis is on the native language interference on the second language structure and semantic-connotative issues, though Armenian citizens of Samtskhe-Javakheti are mainly monolinguals and are not characterized by Armenian-Georgian Interference. There is an attempt to make the list of errors including all types of mistakes (type, frequency, firmness).

Authors S.P.Corder ; E.Haugen ; G.Helbig ; C.James; W.Nemser ; G.Nickel ; J.C.Richards, who pay great attention to “error analysis”, think that errors are of regular and systematic nature and is revealed by the influence of different factors other than the firm image already formed in the student's awareness.

We believe that the error analysis found in a second language acquisition allows us to identify objective difficulties and regularities arising from language contacts that can help us to set realistic goals in the teaching process.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

ფსიქოლოგია Psychology

იაგორ ბალანჩივაძე
ქუთაისი, საქართველო

სალომე ბზიკაძე
თბილისი, საქართველო

ბავშვის აღზრდა ადრეულ ასაკში

სტატიაში გაანალიზებულია ადრეულ ასაკში ბავშვის აღზრდის თავისებურებები, როგორც ოჯახში ასევე სკოლამდელ დაწესებულებებში. ყურადღება გამახვილებულია, თუ რას წარმოადგენს სწორი აღზრდა, აქვე მოცემულია რამდენად მნიშვნელოვანია ის ბავშვის განვითარებისათვის. ბავშვის აღზრდაში მნიშვნელობა აქვს საკუთარი გამოცდილების გავლენას. ბავშვობის გამოცდილება გავლენას ახდენს შვილებთან ემოციური კავშირის დამყარებისას, ცუდი ბავშობა ხშირად აისახება შვილებთან მშობლების დამოკიდებულებაზე.

ბავშვებს, რომელთა აღზრდაშიც მშობლები ავტორიტარულ სტილს მიმართავენ, ხშირად აქვთ პრობლემები პიროვნებად ჩამოყალიბებისას. მათ არ გააჩნიათ სითამამე და სიახლეებისადმი ინტერესი, ბავშვები თავს უბედურად თვლიან, რადგან ასეთ ოჯახებში ისინი ხშირად ისჯებიან. არ არის საჭირო მკაცრი აკრძალვები, უსარგებლო და აზრს მოკლებული წესები. ბავშვს ყოველთვის უნა მივცეთ საკუთარი სურვილების გამოხატვის საშუალება.

სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია, მშობლებმა სწორი მაგალითი უჩვენონ ბავშვს, არ მოატყუონ იგი, მკაცრად არ დასაჯონ და აუცილებლად დრო გამონახონ მათთან საკომუნიკაციოდ.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის აღზრდის თავისებურებები, ბავშვის აღზრდის თავისებურებები, ემოციური კავშირი

ყველა ბავშვი განსხვავებულია და თითოეული მათგანი გარკვეულ სიტუაციაში სხვადასხვაგვარად რეაგირებს, ერთსა და იმავე ინფორმაციას განსხვავებულად აღიქვამს, ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვის პიროვნება ამოვიცნოთ და ხელი შევუწყოთ მას ფორმირების პროცესში. მნიშვნელოვანია ურთიერთობის პროცესში ბავშვმა ისწავლოს ინფორმაციის დაგროვება და გამოცდილების მიღება, რითაც სწავლობს თუ რა არის კარგი და რა ცუდი.

ოჯახს უდიდესი როლი აკისრია ბავშვის ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, რადგანაც მისი ემოციური სამყარო სრულადაა დამოკიდებული ოჯახის წევრებს: მშობლებს, და-ძმას, ბებია-ბაბუსა შორის არსებულ ურთიერთობებზე. სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში ხომ მნიშვნელოვანია, მშობლების კარგი მაგალითი, ასე ისინი სწავლობენ სწორად გაარჩიონ რა არის ცუდი და რა კარგი.

სოციალური უნარების განვითარება გარკვეულწილად დაკავშირებულია წარსულ, კერძოდ კი, ადრეული ბავშვობის გამოცდილებასთან, ამიტომ მის პიროვნულ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი შეიძლება იყოს ბავშვის აღზრდის მეთოდი. ისინი მკაცრი მოპყრობის ნაცვლად, დახმარებას საჭიროებენ, რათა გაიკვიონ თავიანთი გზა მომავლისკენ.

ბავშვის აღზრდა ლამაზი, მაგრამ რთული ამოცანაა მშობლებისთვის, აღზრდის რომელ სტილს გამოიყენებენ ეს პირველ რიგში მათზეა დამოკიდებული. რაც წითელ ხაზად გასდევს მთელ ბავშვობასა და შემდგომში უკვე, ახალგაზრდობას. სანამ პატარა საბავშვო ბაღს და სკოლას ეწვევა და სხვა ადამიანებთან შევა კონტაქტში, მანამდე ისინი აქტიურად მხოლოდ მშობლებს ხედავენ, ამიტომ უდიდესია მათი როლი ბავშვის განვითარებაში. საზოგადოდ, მშობლებს უნდა ესმოდეთ, რომ აღზრდისას მთავარია მოთმინება, მათი მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა, უნდა ეცადონ მეტი თანაგრძნობით მოეკიდონ ბავშვებს.

სიცოცხლის პირველი წლები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის, მისი ცნობისმოყვარეობა პირველივე თვეებიდან იჩენს თავს. დიდ ინტერესს იჩენენ და გახსნილნი არიან ყველა სიახლის მიმართ. მშობლებზე დაკვირვებით სწავლობენ ბევრ რამეს, მათი დახმარებით ვითარდებიან, იზრდებიან და საზოგადოების წევრად ყალიბდებიან, რადგან ჯანსაღ გარემოში აღზრდილი თაობები არიან გაწონასწორებული და საზოგადოებისთვის სასარგებლო.

ბავშვობა ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ხანაა. ბავშვობის ბევრი მოგონება, იქნება ეს დადებითი, თუ უარყოფითი, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე. ბავშვობის გამოცდილება გავლენას ახდენს შვილებთან ემოციური კავშირის დამყარებისას, ცუდი ბავშობა ხშირად აისახება შვილებთან მშობლების დამოკიდებულებაზე.

ადამიანის არსებობა და ცხოვრება წარმოუდგენელია წარსული გამოცდილების გარეშე, შესაძლოა, რაღაც კონკრეტულმა სიტუაციამ ჩვენი მოგონებების გაცოცხლება გამოიწვიოს, საკუთარი ბავშვობა დაგვიდგეს თვალწინ, აქედან გამომდინარე, ადამიანი, წარსული გამოცდილების საფუძველზე, ხშირად წინასწარ განსაზღვრავს საკუთარი ქცევის უარყოფით თუ დადებით შედეგს.

ადამიანი ბევრ რამეს სწავლობს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, საკუთარი ქცევის შედეგებით, რაც ხშირად წითელ ხაზად გასდევს მთელ ბავშვობასა და შემდგომში უკვე, ახალგაზრდობასაც. ბავშვობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ჩვენთვის მხოლოდ სასარგებლო და ნაყოფიერი წესების შემუშავება, რომლის წარმატებით გამოყენება ხშირად 20 ან 30 წლის ასაკშიც შესაძლებელია.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში აღზრდა უდიდეს როლს ასრულებს, სწორედ აღზრდაზეა დამოკიდებული როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება იგი, ამიტომ მნიშვნელოვანია, მშობლის მიერ სწორად იქნეს შერჩეული აღზრდის სტილი, რადგან იგი გავლენას ახდენს თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე.

ბავშვებს, რომელთა აღზრდაშიც მშობლები ავტორიტარულ სტილს მიმართავენ, ხშირად აქვთ პრობლემები პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. მათ არ გააჩნიათ სითამამე და სიახლეებისადმი ინტერესი, ბავშვები თავს უბედურად თვლიან, რადგან ასეთ ოჯახებში ისინი ხშირად ისჯებიან.

მათ ხშირად არ გააჩნიათ საკუთარი სათამაშო სივრცე, რაც მათი პიროვნების განვითარებას საგრძნობლად აფერხებს. მშობლებს მკაცრად აქვთ განსაზღვრული წესები, რომელთა

დამორჩილებაც ბავშვებს აუცილებლად მოეთხოვებათ, მაგ. ზუსტ დროზე ჭამა, ერთსადაიმავე დროს დაძინება, საჭმლის აუცილებლად ბოლომდე ჭამა.

აღზრდის ამ სტილის მიხედვით, მშობლებს შეუძლიათ ბავშვი საათობით დასვან სახვე თევზთან და მაგიდას ვერ დატოვებენ, სანამ არ დაამთავრებენ. მათი წესები ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელია, მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ ეს არ შეიძლება, ეს აკრძალულია.

ამ დროს ოჯახში თითქმის არ იყენებენ თბილ სიტყვებს, ნაკლებად ინტერესდებიან შვილების დამოუკიდებლობით, არ აქებენ მათ და ყველა გადაწყვეტილებას მშობელი იღებს.

აღზრდის ამ სტილმა საოცარი სისწრაფით განვითარება 60-70-იანი წლებიდან დაიწყო. იგი არ აწესებს არანაირ შეზღუდვებსა და წესებს, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად განვითარდეს და თვითონ გადაწყვიტოს. აკრძალვა „არა“ იშვიათად გამოიყენება.

ბავშვს აქვს საკუთარი პირადი სივრცე, საკუთარი ოთახი, რომელიც მის ინტერესებს ასახავს. მშობლები ფიქრობენ, რომ როცა ბავშვები შეცდომას უშვებენ, ბევრ რამეს სწავლობენ და შემდგომში უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამა თუ იმ საქმეს.

დღეს ასევე ბევრს საუბრობენ აღზრდის დემოკრატიულ სტილზე, სადაც მთავარი ბავშვის მოსმენა, მისი მხარდაჭერაა. ამ სტილით აღზრდილი ბავშვები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ და თავის ადგილს მუდამ აცნობიერებენ.

ბავშვის აღზრდაში იდეალურ გადაწყვეტილებას ოქროს შუალედის (იგივე ბალანსის) პოვნა წარმოადგენს, რაც ადვილი საქმე ნამდვილად არ არის. არ არის საჭირო მკაცრი აკრძალვები, უსარგებლო და აზრს მოკლებული წესები. ბავშვს ყოველთვის უნა მიცვეთ საკუთარი სურვილების გამოხატვის საშუალება.

ხშირად ისეც ხდება, რომ მშობლებს ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებები და მოთხოვნები გააჩნიათ შვილის მიმართ, რაც მათ შორის უთანხმოებას და გაუგებრობას იწვევს. ამ შემთხვევაში კი აუცილებელია საერთო გამოსავალი იპოვონ, ხოლო შემდგომ უკვე, თავიანთი ინტერესები ბავშვის ინტერესებსაც დაამთხვიონ.

თუკი პატარა ჟანსად, უსაფრთხო გარემოში გაიზრდება, იქნება ბედნიერი და შეეძლება სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბება.

ბავშვის აღზრდის საკითხებში დედისა და მამის როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს ორი ადამიანი და მათი ქცევა პატარასთვის მაგალითს წარმოადგენს. იგი, როცა იზრდება, მშობლების ქცევას აკვირდება, სწავლობს და იმეორებს. ინფორმაციის უდიდეს ნაწილს მშობლების ქმედებებზე დაკვირვებით იღებს.

თუკი მშობლები გაბრაზების შემთხვევაში ჩხუბს და ყვირილს იწყებენ, აღელვებული ბავშვიც მსგავსად რეაგირებს ხოლმე. ამიტომ აუცილებელია მათ ქმედებებზე მეტად იფიქრონ, სიმშვიდე შეინარჩუნონ და ყურადღებით მოუსმინონ ერთმანეთს.

ხშირად ხდება ისე, როცა ორივე მშობელი დილიდან საღამომდე მუშაობს და დაკავებულია, ასეთ შემთხვევაში მათ ნაკლები დრო რჩებათ ბავშვთან ურთიერთობისთვის, რაც დროთა განმავლობაში მათ შორის გაუცხოებას იწვევს. მშობლების მხრიდან განიცდიან ყურადღების, მხარდაჭერისა და მათთან ურთიერთობის ნაკლებობას.

მშობლების მხრიდან როლების ზუსტი გადანაწილება ოჯახის ნასად ფუნქციონირებას ახდენს. არ არის სასურველი წინასწარ დაგეგმილი და შემუშავებული წესებით ბავშვის აღზრდა. მშობლებმა თანაცხოვრების პროცესში თანდათან უნდა მიჰყვნენ ბავშვს, მისი ინტერესებისა და მოთხოვნებიდან გამომდინარე. შექებაც ეფექტური მხოლოდ საჭირო დროს და ზომიერად არის.

პატარასთან ურთიერთობის პროცესში აუცილებელია მისთვის გასაგები სიტყვების პოვნა და არა რაიმეს დაჟინებული აკრძალვები. თუკი ბავშვს ვეტყვით; “ეს შენთვის არ შეიძლება“, მას აუცილებლად დააინტერესდება, თუ რატომ იწვევს მშობლებში ამგვარ რეაქციას. ამიტომ აუცილებელია ავუხსნათ, თუ რატომ არის ცუდი, რა მოჰყვება მას შედეგად და ა.შ.

სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია მშობლებმა სწორი მაგალითი უჩვენონ ბავშვს, არ მოატყუონ იგი, მკაცრად არ დასაჯონ და აუცილებლად დრო გამონახონ მათთან საკომუნიკაციოდ.

ლიტერატურა:

1. დოლიძე ხ., ცინცაძე ნ., კუხალაშვილი თ., ჯიჯავაძე ნ., ბალანჩივაძე ი., გრიგოლია ი., აბაკელია ნ. – ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი. 2015 წ.
2. .Beaty J. - Observing envelopment of the Young Child, 2006
3. Hartmut Kasten Entwicklungspsychologische Grundlagen der Kindergarten- und Vorschulzeit (4. -6. Lebens-jahr) – einige frühpädagogische Konsequenzen. KiTa Fachtexte. Zitervorschlag 2015
4. Martin R. Textor, Bildung im Kindergarten, Zur Förderung der kognitiven Entwicklung. Verlagshaus Monsenstein und Vannerdat OHG Münster 2006

Iagor Balanchivadze , Salome Bzikadze

Child’s upbringing at an early childhood age

Abstract

The article deals with the peculiarities of the child’s upbringing at an early childhood age both at home and in the preschool institutions. We try to put the emphasis on how important it is for child’s development to find the proper way to raise them. Our own experience plays the vital role in this process. Childhood experience affects on our emotional relationship with children, adverse childhood often reflects on parents' relationship to their children.

The research paper reviews the strict ways of upbringing. Children, whose parents prefer authoritative parenting style, face problems during the character formation process. They lack courage and challenges of innovation. As they are often punished in such kind of families, they feel miserable. There is no need of strict prohibitions and useless and worthless rules. Children should always be given the chance to express themselves.

In forming social relationships, it is important for parents to set the right example for their child, not to cheat them, not to punish them harshly, and to find time to communicate with them.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

ფსიქოლოგია Psychology

მელანო კაციტაძე

თბილისი, საქართველო

პიროვნული არჩევანი

თანამედროვე სამყაროში აქტუალური ცნებებია პიროვნება და პიროვნულობა. დღევანდელი ადამიანებისგან მუდმივად გვესმის ტერმინები: პიროვნული არჩევანი, თვითმყოფადობა, თავისუფლება. ძნელია გარკვეო, როგორ განმარტავენ, მაგრამ კარგია, რომ ადამიანებმა ამ თემაზე ფიქრი, განსჯა დაიწყეს. პიროვნების ფორმირებას განაპირობებდა ეპოქები, რეჟიმები, ისტორიული მოვლენები, ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური პირობები,

ადამიანების გონებრივი და ინტელექტუალური სიმწიფე, განათლების ხარისხი. იყო დრო, რომ ამ თემაზე ხმის ამოღებასაც ვერავინ ბედავდა, ან არც კი მოიაზრებდნენ მის არსებობას. თუნდაც შუა საუკუნეებში, როცა ადამიანები ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდნენ, არავის ახსოვდა პიროვნება. მით უმეტეს, ინფორმაცია ასე ხელმისაწვდომი არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა, საზოგადოება უფრო ჩაკეტილ მდგომარეობაში ცხოვრობდა. პიროვნულობაზე მეცნიერული კვლევა და სიღრმისეული მსჯელობა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო.

დრო შეიცვალა, განვითარდა ადამიანის შესაძლებლობები,

ინტელექტუალურიც და ტექნოლოგიურიც, რთულია გარკვევა და გზის გაგნება ლაბირინთებში, სწორისა და არასწორის დეფინიცია. თანამედროვე ახალგაზრდა დეზორიენტირებულია. ზოგისთვის პიროვნული თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, პიროვნული არჩევანი- სურვილების დაკმაყოფილება. არაჯანსაღი ცხოვრების მომხრე თაობას ვერ გაუგია, რომ ნამდვილი თავისუფლება გონივრულად გააზრებული ქმედებაა, რომელიც ადამიანის ჰოლისტიკური პიროვნების დაბალანსებული ქმედებებით არის განპირობებული.

მოცემული სტატიის მიზანია პიროვნული თავისუფლებისა და არჩევნის მოკლე მიმოხილვა ფილოსოფიურ-რელიგიურ ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: პიროვნება და პიროვნულობა, განათლების ხარისხი.

თანამედროვე სამყაროში აქტუალური ცნებებია პიროვნება და პიროვნულობა. დღევანდელი ადამიანებისგან მუდმივად გვესმის ტერმინები: პიროვნული არჩევანი, თვითმყოფადობა, თავისუფლება. ძნელია გარკვეო, როგორ განმარტავენ, მაგრამ კარგია, რომ ადამიანებმა ამ თემაზე ფიქრი, განსჯა დაიწყეს. პიროვნების ფორმირებას განაპირობებდა

ეპოქები, რეჟიმები, ისტორიული მოვლენები, ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური პირობები, ადამიანების გონებრივი და ინტელექტუალური სიმწიფე, განათლების ხარისხი. იყო დრო, რომ ამ თემაზე ხმის ამოღებასაც ვერავინ ბედავდა, ან არც კი მოიაზრებდნენ მის არსებობას. თუნდაც შუა საუკუნეებში, როცა ადამიანები ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდნენ, არავის ახსოვდა პიროვნება. მით უმეტეს, ინფორმაცია ასე ხელმისაწვდომი არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა, საზოგადოება უფრო ჩაკეტილ მდგომარეობაში ცხოვრობდა. პიროვნულობაზე მეცნიერული კვლევა და სიღრმისეული მსჯელობა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. პიროვნების ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმაღლესი განათლების სისტემის სწრაფი განვითარების კონტექსტში გახდა აქტუალური. „პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების მეცნიერული შესწავლაა, მისი მიზანია ადამიანის ინდივიდუალობის მეცნიერულად სანდო ახსნა-როგორ ხდება, რომ ადამიანები ჰგვანან ყველა სხვა ადამიანს, ჰგვანან ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგვანან არავის.“ (ხეჩუაშვილი 2013:33) დრო შეიცვალა, განვითარდა ადამიანის შესაძლებლობები, ინტელექტუალურიც და ტექნოლოგიურიც, რთულია გარკვევა და გზის გაგნება ლაბირინთებში, სწორისა და არასწორის დეფინიცია. თანამედროვე ახალგაზრდა დეზორიენტიერებულია. ზოგისთვის პიროვნული თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, პიროვნული არჩევანი - სურვილების დაკმაყოფილება. დეკრიმინალიზაციის მომხრე თაობას ვერ გაუგია, რომ ნამდვილი თავისუფლება ნიშნავს გააზრებულ და გონიერ ქმედებას, რომელიც სულის კარნახით უნდა იყოს გამოწვეული, ამით ადამიანი სრულყოფს თავის ცხოვრებას. „თავისუფლება საშუალებაა და არა მიზანი, გაცნობიერებული თავისუფლება და მასზე დაფუძნებული მოქმედება ადამიანს საშუალებას აძლევს უფრო სამართლიანად იცხოვროს და მეტ კეთილდღეობას მიაღწიოს.“ (მურღულია 2013: 143) არაჯანსაღი ცხოვრების მომხრე ადამიანი ოლამური ჯაჭვის ერთი რგოლია და პასუხისმგებლობა წარსულის, მომავლის, ოჯახისა თუ ქვეყნის წინაშე არ აძლევს უფლებას, რაც მოესურვება, ის აკეთოს. „ოლამის გარეთ „ემშკეულთ ახო“ და „სხვა ეზოა“, იქ აღმოჩნდებიან „ცხოვარნი გზაშეცდომილნი“, ეშმას ზეგავლენით „დაკარგულნი“, ოლამიდან ამოვარდნილნი.“ (დათაშვილი 2015:199) ადამიანის სხეული მუდმივად განიცდის ცვლილებებს, მის შიგნით ხდება ფიზიკური, სულიერი, ემოციური, ინტელექტუალური თუ სოციალური დიფუზია, თითქოს ჩვენგან დამოუკიდებლად წყდება მოვლენები და არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. თუმცა ვისაც სურს პიროვნებად ჩამოყალიბდეს, არ აძლევს გასაქანს სხეულის მოთხოვნილებებს, მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე. როგორც ფსიქოლოგები გვეუბნებიან, პიროვნული დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება ვარჯიშით, დასწავლით, ჩვევაში გადასვლით შეიძლება. ცხოვრება გვაწვდის გასაღებებს, ვფლობდეთ ჩვენს სხეულს, მასში მიმდინარე პროცესებმა არ მოგვცეს ძალადობის, შურის, შეურაცხყოფის, მომხვეჭელობის, ყოველგვარი ნეგატიურის ჩადენის თუ გაფიქრების საშუალება, ამაში გვეხმარება სარწმუნოება, ბუნებასთან კავშირი, შრომა, ხელოვნება, იოგა, მეცნიერება, სპორტი და ასე შემდეგ... თითოეული მათგანი გვასწავლის სხეულის ფლობას სულის გამოსაწრთობად, ყველა სხვადასხვანაირად, მაგრამ ყველა ერთს: გაიკაჟე სული და ხორცი, იყავი ჰარმონიაში, ჯერ საკუთარ თავთან და მერე სამყაროსთან. ეს არ არის მარტივი, მაგრამ ადამიანი არის ინდივიდი და ეძლევა არჩევნის საშუალება. სულიერი სიმყაროს და ჰარმონიის, პიროვნულობის მისაღწევად ზოგი სარწმუნოებას ირჩევს, ზოგი- ხელოვნებას, ზოგი-

მეცნიერებას, ზოგი-სპორტს, ზოგიც-არაფერს და ვინც არაფერს ირჩევს, ისე კვდება, ვერც აცნობიერებს პიროვნული „მეს“ რაობას- ესეც მისი არჩევანია, ადამიანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ყოველთვის აკეთებს არჩევანს და მიდის რაღაც გადაწყვეტილებამდე.

ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა მუდმივად არჩევნის წინაშე დგომა. საკუთარი რაობის, დანიშნულების გარკვევა, ჭეშმარიტების ძიება- ეს საკითხები უამრავ პასუხისმგებლობას უყენებს მას. ამასვე უტრიალებს ფილოსოფია, ფსიქოლოგია, თეოლოგია, ხელოვნება და ლიტერატურა. არსებობს ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომი თუ მასალა ამ თემაზე, ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები, ფერწერული ტილო, მუსიკალური კომპოზიცია და კინომატოგრაფიული ნიმუში. ადამიანის ცნობიერების ყველა დარგი, და არა მარტო ისინი, ფიზიკური განვითარების შემსწავლელი მეცნიერებებიც კი მიმართულია იქეთკენ, რომ ჩასწვდეს ადამიანის შინაგან სამყაროს, ამოიცნოს პიროვნების ხორციელი და სულიერი კავშირი. ამის მაგალითია „იოგა“.

ეს არის ფიზიკური დატვირთვით მიღებული სულიერი ნეტარება. „იოგის გადმოსახედიდან პიროვნულობა შეიძლება გავიაზროთ სხვადასხვა პერსპექტივიდან. პოლისტიკური პიროვნება მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ, ინტელექტუალურ, სოციალურ და სულიერ განზომილებებს. პიროვნების განვითარება მრავალგანზომილებიანი მოვლენაა, რომელსაც სჭირდება ინტეგრირება. (Nazia Tabassum ,2017: 15)

ნებისმიერი განზომილების არარსებობა ხდის ადამიანის პიროვნებას ცალმხრივს და არასრულს. მნიშვნელოვანია დაგაკვირდეთ იოგას თუნდაც ერთ პატარა სახეობას, აშტანგა იოგას, სადაც მნიშვნელოვანია ორი საფეხური: იამა(თავშეკავება) და ნიამა(დაკვირვება), ორივე პრინციპი ადამიანს ეხმარება მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში აქტიურად დამკვიდრდეს. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც უნივერსალური კოდექსი, რომელიც დაგვეხმარება მაღალი სტანდარტის სოციალურ თუ პირად ცხოვრებაში. იამა და ნიამა აშტანგა იოგის ნაწილია. პირველს გააჩნია ხუთი პრინციპი: არა ძალადობას, ნდობა, არა ქურდობას, თავშეკავება და არა მომხვეჭელობას. ნიამაც ხუთი პრინციპისგან შედგება: სისუფთავე, კმაყოფილება, დისციპლინა, კარგი ლიტერატურის შესწავლა და თვითშემეცნება, ღმერთს მინდობა/უზენაესი ძალა.(Personality Development Through Yoga, გვ.3,30.10.2019) ეს პრინციპები იმის დასტურია, რომ ადამიანის ცხოვრებაში უამრავი ტრიგერია იმისთვის, რომ სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდეს, შეძლოს რაციონალური და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება.

პიროვნული თავისუფლების საკითხი ფილოსოფიის ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს. „შეიცან თავი შენი“- სოკრატეს ამ ფრაზით დასაბამი მიეცა ადამიანად ყოფნისა და მისი ყოფიერების კვლევას. აქედან მოყოლებული ამ საკითხზე მსჯელობა არ შენელებულა და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კანტის ფილოსოფიაში შეიძინა. მის მიხედვით ადამიანად ყოფნის უპირველესი ნიშანი არის თავისუფლება, ეს უკანასკნელი კი ნიშნავს კატეგორიული იმპერატივის მიხედვით ცხოვრებას, ანუ ნებისყოფის და გონების ისეთ ურთიერთობას, სადაც გონების მოთხოვნებს ემორჩილება ნება. თავისუფლება არის გაცნობიერებული მორალური კანონი.(რეხვიაშვილი, ჭიაურელი 2015: 88) თანამედროვეობაში ძალიან ტრენდულია ლიბერალიზმისა და დემოკრატიის იდეა, მათ მიერ მოწოდებული პოსტულატები ხშირად გზას უბნევს 21-ე საუკუნის ადამიანს და აფიქრებინებს, რომ

თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის უფლებას. ამ საკითხზე მსჯელობისას შეუძლებელია არ გავიხსენოთ ჩვენი ბრძენი პატრიარქის ერთ-ერთი საშობაო ეპისტოლე, რომელშიც ზუსტი ფორმულაციით, ლაკონურად აყალიბებს ფსევდოლიბერალიზმის გავლენას დღევანდელ საზოგადოებაზე: „ყველაფერი კარგია, რაც მე მიიწინაა და მსიამოვნებს! ...სიმართლე არის ის, რასაც მე მივიჩნევ სიმართლედ და მორჩა! შენ შენი სიმართლე გაქვს? დაიცავი შენი სიმართლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლებებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები არ შელახო. დაახლოებით ასეთია ის აზროვნება, რომლის დამკვიდრების მცდელობაც არის დღეს.“ მართლაც, ვისაც პირდაპირი კომუნიკაცია აქვს დღევანდელი ახალგაზრდის ცნობიერებასთან, შეუძლებელია არ ეცნოს ეს სიტყვები და დამოკიდებულება.

პიროვნების თავისუფალი ნება და არჩევანი ძირეული საკითხებია ქრისტიანობაშიც, რომლის მიხედვითაც ღმერთმა ადამიანს შთაბერა უკვდავი სული და მიანიჭა თავისუფალი არჩევნის უნარი. „ყველაზე ფასეული თავისებურება, რაც ადამიანს იმთავითვე აქვს და რაც მას ცხოველებისაგან პრინციპულად განასხვავებს, არჩევანის თავისუფლად გაკეთების უნარია...ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი მხოლოდ მატერიალურ სამყაროში კი არ ცხოვრობს, არამედ სულიერშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის სულიერი სამყარო მხოლოდ იმ შემთხვევაში იხსნება, თუ იგი თავის სურვილებს შემოქმედის ნებას დაუმორჩილებს.“ (ბიბლია განმარტებებით 2019: 26) სწორედ თავისი არჩევნით, ინდივიდუალური შეხედულებებით, ღირებულებებით, მისწრაფებებით, მრწამსით ყალიბდება პიროვნება და თავისი ხასიათით, ქცევით პოულობს ადგილს საზოგადოებაში.

პირველი არჩევანი დედამიწაზე ევამ გააკეთა, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, გველი ირჩევს სუსტ ჭურჭელს, რათა მისი მეშვეობით მიაღწიოს მიზანს. დედაკაცი დგას არჩევნის წინაშე, დაუჯეროს ღმერთის ნათქვამ სიტყვას თუ მოუსმინოს გველს და ის თავისი ნებით ირჩევს მეორეს. როგორც იოანე დამასკელი გვეუბნება: „ცდომილების შემდეგ ადამიანმა, რომელმაც „უგონებო პირუტყვებს ჰბაძა და მათ ემსგავსა“ (ფს. 48, 13) თავში უგუნური გულისთქმა მოაზროვნე გონებაზე გააბატონა, რამეთუ უფლის მცნებას ეურჩა.“ (ბიბლია განმარტებებით 2019: 31) ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, იყოს ცხოველი და მუდმივად ემორჩილებოდეს ხოციელ მოთხოვნილებებს თუ გამოძერწოს პიროვნება, რომელიც ამაღლდება ყოველგვარ მიწიერ ვნებაზე და სულის დამორჩილებით მოიპოვებს თავისუფლებას. სწორედ უფლის მცნებების ერთგულებით, გამუდმებით სრულყოფილებისკენ სწრაფვით, ამქვეყნიურ ცდუნებათა დაძლევის გზით შეძლებს იგი მიაღწიოს სასურველ თავისუფლებას.

ფსიქოლოგია, ფილოსოფია თუ რელიგია- ყველა სხვასხვანაირად, მაგრამ ყველა ერთს გვასწავლის - პიროვნული თავისუფლების მქონე ადამიანი აკეთებს სწორ არჩევანს და არის თვითმყოფადი.

ლიტერატურა:

1. ბიბლია განმარტებებით 2019;
2. დათაშვილი 2015: დათაშვილი ლ, ოლამი ქართულ ლიტერატურაში, თბილისი 2015;
3. ილია II 2013-1014: კათალიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე 2013-2014, http://resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=18646

4. მურდულია 2013: მურდულია გ., საუბრები უფროსკლასელებთან, თბილისი, 2013;
5. რეხვიაშვილი... 2015: რეხვიაშვილი ტ., ჭიაურელი ვ., ფილოსოფია, თბილისი, 2015;
6. ხეჩუაშვილი 2013: ხეჩუაშვილი ლ., პიროვნება,შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში თავი I,პერსონოლოგია, თბილისი,2013;
7. Nazia Tabassum,International Journal of Reflective Research in Social Sciences, www.reflectivejournals.com Volume 1; Issue 1; Sep. 2017;„Personality Development through Yoga“
8. <http://ncert.nic.in/textbook/pdf/iehp109.pdf> , Personality Development Through Yoga, გვ.3,30.10.2019

Melano Katsitadze

Personal choice

Abstract

Current concepts in the modern world are personality and personality. From today's people we constantly hear the terms: personal choice, identity, freedom. It's hard to figure out how to explain it, but it's good that people have started thinking about it. The formation of personality was conditioned by epochs, regimes, historical events, economic conditions, social conditions,

Mental and intellectual maturity of people, quality of education. It was time that no one would dare to even raise a voice on this topic, or even think about its existence. Even in the Middle Ages, when people thought about physical survival, no one remembered their personality. Especially since information was never available in any era, society was more locked in. Scientific research and in-depth discussion of personality began only in the second half of the 20th century.

Times have changed, human abilities have evolved,

Intellectual and technological, it is difficult to understand and understand the labyrinths, the definition of right and wrong. Modern young people are disoriented. For some, personal freedom is the right of all, the choice of choice - the satisfaction of desires. The generations of those who support unhealthy life have not realized that true freedom is a reasonably thoughtful act that is balanced by the holistic actions of the human person.

რეცენზენტი: პროფ. გ. ავანესიანი

ხელოვნებათმცოდნეობა Art

ნინო ჩერქეზიშვილი

თბილისი, საქართველო

საკანონმდებლო თეატრი

ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ბრაზილიელმა კულტურულმა აქტივისტმა, რეჟისორმა და პოლიტიკოსმა აუგუსტო ბოალიმ საკანონმდებლო თეატრი დაარსა. საკანონმდებლო თეატრის მთავარი პერსონაჟები არიან ჯოკერი და მაყურებელ-მსახიობები. ქალაქის საკრებულოში მუშაობისას ბოალიმ თეატრალური კომპანიის საშუალებით რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა და საკანონმდებლო წინადადება ბრაზილიელ მოქალაქეებში განიხილა. შედეგად, მოქალაქეების მიერ შემუშავებული კანონპროექტის იდეა მოსახლეობის ინტერესებს ემსახურება.

საკანონმდებლო თეატრი დაარსა კულტურულმა აქტივისტმა, რეჟისორმა და პოლიტიკოსმა აუგუსტო ბოალიმ. 1993-1997 წლებში ბოალიმ შეიმუშავა საკანონმდებლო თეატრის მეთოდი ბრაზილიაში, როდესაც მან ქალაქის საკრებულოში დეპუტატის მანდატი მოიწიო. პოლიტიკოსი ცდილობდა მუშათა პარტია ნეოლიბერალიზმთან შეერიგებინა. ბრაზილიელმა დეპუტატმა ქალაქის საკრებულოს საკუთარი საშტატო ერთეულის ნახევარი, **ჯოკერების** ე.წ. მოდერატორების დასაქირავებლად გამოყო. ჯოკერები საკანონმდებლო თეატრს მართავდნენ, რომელიც შედგებოდა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან, ისინი აწარმოებდნენ შეთავაზებათა ფორმულირებას - პოტენციური კანონების სახით.

საკანონმდებლო თეატრში აუდიტორია, რომელსაც ბოალიმ **მაყურებელ-მსახიობი** უწოდა, ხდება აქტიური. ისინი იკვლევენ, აანალიზებენ და გარდაქმნიან იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობენ. ეს არატრადიციული თეატრი გამოიყენება იმისათვის რომ ხელი შეუწყოს ადამიანებს შორის დიალოგის დაწყებას და მოსახლეობისთვის სასარგებლო კანონების მიღებას.

ბოალისთვის, საკანონმდებლო თეატრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა "აუდიტორიის სტიმულირება... თუ თეატრში ვახდენთ ადამიანთა სტიმულირებას, ამით ვაყალიბებთ ჩვევას, ნებისმიერი სიტუაცია განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი შესაძლებლობა მრავალ შესაძლებლობას შორის." [ბოალი, 1973 : 134]

ბოალის თეატრის მიზანია გამოიყენოს მხატვრული ფორმა როგორც სოციალური და პიროვნული პრობლემების გაცნობიერების ინსტრუმენტი, და აგრეთვე მათი მოგვარების საშუალება.

აუგუსტო ბოალი– დაიბადა რიო-დე-ჟანეიროში. მამისი ხოსე აუგუსტო ბოალი იყო ეროვნებით პორტუგალიელი და მცხოვრებლად მუშაობდა, დედა – ალბერტა პიანტო –

დიასახლისი. ბოალი სწავლობდა ქიმიური ინჟინერიის ფაკულტეტზე რიო – დე – ჟანერიოზს უნივერსიტეტში.

ბავშვობაში ბოალი ძმებთან ერთად პაროდიებს დგამდა, მაგრამ თეატრალური კარიერის გაგრძელებაზე არ ფიქრობდა. თეატრით ის საუნივერსიტეტო განათლების დამთავრების შემდეგ დაინტერესდა და როგორც კი მიიღო მაგისტრის დიპლომი -1952 წელს, მაშინვე გაემგზავრა ნიუ-იორკში, სადაც კოლუმბიის უნივერსიტეტის დრამატურგიული ხელოვნების სკოლაში ჩააბარა.

1956 წელს, თეატრალური სკოლის დასრულების შემდეგ, ბოალი მიიწვიეს სამუშაოდ თეატრ არენაში, სან-პაულოში, ბრაზილიის სამხრეთ დასავლეთ მდებარე ქალაქში.

ბოალი თეატრში ინტერაქტიული ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობდა. მისი მიზანი იყო სოციალურ სიტუაციაში ადამიანის ცნობიერების ამაღლება.

აქვე დაიწყო მან თეატრალური ექსპერიმენტების ჩატარება. თეატრმა არენამ მალე საქვეყნოდ გაითქვა სახელი, ასეთი პოპულარობა აქმდე ბრაზილიის არც ერთ თეატრს არ ჰქონია. სტანისლავსკის სისტემა ბრაზილიელი მსახიობებისთვის არ იყო ცნობილი, ბოალიმ სტანისლავსკის მეთოდი სოციალურ თეატრის საჭიროებებს მოარგო. მას რადიკალური მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა, რაც ძალიან პოპულარული იყო იმ წლებში.

თეატრ არენაში მუშაობისას ბოალიმ დადგა რამდენიმე კლასიკური დრამა, მან პიესები ბრაზილიის მძიმე სოციალ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით გადააკეთა. 1965 წელს მან მიიღო სამხატვრო ასოციაციების კრიტიკოსების პრიზი სპექტაკლისთვის „თაგვებსა და ადამიანებზე“. ეს არის 1962 წლის ნობელიანტი ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის იგავი დანაშაულის, მარტოობის, უიმედობისა და იმედის შესახებ, ორი ადამიანის მეგობრობას და მათ საზიანო ოცნებებზე. 60-იანი წლების დასაწყისში თეარ არენას პოპულარობა მცირდება, ამ პრობლემის მოსაგვარებლად დირექციამ გადაწყვიტა პიესები ბრაზილიელი დრამატურგებისთვის შეეკვთა. სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა. ბოალის გაუჩნდა აზრი, რომ თეატრ არენას სცენაზე დრამატურგების სემინარები გამართულიყო, რომელსაც ის უხელმძღვანელებდა. მისი იდეა წარმატებით განხორციელდა, თავის მეთოდს ბოალი სწავლებას უწოდებდა, მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს საკუთარი არსი გაეცნობიერებინათ და რეალობა უკეთ დაენახათ. ეს პროექტი უამრავი ახალგაზრდა დრამატურგისთვის შემოქმედებით პლტფორმად გადაიქცა. სემინარზე მრავალი წარმატებული სპექტაკლი დაიბადა. ასე შეიქმნა თეატრ არენას ახალი რეპერტუარი.

1964 წელს ბრაზილიაში მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ბრაზილიის ელიტის მიერ იყო ორგანიზებული, მასში ჩართულნი იყვნენ ეკლესიისა და საშუალო კლასის წარმომადგენლები, გადატრიალებას მხარს უჭერდა აშშ. ეს იყო ერთგვარი რეაქცია მემარცხენე კომუნისტური იდეების გავრცელებაზე. ბოალის პედაგოგიური მოღვაწეობა ეჭვის ქვეშ დადგა, მისი თეატრალური დებატები ახალი რეჟიმის მიერ საფრთხეთ აღიქმებოდა, რადგან რადიკალური მემარცხენე იდეებით გამოირჩეოდა. 1971 წელს, ის ქუჩიდან გაიტაცეს, დააპატიმრეს, აწამეს და არგენტინაში გააძევეს. ბოალიმ არგენტინაში 5 წელი დაჰყო. ამ პერიოდში მან ორი ხელნაწერი წიგნი შექმნა – „ტორკვემადა“ და „ჩაგრულთა თეატრი“ ტორკვემადა 1971 წელს დაწერა და დიდ ინკვიზიტორის „დიდ ინკვიზიტორს“ თომას დე ტორკვემადას „მიუძღვნა“, ციხეებში წამების სისტემური გამოყენების დამნერგავს. 1481-1498 წლებში ამ ესპანელი ინკვიზიტორის „მოღვაწეობის“ შედეგად, დაწვეს 10000-ზე მეტი ადამიანი, 90000-ს წაართვეს ქონება, ხოლო 6 500 ესპანეთიდან გაიქცა.

1973 წელს ბოალიმ გამოსცა წიგნი „ჩაგრულთა თეატრი“, სადაც განავითარა თეატრალური მეთოდი, რომელიც დაფუძნებული ბრაზილიელი პედაგოგის პაულო ფრეიერის ნაშრომზე „ჩაგრულთა პედაგოგიკა“.

ბოალი აღწერს საკუთარი მუშაობის გამოცდილებას, რომელიც ჰგავს თეატრალურ ნიღაბს. მან ეს საქმიანობა შეადარა „გიჟის პერანგის“ ჩაცმას: ხალხი რეაგირებს მასზე არა მისი როლის, არამედ მისი პიროვნულობის შესაბამისად. იგი ექვემდებარებოდა „ფსიქიკურ დაბინძურებას“ ბიუროკრატის მხრიდან. იგი აღნიშნავს, რომ არასდროს გამოუყენებია თეატრი საპარტიო-პოლიტიკური მიზნებისათვის. იგი თანაუგრძნობს მოსახლეობას, რომელიც მტრულადაა განწყობილი პოლიტიკური კლასების მიხედვით დანაწილების მიმართ. მაგრამ, ის ასევე შეეცადა, რომ გამოეყენებინა თეატრალური და საპარლამენტო პოლიტიკა საუკეთესო კანონების შესამუშავებლად.

ბოალი მტრულადაა განწყობილი მედიასაშუალებებისა და პოლიტიკურ გამომცემლობების - მათ შორის, ცილისმწამებლური ბრალდებებისა და წარუმატებელი (წესრიგის დამრღვევი და ძვირადღირებული) სასამართლო საქმეების მიმართ. საკანონმდებლო თეატრის ერთ-ერთ მცდელობაში იგი განიხილავს ეშმაკის წარმოდგენის ისტორიას დემონიზაციის ფონზე მერის მხრიდან: თ-ს ბრალად ედება ეშმაკთან გარიგებაში

საკანონმდებლო თეატრი მხარს უჭერს მონაწილეობითი (ან გარდამავალი) დემოკრატის იდეებს. ამ თვალსაზრისით, რეალური დემოკრატია არის ორმხრივი გაცვლა კანონმდებელსა და ამომრჩეველს შორის, ისევე როგორც ფრეიერის განათლება და ჩაგრულთა თეატრი. უბრალოდ ამომრჩეველი არ უნდა იყოს მაცურებელი, არამედ ის უნდა იყოს მონაწილე, მაცურებელ-მსახიობი. კანონმდებლებსა და ამომრჩეველებს შორის ურთიერთობაში უნდა წარმოიშვას დინამიკა და არა კათარზისი. ბრაზილიაში საარჩევნო სეზონი ბოალის თანახმად არის საჯარო შესრულების ეროტიული ან საკარნავალო მომენტი. საკანონმდებლო თეატრი ხელს უწყობს ამ პროცესს მონაწილეობით.

უფრო ფართო აზროვნებაში, ბოალი მოგვიწოდებს დემოკრატიაში მონაწილეობისკენ. სახელმწიფოს ცენტრალიზება, ავტორიტარული, ნორმატიული ტენდენციები უნდა ჩამოყალიბდეს და შეცვალოს დემოკრატიული ორგანოები ბაზის დონეზე. ამ ორგანოებმა უნდა შექმნან ნამდვილი დიალოგი სხვადასხვა ჯგუფებს, რეგიონებს და ქვეყნებს შორის, და ასე შემდეგ.

საკანონმდებლო თეატრის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ხანდახან, მაცურებელთა პრობლემების გადაჭრა ხდება ცუდი კანონების ძიებით. პრობლემების გადაჭრა მოითხოვს კანონების შეცვლას. კანონი ითვლება ვინმეს სურვილის გამოხატულებად. ამჟამად იგი გამოხატავს ძლიერების სურვილს, მაგრამ მას შეუძლია გამოხატოს ხალხის სურვილები. აქ არის შესაძლებელი პრობლემა კანონისა და ნორმატიულობის სტრუქტურის კრიტიკის არარსებობაში.

ამაში მონაწილეობა ბევრად უფრო უხეშია, ვიდრე უბრალო "კონსულტაციები" პოლიტიკაში. იწარმოება გარკვეული კოლექტიური პოლიტიკის ფორმირება, რომელსაც კი არ წყვეტს წარმომადგენელი, არამედ გამოხატავს. პროცესში მონაწილეობენ აფინიტი ჯგუფები ან "ბირთვები"; პრაქტიკაში, მათი უმრავლესობა გამორიცხულია მარგინალური ჯგუფებიდან, მაგრამ მათ შორის სარგებლობენ დიდი მრავალფეროვნებით. მაგალითად, არსებობენ შავკანიანი სტუდენტები, მიტოვებული ადგილის მაცხოვრებლები, პროფკავშირთა აქტივისტები, ხანდაზმული ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ეკოლოგიური

აქტივისტები. საკანონმდებლო თეატრში შედეგები უნდა იქნას მიღებული სხვა პარამეტრებით და ხელახალი ტესტირებით. შოუ წარმოიშობა ერთ საზოგადოებაში, მაგრამ შესრულებულია და განიხილება სხვებისთვის. ეს აუცილებელია სხვადასხვა ჯგუფების წინაშე არსებული პრობლემების დასაკავშირებლად.

ამ პროცესიდან გამომდინარე წარმოიშობა ძირითადად ცამეტი კანონი, რომელიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს, ხანდაზმულებს, ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებს და ჰომოსექსუალურ წყვილებს - მაგალითად, კრძალავდნენ დისკრიმინაციულ ფასებს ერთსქესიან წყვილთა ნომრებში მოტელში, კრძალავდნენ ელექტროშოკის თერაპიას და უსინათლობისთვის აყენებდნენ ტელეფონის ყუთებს პლატფორმებზე. ბოალი აფასებს საკუთარ, ყველაზე მნიშვნელოვან კანონს, რომელიც შეეხება მოწმეთა დაცვას. ის აგრეთვე გამოყოფს, რომ ეს ერთადერთი ჩამოყალიბებული კანონი ცუდად იქნა მოფიქრებული კოლექტური მერებისგან განსხვავებით. ის ამტკიცებს, რომ ამ ცამეტ შემთხვევაში თეატრალური კოლექტივები ეცადნენ, რომ კანონიერად ჩამოყალიბებულიყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Augusto Boalo Théâtre de l’opprimé . La Decouvert , coll “Poche Essais” Paris, 1996
2. Augusto Boal, Jeux pour acteurs et non-acteurs. La Decouvert , coll “Poche Essais” Paris, 1997
3. Augusto Boal, Legislative Theatre, 2003 . Londen
4. Joe kelleher . theatre and politics. 2009. Londen

Nino Chrekezishvili

Legislative Theater

Abstract

Brazilian cultural activist, director and politician Augusto Boalli, who returned from emigration, founded the Legislative Theater. While working in the City Council, Boaley discussed several legislative initiatives and proposals with Brazilian citizens through the theater company. As a result, the idea of a citizen-drafted bill serves the interests of the population.

რეკენზენტი: პროფ. ნ. ჩხიკვიშვილი

ჟურნალისტიკა

Journalistic

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი

ქუთაისი, საქართველო

ფაქტების სიზუსტე

ჟურნალისტიკაში ობიექტურობის პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ ჟურნალისტმა ზუსტად, დაკვირვებულად აღწეროს ფაქტი, გადაამოწმოს მისი დეტალები, პერიპეტეხები, შემოწმოს ციფრები, ტოპონიმები, სახელწოდებები და განმარტოს აბრევიატურები. ჟურნალისტის ენა და სტილი გასაგები და იოლად აღსაქმელი უნდა იყოს ნებისმიერი აუდიტორიის მკითხველისათვის, სწორედ ამიტომაც ფაქტების სიზუსტე მრავალი ქვეყნის (მათ შორის: ირლანდია, ფინეთი, სლოვენია, ჩეხეთი, ლიტვა, ნორვეგია, გერმანია, ხორვატია) ჟურნალისტური კოდექსების პრეამბულის განუყოფელი ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტური კვლევა, ობიექტურობა, დადასტურებული ფაქტი

სიზუსტე და ობიექტურობა ჟურნალისტურ ასპარეზზე ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებებია, მაგალითად ირლანდიაში ჟურნალისტებს ანბანურ ჭეშმარიტებად და დოგმად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ „მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სამართლიანი და ზუსტი. ის არ გაავრცელებს კომენტარსა და ვარაუდს, როგორც დადასტურებულ ფაქტს და ინფორმაციას დამახინჯებით, შერჩევით ან ინტერპრეტაციით არ გააყალბებს ფაქტებს.“

არსებობს რამდენიმე სახის შეცდომა: გააზრებული და გაუაზრებელი (ანუ მექანიკური),- ნებსითი თუ უნებლიე. ამერიკული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ უდიდეს ფიგურას, ჯოზეფ პულიცერს თავისი თანამშრომლებისათვის ერთი მთავარი წესი ჰქონდა: „სიზუსტე, სიზუსტე და კიდევ ერთხელ სიზუსტე“, „ნიუ იორკ ტაიმზის“ ახალი ამბების რედაქტორმა თავის რეპორტიორებს ასეთი რჩევა მისცა: „შემოწმება თქვენი ბუნების ნაწილი უნდა იყოსო“. (1- 30,31).

„სიზუსტე, სიმოკლე, სიცხადე“- ეს არის კარგი რეპორტიორის მთავარი ატრიბუტი და კარგად დაწერილ ამბამდე გასავლელი გზა. გაზეთებისა და ჟურნალ „ნიუ იორკერის“ დიდოსტატ რეპორტიორ ა. ჯ. ლილბერნისაგან კოლეგის საუკეთესო შექება იყო „ფრთხილი რეპორტიორია“, რითაც ლილბერნი გულისხმობდა, რომ რეპორტიორმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ სიზუსტე დაიცვას.

ფინეთის ჟურნალისტები თავიანთ ეთიკურ კოდექსებში მიუთითებენ, რომ ინფორმაციული წყარო არათუ უბრალოდ უნდა შემოწმდეს, არამედ კრიტიკულადაც უნდა გაშუქდეს. ეს მითითება განსაკუთრებით ისეთ სადავო საკითხებს ეხება, რომელიც საზოგადოებრივი განსჯის საგანია (მაგალითად, ინტერვენცია, მასმედიის დამოუკიდებლობა,

მესაკუთრეთა უფლებები და ა. შ), რადგან შესაძლოა ინფორმაციის წყარომ პირადი ინტერესი ჩართოს ან ზიანი მიაყენოს ვინმეს.

„განეტ ნიუ სერვიზის“ რედაქტორი- სიზარ ენდრიუსი საუბრობს შიშის სინდრომზე და ირონიულად შენიშნავს: „ახალი ამბების საუკეთესო რედაქციები არის ადგილები, სადაც ადამიანები მუდმივად შეცდომის შიშით ცხოვრობენ. კარგი ჟურნალისტები ვერ იტანენ შეცდომებს.

1961 წელს „კოლამბია ჯორნელიზმ რევიუმ“ გააკრიტიკა „დეილი ნიუსი“ გამოთქმული ვარაუდისთვის, რომ წამლებს, რომლებსაც ჯონ კენედი იღებდა, შეეძლო გავლენა მოეხდინა მისი საღი მსჯელობის უნარზე. 40-ზე მეტი წლის შემდგომ „რევიუმ „ გამოაქვეყნა შესწორება და ბოდიშიც მოიხადა. ერთ-ერთ წიგნში, რომელიც კენედის ავადმყოფობას ეხებოდა, ეწერა, რომ წამალი, რომელსაც კენედი ადისონის დაავადების სამკურნალოდ იყენებდა, მართლა ახდენდა გავლენას მისი მსჯელობის უნარზე(1-32).

პუნქტუალობის დაცვა გულისხმობს იმას, რომ რეპორტიორმა რაც შეიძლება ზუსტად უნდა გადმოსცეს სიმართლე ან მოვლენის რეალური მიმდინარეობა შემდეგი მეთოდებით:

ა) უშუალო დაკვირვებით,

ბ) ავტორიტეტული, მცოდნე და სანდო წყაროებისა და ადექვატური, სანდო წყაროების მოშველიებით.

ამასთანავე, პუნქტუალობა სიცხადესაც გულისხმობს, მაგალითად, როდესაც რეპორტიორი ეცდება დაწეროს საინტერესო, დროული და გასაგები ტექსტი, რომელიც გაჯერებულია ციტატებით, ცხოვრებისეული მაგალითებითა და საინტერესო ფაქტებით, ეს კარგია, რადგან იგი მასალას უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

პუნქტუალობის ანუ სიზუსტის დასაცავად ამერიკელ რედაქტორთა ერთი ნაწილი- „ესსოშიეიტედ პრეს მენეჯინგ ედიტორი“ თავის ეთიკის კოდექსში ასე მიუთითებს: „გაზეთებმა უნდა განავითარონ და გამოიყენონ ამისთვის დამცავი საშუალებები, რათა თავიდან აიცილონ შეცდომები. ეს მოიცავს ფაქტების სისტემატიურ დამოწმებას, ციტირებას, კრიტიკული და სადაო ინფორმაციის დამტკიცებას(2-37)

სლოვენის კოდექსში სიზუსტის დაცვის კრიტერიუმები ისეთ წვრილმან საკითხებამდეც კი განზოგადდება, როგორცაა ანონსების დაბეჭდვა. აი, რას გვიაზნობს მისი სრული ვერსია: „რედაქცია ვალდებულია უზრუნველყოს ანონსების და სტატიიდან ამონარიდების დაბეჭდვა ისე, რომ შემოკლებულმა ვერსიამ არ შეცვალოს ტექსტის ძირითადი შინაარსი და არ შექმნას მცდარი დასკვნების გაკეთების საფუძველი“... თუ გავრცელებული ინფორმაცია დაუდასტურებელ ჭორს ან ვარაუდს წარმოადგენს, საზოგადოებას უნდა ეცნობოს ამის შესახებ.

მართლაც შეცდომების გასწორება ის რუტინაა, რომელსაც ნებისმიერი გაზეთი მეტ-ნაკლებად გადის თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების კვალდაკვალ. მაგალითად, „დეილი კურანტი“ ერთადერთი გაზეთია, რომელიც რელიგიური გულმოდგინებით ბეჭდავს თავის გვერდებზე მოთავსებულ შეცდომებს და მომდევნო ნომერში აქვეყნებს მობოდიშებით (ხშირად ამ შეცდომათა რაოდენობა 100-საც კი აჭარბებს და მთელ გვერდს მოიცავს).

ჩეხეთის რესპუბლიკის ეთიკის კოდექსში ფაქტის სიზუსტის მოთხოვნა ასეთი ფორმითაა ჩამოყალიბებული: „ჟურნალისტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის წყაროც ცნობილია, თუ წყაროს გადამოწმება შეუძლებელია, გამოაქვეყნოს აღნიშნული

მასალა შესაბამისი დათქმით... არ წარმოაჩინოს ვარაუდები, როგორც დადასტურებული ფაქტი და არ დაამახინჯოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი ფაქტების გამოტოვებით(3-29,28).

სიზუსტის დადგენა ხშირად ძნელია, როცა მასალაში მრავალი წყაროა მოტანილი, თუმცა ძალისხმევა აქაც არ უნდა დავიშუროთ. არსებობს ანგარიშის რამდენიმე სახე, ჟურნალისტი მასალას ან პირველადი ან მეორეული წყაროსაგან გებულობს. „არსებობს პირველადი ანგარიში, რომელიც ეფუძნება რეპორტიორის უშუალო დაკვირვებას, არსებობს მეორეული ანგარიში, როდესაც რეპორტიორმა შემთხვევის შესახებ სამი წყაროდან შეიტყო: პოლიცია, სკოლის ზედამხედველი და მასწავლებლის ადვოკატი. ხოლო მესამეული ანგარიში, რომელიც წყაროთა ფართო სპექტრს ეყრდნობა. მაგალითად, უოტერგეიტის სკანდალური მასალები, რომელიც კარლ ბერნშტეინმა და ბობ ვუდვორტმა გამოამზეურეს, დაფუძნებული იყო სხვადასხვა მტკიცებულებებზე, უამრავ წყაროსაგან მოპოვებულ სიტყვებზე, დედუქციაზე,(არასრულ) ნაწილობრივ წარმოდგენებზე, თუ რას შვრებოდა თეთრი სახლი, პრეზიდენტის გარემოცვის ბანდიტური მენტალიტეტის“ ცოდნასა და ცალკეულ ცნობებზე, რომლებსაც რეპორტიორები თვეობით უყრიდნენ თავს“(4-33).

ფაქტების სიზუსტის დამახინჯების პრეტენზიით საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოში არააერთ კომპანიასა თუ მოქალაქეს მიუძღვრება. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მიმართა დავით ჯაფარიძემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 23 აპრილს, 13 საათზე „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი, რომლის ავტორიც იყო ქეთი ციციშვილი, დაირღვა ქარტიის პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე პრინციპები. სადავო სიუჟეტი ეხებოდა პოლიციის მიერ მოქალაქეების ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას დაკავებას. სიუჟეტი ასევე შეიცავდა ვიდეო კადრებს, რომლებიც, ჟურნალისტის ინფორმაციით, ასახავდა პოლიციის მიერ მოქალაქეების დაკავების ფაქტს. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ვიდეო კადრები აღწერდა აბსოლუტურად სხვა ინციდენტს და არ იყო კავშირში ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას დაკავებასთან. (5-qartia.org.ge,განხილული საქმეები)

ფაქტების სიზუსტე და მიუკერძოებლობა რომ ჟურნალისტური საქმიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთ მთავრი პრინციპია, საზღვარგარეთულ ჟურნალისტიკაში მოიპოვება მრავალი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტმა უყურადღებობა გამოიჩინა ასეთი აქტუალური საკითხის მიმართ. მაგალითად, ტარტუს უნივერსიტეტის ეთიკის კომისიამ სახალხოდ გაილაშქრა ერხ კგბ-ს ფალსიფიცირებული სიების გამოქვეყნების წინააღმდეგ, რომელსაც ერთმა ესტონურმა გაზეთმა მთელი გვერდების ციკლი მიუძღვნა.

ერთ-ერთმა გაზეთმა მოიპოვა რუსულენოვანი სია, რომელიც მოიცავდა საკმაოდ ცნობილი ადამიანების ჩამონათვალს, რომლებიც ასოცირდებოდნენ კგბ-ს აგენტებთან. ჟურნალისტებმა არ იკმარეს ამ სიცრუის გამოქვეყნება და გაზეთმა მასალის დაბეჭდვამდე პირადად ამხილა აღნიშნული პირები და გააფრთხილა ისინი, რომ თუ თავად არ აღიარებდნენ ამ ფაქტს, მასალა გამოქვეყნდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზეთმა მასალა აღნიშნულ თემატიკაზე ორჯერ დაბეჭდა და სია სარედაქციო წერილებთან ერთად გამოაქვეყნა.

ჟურნალისტის ამ ქმედებას წინ აღუდგა, როგორც ტარტუს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო, ასევე ესტონეთის პრესის საბჭოც. როგორც შემდგომ გაირკვა, წყარო, რომელმაც რედაქციას

აღნიშნული მასალა მიაწოდა, არ იყო სანდო. სია ფალსიფიცირებული იყო და მასში ჩამოთვლილი ადამიანების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

საბჭომ მიიჩნია, რომ გაზეთის პოზიცია იყო ცინიკური, მან მოუწოდა, რომ მოეზოდინებინა, ხოლო თავის ანგარიშში კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მტკივნეული თემებით უპასუხისმგებლო მანიპულაციებს, შესაძლოა, სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმები გამოეწვია“ (5-167)

ლიტერატურა:

1. მ. მენჩერი, „ახალი ამბების გაშუქება და წერა“, კოლუმბიის უნივერსიტეტი, 2013 წელი.
2. ნ. ჯიქია, „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა (სტატიების კრებული)“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, 2011 წელი.
3. „ქართულ პრესაში ჟურნალისტური ეთიკის დაცვის მონიტორინგი“, დემოკრატიული ინოვაციის ცენტრი, 2003 წელი.
4. განხილული საქმეები, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, qartia.org.ge;
5. „ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2003წ.

Natia Jikia, Nunu Charkviani

Accuracy of facts

Abstract

Accurately and carefully depicting facts, verifying their details, checking figures, toponyms, names and explaining abbreviations are provided by the objective principle of journalism.

The language and style of a journalist should be easily understood and perceived by any reader of the audience. Therefore accuracy of facts is inseparable part of preamble of journalistic codes of many countries (Among them can be pointed out the following countries: Ireland, Finland, Slovenia, Czech, Lithuania, Norway, Germany and Croatia)

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

სოფიო ქიტესაშვილი

თბილისი, საქართველო

ამქვეყნიურისა და მიღმიერის გააზრება ქართულ აგიოგრაფიაში

ქრისტიანული მოძღვრება ამქვეყნიურს, მიწიერ-სხეულებრივ არსებობას უპირისპირდებოდა, რადგან საწუთროში დაპირისპირებასა და საფრთხეს ხედავდა სულის ნსტარებისათვის. ამქვეყნიური სამყარო მხოლოდ ღვთაებრივთან ანუ მარადიულთან შედარებით აღიქმებოდა წარმავალ და შეფარდებით ღირებულებად;

წმინდანობის გზა არ არის სწორხაზოვანი; მუდამ თავს იჩენს ტკივილი, რაც ახლავს, ერთი მხრივ, მატერიალურისგან განდგომას, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის სწრაფწარმავლობის შეგრძნებას;

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით, ისევე, როგორც, საერთოდ, ქრისტიანულ მოძღვრებაში, სიკვდილი გაიაზრებოდა, როგორც გარდაცვალება - „სხვად ქცევა“, „კავშირთა დახსნა, გაყრა სულისა და ხორცისა;

მართალია, გარდაცვალებას ახლდა ცრემლი და შიში, მაგრამ ეს უფრო იყო შიში არა გაქრობისა, არამედ შიში ხსნისა, დაეჭვება ღვთაებრივ საუფლოში განსვენებისა; თუმცა ამ ცრემლში დაფარულად სოფლის დატოვებით გამოწვეული ტკივილიც იგრძნობოდა. მიწიერების დასასრულს მარადიულობის იდეა უპირისპირდებოდა და ეს ტკივილიც ყუჩდებოდა.

ღვთისმეტყველებაში საგანგებოდ აღინიშნება, რომ შემოქმედმა „შეიყვანა კაცი სოფლად უკანაისკნელი დაბადებულთა, არა თუ შეურაცხებისათვის მისისათვის... არამედ რაითა იყოს მეუფე დაბადებითგანვე მისით. ყოველი სიკეთე დააუნჯა მან „უბესა შინა ქვეყანისასა“, „განჰმზადა სოფელი ეგე დიდებული და პატიოსანი“ და მხოლოდ ამის შემდეგ „შემოიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაგები რჩეული, პოვნილი და მომზადებული.“ (ნოსელი1964: 147). ე. ი. თავი მოეყარა სულიერსა და მატერიალურ ფასეულობებს, რისი წარმომჩენი და დამაგვირგვინებელი გახდა ადამიანი. თვით ცხოვრება შეიცავდა ორ განსხვავებულ საწყისს „საღმრთოსა“ და „ქვეყანის“ შერწყმით. მიწიერის საპირისპიროდ, ღვთაებრივ ამაღლებაში ჰპოვა თავისი იდეალი ქრისტიანულმა ხელოვნებამ.

მართალია, ქრისტიანული თეოლოგია, გარკვეული კუთხით, ამქვეყნიურ ცხოვრებას უპირისპირდება, მაგრამ სრულ ბოროტებად, არარაობად არ მიიჩნევს მატერიალურ ყოფას. იგი წარმავალი და შეფარდებითი ღირებულებაა მხოლოდ მარადიულთან მიმართებით. „ღვთაებრივ

ბრწყინვალეობასა და, მარადიულთან მიმართებით, სოფლის შეფარდებით ნაკლსა და ზადს წარმოაჩენს ახალი აღთქმა“ (ეკლესიასტე 1,4).

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ყოველ ქრისტიანს უფლება აქვს იქონიოს კერძო საკუთრება, დაიკმაყოფილოს ხორციელი მოთხოვნილებები, იქორწინოს: „ხორცი ეგე თქვენნი ტაძარნი თქვენ შორის სულისა წმიდისანი არიან“ (I კორინთელთა 6,19). მთავარი იყო ზომიერების შეგრძნება, რადგან ბასილი კესარიელის მოძღვრების მიხედვით, „თავად შემოქმედმა არარაი დაჰბადა ჩვენთვის ნამეტნავად, არცა ნაკლულად“. უპირისპირდებოდნენ სულის საფრთხედ ქცეულ ზედმეტ მატერიალურ ფუფუნებას, მამონად ქცეულ სიმდიდრეს, სიმვა-მრუშობად ქცეულ ურთიერთობას, პატივმოყვარეობას, რამეთუ კაცსა „ვერ ხელეწიფების ღმრთისა მონებად და მამონასა“ (მათე 6,24). მორწმუნე ქრისტიანი წარმოადგენს მუდმივ მებრძოლს სულის საფრთხესთან, მაგრამ არა მუდამ წინააღმდეგობს ხორციელ მოთხოვნილებათადმი; ასკეტი კი არის ინტენსიური და თავგანწირული მებრძოლი როგორც სულის, ისე სხეულის საფრთხესთან. ეს არის საკუთარი თავის ფლობის ასკეტური გზა. სწორედ აქ ვლინდება განსხვავება მორწმუნე ქრისტიანსა და განდეგილს შორის. ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვსაუბრობთ ადამიანისა და საწუთროს ურთიერთობის საკითხზე შუა საუკუნეების ქრისტიანულ მწერლობაში. ასკეტის მიწიერებასთან კავშირი გამოიხატება იმით, რომ იგი უარს არ ამბობს კვებაზე და სიკვდილის შემდეგ მისი სხეული მიწაში დაიფლობა. ასკეტიზმის ამგვარი გაგება კანონიკურად იყო მიჩნეული და ამგვარადვე აღიქვამდნენ ქართველი აგიოგრაფები: გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელს „ზეცისა კაცსა და ქვეყნისა ანგელოზს“ უწოდებს.

ქართულ აგიოგრაფიაში წარმოდგენილი ასკეტიზმი არასოდეს არის თვითმიზნური; გული და გონება ერთდროულად მიდის ამ არჩევანამდე. აბო თბილელმა, ევსტათი მცხეთელმა, კოლელთა ცხრა ყმამ ზედმიწევნით გაიცნეს „რჩული ჰურიათაცა და ქრისტანეთაცა და რომელიცა რჩული უწმინდე იყო“, იგი შეიყვარეს (ძეგლები 1964; 35). ეს ცხადყოფს, რომ მოწამე გრძნობით, წინასწარი გააზრების გარეშე არ ადგება ამ გზას. მას გაცნობიერებული აქვს თავისი არჩევანი.

ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია მაცხოვრის მიმართვა მორწმუნეებისადმი: „რომელთა უნდეს შედგომი ჩვენდა, უვარყავნ თავი თვისი“ (მათე 16,24). ქრისტეს სიტყვები გულისხმობს ადამიანში მიწიერ და ღვთაებრივ „მეს“ ურთიერთდაპირისპირებასა და ფიზიკურის საპირისპიროდ სულიერის ამაღლებას. ეს არის არა საკუთარი თავის სრული უარყოფა (მაშინ ეს იქნებოდა შემოქმედის უარყოფაც, რადგან ადამიანის სული ღვთაებრივი ემანაციის შედეგად არის გამოცხადებული), არამედ საწუთროსთან დაპირისპირებითა და საკუთარ „მეში“ ჩაღრმავებით უზენაესის წვდომა.

მართალია, გაღმთობის გზა შინაგანი მდაბალი „მეს“ დათრგუნვითა და სოფლის ამო დიდებისგან განდგომით იწყება, მაგრამ, უარყოფასთან ერთად, ეს არის დასაწყისიც სრულყოფილების წვდომისა. ამ ქვეყნის ცვალებადობისა და წუთიერების შეგრძნებით გამოწვეულ ტკივილს ადვილად აყუჩებდა მარადიული ნეტარების შეგრძნება.

წამების გზაზე დადგომას მუდამ ჰქონდა გარკვეული მიზეზი და მიზანი, რაც აღემატებოდა ჯოჯოხეთის შიშსა და სამოთხის ხილვის ცდას. ქართული ეროვნული ყოფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართული აგიოგრაფიის პერსონაჟები ერთდროულად არიან სარწმუნოებისა და ეროვნული თავდადების იდეის მატარებელი.

ამის ნათელი მაგალითია იაკობ ხუცესის თხზულების გმირი შუშანიკი, რომელიც არა მხოლოდ სულის ცხონებისთვის იღვწის, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის.

ქრისტეს მსახურებაში მოიაზრებოდა ერთგულება ამაღლებულისა და ყოველივე მშვენიერისა, პირველ რიგში, საკუთარი პიროვნების სრულყოფა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ შემდეგში „ქართლის ჭირის“ უმთავრეს მიზეზად მიიჩნიეს ერის მორალური დაქვეითება, ქართველების მიერ ქრისტეს მცნების დალატი.

აგიოგრაფიულ ძეგლებში წარმოჩნდება ამქვეყნიური ცხოვრების ფასეულობაც. წმინდანობის გზა არასოდეს არის სწორხაზოვანი; მუდამ თავს იჩენს ტკივილი, რაც თან ახლავს მატერიალურ ღირებულებათაგან განდგომას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სოფლის მსწრაფლწარმავლობის შეგრძნებას. სოფელი არის „შეცვალებადი პატივი მოკუდავთა კაცთა სუფევისაი“ (ძეგლები 1964: 252). რამდენადაც მეტი ფასი ედებოდა ყოფით სინამდვილეს, იმდენად დიდი ძალა და მნიშვნელობა ენიჭებოდა მასზე უარის თქმას, იმდენად დიდი იყო ტკივილი მასთან განშორებისა. ამას ვერ მალავს ისეთი დიდი აგიოგრაფიც კი, როგორც იყო გიორგი მერჩულე და ჭაბუკ ზენონის ღვთის გზაზე დადგომის უფრო მეტი ძალით წარმოჩენის მიზნით, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „მონაგებთა ე.ი. ქონების, ამქვეყნიური დიდების - დატევებაი სისხლთა დათხევასა ემსგავსების. „და დაიწერა ჯვარი ხორცთა თვისთა და წარემართა საღვთოსა მას გზასა“ (ძეგლები 1964: 263).

საწუთროს „დატევებით“ გამოწვეული ტკივილის არსებობას არ უარყოფენ, მაგრამ ეს არის „გასაჭირი“, რომელიც მხოლოდ მოწამის გადასატანია, „მისდა მარტოისა არნ“. მისი შემსუბუქება შეუძლებელია, რადგან იგია გამწმენდელი და ამმაღლებელი გზა ღვთაებასთან საზიარებლად; ამდენად ყველამ მარტო უნდა განიცადოს იგი, აქედან გამომდინარე, იწოდებიან წმინდანნი „მოთმინეთ მრავალსახეთა ჭირთა და მწუხარებათა ქრისტისთვის“ (ძეგლები 1964:257).

ამგვარი ტკივილის განცდას ეძლეოდა ესთეტიკური მნიშვნელობა აგიოგრაფიაში, ამის შეგრძნებასა და გამოხატვაში წარმოჩნდებოდა ხელოვანის ნიჭიერება. ქრისტიანი მწერლის მთელი ყურადღება მიმართულია გმირის შინაგან სამყაროზე, მის მაცხოვრის მიბამვაზე, რადგან ამას მუდამ ახლავს რეალურისა და ღვთაებრივის დაპირისპირება და ამ გაორებით გამოწვეული დიდი შინაგანი ტკივილი, როგორც წინაპირობა სულიერი ამაღლებისა. „გაორებასა და ტკივილს ის იწვევს, რომ ინდივიდუალური და პირადული გარკვეული პოზიციური შინაარსითაა აღბეჭდილი და არა არარაობა თუ ბოროტება. ამაღლებულის განცდას მსხვერპლად მიტანილის ფასეულობის შეგნება უდევს საფუძვლად...ამაღლებულობა შინაგანი ტკივილისა და გაორების დამღევასა და მოხსნას გულისხმობს იდეალში“ (ფარულავა 1982:55).

ზემოთქმულ პრინციპს ემყარებოდა შუა საუკუნეების აზროვნება დროისა და სივრცის აღქმაშიც; უმაღლეს და აბსოლუტურ რეალობად მიიჩნეოდა მარადიულობა, ხოლო მიწიერი ანუ შექმნილი დრო, რომელშიც არსებობდნენ ადამიანები და მოვლენები, ფასდებოდა როგორც მეორეხარისხოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი.

დროისა და სივრცის ამგვარი აღქმა განაპირობებდა სიკვდილის თავისებურ გააზრებას. შუა საუკუნეების ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სიკვდილი არის „სხვად ქცევა“, გაყრა სულისა და ხორცისა, „კავშირთა (წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი) დახსნა“. ქართულ ენაში სიკვდილის აღმნიშვნელმა სიტყვამ-გარდაცვალება-მთელი არსით წარმოაჩინა ამ საკითხის ქრისტიანული გააზრება. თავად ცნება „გარდაცვალება“ აღნიშნავს ცვილებას,

გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ე.ი. მიწიერიდან ღვთაებრივში, ხორციელი-დან - სულიერში, ცხოვრების, არსებობის წესის შეცვლას. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ნიმუშების მიხედვით, სიცოცხლე არის „ხორცთა შინა ყოფნა“, ხოლო სიკვდილი - „განსვლა ხორცთაგან და მისვლა იესუ ქრისტეისთანა“, „წმიდათა ბრწყინვალეობასა შემატება“ (ძეგლები 1964: 67).

აგიოგრაფებს „მაცხოვრის ბაძვაზე“ („კეთილ არს ბაძვა კეთილისათვის“, - აბო თბილელი) არანაკლებ აინტერესებს „სხვად ქმნის“ პროცესი, რადგან სიკვდილის სიახლოვე მუდამ იწვევს შიშის ვნებად ქცეულ განცდას, რომლის მორევასა და გადალახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოწამის პიროვნებაში ღვთაებრივი „მეს“ სრული დამკვიდრების დროს. აგიოგრაფი სიკვდილის შიშის დაძლევის ორ უმთავრეს გზას ხედავს: ერთი - სიკვდილის დაძლევა სიკვდილზე ფილოსოფიური ფიქრით, მისი გამუდმებული წარმოსახვით და ამგვარად, სიკვდილისათვის განსაკუთრებულობის სტატუსის ჩამოშორებით. ამ გზას აღიარებდნენ უმთავრესად „წამების“ ჟანრის ავტორები (იოანე საბანისძე, სტეფანე მტბევარი და სხვ.). მეორე - სიკვდილის შიშის დაძლევა სიკვდილის რეალური ფაქტის მივიწყებით - მისი ცნობიერებიდან იგნორირებით, რომლის უპირატესობა „ცხოვრებათა“ ჟანრის ავტორებს სწამთ (გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი და სხვ.).

ზემოხსენებული რომ შევაჯამოთ, ქართულ აგიოგრაფიაში ამქვეყნიური და მიღმიერი შემდეგნაირად გაიაზრება:

ქრისტიანული მოძღვრება ამქვეყნიურს, მიწიერ-სხეულებრივ არსებობას უპირისპირდებოდა, რადგან საწუთროში დაბრკოლებასა და საფრთხეს ხედავდა სულის ნეტარებისათვის. ამქვეყნიური სამყარო მხოლოდ ღვთაებრივთან ანუ მარადიულთან შედარებით აღიქმებოდა წარმავალ და შეფარდებით ღირებულებად;

წმინდანობის გზა არ არის სწორხაზოვანი; მუდამ თავს იჩენს ტკივილი, რაც ახლავს, ერთი მხრივ, მატერიალურისგან განდგომას, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის სწრაფწარმავლობის შეგრძნებას;

ქართული აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით, ისევე, როგორც, საერთოდ, ქრისტიანულ მოძღვრებაში, სიკვდილი გაიაზრებოდა, როგორც გარდაცვალება - „სხვად ქცევა“, „კავშირთა დახსნა, გაყრა სულისა და ხორცისა“;

მართალია, გარდაცვალებას ახლდა ცრემლი და შიში, მაგრამ ეს უფრო იყო შიში არა გაქრობისა, არამედ შიში ხსნისა, დაეჭვება ღვთაებრის საუფლოში განსვენებისა; თუმცა ამ ცრემლში დაფარულად სოფლის დატოვებით გამოწვეული ტკივილიც იგრძნობოდა. მიწიერების დასასრულს მარადიულობის იდეა უპირისპირდებოდა და ეს ტკივილიც ყუჩდებოდა.

ქრისტიანულმა ხელოვნებამ შეძლო ესთეტიკური ფასეულობა მიენიჭებინა იმ ტანჯვისათვის, რომელიც ახლდა მოწამის სულში მიწიერი და ღვთაებრივი საწყისის დაპირისპირების დროს ხორციელ ვნებებზე ძლევის სულიერი „მეს“ ამაღლებას. მან შეძლო ამ ტკივილის იმგვარი გადმოცემა, როდესაც მთელი არსით წარმოჩნდება არა მარტო სულიერი და ფიზიკური განცდები, არამედ ის სიმაღლეც, რომელზედაც უკვე მშვენიერებად განიცდება ეს ტკივილი.

ლიტერატურა:

ბიბლია 1991: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი: 1991;

ნოსელი 1964: უძველესი რედაციები ბასილი კესარიელის „ექვსთა დღესაითა და გრიგოლ ნოსელის თარგმანების „კაცისა აგებულებისათვის“ (X-XII საუკუნის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964;

ფარულავა 1982: ფარულავა გ. მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1982;

ძეგლები 1964: ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს.) (ილია აბულაძის რედაქციით). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964

Sophio Kitesashvili
Holiness is not forthright in Georgian Hagiography

Abstract

The Christian doctrine confronted existence of earthly, worldly nature as long as it has seen confrontation and danger in this mortal coil for joy of soul. Earthly world was perceived as a transient and relative value only compared with divine or in other words eternal.

The path of holiness is not forthright; There is always pain, on the one hand, accompanied to material eschew and on the other hand, perception of world short transitoriness;

According to the Georgian hagiographical texts, as well as Christian doctrine considered death as mort – “turning away”, “dissolution of "our earthly house of this tabernacle";

It is obvious that tears and fear was accompanied with death but it was not fear of disappearing but fear of rescuing, doubting in resting of godlike into the Lord's; Through this tears, secretly, sensed pain caused by leaving of world. The idea of eternity confronted with completion of worldly and this pain turned silent.

The Christian art could grant esthetical value to pain which accompanied confrontation of worldly and earthly origins in the soul of martyr.

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

შინაარსი

ენათმეცნიერება

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია ინგლისურ და ფრანგულ პარემიულ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზი.....	9
რუსუდან გერსამია სახელის ფუძის განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტები ქართულში.....	14
ლელა ებრალიძე ლექსიკური ტრანსფორმაციები მხატვრულ თარგმანში (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე).....	21
Яговкина Е.П. Что Такое Семиотика?	27
თამარ მახარობლიძე ქართული ჟესტური ენის ზმნის პირიანობა.....	31
მანანა მიქაძე მამია გურიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ენისათვის (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდიდან).....	41
რამაზ სვანიძე კონცეპტი <i>ოჯახი</i> გერმანულენოვან დისკურსში.....	50
ლელა ციხელაშვილი ვალსაა ტიპის ფორმების შესახებ ძველი ქართული ენის კითხვით წინადადებაში	54

ლიტერატურათმცოდნეობა

ლევან ბებურიშვილი კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხი ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევში.....	66
გურანდა გობიანი მეხსიერების ფენომენის პოსტმოდერნისტული „ანაბეჭდები“ გონის ანთროპომეტრულ ჭრილში (ნ. გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“.....	72

გაბრიელ თაგაური ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების ზოგიერთი იდეურ-სტრუქტურული მახასიათებელი.....	80
თეა თალაკვაძე გენდერული ოპოზიციები ოთარ ჭილაძის რომანის “ <i>აველუმი</i> ” მიხედვით.....	92
თინათინ სიხარულიძე ბაირონის თავისუფლების იდეა და საქართველო.....	96
თეა სუმბაძე სიმონ ჩიქოვანი ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ.....	102
ნესტან დამბაშიძე მელანია მამაცაშვილი.....	107
სოფიო ქიტესაშვილი ამქვეყნიურისა და მიღმიერის გააზრება ქართულ აგიოგრაფიაში.....	174

პედაგოგიკა

ცირა ბრეგვაძე, მზევინარ ტაბატაძე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.....	112
ცირა ბრეგვაძე, მზევინარ ტაბატაძე ინკლუზიური განათლების მიდგომების/პრინციპების დანერგვა სკოლის დონეზე.....	118
ნანა მაჭარაშვილი პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების ზოგიერთი ასპექტი.....	122
მზევინარ ტაბატაძე, ცირა ბრეგვაძე „თანამშრომლობითი სწავლა უფრო მეტია ვიდრე მოსწავლეების ერთად მუშაობა“.....	127

ეთნოგრაფია

რამაზი ხაჭაპურიძე სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვები ლეჩხუმის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.....	137
--	-----

სწავლების მეთოდოლოგია

მანანა მიქაძე კომუნიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები	147
ჟანა ხაჩატურიანი სახელთა ბრუნების სწავლება სომხურ სკოლაში (თავისებურებები და სიმძნელები).....	148

ფსიქოლოგია

იაგორ ბალანჩივაძე, სალომე ბზიკაძე ბავშვის აღზრდა ადრეულ ასაკში.....	154
მელანო კაციტაძე პიროვნული არჩევანი.....	158

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო ჩერქეზიშვილი საკანონმდებლო თეატრი.....	166
--	-----

ჟურნალისტიკა

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი ფაქტების სიზუსტე.....	170
--	-----

Content

Linguistic

Tsiuri Akhvledian, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia Contrastive Analysis of English and French Paroemic Units.....	13
Rusudan Gersamia On the Methodological Aspects of Identifying the Nominal Stems in Georgian.....	19
Lela Ebralidze Lexical Transformations in Literary Translation (on the material of Georgian and English languages).....	26
Helen Iagovkina What Is Semiotics?.....	30
Tamar Makharoblidze Valency of GESL verbs.....	40
Manana Mikadze For the language of Mamia Guriel's epistolary heritage (From the Kutaisi Museum Manuscript Fund).....	49
Ramaz Svanidze The Concept of the Family in German Discourse.....	53
Lela Tsikhelashvili On the Forms of <i>valsaa</i> Type in the Old Georgian Interrogative Sentences.....	65

Literature

Levan Beburishvili The problem of relationship between cosmopolitanism and patriotism in the thought of Vazha-Pshavela and Nikolai Berdyaev.....	71
Guranda Gobiani Postmodern "Imprints" of Memory Phenomenon in the scope of Anthropometry of Mind ("Display (imprints)" by Naira Gelashvili).....	79

Gabriel Tagauri	
Some Conceptual and Structural Characteristics of Georgian Folk and Literary Tales.....	91
Tea Talakvadze	
Otar Chiladze's "Avelum"	95
Sikharulidze Tinatin	
Byron's idea of liberty and Georgia.....	101
Tea Sumbadze	
Simon Chikovani about Vazha-Pshavela's Poetry.....	106
Nestan Gambashidze	
Melania Mamavashvili.....	111
Sophio Kitesashvili	
Holiness is not forthright in Georgian Hagiography.....	178

Pedagogic

Tsira Bregvadze, Mzevinar Tabatadze	
Problem based teaching.....	117
Tsira Bregvadze, Mzevinar Tabatadze,	
Inclusive education approaches / principles, Implementation at school level.....	121
Nana Macharashvili	
Some aspects about Vocational Teacher Training.....	126
Mzevinar Tabatadze, Tsira Bregvadze	
“Cooperative learning means more than students working together”	131
Nino Tsilosani	
LLEP Tskaltobo Municipality Village Banoja Public School.....	136

Ethnography

Ramaz Khachapuridze Healing and agricultural spells of Lechkhumi According to new ethnographic materials.....	142
---	-----

Methodic of Teaching

Manana Mikadze Competences required for communication.....	143
Jana Khachaturian Teaching the case at the Armenian Schools (Peculiarities and difficulties).....	153

Psychology

Iagor Balanchivadze, Salome Bzikadze Child's upbringing at an early childhood age.....	157
Melano Katsitadze Personal choice.....	162
Nino Tsilosani LLEP Tskaltobo Municipality Village Banoja Public School A Leading Mathematics teacher Nino Tsilosani	165

Art

Nino Chrekezishvili Legislative Theater.....	169
---	-----

Journalistic

Natia Jikia, Nunu Charkviani Accuracy of facts.....	173
--	-----